კონსტანტინე კორკელია *(რედ.)*

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე

სტატიათა კრებული

თბილისი, 2006

Konstantin Korkelia *(Red.)*
DIE EUROPÄISCHEN STANDARDS DER MENSCHENRECHTE UND DEREN EINFLUSS AUF DIE GEORGISCHE GESETZGEBUNG UND PRAXIS
Aufsatzsammlung
Tbilissi, 2006

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) 1975 წელს დაფუძნდა და დღესდღეისობით მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში მოღვაწეობს. GTZ-ი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ შექმნილი ორგანიზაციაა, რომლის მიზანიც განვითარების სფეროში თანამშრომლობა და მხარდაჭერა გახლავთ.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დავალებით GTZ-ი სამართლისა და სასამართლო სისტემის მხარდასაჭერად საქართველოში ახორციელებს პროექტს, რომლის ძირითადი საქმიანობაა კანონმდებლობის ექსპერტიზა, იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩატარება და ახალი იურიდიული ლიტერატურის შექმნა.

© გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2006
© სტატიათა ავტორები, 2006

ISBN 99940-30-81-7

Hrsg.:
gtz

Projekt:
Unterstützung des Rechts- und Gerichtssystems in Georgien
Rustaveli Allee 30
0140 Tbilissi, Georgien
Tel.: +995 (32) 933712
Fax: +995 (32) 997764
E-Mail: gtz_law@caucasus.net
www.gtz-law-caucasus.net

გამომცემელი:
gtz

პროექტი:
საქართველოს სამართლისა და სასამართლო სისტემის ხელშეწყობა
რუსთაველის გამზ. 30
0140 თბილისი
ტელ.: +995 (32) 933712
ფაქსი: +995 (32) 997764
E-Mail: gtz_law@caucasus.net
www.gtz-law-caucasus.net

სარჩევი

კონსტანტინე კორკელია

წინასიტყვაობა 5

მაია გითაძე

ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით 8

გესარიონ ბოხაშვილი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლთან 25

დავით გაგეხაძე

რეპუტაცია, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი 47

გაგა გაბრიჩიძე

თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში 68

ირაკლი გივიაშვილი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა 77

ევა გოცირიძე

„აზრის გამოხატვა", რომელსაც არ იცავს ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი 98

მარიამ ვარდოსანიძე

რელიგიის თავისუფლების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით 129

კონსტანტინე კორკელია

სასწავლო პროგრამა და საგამოცდო სტანდარტები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპულ სამართალში მოსამართლეებისათვის, პროკურორების, ადვოკატებისა და მოსამართლეთა თანაშემწეებისათვის 144

კონსტანტინე კუბლაშვილი

სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით 188

გივი მიქანაძე

სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში 211

ალექსანდრე ორახელაშვილი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია 226

სიმონ პაპუაშვილი

თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით 240

მერაბ ტურავა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესი 256

პაატა ტურავა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საკუთრების უფლების დაცვა 298

ქეთევან ხუციშვილი

ექსტრადიციისა და დეპორტაციის საკითხი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით 313

ავტორთა შესახებ 335

კონსტანტინე კორკელია

წინასიტყვაობა

ადამიანის უფლებათა დაცვა საქართველოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არაერთი პრობლემა მოგვარდა, მაინც უამრავი საკითხი საჭიროებს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, რათა საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანობის გაზრდას ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრება. ცხადია, ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდება იმ შემთხვევაში, თუ ამაღლდება ცნობიერება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტების შესახებ საზოგადოებაში, განსაკუთრებით, იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებს შორის.

ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად საქართველოს იუსტიციის სამინისტროში არსებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობის დეპარტამენტი, რომლის რეფორმა ახლახან ჩატარდა. ამ რეფორმის შედეგად, სხვა ფუნქციებთან ერთად, დეპარტამენტს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების შესახებ ცნობიერების ამაღლების ფუნქციაც დაეკისრა. ამ ფუნქციის გარდა, ხსენებულ დეპარტამენტს ევალება, საქართველო წარმოადგინოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და ხელი შეუწყოს საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ამიტომაც გადაწყდა, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით მომზადებულიყო კრებული, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების სტატიები. ამ სტატიების მიზანია: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების

წარმოჩენა, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი და იმ საკანონმდებლო და პრაქტიკულ ღონისძიებებზე მსჯელობა, რომლებიც უნდა გატარდეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად ევროპული სტანდარტების მიხედვით.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში დამკვიდრდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების პრაქტიკა სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების თვალსაზრისით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, რაც სასამართლო პრაქტიკაზე დადებითად აისახა.[1]

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების მზარდ როლს ადასტურებს ის გარემოება, რომ იზრდება რაოდენობა განაცხადებისა, რომლებიც იგზავნება საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ცხადია, საქართველო ამ თვალსაზრისით უნიკალური არ არის. იმ ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგაც კი, რომლებშიც ათწლეულების მანძილზე მყარად არის დამკვიდრებული სამართლის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპები, მრავლადაა ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადი და მათი რაოდენობა, როგორც ევროპული სასამართლოს სტატისტიკა ადასტურებს, სულ უფრო იზრდება. ამ ევროპულ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო პრაქტიკულად ყოველდღიურად იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც ადგენს, რომ დაირღვა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ესა თუ ის უფლება.

ამჟამინდელი მდგომარეობით ევროპულმა სასამართლომ ოთხ საქმეზე დაადგინა, რომ საქართველომ ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შესრულება. მიუხედავად ამისა, მცდარია მოსაზრება, რომ ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადების უმრავლესობასთან დაკავშირებით დგინდება საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა. თუ გადაისინჯება ყველა ის გადაწყვეტილება, რომელთაც ევროპული სასამართლო იხილავს საქართველოსთან მიმართებით, აშკარა გახდება, რომ განაცხადების მხოლოდ მცირე ნაწილთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო ადგენს, რომ საქართველომ ვერ უზრუნველყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო დაცვა.

1 კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, 2004 წელი.

საყურადღებოა, რომ სტატიების ავტორები თავისუფალნი იყვნენ სტატიათა თემატიკის შერჩევაში. ერთადერთი მოთხოვნა თემატიკასთან დაკავშირებით ის იყო, რომ ავტორებს სტატიებში განეხილათ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, განსაკუთრებით, სასამართლო პრაქტიკაზე. ავტორთა ასეთმა თავისუფლებამ ცხადი გახადა პრობლემები, რომლებიც ქართველი იურისტების ზრუნვის საგანია. კრებულში განხილულია მრავალი საინტერესო თემა, როგორებიცაა: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებასთან დაკავშირებით, გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები გარემოს დაცვის სფეროში, ევროპული სტანდარტები რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით და მათი შესრულება საქართველოში, თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა სფეროში, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების როლი საქართველოში იურიდიული პროფესიების წარმომადგენლების საქმიანობაში, სიცოცხლის უფლების დაცვის ევროპული და ქართული სტანდარტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში, თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლების დაცვის ევროპული სტანდარტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესი, საკუთრების უფლების დაცვა, ექსტრადიციისა და დეპორტაციის ევროპული სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა.

გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების „საქართველოს სამართლისა და სასამართლო სისტემის ხელშეწყობის" პროექტს და, განსაკუთრებით, ბატონებს: ცენო რაიჰენბეჰერსა და შალვა პაპუაშვილს, რომელთაც წინამდებარე სტატიათა კრებულის გამოცემის იდეას მხარი დაუჭირეს და სისრულეშიც მოიყვანეს.

სტატიებში გამოხატულია ავტორების შეხედულებანი, რომლებიც შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ ორგანიზაციათა პოზიციებს, სადაც ავტორები მოღვაწეობენ. კრებული განკუთვნილია როგორც ეროვნული და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისათვის, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

2006 წლის თებერვალი

მაია გითაძე

ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

1. შესავალი

დღეისათვის კაცობრიობა უნიკალური და ამავდროულად დრამატული მოვლენების მოწმეა, რაც გარემოზე მავნე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგია. ყოველივე ეს განპირობებულია მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ინტენსივობით და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით. გარემოს დეგრადაცია უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, რადგან სწორედ სუფთა გარემო, ჟანგბადით სავსე ატმოსფერო, საკმარისი მზის შუქი და წყალი არის ის აუცილებელი პირობები, რაზეც ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კაცობრიობამ უნდა გაიაზროს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ის რეალური საფრთხე, რაც გარემოს დაბინძურებას სდევს თან და ეტაპობრივად გადაწყვიტოს პრობლემური საკითხები. ამასთან, გლობალურად უნდა განმტკიცდეს ადამიანის ისეთი უფლებების დაცვის მექანიზმები, როგორებიცაა: ჯანსაღ გარემოში ცხოვრების, სათანადო კომპენსაციისა და გარემოს შესახებ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაციის მიღების უფლებები.

საქართველოში ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხები, სამწუხაროდ, არცთუ ისე აქტუალურია, როგორც ევროპისა თუ ამერიკის კონტინენტების განვითარებულ ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დარღვევის ფაქტები საქართველოში ხშირია. ეს ეკოლოგიური ცნობიერების დაბალი ხარისხისა და სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო ყურადღებით არის განპირობე-

ბული. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ისეთ ტერიტორიებზე ცხოვრობს, რომლებიც დაბინძურების აშკარა წყაროებთან ახლოს მდებარეობს (ქარხნები, მშენებლობები და ა.შ.), რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს მთიანეთისა და ზღვისპირა დასახლებებზე, რომლებიც მუდმივი ეკოლოგიური კატასტროფების საფრთხის ქვეშ არიან.

საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა გარკვეული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის მიერ მიღებული სხვადასხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე. 1995-2005 წლებში საქართველოს პარლამენტმა სამ ათეულამდე საკანონმდებლო აქტი მიიღო გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, მათ შორის გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების სფეროში, ენიჭებათ უპირატესობა საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან შედარებით, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას. დღესდღეობით საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტია საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 37-ე მუხლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს" (მე-3 პუნქტი); „ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას" (მე-4 პუნქტი).[1] საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულებათა განხორციელების მიზნით მიღებულ იქნა საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (1996 წელი).[2] ამ კანონის ძირითადი მიზანია საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების განხორციელება. ამავდროულად იგი ქმნის საკანონმდებლო ნორმატიული აქტების სამართლებრივ საფუძველს გარემოს დაცვის სფეროში, რითაც უზრუნველყოფს: გარემოს დაცვას მავნე ზემოქმედებისაგან; გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას; მდგრად განვითარებასა და

1 საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1995 წელი, 31-33.
2 საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, 1-2.

ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას; ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას; უნიკალური ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების დაცვას; გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად ძალისხმევის განხორციელებას; გარემოს დაცვის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას; გარემოსდაცვით განათლებას. გარემოს დაცვის შესახებ კანონი შეიცავს დებულებებს ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმების, ლიცენზიების სისტემისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების შესახებ.

საქართველოს გარემოსდაცვითი სამართალი საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლისა და პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და ამ საკითხის აქტუალიზაცია მეტად მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო საზოგადოებაში საქართველოს ინტეგრაციის ამჟამად მიმდინარე პროცესს. საერთაშორისო გარემოსდაცვითმა პოლიტიკამ და სამართალმა მეოცე საუკუნის მიწურულს მიიპყრო მსოფლიო საზოგადოების ყურადღება და, როგორც მეცნიერებამ, დაიმკვიდრა თავისი ადგილი. ოზონის ხვრელი, კლიმატის გლობალური ცვლილება და გადაშენების პირას მისული სახეობები — აი ის ძირითადი ჩამონათვალი საკითხებისა, რამაც აიძულა კაცობრიობა, დაფიქრებულიყო ეკოლოგიის გლობალურ მნიშვნელობაზე და სათანადო, პრიორიტეტული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და სამართლისათვის.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებასა და შემდგომ დახვეწაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ, რომელმაც თავისი არსებობის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში და ეს მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არცერთ მუხლში პირდაპირ არ ადგენს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს.[3] თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აღნიშნული მიმართულებით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის

3 2003 წლის 27 ივნისს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია 1614 „გარემო და ადამიანის უფლებები", რომელშიც აღნიშნულია, რომ მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, მინისტრთა კომიტეტს შეემუშავებინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებს შეეხებოდა, როგორც ეს დადგენილია ორჰუსის კონვენციით (მე-10 პუნქტი).

1969 წლის კონვენცია, რომელიც ადგენს, რომ ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მისი მიზნების შესაბამისად. ამ შემთხვევაში კი მიზანია ადამიანის უფლებების, მათ შორის ეკოლოგიური უფლებების, დაცვა.[4]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, რომელსაც ხელი 1950 წელს მოეწერა, ხოლო 1953 წელს შევიდა ძალაში, პირველად კაცობრიობის ისტორიაში ადამიანს, როგორც ინდივიდს, შესაძლებლობა მიეცა, საერთაშორისო სამართლის დონეზე მოეთხოვა თავისი უფლებების დაცვა სახელმწიფოს მიერ. პირველად შეიქმნა საერთაშორისო მექანიზმი, რომელიც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას უზრუნველყოფდა და რომელიც ანიჭებდა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს შესაძლებლობას, აღეძრა სარჩელი კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც დაარღვია ადამიანის ძირითადი უფლებები.

კონვენციით დაარსებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც უზრუნველყოფს ზედამხედველობას მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის შესრულებაზე. თავისი გადაწყვეტილებებით სასამართლო ხელს უწყობს ევროპული სახელმწიფოების ერთიანი მიდგომის ფორმირებას ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან დაკავშირებით.

2. ევროპული კონვენციისა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტების როლი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განვითარებაში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოქმედების პირველ წლებში სასამართლო არ იღებდა სარჩელებს ეკოლოგიური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, რადგან თვლიდა, რომ კონვენცია არ შეიცავდა მუხლებს ეკოლოგიური უფლებების დაცვის შესახებ. თუმცა სასამართლო პრაქტიკის (პრეცედენტული სამართლის) შემდგომმა განვითარებამ, კაცობრიობის ეკონომიკურმა პროგრესმა და საერთაშორისო საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებამ ცხადყო, რომ კონვენციის დებულებების განმარტება მრავალი, მათ შორის ეკოლოგიური, თვალსაზრისითაც არის შესაძლებელი. ამდენად, ნათელი გახდა,

4 P. Mahoney, *Judicial Activism and Judicial Self-restraint in the European Court of Human Rights: Two Sides of the Same Coin*, 1990, 57, 60.

რომ კონვენციით დაცული უფლებების მრავალმხრივ ინტერპრეტაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის ეფექტიანად ასამოქმედებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გარდა, აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვას. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტების მიხედვით, ადამიანის ეკოლოგიური უფლებები დაცულია როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ისე სოციალური და ეკონომიკური უფლებების სახით. ამ მხრივ, პირველ რიგში, სასურველია, ჩამოთვლილ იქნეს საერთაშორისო სამართლით აღიარებული ის დოკუმენტები, რომელთაც სავალდებულო იურიდიული ძალა აქვთ მონაწილე სახელმწიფოთათვის და რომლებიც ადგენენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1945 წლის 26 ივნისის წესდება;
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ;
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ;
4. 1973 წლის 3 მარტის კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ;
5. 1992 წლის 9 მაისის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია;
6. 1992 წლის 5 ივნისის კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ;
7. 1994 წლის 14 ოქტომბრის კონვენცია აფრიკასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, რომლებიც სერიოზულ გვალვას განიცდიან, გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ;
8. 1997 წლის 21 მაისის კონვენცია საერთაშორისო არხების არასანავიგაციო მიზნით გამოყენების შესახებ;
9. 1998 წლის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

ასევე მიღებულია რამდენიმე სარეკომენდაციო საერთაშორისო აქტი, კერძოდ:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1972 წლის 16 ივნისის დეკლარაცია — გარემო ადამიანისათვის;
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის 14 ივნისის დეკლარაცია — გარემო და განვითარება;
3. XXI საუკუნის დღის წესრიგი, პროგრამა შემუშავებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის — გარემო და განვითარება — შესაბამისად.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტები ადგენენ ისეთ გარანტიებს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დასაცავად, როგორებიცაა: ჯანსაღი სამუშაო და საცხოვრებელი გარემო, გარემოს ჰიგიენა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, დაავადებებთან ბრძოლა, აზრის გამოხატვის თავისუფლება, ხელმისაწვდომი განათლება, ცნობიერების ამაღლება, პოტენციალის ზრდა. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია სტოკჰოლმის დეკლარაციის პირველი პრინციპი, რომელიც ადგენს, რომ: „ყოველ ადამიანს აქვს ფუნდამენტური უფლება — იყოს თავისუფალი, თანასწორი და იცხოვროს მისი არსებობისათვის ადეკვატურ გარემოში, ისე, რომ სათანადოდ იქნეს დაცული მისი კეთილდღეობა და ღირსება". აღნიშნული ფორმულირება სრულად შეესაბამება გაეროს 1966 წლის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიზნებს, რომლის მე-11 და მე-12 მუხლებში დადგენილია, რომ: „ადამიანს უფლება აქვს, გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები ... ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე ..." და სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ „გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესება".

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, როგორც აღინიშნა, არც კონვენცია და არც მისი დამატებითი ოქმები პირდაპირ არ ადგენენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს. თუმცა კონვენციით დაცული უფლებების მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებად გამოჯვნის შემთხვევაში მათი განმარტების უფრო ფართო შესაძლებლობა ვლინდება, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიერ ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც გამოიყენება. კონვენციის მატერიალურ ნორმებში ერთიანდება კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრე-

ბის პატივისცემის უფლება) მუხლები, ასევე პირველი ოქმის პირველი მუხლი (საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება). პროცესუალური ნორმებია მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-13 (ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება) მუხლები. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ეკოლოგიურ უფლებათა სფეროში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სწორედ ზემოაღნიშნული მუხლების ინტერპრეტაციაზეა აგებული და სწორედ მათი განმარტების შედეგად სასამართლოს მიერ იქნა გამოტანილი ისეთი ცნობილი გადაწყვეტილებები, როგორებიცაა: *ანა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Anna Maria Guerra and others v. Italy), ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain)*[5] და სხვა.

ზემოაღნიშნული საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: ადამიანის ეკოლოგიური უფლებები მოიცავს როგორც სამოქალაქო, ისე სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსაც, რომელთა სრულყოფილად რეალიზაციის საფუძველზე შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლება — ცხოვრობდეს ჯანსაღ და უვნებელ გარემოში, თავისუფლად იღებდეს დროულ და ობიექტურ ინფორმაციას თავისი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ სქესის, მრწამსის, კანის ფერისა და სხვა ნიშნების განურჩევლად.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიღების დროს (1950 წელი) გარემოს დაცვის საკითხები არ იყო ძალზე აქტუალური. ევროპული კომისია არც კი აცხადებდა ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ სარჩელებს დაშვებულად. ასე მაგალითად, უარყოფილ იქნა სარჩელები: *დოქ. ს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Dr S. v. the Federal Republic of Germany)*[6]; *X და Y გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (X and Y v. the Federal Republic of Germany)*[7] და ა.შ.

5 *López Ostra* v. *Spain*, 9 December 1994.
6 *Dr S.* v. *the Federal Republic of Germany*, 1969.
7 *X and Y* v. *the Federal Republic of Germany*, 1976.

თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მალე გააცნობიერა, რომ არაჯანსაღი გარემო უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, რაც ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას იწვევს.[8] ამის გათვალისწინებით, ევროპული კომისია ნელ-ნელა იცვლის პოზიციას და ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ სარჩელებს დასაშვებად აცხადებს. ასე მაგალითად: *არონდეილი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Arrondelle* v. *the United Kingdom)* (ხმაურთან დაკავშირებული სარჩელი)[9]; *ბაგზი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Bagges* v. *the United Kingdom)* (ხმაურთან დაკავშირებული სარჩელი)[10]; *პაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell and Rayner* v. *the United Kingdom)* (ხმაურთან დაკავშირებული სარჩელი)[11]; *ვეარნკომბი და სხვები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Vearncombe and others* v. *the Federal Republic of Germany)* (ხმაურთან დაკავშირებული სარჩელი)[12]; *X საფრანგეთის წინააღმდეგ (X* v. *France)* (ხმაურთან და სხვა დისკომფორტთან დაკავშირებული სარჩელი)[13]; *ზანდერი შვედეთის წინააღმდეგ (Zander* v. *Sweden)* (წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებული სარჩელი)[14] და სხვა. აღნიშნული სარჩელები, ძირითადად შეტანილია ევროპულ სასამართლოში კონვენციის მე-8[15] და მე-10 მუხლების,[16] კონვენციის I ოქმის პირველი მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.[17]

ამგვარად, სტრასბურგის ორგანოებმა (ევროპული კომისია და ევროპული სასამართლო) შექმნეს არაპირდაპირი გზა (*"par ricochet"*) ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. როგორც მ. დეჯანტ-პონსი აღნიშნავს, ევროპულ კონვენციასთან მიმართებით ეკოლო-

8 1998 წლის 1 ნოემბრამდე მოქმედებდა კონვენციის ორსაფეხურიანი საზედამხედველო სისტემა: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. კომისია იხილავდა განაცხადის დასაშვებობას, ხოლო ევროპული სასამართლო არსებითად იხილავდა მას. საზედამხედველო სისტემის გადატვირთულობის გამო, 1994 წელს მიიღეს კონვენციის მე-11 ოქმი, რომელიც კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმირებასა და განაცხადთა განხილვის პროცედურის გამარტივებას ითვალისწინებდა. მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად ფუნქციონირება შეწყვიტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და ამოქმედდა რეფორმირებული, მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

9 *Arrondelle* v. *the United Kingdom*, 1980.

10 *Bagges* v. *the United Kingdom*, 1985.

11 *Powell and Rayner* v. *the United Kingdom*, 1986.

12 *Vearncombe and others* v. *the Federal Republic of Germany*, 1989.

13 *X* v. *France*, 1990.

14 *Zander* v. *Sweden*, 1992.

15 მე-8 მუხლი - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

16 მე-10 მუხლი - გამოხატვის თავისუფლება.

17 D. Garcia San Jose, Environmental Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 8.

გიური უფლების დაცვის სამართლებრივი გზები ორი მიმართულებით განვითარდა: ერთი მხრივ, კონვენციით გარანტირებული ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა ხშირ შემთხვევაში მოითხოვს ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფას უშუალოდ ამ უფლებების რეალიზაციისათვის;[18] ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს მასში ჩამოყალიბებულ უფლებათა და თავისუფლებათა მართლზომიერი შეზღუდვის შესაძლებლობას სახელმწიფოს მიერ დემოკრატიული საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შეიზღუდოს კონვენციის მე-8, მე-9,[19] მე-10 და მე-11 მუხლები,[20] ადამიანისათის ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების მიზნით.

კონვენციით დაცული უფლებების შეზღუდვის ნათელი მაგალითია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე — *მურიელ ჰერიკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Muriel Herrick v. the United Kingdom)*.[21] საქმე ეხებოდა მოსარჩელე მხარის მიერ თავისი კუთვნილი სათავსოს გამოყენების აკრძალვას, რომელიც ჯერსის კუნძულზე მდებარეობდა. მოსარჩელეს, ადგილობრივი მთავრობის მიერ (და შემდგომ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებითაც) აეკრძალა ამ სათავსოს გამოყენება, რამეთუ ჩაითვალა, რომ იგი მდებარეობდა ჯერსის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილას, ეგრეთ წოდებულ „მწვანე ზოლში", და ამით ირღვეოდა საზოგადოების ინტერესები.[22]

გამომდინარე *მურიელ ჰერიკის* საქმიდან, ნათლად ჩანს, თუ როგორ და რა ფორმით განიხილება გარემოს დაცვის საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ ჯერსის ლანდშაფტური განვითარებისა და გარემოს დაცვის საკითხები მეტად აქტუალურია ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების ინტერესების გათვალისწინებით. ამდენად, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, შეეზღუდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები, რათა მოეხდინა გარემოს არაპირდაპირი დაცვა. კომისიამ ჩათვალა, რომ, ვინაიდან ჯანსაღი გარემოთი

18 M. Dejant-Pons, L'insertion du droit de l'homme a l'environnement dans les systemes regionaux de protection des droits de l'homme, 1991, 461.

19 მე-9 მუხლი - აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.

20 მე-11 მუხლი - შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.

21 *Muriel Herrick* v. *the United Kingdom*, Decision on admissibility of 13 March 1985.

22 European Commission's decision on admissibility of 13 March 1985, DR (Decisions and Reports), 280.

სარგებლობის უფლება ინდივიდუალურ უფლებად ითვლება, ის მაინც რჩება კოლექტიური დაცვის ობიექტად და ამდენად, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა გამართლებულია.[23]

ამ საქმიდან გამომდინარეობს, რომ ევროპული სასამართლო სახელმწიფოებს უტოვებს დისკრეციულ უფლებას, ანუ გარკვეულ თავისუფლებას იმის შესაფასებლად, აუცილებელია თუ არა ადამიანის კონკრეტული უფლების შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს უფლება აქვთ, შეზღუდონ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ იმ კანონიერი მიზნების მისაღწევად, რომლებიც პირდაპირაა გათვალისწინებული ხსენებული მუხლის მეორე პუნქტით (ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის).[24] *მურიელ ჰერიკის* საქმის მსგავსი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული საქმეებზე: *გილოუ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gillow v. the United Kingdom),*[25] *სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ (Sporrong and Lonnroth v. Sweden)* და ა.შ.[26]

საქმეები: *ლოპე ზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ* (*López Ostra v. Spain*)[27] და *ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Powell and Rayner v. the United Kingdom*)[28] იყო პირველი სარჩელები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნა კონვენციის მე-3, მე-8, მე-11, მე-13 მუხლებით და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული უფლებების დარღვევის მტკიცებით, რასაც მოსარჩელეები ამტკიცებდნენ.[29] მოსარჩელეები თვლიდნენ, რომ გარემოს გაუარესებული მდგომარეობა უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მათ პირად ცხოვრებაზე და აფერხებდა ზემოაღნიშნული მუხლებით უზრუნველყოფილი უფლებებით სარგებლობას. სარჩელებში გამოყენებულ იქნა ე.წ. რიკოშეტის (*"par ricochet"*) პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკოლოგიური უფლებების დაცვა ხდება არაპირდაპირი გზით.

23 D. Garcia San Jose, Environmental Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 9.
24 W. Gormley, The Right to a Safe and Decent Environment, 1989, 29.
25 D. Garcia San Jose, Environmenatl Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 10.
26 *Sporrong and Lonnroth* v. *Sweden*, 23 September 1982, Series A, No. 52; *Erckner and Hofauer* v. *the United Kingdom*, 23 April 1987, Series A, No. 117; *Allan Jacobsson* v. *Sweden*, 25 October 1989, Series A, No.163.
27 *López Ostra* v. *Spain*, 9 December 1994.
28 *Powell and Rayner* v. *the United Kingdom*, 1986.
29 D. Garcia San Jose, Environmental Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 11.

საქმეზე — *ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Powell and Rayner* v. *the United Kingdom*)[30] — განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თვითმფრინავის ხმის ინტენსივობამ და ხანგრძლივობამ, რომელსაც იწვევდა საჰაერო მიმოსვლა ჰისროუს აეროპორტში, შელახა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. მოსარჩელე რ. პაუელის სახლი მდებარეობდა იმ ზონაში, რომელიც დადგენილი ხმაურის ინდექსის ნომრის მიხედვით (NNI)[31] ნაკლებად მავნე ზონაში იმყოფებოდა; მეორე მოსარჩელის მ. რაინერის სახლი კი, ხმაურის ინდექსის ნომრის მიხედვით მაღალი საშიშროების ზონაში იმყოფებოდა. სარჩელი სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნა კონვენციის მე-6, მე-8, მე-13 მუხლებისა და დამატებითი ოქმის 1 მუხლის დარღვევის მტკიცებით.[32] ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა:

„მავნე ზემოქმედების განსხავებული ხარისხის მიხედვით, ხელყოფილ იქნა მოსარჩელეების პირადი ცხოვრება იმ ხმაურის გამო, რომელიც გამოიწვია ჰისროუს აეროპორტის ექსპლუატაციამ".[33]

თუმცა სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებაში დაადგინა ზღვარი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის და განაცხადა, რომ მოსარჩელეების უფლებები ნაკლებად პრიორიტეტულია საზოგადოებრივ ინტერესებთან (აეროპორტით სარგებლობის საჭიროება) შედარებით. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში არ დარღვეულა კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლები.

საქმე *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ* (*López Ostra* v. *Spain*) ეხებოდა საჩივარს სუნის, ხმაურისა და კვამლით ჰაერის დაბინძურების თაობაზე, რაც გამოწვეული იყო განმცხადებლის საცხოვრებელთან ახლომდებარე ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს ექსპლუატაციით. განმცხადებლის მტკიცებით, ისინი არღვევდნენ მისი საცხოვრებლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას და ამით მას დამამცირებლად ეპყრობოდნენ (კონვენციის მე-8 და მე-3 მუხლები). სასამართლომ არ ჩათვალა ჯანმრთელობისათვის ფაქტობრივი ზიანის

30 *Powell and Rayner* v. *the United Kingdom*, 1986.

31 Number Noise Index - ხმაურის შეფასების ინდექსი, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში გამოიყენება.

32 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი - სამართლიანი სასამართლოს უფლება; მე-8 მუხლი - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება; მე-13 მუხლი - ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება; დამატებითი I ოქმის პირველი მუხლი - საკუთრების უფლება.

33 Par. 40 of the judgment of 21 February 1990.

მიყენება აუცილებელ პირობად და კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ: „ბუნებრივია, გარემოს მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ, ისარგებლონ თავიანთი საცხოვრებლით, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, იმის მიუხედავად, მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თუ არა მათი ჯანმრთელობა."[34] სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა მსჯელობა საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვაზე, რამეთუ გარემოს მავნე დაბინძურება, რომელიც ქარხნიდან მომდინარეობდა, გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა ადამიანის ჯანმრთელობას, რისი კომპენსაციაც არ შეიძლება. კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ, მართალია, მოსარჩელე მხარის საცხოვრებელი პირობები საკმაოდ მძიმე იყო, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებები არ დარღვეულა და მათ დამამცირებელად არავინ მოპყრობია.

ზემოაღნიშნული საქმეების ანალიზიდან და შედარებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა: *ფაუელისა და რაინერის* საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის შესახებ. სასამართლოს აზრით, ბრიტანეთის ხელისუფლებამ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც ნაწილობრივ ამსუბუქებდნენ მოსარჩელეების მდგომარეობას და ამდენად, *ფაუელისა და რაინერის* საქმეში სახელმწიფოს მიერ დაცულ იქნა ბალანსი საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ (მოსარჩელეების) ინტერესებს შორის. აბსოლუტურად განსხვავებულია სასამართლოს მიდგომა *ლოპეზ ოსტრას* საქმესთან მიმართებით. ამ შემთხვევაში სასამართლომ დაადასტურა ესპანეთის ხელისუფლების ბრალი, რომელიც მისი პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობით იყო გამოწვეული. ამდენად, ნათელია, რომ სასამართლომ *ლოპეზ ოსტრას* და *ფაუელისა და რაინერის* საქმეების განხილვისას გაითვალისწინა შესაძლო და დამდგარი საფრთხის ხარისხი და, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოიტანა საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებთან დაკავშირებით.

34 *Lopez Ostra* v. *Spain*, App. No. 16798/90, 20 Eur. H.R. Rep. 277 (1994) (Eur. Ct. H.R.).

4. ეკოლოგიური ხასიათის ინფორმაციის მიღების თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-10 მუხლით ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლებას. ტერმინი „გამოხატვა" არ შემოიფარგლება შეხედულებების, აზრის გამოთქმის წერილობითი ან ზეპირი ფორმით. იგი მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იდეების გამოხატვასთან ან ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავშირებული.[35] მე-10 მუხლი ადგენს ინფორმაციის მიღების თავისუფლებას, რაც პირებისათვის სახელმწიფოს მიერაც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. დაუშვებელია ინფორმაციის, რომელიც საინტერესოა საზოგადოებისათვის, სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვა, დაფარვა ან ცალმხრივად გაცემა.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების თავისუფლება გარანტირებულია საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებითაც, კერძოდ, 1998 წელს ქ. ორჰუსში (დანია) ხელმოწერილი კონვენციით „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ". ორჰუსის კონვენცია ახალი ტიპის კონვენციაა. მისი მიზანია, მომავალი თაობებისათვის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პროცესში გააძლიეროს საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლი. გარემოსდაცვითი ინფორმაციის, მონაწილეობისა და მართლმსაჯულების სფეროში მოქალაქეთა უფლებების აღიარებით, კონვენცია მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხებში მთავრობათა ანგარიშგებისა და გამჭვირვალეობის დონის ზრდის ხელშეწყობას. გარემოსდაცვითი ინფორმაცია — „ეს არის ცნობიერების გასაღები იმ საშიშროების წინაშე, რაც ეკოლოგიურ კრიზისს შეიძლება მოჰყვეს. ეს ინფორმაცია აუცილებელია ეფექტიანი მონიტორინგის, რეგულირების განხორციელების, დაბინძურების აღკვეთისა და შემცირებისათვის."[36]

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც, თუმცა კონვენ-

35 კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004 წელი, გვ. 200.

36 Р. Остин, Информация о загрязнении окружающей среды. Право окружающей среды в СССР и Великобритании, 1988, с. 127.

ციის მე-10 მუხლში პირდაპირ არაფერია აღნიშნული მათ დაცვაზე. მე-10 მუხლი ადგენს: „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გააერცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად."

ინფორმაციის თავისუფლების ხელყოფას დაეყრდნო მოსარჩელე მხარე საქმეში — *ანა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Anna Maria Guerra and others* v. *Italy)*.[37] მოსარჩელე აცხადებდა, რომ ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა არ შეასრულეს თავისი პოზიტიური ვალდებულება და არ აცნობეს ქიმიური ქარხნის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას (მათ შორის მოსარჩელეებს) იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ქარხნის ექსპლუატაციას სდევდა თან. მოსახლეობას ასევე არ ეცნობა უსაფრთხოების იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მათ უეცარი ავარიის დროს უნდა მიეღოთ, რაც პრეზიდენტის განკარგულებით იყო დამტკიცებული. მოსარჩელე მხარე თვლიდა, რომ სახელმწიფომ ამით დაარღვია კონვენციის მე-10, მე-8 და მე-2[38] მუხლებით გარანტირებული მათი უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია თავის გადაწყვეტილებაში დასაშვებობის შესახებ დაეყრდნო სახელმწიფოს იმ შესაძლებლობებსა და ვალდებულებებს, რომლებიც მას კონვენციის მე-10 მუხლით ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ეკისრებოდა და საქმე ხმათა უმრავლესობით დასაშვებად გამოაცხადა. კომისიამ დაადგინა: „ევროპული სამართალი ... ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი ინფორმაცია არის საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის უმთავრესი იარაღი, იმ სიტუაციებში, რომლებიც გარემოს საშიშროებას უქმნის". კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სახელმწიფო, არდამდგარი უარყოფითი შედეგის მიუხედავად, ვალდებული იყო, გაეტარებინა ყველა ღონისძიება, რათა საზოგადოებას შეეტყო ქიმიური ქარხნის მავნე ზემოქმედებისა და საშიშროების შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კომისიის აზრით, სახელმწიფო ამ ვალდებულებას არ ასრულებდა, დაწყებული 1988 წლიდან (პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის თარიღი). გადაწყვეტილებაში დასაშვებობის შესახებ კომისიამ დაადგინა, რომ მოსახლეობის ხანგრძლივი არაინფორმირებულობა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც თან სდევს მათი საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს

37 *Свобода - Искатели и Иски.* Р. Готрон (ред.), 2000, с. 24-25.

38 მე-2 მუხლი - სიცოცხლის უფლება.

მდებარე ქიმიური ქარხნის მუშაობას, არის სახელმწიფოს მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელმაც დროულად და დეტალურად არ აცნობა მოსახლეობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებაში სასამართლომ არ დაადასტურა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი და გადაწყვეტილება მოსარჩელეების სასიკეთოდ, კონვენციის მხოლოდ მე-8 მუხლის დარღვევის დადასტურებით გამოიტანა.[39]

საერთაშორისო სამართლის განვითარებამ ცხადყო, რომ ინფორმაციის (გარდა კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოებისა) საჯაროობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია და თითოეული სახელმწიფოს ხელისუფლება ვალდებულია დაუბრკოლებლად და სრულყოფილად გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების ინტერესს იწვევს, მით უმეტეს იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის მიუღებლობამ შესაძლოა, რისკი შეუქმნას მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ორჰუსის კონვენცია ადგენს: „გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთ განკარგულებაში არსებული მთელი ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მოსახლეობას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხოს, და რაც მას მისცემს საშუალებას, გაატაროს ღონისძიებები მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან ზეგავლენის შესამცირებლად."[40]

საქმეში — *ლ.ც.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (L.C.B. v. the United Kingdom)*[41] — მოსარჩელე ეყრდნობოდა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლებს და აცხადებდა, რომ, რადგან მისი მამის ჯანმრთელობა შეირყა „ქრისთმას აილანდზე" (შობის კუნძული) მიღებული რადიაქტიური დასხივების გამო (იგი გაერთიანებული სამეფოს საჰაერო ძალებში მსახურობდა, უსაფრთხოების პირობების დარღვევისა და სათანადო აღჭურვილობის უქონლობის გამო კანისა და სხვა ორგანოების დაავადებები გაუჩნდა), მასაც დედის მუცელში ყოფნის დროსვე შეერყა ჯანმრთელობა და დაავადდა ლეიკემიით. მოსარჩელე სახელმწიფოს

39 *Guerra and others* v. *Italy*, App. #14967/89; ასევე იხ. D. Garcia San Jose, Environmental Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 26.

40 კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისანვდომობის შესახებ" - მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

41 *L.C.B.* v. *the United Kingdom*, App. #323413/94.

ადანაშაულებდა მისი მშობლებისათვის საშიშროების შესახებ ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობის გამო, რის შედეგადაც, როგორც აცხადებდა, მისი ჯანმრთელობაც სერიოზულად გაუარესდა. მოსარჩელე მხარის განცხადებით, სახელმწიფოს მხრიდან მისი მშობლებისათვის საშიშროების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდების შემთხვევაში მას ექნებოდა დიაგნოზის დროულად დასმისა და სათანადო მკურნალობის უკეთესი საშუალება, რაც ცხოვრებას უფრო გაუხანგრძლივებდა. კომისიამ საქმე დაშვებულად გამოაცხადა და 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ საქმეში არ დარღვეულა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები. სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დაავადების მემკვიდრეობით გადაცემის ალბათობის მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებული არ იყო, ეცნობებინა მოსარჩელის მშობლებისათვის იმ შესაძლო საფრთხის შესახებ, რომელიც მამამისის რადიაციული დასხივების შედეგად, სავარაუდოდ, მისი მემკვიდრეების ჯანმრთელობას შეექმნებოდა.[42]

5. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოქმედების პირველ წლებში ეკოლოგიური უფლებების რეალიზაციის საკითხი აქტუალური არ იყო. იმ დროისათვის მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არსებობდა რეალური ეკოლოგიური საფრთხე, რაც მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას საშიშროებას უქმნიდა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულმა აქტიურმა ეკონომიკურმა და სამრეწველო პროცესებმა დაადასტურა, რომ ეკონომიკური ზრდა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების ხარჯზე უნდა მიმდინარეობდეს, რაც საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისა და ჯანსაღი მომავლის უმთავრესი ატრიბუტია. ამდენად, ამ ნაშრომის შედეგად, ეკოლოგიურ უფლებებთან და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებით, შესაძლებელია გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა:

ა) მსოფლიო ეკონომიკურმა და სამრეწველო პროცესებმა საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებაზე. თუ სასამართლოს საქმიანობის პირველ წლებში სასამართლო არსებითად განხილვაზეც არ უშვებდა ეკოლოგიური უფლებების

42 M. Dejeant-Pons, M. Pallemaerts, Human Rights and the Environment , 2002, 37.

დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებს, შემდგომ პერიოდში ამგვარი უფლებების რეალიზაცია სასამართლოს მიერ ე.წ. *par ricochet* — ის პრინციპის გამოყენებით ხორციელდებოდა. სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლების მრავალმხრივი ინტერპრეტაციისა და განმარტების საფუძველზე შეძლო, არაპირდაპირი გზით დაეცვა ჯანსაღი გარემოთი სარგებლობის უფლება. საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ინტერესების დაბალანსების პრინციპის დაცვით, ევროპულმა სასამრთლომ შეძლო, ზღვარი გაევლო შესაძლო და დამდგარ ეკოლოგიურ საფრთხესა და დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობას შორის.

დღესდღეობით ევროპული კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლები ევროპული სასამართლოს მიერ ეკოლოგიური უფლებების დაცვის რეალური ბერკეტებია, რომელთა განმარტება, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მეტად მრავალფეროვანია;

ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლოს მიდგომა ეკოლოგიური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით ორი სახით ვლინდება: სასამართლო აქტიურობით და სასამართლო პასიურობით. სასამართლო აქტიურობა ვლინდება სასამართლოს სწრაფვაში, მოახდინოს კონვენციით გარანტირებული უფლებების მრავალმხრივი ინტერპრეტაცია, რაც მას ეკოლოგიური უფლებების არაპირდაპირი გზით დაცვაში ეხმარება. ამ მიზნით სასამართლო ძირითადად კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლების განმარტებებს ეყრდნობა; რაც შეეხება სასამართლო პასიურობას, ამ მხრივ აღსანიშნავია სასამართლოს თავისებური მიდგომა კონვენციის სხვა მუხლებთან დაკავშირებით. იგი გამოიხატება სასამართლოს აშკარა თავშეკავებულობით. კერძოდ, სასამართლო თავს იკავებს, ეკოლოგიური უფლებების დაცვის მოტივით განმარტოს კონვენციის ზოგიერთი მუხლი (გარდა მე-8 და მე-10 მუხლებისა). თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს წევრი სახელმწიფოების დისკრეციულ უფლებას ეკოლოგიური საფრთხის შეფასების თვალსაზრისით;

გ) მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ეკოლოგიური უფლებების დაცვის მეტ-ნაკლებ საშუალებას იძლევა, აუცილებელია, რეალიზდეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებს შეეხება.

ბესარიონ ბოხაშვილი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლთან

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია არის ერთ-ერთი ის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აქტი, რომელიც იცავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და, ამავე დროს, განსაზღვრავს ამ უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ეფექტიან მექანიზმს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახით. ევროპულ კონვენციას ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს, ქ. რომში ევროპის საბჭოს წევრი 15 სახელმწიფოს მიერ და ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. თავის მხრივ, კონვენცია უპრეცედენტოა რამდენიმე ფაქტორის გამო:

ა) ევროპულმა კონვენციამ ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე ზოგადი იდეალების ტრანსფორმირება კონკრეტულ სამართლებრივ დებულებებში;

ბ) კონვენცია სამართლებრივ ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, თავიანთი იურისდიქციების ფარგლებში უზრუნველყონ იმ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციით;

გ) ყველაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ევროპულ კონვენციას გამოარჩევს სხვა ანალოგიური საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისაგან, არის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმი, კერძოდ, ევროპული სასამართლო, რომელიც მოწოდებულია, განიხილოს სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განაცხადები

კონვენციითა და თანდართული ოქმებით განსაზღვრულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

გ) ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოები კისრულობენ სამართლებრივ ვალდებულებას, რათა აღასრულონ ევროპული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.

საქართველომ კონვენციას ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს. კონვენცია ქვეყნისათვის ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება 1999 წლის 20 მაისს. კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ იკისრა სამართლებრივი ვალდებულება, თავისი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველეყო კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები.

კონვენციითა და თანდართული ოქმებით განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტიანად დაცვისათვის საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება უწინარესად მოიცავს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანას იმ მოთხოვნებსა და სტანდარტებთან, რომლებიც დადგენილია ევროპული კონვენციითა და მისი საზედამხედველო ორგანოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლით, რომელიც გვევლინება კონვენციის დებულებათა ავტორიტეტული განმარტების წყაროდ.

ქვეყნის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემდეგ მიზეზთა გამო:

ა) პირველ რიგში ევროპულ კონვენციას, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებას, ქვეყნის სამართლებრივ იერარქიაში უფრო მაღალი იერარქიული სტატუსი აქვს, ვიდრე მიმდინარე კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს და, შესაბამისად, ეს უკანასკნელნი წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდნენ ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან. ხსენებული პრინციპი პირდაპირ არის დადგენილი საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლით და ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 26-ე მუხლით. ამას ადასტურებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მე-2 მუხლი, რომლის თანახმად, „თუ ეს კოდექსი და საქართველოს სხვა კანონები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, შესაბამისად მოქმედებს კონსტიტუცია ან საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები“;

ბ) ქვეყნის კანონმდებლობა და დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც შეუსაბამოა ევროპულ კონვენციასთან და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებთან, წარმოშობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ქვეყნის წინააღმდეგ დიდი ოდენობით გადაწყვეტილებათა მიღების პოტენციურ საფრთხეს, რაც, თავის მხრივ, პირველ რიგში ზიანს მიაყენებს საქართველოს სახელმწიფოს ავტორიტეტს საერთაშორისო დონეზე და გამოიწვევს დიდძალი თანხების გადახდას საქართველოს ბიუჯეტიდან განმცხადებელთა სასარგებლოდ;

გ) საქართველო თავისი კანონმდებლობით გახდებოდა ევროპის იმ განვითარებული სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემათა ოჯახის ნაწილი, რომლებიც ეფექტიანად იცავენ ადამიანის უფლებებს, არაორაზროვნად და ნათლად აწესებენ სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ეფექტიან დაცვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება და საქართველოს კანონმდებლობა

სხვა ძირითად უფლებებთან ერთად, ევროპული კონვენცია, კერძოდ მისი მე-5 მუხლი, უზრუნველყოფს ინდივიდის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას. მე-5 მუხლის თანახმად:

1. *ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად, ესენია:*
   a) *უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;*
   b) *პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;*
   c) *პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს*

სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

d) *არასრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მას ზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;*

e) *პირების კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მაწანწალების კანონიერი დაპატიმრება;*

f) *პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.*

2. *ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.*

3. *ამ მუხლის 1-ლი (c) პუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.*

4. *ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და ბრძანებს გათავისუფლებას, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.*

5. *ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.*

პირის თავისუფლება არის ის ფუნდამენტური მდგომარეობა, რომლითაც ზოგადად ყველა პირი უნდა სარგებლობდეს. პირის თავისუფლების აღკვეთა პირდაპირ კავშირშია სხვა უფლებათა განხორციელებასთან,

დაწყებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებიდან, დამთავრებული შეკრების, გაერთიანების, სიტყვის თავისუფლებისა და გადაადგილების თავისუფლების უფლებით. ამასთან, თავისუფლების აღკვეთა ნებისმიერი ფორმით მუდამ აყენებს პირს განსაკუთრებით დათრგუნვილ მდგომარეობაში.

მე-5 მუხლის მოთხოვნათა ეფექტიანად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის ტექსტის განმარტებები. ევროპული კონვენციის სხვა მუხლების მსგავსად, ევროპულმა სასამართლომ მიზანმიმართულად და დინამიკურად განმარტა მე-5 მუხლის ყოველი დებულება, იგი გასცდა კონვენციის ტექსტის ტერმინების ზედმიწევნით განსაზღვრებას და ნათელყო, თუ რას მოიაზრებს თითოეული კონკრეტული დებულება. ბევრ ასეთ ტერმინს ევროპულმა სასამართლომ მიანიჭა ავტონომიური მნიშვნელობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიზანმიმართული განმარტება ვითარდება იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს ევროპული კონვენციის მიზანი. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ხელშეკრულებათა განმარტების წესებს და ასევე ასახავს ევროპული კონვენციის კონსტიტუციურ ხასიათს. ამგვარად, მე-5 მუხლით დაწესებულ შეზღუდვათა განმარტება ვიწროდ მიზანშეუწონელი იქნებოდა. კონვენციის მიზანია, დაიცვას პირის უფლებები, რაც იმით გამოიხატება, რომ უფლებებს უნდა ჰქონდეს რეალური, არსებითი შინაარსი და არ უნდა ანიჭებდეს პირს დაცვის მხოლოდ ფორმალურ გარანტიას. შედეგად, თავისუფლების უფლების შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს როგორც გამონაკლისი და ნებადართული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამისათვის არსებობს დამაჯერებელი არგუმენტაცია. შეზღუდვათა გამოყენება არ შეიძლება დაწყებულ იქნეს იმ მოსაზრებით, რომ, რის განხორციელებასაც საჯარო ხელისუფლება აპირებს, საჭირო და შესაფერისია. დინამიკური ინტერპრეტაცია გულისხმობს მზადყოფნას, გადასინჯულ იქნეს დებულებათა უკვე გაკეთებული განმარტებანი გარემოებათა ცვალებადობის შესაბამისად. არ შეიძლება, სათანადოდ არ იქნეს შეფასებული ევროპული სასამართლოს მიერ სამართლებრივ ტექსტებზე გაკეთებულ განმარტებათა მნიშვნელობა. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მე-5 მუხლით (ისევე როგორც მთლიანად კონვენციით) ნაკისრ ვალდებულებათა ზედმიწევნით შესრულება, აუცილებელია, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა მუდმივად შესაბამისობაში იყოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან, რომელიც მუდმივად ვითარდება და ევოლუციის პრინციპების შესაბამისად მუდმივ ტრანსფორმირებას განიცდის.

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი ეხება იმ პრეზუმფციას, რომლის თანახმად, ყველა უნდა სარგებლობდეს თავისუფლებით და, ამიტომ, პირს თავისუფლება შეიძლება აღეკვეთოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მე-5 მუხლი იწყება უფლების უპირობო მოთხოვნით: „ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება", რომელსაც მოსდევს დებულება — „არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად".

ამასთან ერთად, პრეზუმფცია თავისუფლების სასარგებლოდ ხაზგასმულია იმპერატიული ხასიათის მოთხოვნით მე-5 მუხლში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ თავისუფლების აღკვეთა იყოს აბსოლუტური აუცილებლობა და ექვემდებარებოდეს მყისიერ აღდგენას, როდესაც იგი არაა გამართლებული. ყოველივე ეს ნათლად გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომლის თანახმადაც, კანონის დარღვევაში ეჭვმიტანილს „უფლება აქვს სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარებაზე", ეს უკანასკნელი კი ნათლადაა წარმოჩენილი მითითებაში — ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს „უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი". ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრებათ მათ, ვინც განახორციელეს პირის თავისუფლების აღკვეთა, რათა დაამტკიცონ არა მხოლოდ ის, რომ გამოყენებული იძულება მოხდა მე-5 მუხლში მოცემული ერთ-ერთი დებულების საფუძველზე, არამედ ისიც, რომ იძულება შეესაბამებოდა იმ ცალკეულ გარემოებებს, რომლებშიც იგი იქნა გამოყენებული.

3. საქართველოში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებით

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

„აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს, აღიკვეთოს

მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს არ შეიძლება შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა ან აღკვეთის სხვა ღონისძიება, თუ უფრო ნაკლებად შემზღუდავი აღკვეთის ღონისძიება უზრუნველყოფს ამ ნაწილით გათვალისწინებულ მიზნებს...“

მრავალი პროგრესული ნაბიჯის, საკანონმდებლო ინიციატივისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ქვეყანაში მოქმედი პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანის მცდელობის მიუხედავად, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებით საქართველოში კვლავაც არსებობს გარკვეული პრობლემები როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის სფეროში. ხსენებულს მოწმობს საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, მიერ გამოქვეყნებული შენიშვნები, რეკომენდაციები და მონიტორინგის შედეგები. სულ ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშში გაეროს სპეციალური მომხსენებელი, მანფრედ ნოვაკი აღნიშნავს:

[... სასამართლოები და პროკურორები თითქმის ყოველთვის ექსკლუზიურად მიმართავენ ბრალდებული პირების წინასწარ პატიმრობას, მიუხედავად სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა...

...სპეციალური წარმომადგენელი თვლის, რომ ხსენებული პრაქტიკა და თითქმის უალტერნატივო თავისუფლების აღკვეთა ფეხქვეშ თელავს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლის თანახმად განმტკიცებულ მიდგომასა და წესს, რომლის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას.[1]

სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოში პრეზუმფცია თავისუფლების სასარგებლოდ არ მოქმედებს. არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, მყარად შეიძლება იმის გაცხადება, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოები თითქმის უალტერნატივოდ, თუ არ ჩავთვლით ძალიან მცირე გამონაკლისებს, მიმართავენ ეროვნულ სასამართლოებს შუამდგომლობით ბრალდებულთა მიმართ წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების 70 პროცენტზე მეტში ხელისუფლების სხვადასხვა ორგანო (პროკურატურა, შინაგან საქმეთა

1 2005 წლის 15 მარტის მოხსენება.

სამინისტრო, საფინანსო პოლიცია და სხვ.) მოითხოვს პირისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას. მხოლოდ დედაქალაქში არსებული სტატისტიკური მონაცემები ნათლად ადასტურებს ამ მეტად შემაშფოთებელ ტენდენციას. მაგალითად: 2004 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა 22 შუამდგომლობა პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით და აქედან დააკმაყოფილა 21, ადვოკატების მიერ საპატიმრო ღონისძიების გაუქმება-შეცვლასთან დაკავშირებით თბილისის საოლქო სასამართლოში შესული 832 საჩივრიდან დაკმაყოფილდა 771, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ განიხილა 361 შუამდგომლობა და დააკმაყოფილა 289, გლდანი-ნაძალადევის სასამართლომ განიხილა 515 შუამდგომლობა და დააკმაყოფილა 481, ვაკე-საბურთალოს სასამართლომ განიხილა 401 შუამდგომლობა და დააკმაყოფილა 384, კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ განიხილა 500 შუამდგომლობა და დააკმაყოფილა 451, ისანი-სამგორის სასამართლომ განიხილა 471 შუამდგომლობა და დააკმაყოფილა 337.

კიდევ უფრო მძიმე და შემაშფოთებელია რეგიონებში არსებული სიტუაცია, სადაც პატიმრობის შეფარდებიდან გამონაკლისები თითქმის არ არსებობს.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

როდესაც არსებობს გარკვეული დავა თავისუფლების აღკვეთის საკითხთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია, მოსამართლემ საკითხის განხილვა დაიწყოს იმ მრწამსით, რომ დაკავებული პირი გათავისუფლებულ უნდა იქნეს. საკითხისადმი ასეთი მიდგომის თანახმად, მოსამართლემ არა მარტო უნდა მოითხოვოს თავისუფლების აღკვეთის აუცილებლობისათვის საფუძვლების წინასწარ წარმოდგენა, არამედ გულისყურით უნდა განიხილოს, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი თავისუფლების აღკვეთის აუცილებლობას. საკითხისადმი ნაკლები გულისყურით მიდგომა გამოიწვევდა კანონის უზენაესობის უგულებელყოფასა და თვითნებობის გაბატონებას.

ამ თვალსაზრისით რაიმე ტენდენციის განვითარების დაუშვებლობას ადასტურებს ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილე-

ბა საქმეში — *Mansur* v. *Turkey*,[2] რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ პირის ხანგრძლივ პატიმრობაში ყოფნა არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამართლებული, რადგანაც ეროვნულმა სასამართლომ არაერთხელ გასცა სანქცია პირის პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე. ყოველი ასეთი გადაწყვეტილება ახსნა ერთი და იმავე იდენტური და ნამდვილად სტერეოტიპული სიტყვებით შემდგომი განმარტებების გარეშე. საკითხისადმი ამგვარი მიდგომის დროს ეროვნულმა (თურქეთის) მოსამართლემ უბრალოდ მექანიკურად მოაწერა ხელი სამართალდამცავთა გადაწყვეტილებას და ვერ შეძლო, მიეღო დამოუკიდებელი კრიტიკული გადაწყვეტილება. მოსამართლის მსგავსი ქმედება კი ვერასოდეს იქნება შესაბამისობაში იმ მოთხოვნასთან, რომლის თანახმადაც, თავისუფლების აღკვეთა გამართლებული უნდა იყოს.

თუმცა დანაშაულის ჩადენაში პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძრის საჭიროება, ისევე როგორც დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, ქმნის საკმარის საფუძველს, რათა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს აღეკვეთოს თავისუფლება და აღნიშნული არ იყო საკმარისი საფუძველი პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად. პატიმრობის ვადის გაგრძელება უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს მიერ მყისიერ გადამოწმებას, რომელმაც უნდა განიხილოს არა მარტო დაკავების კანონიერება, არამედ მისი გაგრძელების მიზანშეწონილობა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გონივრული ეჭვი შეიძლება გაქარწყლდეს თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან ძალიან მცირე ხანში, ვინაიდან, შესაძლებელია, ნათელი გახდეს, რომ დანაშაული, რომლის გამოც პირს აღუკვეთეს თავისუფლება, არ მომხდარა, ან ეს უკანასკნელი შეძლებს დანაშაულში მის მონაწილეობაზე ეჭვის გაქარწყლებას. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ეჭვის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არ არის საკმარისი გარკვეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდგომ პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის.[3] ხსენებული გამომდინარეობს იქიდან, რომ მე-5 მეხლის მე-3 პუნქტში ნათლად არის მოცემული უფლება გათავისუფლებაზე სასამართლო განხილვის პერიოდში, რისი გვერდის ავლაც შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ,

2 1995 წლის 8 ივნისი.

3 *Stögmuller* v. *Austria*, 1969 წლის 10 ნოემბერი; *Clooth* v. *Belgium*, 1991 წლის 12 დეკემბერი; *Contrada* v. *Italy*, 1998 წლის 24 აგვისტო; *Jėčius* v. *Lithuania* (რომელშიც განმხილველმა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეჭვი არ იყო დასაბუთებული) და *Barfuss* v. *the Czech Republic*, 2000 წლის 1 აგვისტო.

როდესაც დამატებით წარმოდგენილია ერთი ან რამდენიმე შესაბამისი საფუძველი თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელებისათვის, მიუხედავად თავისუფლების პრეზუმფციისა.

მიზეზები პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დასაშვებად, როდესაც ისინი ნამდვილად შეესაბამებიან კონკრეტულ პირთან დაკავშირებულ გარემოებებს. ამიტომაც არ შეიძლება არსებობდეს ნორმა, რომელიც დანაშაულებრივი წარსულის, ნასამართლეობის მქონე პირებს, ან თუნდაც მათ, ვისაც ბრალად ედებათ ცალკეული დანაშაულის ჩადენა, ჩამოართმევდა უფლებას, მათი გათავისუფლების საკითხი განხილული ყოფილიყო სასამართლოს მსვლელობის პროცესში.

თუმცა შეიძლება თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელების საფუძვლები თავდაპირველად გამართლებული იყოს, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იგი, შესაძლებელია, აღარ აღმოჩნდეს ისეთივე აუცილებელი და, შესაბამისად, განმცხადებლის გათავისუფლებაც განხილულ უნდა იქნესკეთილგონივრულობის ფარგლებში. ამასთან, იქ, სადაც ასეთი საფუძველი არ არსებობს, იქნება ეს თავდაპირველ ეტაპზე თუ მოგვიანებით, მაგრამ კვლავ რჩება გონივრული ეჭვი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შესაბამისი პირი გათავისუფლებულ უნდა იქნეს გირაოთი. არ არის გამორიცხული, რომ გათავისუფლებული პირის სასამართლოს წინაშე წარდგენის მიზნით საჭირო გახდეს დამატებითი გარანტიების მოპოვება. თუმცა, თუ კვლავაც შესაძლებელია კონკრეტული პირის მიმართ დამტკიცდეს თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელების გამამართლებელი საფუძვლები, მაშინაც არსებობს იმის აუცილებლობა, რომ აღნიშნული პირი გონივრულ ვადაში წარდგეს სასამართლოს წინაშე, რომელიც აუცილებლად დაადგენს ზღვარს თავისუფლების აღკვეთის მთლიანი პერიოდისათვის.

5. საქართველოში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მიხედვით:

„... 2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოზე, გაანადგურებს მტკიცებულებებს, დაემუქრება პროცესის მონაწილეებს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

3. აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახის მიზანშეწონილობა და უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენების შეუძლებლობა, ხოლო წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შუამდგომლობის წარდგენისას — მოთხოვნილი ვადის აუცილებლობა.

4. სასამართლო უფლებამოსილია აღკვეთის ღონისძიების სახით პირს შეუფარდოს პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნებით მიღწევა შეუძლებელია სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით."[4]

ამავე კოდექსის 159-ე მუხლის მიხედვით:

„1. არავის დაპატიმრება არ შეიძლება მოსამართლის ბრძანების ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

2. სასამართლო, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაპატიმრებული ნებისმიერი პირი.

3. დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლით ან მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება, როგორც წესი, არ გამოიყენება მძიმე ავადმყოფის, არასრულწლოვნის, ხანდაზმულის (ქალები—60 წლიდან, მამაკაცები—65 წლიდან), 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული და ჩვილბავშვიანი (ერთ წლამდე ასაკის) ქალის მიმართ, აგრეთვე არ შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით — გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლით ან მეტი ვადით."[5]

ძალზე შემაშფოთებელია საქართველოში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა. მოქმედი პრაქტიკა მიუთითებს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ნორმების უგულებელყოფაზე. კრიტიკას ვერ უძლებს საგამოძიებო ორგანოებისა და ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული

4 საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი, 287, სსმ, I, 2000 წელი, 18, 48-ე მუხლი; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი, 1204, სსმ, I, 2005 წელი, 14, 94-ე მუხლი.

5 საქართველოს 1999 წლის 13 მაისის კანონი, 1958, სსმ, I, 1999 წელი, 16(23), 65-ე მუხლი; საქართველოს 2003 წლის 20 ივნისის კანონი, 2454, სსმ, I, 2003 წელი, 21, 148-ე მუხლი.

სტერეოტიპული გადაწყვეტილებები. ეს უკანასკნელნი თითქმის ყოველთვის, თუ არ ჩავთვლით იშვიათ გამონაკლისებს, აკმაყოფილებს სამართალდამცველი ორგანოების მოთხოვნებს და ბრალდებულებს უფარდებს წინასწარ პატიმრობას.

პატიმრობის შეფარდების დროს ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა ბრალდებულის პიროვნებას, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასაკს, კავშირებს ოჯახთან და საზღვარგარეთ. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც 75 წელს გადაცილებულ პირებსა და მძიმე ავადმყოფებსაც უფარდებენ წინასწარ პატიმრობას.

კონვენციასთან ყველაზე დიდი შეუსაბამობა არის ის, რომ უმეტეს შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოები არანაირი სხვა ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისათვის არ მიმართავენ სასამართლოებს, გარდა პატიმრობის შეფარდებისა. *გამოძიების მიერ მოსამართლეების წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობები თითქმის იდენტურია, სტერეოტიპულია და არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შუამდგომლობის წარმოდგენის თარიღისა და ბრალდებულის სახელისა და გვარის გარდა.* უმეტეს წილად საგამოძიებო ორგანოები პატიმრობის შეფარდების საფუძვლად, ყოველგვარი ჯეროვანი და სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, მიიჩნევენ: დანაშაულის სიმძიმეს, ბრალდებულის მიმალვის საფრთხესა და მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხეს.

კიდევ უფრო არასახარბიელოა და, უფრო მეტიც, საგანგაშოა სიტუაცია მოსამართლეების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რადგან ეს უკანასკნელნი აკმაყოფილებენ საგამოძიებო ორგანოების მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებს უპირობოდ და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეთანხმებიან გამოძიების მიერ წარმოდგენილ ძალიან მწირ არგუმენტაციას. *მოსამართლეები უმეტეს წილად არ იხილავენ თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებებს, მათ გადაწყვეტილებებში არ არის წარმოდგენილი საფუძვლები და ჯეროვანი არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის აუცილებელი პირისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება, რატომ არ შეიძლება, სხვა უფრო ნაკლებად მძიმე ღონისძიებამ უზრუნველყოს შესაბამისი ბრალდებული/განსასჯელი პირის გამოცხადება სასამართლო სამართალწარმოების ეტაპზე, ისევე როგორც პროკურორების შემთხვევაში, მოსამართლეთა გადაწყვეტილებებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს: იგივე მოტივები, იგივე მიზნები და არა-*

ნაირი ან ძალიან მწირი არგუმენტაცია კონკრეტული საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

მოსამართლეები, ვინაიდან ეთანხმებიან გამოძიების არგუმენტაციას პირის მიმალვის ან მართლმსაჯულების საფრთხეში ჩაყენებასთან დაკავშირებით, არ ასაბუთებენ კონკრეტულ საქმეში, თუ რა გარემოებები იძლევა გონივრული ვარაუდის საფუძველს. მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის განცხადებები კი, ჯეროვანი არგუმენტაციის გარეშე, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალთან. აღნიშნული პრაქტიკა უკარგავს თავისუფლების თითოეულ აღკვეთაზე სასამართლო ზედამხედველობის გარანტიას თავის ეფექტიანობას. სწორედ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ პატიმრობის შეფარდების საკითხის ასეთი ფორმალური განხილვა და გადასინჯვა გამოაცხადა სტრასბურგის სასამართლომ შეუსაბამოდ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით უზრუნველყოფილ გარანტიებთან.

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

გირაო

ევროპული კონვენციის მე-5 მეხლის მე-3 პუნქტი უზრუნველყოფს გირაოს საფუძველზე გათავისუფლების უფლებას და უპირატესობას ანიჭებს მის გამოყენებას სასამართლო პროცესის განმავლობაში. ამასთან, სასამართლო განხილვის გადადების შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა უფრო საფუძვლიანი გახდება. გირაოს საფუძვლით გათავისუფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ ოთხი შემთხვევის არსებობისას, ესენია: მიმალვის საფრთხე; მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე; დანაშაულის აღკვეთისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა — ზემოთ მოყვანილი პირობების გათვალისწინებით.

გამომდინარე იქიდან, რომ გირაოს მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე გამოცხადება, მისი ოდენობა ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ მიზანს. საქმეზე — *Neumeister* v. *Austria*,[6] რომელშიც ეროვნულმა სასამართლომ გამოიანგარიშა გირაოს ოდენობა მხოლოდ განმცხადებლისათვის მიყენებული ზარალის საფუძველზე,

6 1968 წლის 27 ივნისი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-5 მეხლის მე-3 პუნქტის დარღვევა და გადაწყვიტა, რომ გირაოს მთავარი მიზანია შესაბამისი პირის სასამართლო განხილვაზე გამოცხადება და არა დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურება, რაც ბრალდებულის ქმედებამ გამოიწვია. გათავისუფლების გარანტია არ შეიძლება აკისრებდეს ბრალდებულს იმაზე მეტ ტვირთს, რაც აუცილებელია უსაფრთხოების გონივრული ხარისხისათვის. უზრუნველყოფის ღონისძიების ხასიათი და ოდენობა, რომლის დანიშნულებაა ბრალდებულის დასწრება სასამართლო განხილვაზე, უნდა უკავშირდებოდეს და გამომდინარეობდეს იმ საფუძვლიდან, რომლის თანახმადაც ხორციელდება პირის წინასწარი პატიმრობა. როდესაც უზრუნველყოფის სახით ფინანსურ გარანტიათა წარმოდგენაა საჭირო,[7] გირაოს ოდენობა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ბრალდებულის პიროვნული თვისებების, თავისი ფინანსური მდგომარეობისა თუ იმ პირებთან ურთიერთობის გათვალისწინებით, რომლებიც კისრულობენ შესაბამისი პირისათვის უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებას. ბრალდებულმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ინფორმაცია თავისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომლის შემდგომაც ქვეყნის შიდა კომპეტენტური ორგანოები ვალდებულნი არიან, ყურადღებით შეისწავლონ ეს ინფორმაცია გირაოს შესაბამისი ოდენობის განსაზღვრის მიზნით. გირაოს სახით იმაზე მეტი ოდენობის თანხის განსაზღვრა, ვიდრე ეს აუცილებელია უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად – რაც გულისხმობს „მიმალვის სურვილის გაქარწყლების მიზნით დაშინების საკმარის საშუალებას", — აუცილებლად გამოიწვევს პირის გირაოთი სარგებლობის უფლების დარღვევას.[8] გარანტიის სახით პასპორტის ჩამორთმევა შესაძლებელია იმავე პრინციპის საფუძველზე, რაც მოქმედებს ფინანსურ გარანტიებთან დაკავშირებით და მიმართული უნდა იქნეს ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე გამოცხადების უზრუნველყოფისაკენ.[9]

სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ საქმეებს, რომლებშიც არსებობს შესაბამისი პირის მიმალვის დიდი საფრთხე. ამგვარ შემთხვევებში გარანტიის სახით გირაოს ნებისმიერი ოდენობაც კი შეიძლება არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდეს. ასე მაგალითად, საქმეში *Punzelt v. the Czech Republic* — ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს განმცხ-

7 *Wemhoff v. the Federal Republic of Germany.*
8 *Neumeister v. Austria.*
9 *Stögmuller v. Austria.*

ადებლის გირაოთი გათავისუფლების თხოვნა (იგი მზად იყო, გადაეხადა 15,000,000,00 ჩეხური კრონა). შემდგომში ეროვნულმა სასამართლომ მზადყოფნა გამოთქვა, გაეთავისუფლებინა განმცხადებელი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, თუკი ეს უკანასკნელი გირაოს სახით გადაიხდიდა 30,000,000,00 ჩეხურ კრონას. ევროპულმა სასამართლომ, განმცხადებლის მიერ დადებულ შეთანხმებათა მოცულობის გათვალისწინებით (ამ უკანასკნელმა დაამზადა ორი ყალბი ჩეკი, რომელიც იყო 28,400,000,00 ჩეხური კრონის ეკვივალენტი; დაკავებამდე იგი აპირებდა ორი უნივერმაღის შეძენას, რომელთა ღირებულება შეადგენდა 338,856,000,00 და 236,000,000,00 ჩეხურ კრონას. ამასთან, იგი აპირებდა ამ უნივერმაღების ვალის დაფარვას, რაც შეადგენდა 150,000,000,00 ჩეხურ კრონას), დაადგინა, რომ გირაოთი გათავისუფლებაზე უარის თქმა და უზრუნველყოფის უფრო დიდი ოდენობით განსაზღვრა, ვიდრე ამას სთავაზობდა განმცხადებელი, არ იწვევდა მე-5 მეხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.[10]

7. საქართველოში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველოს სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მიხედვით:

„1. გირაო არის ის ფულადი თანხა ან სხვა ფასეულობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეაქვს ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით სხვა პირს სასამართლოსათვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულია, განსასჯელის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში დროული გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი, რომლის ერთი ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს.

2. პროკურორი სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენის დროს განსაზღვრავს გირაოს თანხის ოდენობას და მისი შეტანის ვადას. გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 2000 ლარზე ნაკლები.

10 2000 წლის 25 აპრილი; ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებელი ხელმეორედ მაინც იქნებოდა დაპატიმრებული ექსტრადიციის პროცესთან დაკავშირებით.

3. გირაო, როგორც წესი, არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალი ედება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში. ...

4. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი ან გამომძიებელი პროკურორის თანხმობით მიმართავს შესაბამის სასამართლოს ამ კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით."

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ გირაო არის ყველაზე ეფექტიანი და მისაღები საშუალება ბრალდებულის სასამართლოს წინაშე გამოცხადების უზრუნველსაყოფად. სტრასბურგის ორგანოები ყოველთვის აცხადებენ, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბრალდებულის მართლმსაჯულების წინაშე გამოცხადების უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, რომელიც დაკავშირებული არ არის პატიმრობის გამოყენებასთან. ასეთ ღონისძიებათაგან კი ყველაზე ეფექტიანად ითვლება გირაო:

ა) გირაოს გამოყენებისას ხელისუფლების ორგანოებს ხელთ აქვთ მყარი გარანტიები ბრალდებულის მართლმსაჯულების წინაშე გამოცხადებასთან დაკავშირებით;

ბ) გირაოს გამოყენებისას სახელმწიფოს არ უწევს ბრალდებულის საპატიმრო ადგილებში შენახვასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაღება, თავიდან იცილებს საპატიმრო ადგილების გადატვირთვას.

საპირისპირო სიტუაცია, ანუ გირაოს ნიველირება და პატიმრობის, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების, ექსკლუზიურად გამოყენება, მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფოს ბიუჯეტს, იწვევს ციხეებისა და საპყრობილეების გადატვირთვას, რაც კიდევ ერთ საფუძველს და არგუმენტს აძლევს პოტენციურ განმცხადებლებს, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დაკავება-პატიმრობის პირობების კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) მოთხოვნებთან შეუსაბამობის მოტივით.

სამწუხაროდ, ძალზე არასახარბიელო სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკასთან მიმართებით. საქართველოში თითქმის არ გამოიყენება ბრალდებულის მართლმსაჯულების წინაშე გამოცხადების ეს ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. მართლმსაჯულების ორგანოები არც კი

განიხილავენ გირაოს გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხს ბრალდებულთან ან განსასჯელთან მიმართებით.

კონვენციასთან შეუსაბამო ეს პრაქტიკა ძირითადად გამყარებულია და ეყრდნობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 168-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმად:

„გირაო, როგორც წესი, არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალი ედება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში...“

სწორედ იდენტური და ანალოგიური ხასიათის დებულება ცნო კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში — *Caballero* v. *the United Kingdom*. აღნიშნულ საქმეში განმცხადებელი დაკავებულ იქნა გაუპატიურების მცდელობის ბრალდებით. მთავრობამ აღიარა მე-5 მეხლის მე-3 პუნქტის დარღვევა, როდესაც ეროვნულმა სასამართლომ განმცხადებელს უარი განუცხადა გირაოთი გათავისუფლებაზე. ეროვნული სასამართლო დაეყრდნო კანონს, რომლის თანახმად, არც ერთი პირი, გამონაკლისის გარეშე, ვისაც ბრალი ჰქონდა წაყენებული ან მსჯავრდებული იყო განზრახ თუ გაუფრთხილებლობით მკვლელობის ჩადენაში ან გაუპატიურებაში, არ შეიძლებოდა გათავისუფლებულიყო გირაოთი.[11] ამგვარი კანონი მიუღებელი იყო, რამდენადაც იგი სასამართლოებს არ აძლევდა საშუალებას, განეხილათ თავისუფლებააღკვეთილი პირის საქმესთან დაკავშირებული ცალკეული გარემოებები. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლომ გაუმართლებლად ცნო თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელება მკვლელობის საქმეებშიც კი.[12]

ზემოხსენებული პრეცედენტი ნათლად წარმოაჩენს საქართველოს კანონმდებლობის შეუსაბამობას ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან.

ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან კიდევ ერთ შეუსაბამობად შეიძლება ჩაითვალოს 168-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც გირაოს თანხის ოდენობას განსაზღვრავს პროკურორი. მე-5 მუხლის თანმდევი უმნიშვნელოვანესი პრინციპია თვითნებობისა და შეუზღუდავი უფლებამოსილების აკრძალვა ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან დაკავშირებით. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ერთადერთი კომპეტენტური პირი, რომელიც განსაზღვრავს

11 2000 წლის 8 თებერვალი.
12 *I.A.* v. *France*, 1998 წლის 23 სექტემბერი და *Letellier* v. *France*, 1991 წლის 26 ივნისი.

გირაოს ოდენობას, არის პროკურორი, ანუ ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პროკურორს არ უნდა ჰქონდეს უფლება, განსაზღვროს გირაოს თანხა, აღნიშნული უნდა ევალებოდეს მხოლოდ კომპეტენტურ სასამართლოს.

8. კონვენციასთან შეუსაბამო პრაქტიკა, რომელიც გამოწვეულია საკანონმდებლო ხარვეზით

თავისუფლების აღკვეთა შეუსაბამოდ იქნება მიჩნეული კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან, როდესაც იგი გამოიყენება როგორც კონვენციით დაცულ სხვა უფლებებსა თუ თავისუფლებებში ჩარევის ხერხი[13], ან ეფუძნება იმ შიდა ნორმატიულ აქტს, რომელიც იძლევა თვითნებობის საშუალებას, ან რომლის ხასიათიც შეუსაბამოა კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან. საქმეზე — *Kurt* v. *Turkey* — ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ:

„...ნებისმიერი თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის მატერიალური და პროცესუალური ნორმების სრული დაცვით, მაგრამ ეროვნული ნორმები, ამავდროულად, უნდა შეესაბამებოდეს მე-5 მუხლის ძირითად მიზანს, სახელდობრ, უნდა იცავდეს პირს თვითნებობისაგან".[14]

სასამართლომ მე-5 მუხლის დარღვევა ცნო საქმეებში, რომლებშიც ქვეყნის შიდა უფლებამოსილი ორგანოები პირისათვის თავისუფლების აღკვეთის დროს ეყრდნობოდნენ დიდი ხნის პრაქტიკას, რომლის კანონიერება (კონვენციის თვალსაზრისით) არც კი შემოწმებულა. ასე მაგალითად, საქმეში — *Baranowski* v. *Poland*[15] — განმცხადებელი კანონის სრული დაცვით იქნა დაკავებული ქურდობის ბრალდებით. თუმცა მისი პატიმრობის კანონიერების გადასინჯვა შეწყდა მას შემდეგ, რაც პროკურორმა საბრალდებო დასკვნა წარმართა სასამართლოში. პოლონეთში არსებული პრაქტიკის თანახმად, მას შემდეგ, რაც დაპატიმრებული პირი გადაეცემოდა

13 მაგალითად, დაუშვებელია პირის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მისთვის თავისუფლების აღკვეთის გზით.
14 1998 წლის 28 მაისი.
15 2000 წლის 28 მარტი.

სასამართლოს განკარგულებაში, პირის პატიმრობა, რომლის ბრძანება სასამართლოს განკარგულებაში გადაცემამდე იყო გაცემული, განუსაზღვრელი ვადით გრძელდებოდა. *ეროვნული სასამართლო არ იყო ვალდებული, თავისი ინიციატივით მიეღო შემდგომი გადაწყვეტილება პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე.* ზემოხსენებული პრაქტიკა, უეჭველად – და გასაგებია, რატომ – მიმართული იყო არსებული ხარვეზის შესავსებად, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ხარვეზის შესავსებად არავითარი საფუძველი არ არსებობდა კანონმდებლობასა და ქვეყნის შიგნით მოქმედ პრეცედენტულ სამართალში. საეჭვოა, რომ ოდესმე დასმულიყო ზემოხსენებული პრაქტიკის კანონიერების გადასინჯვის საკითხი, რამდენადაც აშკარა იყო პატიმრობის ვადის გაგრძელების აუცილებლობა, რაც სრულიად შეესაბამებოდა კონვენციას. მისი განხორციელება კარგი ილუსტრაციაა იმისა, თუ ქმედების შესრულების ზოგადმა ლეგიტიმურობამ როგორ შეიძლება მიგვიყვანოს კანონიერების შემოწმების უგულებელყოფამდე ან უარყოფამდე. წინამდებარე საქმეში სასამართლომ მე-5 მეხლის 3-ლი პუნქტის მუხლის მოთხოვნათა დარღვევად შეაფასა მოქმედი პრაქტიკა, რადგანაც ამ უკანასკნელს არ გააჩნდა გამჭვირვალობა და მიმართული იყო თვითნებობისკენ.[16]

9. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველოს სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად:

„1. ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ აღემატება 4 თვეს ... და გამოითვლება დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა, ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლო ბრძანების აღსრულების მომენტიდან.

2. პატიმრობის ვადის დინება წყდება საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ განსჯადობის მიხედვით სასამართლოში საქმის ჩაბარების მომენტში.

16 მე-5(1) მუხლის დარღვევა ამავე მიზეზებით და ამავე პრაქტიკასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ ცნო საქმეში – *Kawka v. Poland*, 2001 წლის 9 იანვარი. ევროპული სასამართლოს მიერ განმარტების გაკეთებამდე ცოტა ხნით ადრე ზემოხსენებული პრაქტიკა შეიცვალა — თითოეული საქმე, რომელშიც დაპატიმრების ბრძანება გაცემული იყო გამოძიების ეტაპზე, გადაეცემოდა სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელს მიეღო ახალი გადაწყვეტილება პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული აკმაყოფილებს კონვენციის კანონიერებისა და სასამართლო ზედამხედველობის შესახებ მოთხოვნებს.

...

10. მოსამართლე განსასჯელის სამართალში მიცემამდე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოცემული შუამდგომლობის აღძვრიდან 48 საათში ამ კოდექსით დადგენილი წესით იხილავს განსასჯელისათვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხს..."

2005 წლის 25 მარტის ცვლილებებამდე საქართველოში ზუსტად ანალოგიური სიტუაცია იყო, როგორიც პოლონეთში, ანუ ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადის დინება წყდებოდა საბრალდებო დასკვნის სასამართლოში წარმართვისთანავე. სასამართლო განხილვის პერიოდში განსასჯელის პატიმრობის ვადის ათვლა იწყებოდა მისი სამართალში მიცემის მომენტიდან. მაგრამ იყო აბსოლუტური საკანონმდებლო ვაკუუმი იმასთან დაკავშირებით, თუ რა სამართლებრივი საკანონმდებლო საფუძველი ამართლებდა პირის პატიმრობას გამოძიების მიერ საბრალდებო დასკვნის სასამართლოში წარგზავნიდან პირის სამართალში მიცემამდე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უმეტეს შემთხვევაში ასეთი პერიოდი გრძელდება არანაკლებ 3-4 თვისა.

საპროცესო კოდექსში 2005 წლის მარტსა და ივნისში შეტანილი ცვლილებები შეიძლება შეფასდეს როგორც კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისაკენ მიმართული მცდელობა. თუმცა, სამწუხაროდ, არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ აღნიშნულმა ცვლილებებმა რაიმე სახით გამოასწორა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ზემოხსენებული ხარვეზები. ცვლილებების თანახმად, მას შემდეგ, რაც საბრალდებო დასკვნა წარიმართება სასამართლოში, პირი მიიჩნევა განსასჯელად.[17] ამის შემდგომ სამართალში მიცემამდე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლე ვალდებულია, განიხილოს პირის წინასწარი პატიმრობის მართლზომიერების საკითხი 48 საათის განმავლობაში. მაგრამ აბსოლუტურად ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რა სამართლებრივ საფუძველზე

17 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, განსასჯელი არის „ბრალდებული, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ჩაბარდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით", ანუ, მარტივად რომ ითქვას, განხორციელდა მხოლოდ პირის სტატუსის შეცვლა, რამაც ვერანაირი გავლენა ვერ იქონია საკანონმდებლო ხარვეზის შეცვლაზე. მხოლოდ ის ფაქტი, რომ საპროცესო კანონმდებლობა ანესებს მაქსიმალურ ზღვარს განსასჯელის პატიმრობასთან მიმართებით, არ შეიძლება იყოს ჯეროვანი არგუმენტი, რადგანაც სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილებას უნდა ეფუძნებოდეს განსასჯელის პატიმრობა სასამართლო სამართალწარმოების მთელ ან მის რომელიმე ეტაპზე.

არის შესაძლებელი, გამართლებულად ჩაითვალოს იმ განსასჯელი პირის პატიმრობა, რომელთან მიმართებითაც გამოძიებამ საბრალდებო დასკვნა წარმართა სასამართლოში, ხოლო სასამართლოს არ ჩაუტარებია განმწესრიგებელი სხდომა და, ამასთანავე, არ უმსჯელია იმის თაობაზე, მიზანშეწონილი იქნება თუ არა განსასჯელის წინასწარ პატიმრობაში დატოვება სასამართლო სამართალწარმოების მთელ ან მის რომელიმე ეტაპზე. თუკი გავითვალისწინებთ სხვადასხვა სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორს, პირებმა შესაძლოა, არ წამოაყენონ მოთხოვნა და არ მიმართონ მათ გათავისუფლებასთან დაკავშირებული შუამდგომლობით სასამართლოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი პატიმრობა ხსენებულ პერიოდში ემყარება რაიმე სამართლებრივ ნორმატიულ ბაზას, რადგანაც საბრალდებო დასკვნის წარმართვის შემდგომ ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა წყვეტს მოქმედებას, განსასჯელის შემდგომი პატიმრობის საკითხი კი სასამართლოს არ განუხილავს. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ აწესებს რაიმე ვადას საბრალდებო დასკვნის წარმართვიდან სამართალში მიცემამდე ან განმწესრიგებელი სხდომის ჩატარებამდე. ეს შესაძლებელია, რამდენიმე თვესაც გაგრძელდეს და ამ დროის განმავლობაში სრული სამართლებრივი ვაკუუმი ჩნდება პატიმრობის კანონიერებასთან დაკავშირებით, თუკი განსასჯელი არ მიმართავს სასამართლოს გათავისუფლების მოთხოვნით. იმისათვის, რომ პირის პატიმრობა შესაბამისად ჩაითვალოს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან, მუდმივად უნდა არსებობდეს პირის პატიმრობის სამართლებრივი საფუძველი. სწორედ ხელისუფლების ორგანოებს უნდა ეკისრებოდეთ მტკიცების ტვირთი, რათა პატიმრობაში მყოფი ყოველი პირის თავისუფლების აღკვეთის დღე გამართლებული იყოს და არა ბრალდებულს, რომელმაც, თუკი მოქმედი კოდექსით ვიმსჯელებთ, თუ არ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით გათავისუფლებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, განუსაზღვრელი ვადით იყოს ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულ პატიმრობაში. მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ საქართველოში ამ მხრივ არსებულ ზოგად სიტუაციას — საბრალდებო დასკვნის სასამართლოში წარმართვიდან პირის სამართალში მიცემამდე შესაძლოა, რამდენიმე თვე გავიდეს.

10. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ პრინციპებთან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და პრიორიტეტულ საკითხად უნდა ჩაითვალოს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე განაცხადის განხილვისათვის საჭირო ხანგრძლივი დროისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება, საქართველოს კანონმდებლობაში არსებულმა ზემოხსენებულმა პრობლემებმა უახლოეს პერიოდში არ იჩინოს თავი, მაგრამ სახელმწიფო აუცილებლად დადგება მომავალში მის წინააღმდეგ დიდი ოდენობით გადაწყვეტილების გამოტანის საფრთხის წინაშე. ხსენებულის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, რომ კვლავაც გადაისინჯოს ქვეყნის კანონმდებლობა და აღმოიფხვრას სამართლებრივი ხარვეზები. აუცილებელია, რომ ხელისუფლების ორგანოებმა გაითვალისწინონ ევროპული სასამართლოს მიდგომები და თავიანთი ქმედებები თუ გადაწყვეტილებები მოაქციონ იმ ჩარჩოებში, რომლებიც დადგენილია ევროპული კონვენციის მე-5 მუხლითა და შესაბამისი პრეცედენტული სამართლით.

დავით გაბეჭაძე

რეპუტაცია, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად:

„1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა და თავისუფლებათა სისტემაში. მოცემული თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ მას განუსაზღვრელი ფასეულობა აქვს როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით,

ვინაიდან მასში იდეალურად არის შეწყვილებული ორივე საწყისის სასიცოცხლო ინტერესები: ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია ინდივიდის სრული განვითარება, მისი შესაძლებლობების სრულყოფილი რეალიზაცია, მეორე მხრივ, იგი აუცილებელ კლაუზულად გვევლინება თავისუფალი, ღია დისკუსიისა და საზოგადოებრივი პრობლემების საჯარო განხილვისათვის, რის გარეშეც წარმოუდგენელია ჯანსაღი, პლურალისტური პოლიტიკური კლიმატის ჩამოყალიბება და, შესაბამისად, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარა ხდება გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობისა და ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების, მათ შორის, განსაკუთრებით, სახალხო ხელისუფლების პრინციპის ნორმალური განხორციელებისათვის. ამასთან, იგი ორგანულად უკავშირდება სხვა უფლება-თავისუფლებებს და მათი სრულყოფილი რეალიზაციის წინაპირობა არის. მაგალითად, რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის, აგრეთვე შეკრების თავისუფლებათა სრულფასოვანი განხორციელება შეუძლებელია გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტის გარეშე, ვინაიდან რწმენა სხვა არაფერია, თუ არა სპეციფიკური სახის შეხედულება, ხოლო შეკრება აზრის გამოხატვის თავისებური ფორმაა.

2004 წლის 24 ივნისს მიიღეს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ," რომელმაც საჯარო და კერძო პირის ცნებათა დიფერენციაციით, საზოგადოებრივი ინტერესის ცნებისა და გავრცელებული ინფორმაციისადმი გამავრცელებლის სუბიექტური მიმართების ელემენტის შემოტანით, აგრეთვე მტკიცების ტვირთის ასპექტირების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი გარანტიები შექმნა გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციისათვის. აღნიშნულ ცნებათა და დეფინიციათა უმრავლესობა აბსოლუტური ნოვაციაა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში და მათი ჭეშმარიტი შინაარსის შეცნობის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ევროპული გამოცდილების, გამოხატვის თავისუფლების, როგორც ფუნდამენტური ფასეულობის, ევროპული კონცეფციის, გაზიარებასა და შესწავლას.

2. ზოგადი საფუძვლები და გამოხატვის თავისუფლების ელემენტები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მუხედვით:

„1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამდინარე, უწესრიგობისა და დანაშაულობის აღსაკვეთად, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება რელატიურ ელემენტებს შეიცავს, მე-10 მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ პუნქტში უფლების დეფინიციაა მოცემული, ხოლო მეორე პუნქტი იმ სიკეთეთა წრეს განსაზღვრავს, რომელთა დაცვის მიზნითაც სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება.

მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოხატვის თავისუფლება სამ ლოგიკურ ელემენტს მოიცავს:

ა) აზრის თავისუფლებას;

ბ) ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლებას;

გ) ინფორმაციისა და იდეების გავრცელების თავისუფლებას.

გამოხატვის თავისუფლების თითოეული ეს ელემენტი ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ქმნის ერთიან ლოგიკურ სტრუქტურას და განაპირობებს ერთმანეთს. შეხედულებების თავისუფლად

ფორმირება აბსოლუტურად წარმოუდგენელია ინფორმაციის დაუბრკოლებელი და შეუზღუდავი მიღების უფლების გარეშე და, თავის მხრივ, ქმნის ლოგიკურ საფუძველსა და წინაპირობას ინფორმაციისა და იდეების გავრცელების თავისუფლებასთან მიმართებით.

ისტორიულად, გამოხატვის თავისუფლება, როგორც დამოუკიდებელი უფლებრივი კატეგორია, აზრის თავისუფლების ლოგიკური განვითარების შედეგია. მე-10 მუხლით გათვალისწინებული ამ ფასეულობის ჭეშმარიტი არსის გარკვევისა და მის მიერ დაცული სიკეთის შემოფარგვლის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება აზრის თავისუფლების, როგორც ერთიანი უფლებრივი კატეგორიის ინტელექტუალური შემოქმედების ორი ძირითადი ლოგიკური კომპონენტის — პროცესისა და შედეგის — შესაბამისად ორ დამოუკიდებელ უფლებრივ წარმონაქმნად სეპარირების კონცეფციას. ამ უფლებრივ წარმონაქმნთაგან პირველი კონვენციის მე-9 მუხლით არის გათვალისწინებული და იგი ფიქრის, მსჯელობის, განსჯის ანუ იმ ინტელექტუალური პროცესის თავისუფლების გარანტირებას ახდენს, რის შედეგადაც ხდება ინდივიდში ამა თუ იმ შეხედულების ფორმირება. ამგვარად, მე-9 მუხლი ითვალისწინებს არა აზრის, როგორც ეს ქართულენოვან წყაროებშია მითითებული, არამედ აზროვნების თავისუფლებას, ხოლო თვით აზრი, როგორც ფიქსირებული ერთეული, ანუ ამგვარი მსჯელობისა და განსჯის, ინტელექტუალური აქტივობის პროდუქტი, მე-10 მუხლით დაცულ სიკეთეთა წრეს განეკუთვნება.

გამოხატვის თავისუფლება, თავისი არსით, მოიცავს როგორც ინდივიდის უფლებას — გამოთქვას საკუთარი აზრი, ისე უფლებას — თავი შეიკავოს აზრის გამოთქმისაგან. სწორედ „პასიური", „არამატერიალიზებული" აზრი არის აზრის თავისუფლებით დაცული სიკეთე და იმდენად, რამდენადაც გამოუთქმელი აზრის შეზღუდვა ბუნებრივად შეუძლებელია, მისი ეს იმანენტური ნიშან-თვისება ლოგიკურად აქცევს მას აბსოლუტური დაცვით აღჭურვილ უფლებათა კატეგორიად, მაშინ როდესაც ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლებები რელატიური ხასიათის მატარებლები არიან. ამ ორი უკიდურესი საწყისის თავმოყრა ერთ უფლებაში გამოხატვის თავისუფლებას რთული სამართლებრივი კონსტრუქციის სახეს ანიჭებს. შესაბამისად, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები მხოლოდ ორ ზემოაღნიშნულ რელატიურ უფლებას შეეხება.

გამოხატვის თავისუფლების ეს სპეციფიკური თავისებურება გაც-

ილებით უფრო მკაფიოდ აისახა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტში, მუხლის არა ორ, არამედ სამპუნქტიან ერთეულად სტრუქტურირების გზით. აზრის თავისუფლება აქ სეპარირებულია ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლებებისაგან და დამოუკიდებლად, პირველი პუნქტით არის გათვალისწინებული; ზემოაღნიშნულ ორ რელატიურ თავისუფლებას ეთმობა მეორე პუნქტი; ხოლო მათი შემზღუდავი საფუძვლები ნორმის მესამე ნაწილში არის ფორმულირებული, რომელიც მარტოოდენ მეორე პუნქტზე მითითებით შემოიფარგლება. ეს სპეციფიკა თავისებურად აისახა საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც გამოხატვის თავისუფლების სტრუქტურირებისა და ელემენტთა წრის თვალსაზრისით ნოვატორულ, დასავლური მოდელისაგან განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს.

როგორც აღინიშნა, გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციის 24-ე მუხლით არის გარანტირებული, თუმცა ამ მუხლით მოცულ სიკეთეთა წრე მხოლოდ ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლებებით შემოიფარგლება და არ ითვალისწინებს აზრის თავისუფლებას, როგორც ერთ-ერთ შემადგენელ ლოგიკურ კომპონენტს, ანუ ტრადიციული სამელემენტიანი სქემიდან აზრის თავისუფლება საერთოდ ამოღებულია და იგი მხოლოდ მე-19 მუხლით, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავსუფლებებთან ერთად, არის გარანტირებული. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში აზრის თავისუფლება ორგანულ ერთიანობაშია ასახული და მოიცავს ევროპულ კონვენციაში დამოუკიდებელი სახით წარმოდგენილ ორივე უფლებრივ ელემენტს.

გამოხატვის თავისუფლების შემდეგი კომპონენტია ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლება, რომელიც სასამართლოს განმარტებით მოიცავს ყველა კანონიერი წყაროდან ინფორმაციის შეგროვებისა და მოძიების უფლებას. ინფორმაციის თავისუფალი და შეუზღუდავი მიღების შესაძლებლობა ქმნის იმ აუცილებელ წინაპირობას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლების არსებობა და სრულყოფილი ინტელექტუალური აქტივობა. ამასთან, აღნიშნული უფლება მოიცავს მხოლოდ ზოგადად ხელმისაწვდომი ინფორმაციების მიღების შესაძლებლობას და არ ახდენს ოფიციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტირებას.[1]

გამოხატვის თავისუფლების კიდევ ერთი კომპონენტია ინფორმაცი-

1 *Leander* v. *Sweeden*, 1987 და *Gaskin* v. *the United Kingdom*, 1989.

ისა და იდეების გავრცელების თავისუფლება. სწორედ ეს უფლებრივი წარმონაქმნი განსაზღვრავს გამოხატვის თავისუფლების არსს. ამავე უფლებით ხდება გამოხატვის ფორმების გარანტირება, რაც გულისხმობს ყველა იმ საშუალების თავისუფალი არჩევის შესაძლებლობას, რომელიც ინდივიდს აძლევს მესამე პირებთან კომუნიკაციის, მათთვის გარკვეული ინფორმაციული დატვირთვის მატარებელი შეტყობინების გადაცემის საშუალებას. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ დებულებას გამოხატვის ფორმების თაობაზე. კომუნიკაციის ეს საშუალებები, ანუ გამოხატვის ფორმები, თავისი არსით უაღრესად მრავალფეროვანია და მოიცავს გამოხატვის ზეპირ, წერილობით, ბეჭდვით, ვიზუალურ (ქმედება, ჟესტები), ტელე- და რადიოტრანსლირების ფორმებს. გამოხატვის ფორმებად აგრეთვე მიიჩნევა ამა თუ იმ ორგანიზაციაში გაწევრიანება[2] და მხატვრული შემოქმედება.[3]

3. რეპუტაცია, როგორც გარანტირებული ფასეულობა

ვინაიდან ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლებები არ არის აბსოლუტური ხასიათის მატარებელი, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ამ უფლებათა შემზღუდავ საფუძვლებს ეთმობა. ამ პუნქტის ფაქტობრივად იდენტურ ჩამონათვალს შეიცავს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი. აქ ფორმულირებული სიკეთეები არის ის ფასეულობები, რომელთა დაცვის მიზნითაც სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება და ამგვარად შექმნას გარკვეული ჩარჩო, კონსტრუქცია, რომელშიც შესაძლებელია მოექცეს გამოხატვის თავისუფლება, რითაც უდიდეს გავლენას ახდენს ამ უფლებით დაცულ სიკეთეთა მოცულობასა და შინაარსზე. თუმცა ამ ზემოქმედებას არ აქვს ცალმხრივი ხასიათი და ეს სიკეთეები თავად განიცდიან გამოხატვის თავისუფლების ზემოქმედებას. ამასთან, ამ სიკეთეთა ჩამონათვალი იმპერატიულად ამომწურავი ხასიათის მატარებელია და მათი განვრცობა და თვითშემოქმედება ინტერპრეტირების დროს ყოვლად დაუშვებელია.

ერთ-ერთი ამგვარი გარანტირებული ფასეულობა, რომლის დაცვის

2 *Vogt* v. *Germany*, 1995.
3 *Muller and others* v. *Switzerland*, 1988.

მიზნითაც სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, არის პიროვნების რეპუტაცია, რომელიც, ამასთან, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ყველაზე ხშირადგამოყენებადი საფუძველია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისათვის. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია, განისაზღვროს რეპუტაციის, როგორც დაცული ფასეულობის, არსი. რეპუტაცია არის კრებითი ცნება, რომელიც ორ სიკეთეს: პიროვნების პატივსა და ღირსებას მოიცავს. პატივი გულისხმობს პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების შეფასებას საზოგადოების მიერ, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნებასთან, ხოლო ღირსება გულისხმობს პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების შეფასებას თავად პიროვნების მიერ.[4]

მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ფარგლებში სახელმწიფოებს გარკვეული სივრცე აქვთ მინიჭებული დაპირისპირებულ სიკეთეთა შეფასებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით. თუმცა, როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, სახელწიფოთა ამგვარი საქმიანობა ხელიხელჩაკიდებული დადის ევროპულ კონტროლთან, რომელიც მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ისე გადაწყვეტილებებს, მათ შორის დამოუკიდებელი სასამართლოს გადაწყვეტილებებსაც. ამასთან, მე-2 პუნქტმა გაითვალისწინა არა მხოლოდ ის სიკეთეები, რომელთა დაცვის მიზნითაც სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს ზემოაღნიშნული თავისუფლება, არამედ თავად განსაზღვრა ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა შეფასდეს სახელმწიფოთა მიერ ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა. ამგვარი კრიტერიუმი სულ სამია:

1. შეზღუდვა მიზნად უნდა ისახავდეს მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე სიკეთის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეპუტაციის, დაცვას;

2. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით, ანუ სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაბამის საკანონმდებლო ბაზას უნდა ეფუძნებოდეს. სასამართლომ გაითვალისწინა ცალკეული ქვეყნების სამართლებრივი სისტემების სპეციფიკა და კანონად საერთო სამართლის ნორმებიც მიიჩნია.

4 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *ა. გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, გვ. 18.

საქმეში — *სანდი თაიმსი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*[5] — სასამართლომ ჩამოაყალიბა ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთაც უნდა შეესაბამებოდეს კანონი, რათა კანონით გათვალისწინებულობის კრიტერიუმი იქნეს დაკმაყოფილებული. კანონი უნდა იყოს საჯარო, ხელმისაწვდომი და, რაც მთავარია, იმდენად ნათლად ფორმულირებული, რომ საშუალებას აძლევდეს ადამიანს, თუნდაც მესამე პირების დახმარებით, კანონის მოთხოვნებს შეუსაბამოს საკუთარი ქმედება და განსაზღვროს მისი შედეგები.

ხელმისაწვდომად ჩაითვლება კანონი, რომლის მოპოვებაც შეუძლია ნებისმიერ პირს, ხოლო საჯაროობის მოთხოვნა, თუნდაც ერთი ოფიციალური პუბლიკაციის არსებობის შემთხვევაში, იქნება დაკმაყოფილებული. ეს ორი მოთხოვნა, როგორც წესი, მარტივად კმაყოფილდება. განსხვავებულად გვაქვს საქმე კანონისადმი წაყენებული სიზუსტისა და წინასწარგანჭვრეტადობის საკითხთან მიმართებით, ვინაიდან კანონის ფორმულირების სიზუსტის ხარისხისა და მის მოთხოვნებთან მიმართებით ქმედების კოორდინირების შესაძლებლობის საკითხი საკმაოდ ბუნდოვანი და რთულად გასარკვევია;

3. შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ სახელმწიფოში.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ კანონით გათვალისწინებულობის კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, იგი სახელმწიფო ჩარევას შეაფასებს მისი დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის კუთხით. ამ ეტაპზე სასამართლო თავად, საქმის ფაქტობრივი მოცემულობებიდან გამომდინარე, ახდენს კოლიდირებულ სიკეთეთა შეფასებას და ამის შესაბამისად აანალიზებს, თუ რამდენად სწორად იქნა დასმული აქცენტები სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სიკეთეთა თანაფარდობის პრობლემის გადაწყვეტისას, ანუ სასამართლო არკვევს საკითხს იმის თაობაზე, მიაღწია თუ არა რეპუტაციის, როგორც დაცული ფასეულობის, ხელყოფამ ხელყოფის ისეთ ხარისხს, რომ აუცილებელი შეიქნა სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება. ხელყოფის ამ კრიტიკული მომენტის, ანუ ტერმინ „აუცილებელიას" განსასაზღვრად სასამართლომ „მწვავე საზოგადოებრივი მოთხოვნილების"[6] კრიტერიუმი შემოიღო და, ამგვარად, სახელმწიფოს იმ არბიტრის როლი მიაკუთვნა, რომელმაც რეაგირება არა მოცემული სიკეთის ყოველგვარ ხელყოფაზე, არამედ მხოლოდ უმწვავეს შემთხვევებზე უნდა მოახდინოს.

5 *Sunday Times* v. *the United Kingdom*, 1979, *49*.
6 *Barthold* v. *Germany*, 1985, *55*.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ რეპუტაციასა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც დაპირისპირებულ ფასეულობებს, შორის ბალანსის განსაზღვრისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გავრცელებული მოსაზრებებისა და ცნობების შინაარსობრივ-თემატურ მხარეს, გამოხატვის ობიექტს, ანუ იმას, თუ ვის მიმართ არის რეალიზებული გამოხატვის თავისუფლება და ვისი რეპუტაცია არის მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი და აგრეთვე, საკითხს იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რა გზით, რა საშუალებით (გარკვეული მოსაზრების გამოთქმით, თუ ინფორმაციის გავრცელებით) მოხდა რაპუტაციის, როგორც დაცული ფასეულობის, ხელყოფა. მოცემულ საკითხებთან მიმართებით, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ იქნა მთელი რიგი პრინციპებისა, რომლებიც საფუძველია მოცემულ დაპირისპირებულ სიკეთეებთან მიმართებით სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი მოდელისათვის.

როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი ამგვარი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასამართლო მოცემულ კოლიდირებულ სიკეთეთა შედარებისას, გამოთქმული მოსაზრებებისა და გავრცელებული ცნობების შინაარსობრივ-თემატური მხარეა. აღნიშნულის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხი უმნიშვნელოვანეს დიფერენციაციას განიცდის იმის მიხედვით, თუ რა სფეროში, რა საკითხთან მიმართებით არის რეალიზებული გამოხატვის თავისუფლება. მოცემული გამომდინარეობს იმ განუსაზღვრელი მნიშვნელობიდან, რომელიც აქვს გამოხატვის თავისუფლებას დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებისა და საზოგადოების ნორმალური არსებობა-განვითარებისთვის, რაც განსაზღვრავს კიდეც გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებულ ადგილს კონვენციით გათვალისწინებულ უფლება-თავისუფლებათა სისტემაში. ეს კონცეფცია აისახა „საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხთა“ კრიტერიუმის შექმნაში და, შესაბამისად, ნებისმიერი სახის მოსაზრება ან ინფორმაცია, რომელიც ამ კრიტერიუმის მოქმედების ფარგლებს აკმაყოფილებს, დაცვის გაზრდილი ხარისხით აღიჭურვება. საზოგადოებრივი ინტერესი უაღრესად ფართო და ტევადი ცნებაა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირებასთან, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან დაკავშირებულ

საკითხებს, რომლებიც ორგანულად უკავშირდებიან როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესებს.

რეპუტაციასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დადგენის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს იმის თაობაზე, თუ ვის მიმართ არის რეალიზებული გამოხატვის თავისუფლება. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ შეიმუშავა სამსაფეხუროვანი პირამიდა, რომლის საფუძველსაც რიგითი ადამიანები ქმნიან, ისინი დაცვის ყველაზე მაღალი ხარისხით არიან აღჭურვილნი; პირამიდის მეორე საფეხურს იკავებენ პირები, რომელთა მიმართ კრიტიკის გაფართოებული ფარგლები არის დაშვებული. საქმეში — *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ* სასამართლომ ასეთებად მიიჩნია პოლიტიკოსები, ვინაიდან, კერძო პირებისაგან განსხვავებით, „პოლიტიკოსები საზოგადოების ყურადღების ცენტრში თავს შეგნებულად იყენებენ." გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს თითოეული პიროვნების რეპუტაციას და ეს ვრცელდება პოლიტიკოსებზეც ... მაგრამ, ამ შემთხვევაში ამგვარი დაცვის კრიტერიუმები უნდა შეფასდეს პოლიტიკურ საკითხებზე ღია დისკუსიის ინტერესებთან კავშირში."[7] საქმეში — *თორგეირ თორგერსონი ისლანდიის წინააღმდეგ*,[8] — სასამართლომ გააფართოვა ამგვარი სუბიექტების წრე მასში სახელმწიფო მოხელეების ჩართვით. თუმცა ამ თვალსაზრისით არსებობს ერთადერთი გამონაკლისი, კერძოდ, მოსამართლეების მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო შეზღუდულია, ვიდრე სხვა სახელმწიფო მოხელეების მიმართ.[9] აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ „სასამართლოები წარმოადგენენ მართლმსაჯულების გარანტს და მათი როლი განმსაზღვრელია სახელმწიფოში, რომელიც კანონის პრინციპს ეფუძნება. სწორედ ამიტომ ისინი უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით და, შესაბამისად, დაცული უნდა იქნენ ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდებებისაგან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეები შებოჭილი არიან თმენის ვალდებულებით, რაც მათ არ აძლევთ კრიტიკისადმი ადეკვატური პასუხის გაცემის საშუალებას."[10]

ამგვარად, სასამართლომ შეიმუშავა საჯარო ფიგურის ცნება და სუბიექტებს, რომლებიც მოცემულ კატეგორიაში ხვდებიან, აქვთ თმენის

7 *Lingens v. Austria*, 1986, 42.
8 *Thorgeir Thorgeirson* v. *Iceland*, 1992.
9 *Barford* v. *Denmark*, 1989.
10 *De Haes and Gijsels* v. *Belgium*, 1997, 37.

მეტი ვალდებულება, ვიდრე კერძო პირებს. მოცემული დეფინიცია, საჯარო ფიგურებთან მიმართებით საზოგადოების ბუნებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ინტერესის კრიტერიუმის ასპექტადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუმცა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლო აღნიშნული ცნების ვიწრო ინტერპრეტაციას ემხრობა და არ განიხილავს აღნიშნულ ცნებებს იდენტურად. საილუსტრაციოდ შესაძლებელია მოყვანილ იქნეს საქმე *ბლადეტ ტომსო ნორვეგიის წინააღმდეგ*. საქმის გარემოება ასეთი იყო: ჟურნალისტმა გამოაქვეყნა სტატია, სადაც ბრალს სდებდა კონკრეტული გემის მეზღვაურებს სელაპების უკანონო რეწვაში. მოცემულ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ „ვალდებულებები და პასუხისმგებლობები" განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც, მოცემული შემთხვევის მსგავსად, საქმე კერძო პირთა რეპუტაციის შელახვასა და „სხვათა უფლებების დარღვევას" ეხება,[11] თუმცა „სარეწი კომპანიის წევრთა მიერ მათი რეპუტაციის დაცვის კანონიერი ინტერესი არ იყო საკმარისი იმისათვის, რათა გადაეწონა ადგილობრივი, საქვეყნო და საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემასთან საჯარო დისკუსიის წარმართვის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინტერესი."[12]

აღნიშნულისაგან განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", რომლის პირველი მუხლის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო პირებს განეკუთვნებიან: „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირები; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება." აღნიშნული ფორმულირების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ახდენს საჯარო პირის ცნების ფართო ინტერპრეტაციას და საჯარო პირებად მიიჩნევიან კერძო პირებიც, რომლებიც ცალკეულ მოვლენათა გამო საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებიან;

პირამიდის მესამე საფეხერს იკავებს მთავრობა, რომლის მიმართაც კრიტიკის ყველაზე ფართო ფარგლები გამოიყენება. აღნიშნული მკაფიოდ იქნა განსაზღვრული საქმეში — *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*,

11 *"Bladet Tromso" and Stensaas* v. *Norway*, 1999, 65.
12 *"Bladet Tromso" and Stensaas* v. *Norway*, 1999, 73.

სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „კრიტიკის დასაშვები ზღვარი მთავრობასთან მიმართებით გაცილებით ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქესთან ან თუნდაც პოლიტიკოსთან მიმართებით."[13]

რეპუტაციასა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც საპირწონე ფასეულობებს, შორის ბალანსის დადგენის დროს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება რეპუტაციის, როგორც დაცული ფასეულობის, ხელყოფის საშუალებას. პიროვნების რეპუტაციის ხელყოფა შესაძლებელია როგორც კონკრეტული პირის მიმართ გარკვეული ცნობების გავრცელებით, ისე ცალკეული მოსაზრებების გამოთქმით. ამ თვალსაზრისით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტისა და აზრის, როგორც ფუნდამენტური კატეგორიების, ინდივიდუალიზაციის საკითხს. ვინაიდან სასამართლომ აღნიშნულ კატეგორიებთან მიმართებით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, მკაფიო პრინციპები ჩამოაყალიბა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ კოლიდირებულ სიკეთეთა ბალანსისთვის, აღნიშნული პრინციპების მკაფიო იდენტიფიკაციის მიზნით, მართებული იქნება მოცემული კატეგორიების დამოუკიდებელად განხილვა.

4. ფაქტი და რეპუტაცია

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის პირველი მუხლის „ე" პუნქტის თანახმად, ცილისწამება არის „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება."

ფაქტი, თავისი არსით, სუბიექტური მინარევებისაგან აბსოლუტურად თავისუფალი, გარესამყაროში ობიექტურად არსებული მოვლენაა და როგორც ლოგიკური შედეგი — ეს იმანენტური მახასიათებელი მოცემული კატეგორიის მტკიცებისა და მისი ობიექტური მცდარობა-ჭეშმარიტების შემოწმების საშუალებას იძლევა. ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის, თუ რა გავლენას ახდენს გავრცელებული ცნობების მცდარობა-ჭეშმარიტება მისი დაცვის ხარისხზე. ამ საკითხისადმი ორი კონცეპტუალურად განსხვავებული მიდგომა არსებობს.

პირველი მიდგომა გავრცელებული ცნობების დაცვის ხარისხის, მისი

13 *Castells* v. *Spain*, 1992, 46.

მცდარობა-ჭეშმარიტების ხარისხისადმი პირდაპირპროპორციულობის პრინციპს ეფუძნება. აღნიშნულ მოდელს ეყრდნობოდა, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც პირს ჰქონდა უფლება, სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვა, თავისი პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის ხელმყოფი ცნობების უარყოფა, თუ გამავრცელებელი არ დაამტკიცებდა, რომ გავრცელებული ინფორმაცია ჭეშმარიტება იყო. მოცემული დეფინიციის შესაბამისად, ჭეშმარიტი ინფორმაცია დაცვის აბსოლუტური ხარისხით იყო აღჭურვილი, ხოლო მცდარი ცნობები საერთოდ დაცვის ფარგლებს მიღმა რჩებოდა. ამგვარი კონსტრუქცია მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიდა ინფორმაციის თავისუფლებას, რამეთუ არ ითვალისწინებდა ინფორმაცის გავრცელების დროს შეცდომის დაშვების გარკვეული ალბათობის არსებობას. ამასთან, მტკიცების ტვირთი, მოცემული მოდელის შესაბამისად, მთლიანად ინფორმაციის გამავრცელებელზე იყო გადატანილი.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებული მოდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოაღნიშნული ხისტი, პოლუსირებული მიდგომისაგან. მოცემულ მოდელში დეტერმინანტ ფაქტორად გავრცელებული ცნობების საზოგადოებრივი ღირებულება გვევლინება. აღნიშნულის შესაბამისად, საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში შემავალ საკითხებზე გავრცელებულ ინფორმაციასთან მიმართებით, გავრცელებული ცნობების დაცვის ხარისხი ობიექტური სიბრტყიდან სუბიექტურში არის გადატანილი და განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს არა ფაქტის ობიექტური მცდარობა-ჭეშმარიტება, არამედ გამავრცელებლის მიმართება მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა-ჭეშმარიტებისთან. აბსტრაგირების საფუძველი ამ ნორმატიული მოდელის ფორმირების დროს იყო, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლების განუსაზღვრელი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ინტერესისი სფეროში შემავალ საკითხებთან მიმართებით თავისუფალი დისკუსიის წარმართვისა და, შესაბამისად, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და, მეორე მხრივ, ინფორმაციის გავრცელების დროს შეცდომის დაშვების გარკვეული ალბათობის არსებობა. ამ თვალსაზრისით, ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ინფორმაციისათვის დამახასიათებელ ისეთ იმა-

ნენტურ ნიშან-თვისებაზე, როგორიც არის მისი „მალფუჭებადობა"[14] და აღნიშნა, რომ, მოცემულის გათვალისწინებით, ყოვლად დაუშვებელია „პრესის წარმომადგენლებისათვის ასპროცენტიანად გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელების ვალდებულების დაკისრება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საეჭვოა, მათ საერთოდ რამის გამოქვეყნება შეძლონ." აღნიშნული, კონვენციის ტექსტით გათვალიწინებული „ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების" კონცეფციის გათვალისწინებით, გულისხმობს იმას, რომ პრესის წარმომადგენლები უნდა „მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, რათა საზოგადოებას ჭეშმარიტი ინფორმაცია მიაწოდონ."[15]

ამგვარად, გამავრცელებელი ვალდებულია, გონივრულ ფარგლებში გადაამოწმოს თავის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის ელემენტი გამოირიცხება, თუ გამავრცელებელი დარწმუნებული იყო მის ჭეშმარიტებაში და კეთილსინდისიერად მოქმედებდა. ამგვარად, მოცემული მოდელი თავისი არსით არ არის მშრალი უფლებრივი კონსტრუქცია და გამავრცელებლისათვის შექმნილ მყარ უფლებრივ გარანტიებს გავრცელებული ინფორმაციის გონივრულ ფარგლებში შემოწმების ვალდებულებით აბალანსებს. შესაბამისად, აღნიშნული მოდელით დაცვის ფარგლებს მიღმა მხოლოდ შეგნებულად ცრუ ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები რჩება.

მოცემული მოდელით დამკვიდრებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმი მჭიდროდ უკავშირდება მტკიცების ტვირთის ასპექტირების საკითხს. პრობლემის არსს გავრცელებული ინფორმაციისადმი გამავრცელებლის სუბიექტური მიმართების დამტკიცების სირთულე ქმნის, ვინაიდან გამავრცელებლის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შემოტანა განპირობებული იყო მისწრაფებით, გამოერიცხათ გამავრცელებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ინფორმაციის შეცდომით გავრცელებისათვის და მიზნად ისახავდა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით ინფორმაციული ნაკადის თავისუფალი დინებისთვის მაქსიმალური გარანტიების შექმნას, კეთილსინდისიერების თაობაზე მტკიცების ტვირთის გამავრცელებლისთვის დაკისრება არათუ შეამსუბუქებდა გამავრცელებლის მდგომარეობას, არამედ დამატებით ბარიერს შექმნიდა საზოგადოებრივ-ღირებულებითი ინფორმაციის გავრცელებისათვის. ამ თვალსაზრისით, მოცემული მოდელი კიდევ ერთ მყარ გარანტიას ქმნის

14 *Observer and Guardian* v. *the United Kingdom*, 1991.
15 *Goodwin* v. *the United Kingdom*, 1996, 65.

საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისათვის, მტკიცების ტვირთის მოსარჩელეზე, ბრალმდებელზე ასპექტირების გზით, ანუ, მოცემული მოდელის შესაბამისად, სწორედ ბრალმდებელს ეკისრება იმის დამტკიცების მოვალეობა, რომ გამავრცელებელმა შეგნებულად გაავრცელა მცდარი ინფორმაცია ან არ მიიღო სათანადო ზომები ინფორმაციის ჭეშმარიტების გადამოწმებისათვის.

ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც გამავრცელებლის მიერ ინფორმაციის ჭეშმარიტების „გონივრულ ფარგლებში" გადამოწმების ვალდებულების ხარისხზე ახდენენ გავლენას. ამ მიმართებით, ევროსასამართლოს პრაქტიკა გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, კერძოდ, ამგვარი ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ:

ა) ინფორმაცია მიღებული იყო ოფიციალური წყაროებიდან;[16]

ბ) ინფორმაცია უკვე იყო გამოქვეყნებული სხვა წყაროებში;[17]

გ) თუ გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება-მცდარობის გადამოწმება დაუძლეველ სირთულეებთან არის დაკავშირებული;[18]

გავრცელებული ცნობების მცდარობა-ჭეშმარიტების მათი დაცვის ხარისხისადმი პროპორციულობის საკითხის გარკვევისას უაღრესად მნიშვნელოვანია განისაზღვროს, არის თუ არა ფაქტის ობიექტური ჭეშმარიტება მისი დაცვის აბსოლუტური ხარისხით აღჭურვის წინაპირობა. ამ საკითხის გარკვევისას აბსტრაჰირების ფუნდამენტად ის აპრიორული ჭეშმარიტება უნდა მივიჩნიოთ, რომ პიროვნების პატივისა და ღირსების ხელყოფა შესაძლებელია როგორც მცდარი, ისე ჭეშმარიტი ინფორმაციის გავრცელებით. მოცემული საკითხისადმი ყველაზე მკაფიოდ სასამართლომ თავისი პოზიცია დააფიქსირა *მარკ ინტერნის* საქმეში, რომელშიც აღნიშნა, რომ „იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პუბლიკაციაში აღწერილი მოვლენები სინამდვილეს შეესაბამება, შეიძლება მათი აკრძალვა. ამის მაგალითებია სხვათა პირადი ცხოვრების ან კომერციული ინფორმაციის დაცვა."[19]

ამგვარად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, ცილისწამების საქმეებთან მიმართებით ჩამოყალიბებული პრინციპები

16 *"Bladet Tromso" and Stensaas* v. *Norway*, 1999, 68.
17 *Thoma* v. *Luxembourg*, 2001.
18 *Thorgeir Thorgeirson* v. *Iceland*, 1992.
19 *Markt InternVergal GmbH and Klaus Beermann* v. *the Federal Republic of Germany*, 1989.

ქმნიან მყარ და, ამავე დროს, უაღრესად მოქნილ მოდელს, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის საზოგადოებრივი ღირებულებისა და საქმის ყველა სხვა კონკრეტული ფაქტორის გათვალისწინებით, კოლიდირებულ სიკეთეთა კონკრეტული შედარების პრინციპს ეფუძნება.

ევროპული სასამართლოს მიერ ცილისწამების საკითხებზე ჩამოყალიბებული ნორმატიული მოდელი თითქმის სრულყოფილად იქნა ასახული საქართველოს კანონში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. კერძოდ, ამ კანონის მე-13 მუხლის თანახმად:

„პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება."

ამგვარი ფორმულირება ზუსტად ასახავს პრეცედენტულ სამართლში შემუშავებულ პრინციპებს, როგორც გავრცელებული ცნობებისადმი გამავრცელებლის სუბიექტური მიმართების ელემენტის შემოტანით, ასევე მტკიცების ტვირთის ასპექტირების თვალსაზრისითაც და ქმნის მაქსიმალურ გარანტიებს საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით ინფორმატიული ნაკადის თავისუფალი დინებისათვის.

ამასთან, კანონი განასხვავებს ერთმანეთისაგან კერძო და საჯარო პირებს და ადგენს ერთი შეხედვით განსხვავებულ სტანდარტებს კერძო პირების ცილისწამების საქმეებთან მიმართებით. კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის თანახმად:

„პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა."

თუმცა აღნიშნული ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული დებულების კონტექსტში, რომლის თანახმადაც:

„პირს ცილისწამებისთვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლება ცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა."

მოცემულ დებულებათა გათვალისწინებით, მოსარჩელე, რომელიც წარმოადგენს კერძო პირს, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ:

ა) განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს;

ბ) მას ამ განცხადების შედეგად მიადგა ზიანი;

გ) განმცხადებელმა იცოდა, რომ ავრცელებდა მცდარ ინფორმაციას და ამგვარად მოქმედებდა ბოროტი განზრახვით, ან მას შეეძლო, მაგრამ არ მიიღო გონივრული ზომები ინფორმაციის ჭეშმარიტების გადამოწმებისათვის.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხდება კერძო პირის რეპუტაციის ხელყოფა, გავრცელებულ ინფორმაციას არ აქვს საზოგადოებრივ-ღირებულებითი მნიშვნელობა და საპირწონე ფასეულობებად რჩება, ერთი მხრივ, პიროვნების თვითრეალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო პირის ლეგიტიმური ინტერესი, დაიცვას საკუთარი პატივი და ღირსება, მტკიცების ტვირთის ასპექტირების თვალსაზრისით, გამოხატვის თავისუფლებისათვის ნორმატიულ დონეზე ამგვარი ცალმხრივი უპირატესობის მინიჭება არ შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებულ დებულებებს, არღვევს კოლიდირებულ სიკეთეთა კონკრეტული შედარების პრინციპს და აკნინებს რეპუტაციის, როგორც დაცული ფასეულობის, ღირებულებას.

5. აზრი და რეპუტაცია

აზრი, განსხვავებით ფაქტისაგან, ინდივიდის მიერ გარესამყაროს სუბიექტური ჭვრეტის პროდუქტია და, როგორც ასეთი, მტკიცებას არ ექვემდებარება. აზრის ეს იმანენტური ნიშან-თვისება არ იძლევა მისი, როგორც სუბიექტური კატეგორიის, ობიექტური მცდარობა-ჭეშმარიტების განსაზღვრის საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აზრის შინაარსობრივ-ღირებულებითი ფასეულობა არავითარ გავლენას არ ახდენს მისი, როგორც გარანტირებული ფასეულობის, დაცვის ხარისხზე, ანუ სასამართლო არ ახდენს „ღირებული" და „უღირსი" იდეების დიფერენცირებას და მათი დაცვის განსხვავებული ხარისხით აღჭურვას. ამ თვალსაზრისით, ევროპულმა სასამართლომ უაღრესად მაღალი სტანდარტი დაადგინა საქმეში — *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, სადაც აღნიშნა, რომ „გამოხატვის თავისუფლება გამოიყენება არა მხოლოდ იმ ინ-

ფორმაციებისა და იდეების მიმართ, რომლებიც მიიღებიან საზოგადოების მიერ და არ მიიჩნევიან შეურაცხმყოფელად, არამედ იმ იდეების მიმართ, რომლებიც შეურაცხყოფენ, შოკში აგდებენ და აღაშფოთებენ სახელმწიფოსა და საზოგადოებას. ამგვარია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გონიერების მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება."[20] ამ თვალსაზრისით, ერთადერთი გამონაკლისია რასისტული ხასიათის განცხადებები, რომლებიც რასობრივ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციას ქადაგებენ. როგორც კომისიამ აღნიშნა, დაუშვებელია, რომ გამოხატვის თავისუფლება ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლება-თავისუფლებათა გაუქმების საფუძველი გახდეს. ამგვარი პოზიცია ეფუძნება ე.წ. ტოლერანტობის პარადოქსს, ანუ აბსოლუტური შემწყნარებლობა იწვევს ისეთი იდეების გავრცელებას, რომლებიც ზემოაღნიშნულ პრინციპს უთხრიან საფუძველს.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც, ამავე კანონით დადგენილ ტერმინთა განმარტების მიხედვით, გულისხმობს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას. თუმცა, როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განხილვა ცხადყოფს, აზრის შინაარსობრივ-ღირებულებითი ფასეულობის განსაზღვრის შეუძლებლობა არ უნდა იქნეს აღქმული ისე, თითქოს აზრი აბსოლუტური დაცვით აღჭურვილი კატეგორია არის. ასეთ შემთხვევებში, აზრი, როგორც თვითღირებულებითი ფასეულობა, უნდა შეფასდეს რეპუტაციასთან, როგორც დაცულ და გარანტირებულ ფასეულობასთან, კონტექსტში.

აზრსა და რეპუტაციას შორის ბალანსის დადგენისას ევროპული სასამართლო, ისევე როგორც ფაქტებთან მიმართებით, მოცემულ სიკეთეთა კონკრეტული შედარების პრინციპს ეფუძნება და, აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ფაქტობრივი მოცემულობების გათვალისწინებით საზღვრავს, ხომ არ ხელყო გავრცელებულმა აზრმა პიროვნების რეპუტაცია ისე, რომ წარმოიშვა მწვავე სოციალური მოთხოვნილება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო,

20 *Handyside* v. *the United Kingdom*, 1976.

გარდა ისეთი ზოგადი ფაქტორებისა, როგორებიც არის აზრის შინაარსობრივ-თემატური მხარე და მისი კონკრეტული ობიექტი, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

1. გამოთქმული მოსაზრებების ფაქტობრივ საფუძველზე, ანუ სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკითხს იმის თაობაზე, ეფუძნებოდნენ თუ არა გამოთქმული მოსაზრებები კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველს. აღნიშნული მოთხოვნა პირველად სასამართლოს მიერ ჩამოყალიბდა საქმეში — *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „ფაქტები, რომლებსაც ბ-ნი ლინგენსი თავის შეფასებით მსჯელობას აფუძნებდა, მეორე მხარისათვის საკამათო არ ყოფილა.[21]" აღნიშნული მიდგომა განვითარდა შემდგომში საქმეში — *ჯერუსალემი ავსტრიის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ:

„იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც საქმე გვაქვს შეფასებით მსჯელობებთან, ჩარევის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი მოცემული მოსაზრებისათვის, რამეთუ შეფასებითი მსჯელობა, რომელსაც არანაირი ფაქტობრივი საფუძველი არ აქვს, შეიძლება იყოს გადაჭარბებული."[22]

მოცემულმა მოთხოვნამ დასრულებული სახე მიიღო საქმეში — *დე ბეკერი ბელგიის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ აღნიშნა:

„ბრალდებები, რომლებზეც არის საუბარი, არის მოსაზრებები, რომელთა ჭეშმარიტების შემოწმება შეუძლებელია. ამგვარი მოსაზრებები შეიძლება იყოს გადაჭარბებული და ზღვარგადასული, განსაკუთრებით კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში."[23]

2. გამოთქმული მოსაზრებების სტილისტურ მისაღებადობაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოთქმული მოსაზრებების სტილისტური მისაღებადობის საკითხს. ამ თვალსაზრისით, სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს მკაცრ, მწვავე ფორმის, ემოციური ელემენტებით შეზავებულ კრიტიკას, რაც, სასამართლოს აზრით, ხელს უწყობს პრობლემების უკეთ წარმოჩენას. სტილისიტური მისაღებადობის საკითხის გარკვევისას სასამართლო ყურადრებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორებიც არის განცხადების კონტექსტი და მისი მიზანი. ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა საქმე *ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ*, სადაც ევრო-

21 *Lingens* v. *Austria*, 1986, 45.
22 *Jerusalem* v. *Austria*, 2001,.43.
23 *De Haes and Gijsels* v. *Belgium*, 1997, 47.

პულმა სასამართლომ პოლიტიკური დებატების კონტექსტში დასაშვებად მიიჩნია პოლიტიკოსის მიმართ სიტყვა „იდიოტის" გამოყენება. საქმის ფაქტობრივი გარემოებები ასეთი იყო: ავსტრიელმა პოლიტიკოსმა ჰაიდერმა მშვიდობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე განაცხადა, რომ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ყველა ჯარისკაცი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მხარეს ომობდნენ ისინი, იბრძოდნენ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის დასამყარებლად და რომ მათ ჩაუყარეს საფუძველი დღევანდელი დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას. აღნიშნულ განცხადებას პასუხად მოჰყვა ობერშლიკის სტატია, სადაც იგი აღნიშნულ პოლიტიკოსს „იდიოტად" მოიხსენიებდა. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოცემული სტატიის მწვავე სტილისტური ფორმა მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ჰაიდერის პროვოკაციული განცხადებით და აღნიშნა: „განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბ-ნი ჰაიდერის გამოსვლას, რომლის შესახებაც იუწყებოდა ბ-ნი ობერშლიკი. ბ-ნი ჰაიდერი, როცა აცხადებდა, რომ ყველა ჯარისკაცი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ომობდა, იბრძოდა მშვიდობისა და თავისუფლებისათვისო ... მკაფიოდ აცნობიერებდა, რომ მისი სიტყვები პროვოკაციული ხასიათის მატარებლები იყვნენ და შედეგად მწვავე რეაქცია შეეძლოთ გამოეწვიათ" .... „ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გამონათქვამ „იდიოტს" შეეძლო პოლიტიკოსის შეურაცხყოფა, თუმცა აღნიშნული სიტყვის გამოყენება არ იყო „არაპროპორციული" იმ გაუგებრობის გათვალისწინებით, რომელიც შეგნებულად იქნა გამოწვეული ბ-ნი ჰაიდერის მიერ."

ანალოგიური პოზიცია დაფიქსირდა საქმეში — *ლოპეს გომეს დე სილვა პორტუგალიის წინააღმდეგ*,[24] რომელშიც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერმინების: „უზნეოს" და „უხეშის" გამოყენება და სტატიის საერთო მკვეთრი ტონი განპირობებული იყო ოპონენტის მიერ გამოთქმული პროვოკაციული ხასიათის შეფასებებით.

სტილისტური მისაღებადობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განცხადების მიზანს. თუ კრიტიკა არ არის თვითმიზანი და იგი მოწოდებულია პრობლემატური საკითხების განსახილველად, სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს სტილისტიკის თვალსაზრისით მისაღები ფარგლების გარკვეულ გადაჭარბებას. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ საქმე *ტორგეირ ტორგეირსონი ისლანდიის წინააღმდეგ*, სადაც განმცხადებელი ბრალს სდებდა რეიკი-

24 *Lopes Gomes da Silva v. Portugal*, 2000.

ავიკის პოლიციას ძალადობაში და მოიხსენიებდა მათ როგორც მუნდირიან ცხოველებს, რომელთა ინტელექტუალური კოეფიციენტი ახალშობილის დონემდე არის დასული და მოითხოვდა იუსტიციის მინისტრისაგან ამ ფაქტების შემსწავლელი კომისიის შექმნას. ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: „ორივე სტატია გამოირჩევა გამოხატვის საკმაოდ მკვეთრი ფორმით. მიუხედავად ამისა, მხედველობაში ვიღებთ მათ მიზანს, იმ ზემოქმედებას, რომლის მისაღწევადაც ისინი იყვნენ მოწოდებულნი და სასამართლოს მიაჩნია, რომ მათი ენა არ შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად მკვეთრად."[25]

6. დასკვნა

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" ქმნის მაქსიმალურ გარანტიებს გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციისათვის და ამკვიდრებს მთელ რიგს საქართველოს საკანონმდებლო სივრცისათვის ნოვატორული მიდგომებისა და დეფინიციებისას. ასე მაგალითად, იგი ითვალისწინებს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხთა ცნებას, ამკვიდრებს საზოგადოებრივ-ღირებულებითი მნიშვნელობის მქონე ცნობებთან მიმართებით გამავრცელებლის სუბიექტური მიმართების ელემენტს, ახდენს დიფერენცირებას კერძო და საჯარო პირებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კანონით დამკვიდრებული ცნებები და მოდელები თითქმის სრულყოფილად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრინციპებს, არსებობს რიგი საკითხებისა, რომლებიც გარკვეულ კორექტირებას საჭიროებენ. აღნიშნული უმთავრესად შეეხება კერძო პირებთან მიმართებით კანონით განსაზღვრულ მტკიცების ტვირთს და აზრის, როგორც სუბიექტური კატეგორიის, დაცვის აბსოლუტური ხარისხით აღჭურვის საკითხს, ვინაიდან მოცემულ საკითხებთან მიმართებით კანონით გათვალისწინებული მიდგომები ეწინააღმდეგება კოლიდირებულ სიკეთეთა კონკრეტული შედარების პრინციპს, არღვევენ ბალანსს რეპუტაციასა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც დაპირისპირებულ ფასეულობებს, შორის და აკნინებენ რეპუტაციის, როგორც დაცული და გარანტირებული ფასეულობის ღირებულებას.

25 *Thorgeir Thorgeirson v. Iceland*, 1992.

გაგა გაბრიჩიძე

თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში

1. თანაზომიერების პრინციპის საყოველთაო სამართლებრივ პრინციპად ჩამოყალიბება

ევროპის გაერთიანების სამართლის საყოველთაო სამართლებრივი პრინციპების ჩამოყალიბების წყაროა წევრი სახელმწიფოების საკონსტიტუციო ტრადიციები.[1] თანაზომიერების პრინციპი მოცემულია ყველა წევრი სახელმწიფოს სამართალწესრიგში.[2] შესაბამისად, მას, როგორც საყოველთაო სამართლებრივ პრინციპს, პირველადი სამართლის ხარისხი აქვს[3] და აღიარებულია „გაერთიანების სამართლებრივი ღონისძიებების შემზღუდველ ყოვლისმომცველ პრინციპად".[4]

2. თანაზომიერების პრინციპის გამოყენების სფერო

თავდაპირველად თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართალში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ძირითადი უფლებების შემცველის როლს ასრულებდა.[5] მოგვიანებით კი მას თანდათან ძირითადი

1 ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის მეორე აბზაცი. დაწვრილებით იხ.: J. Ukrow, Richterliche Rechtsfortbildung durch den EuGH, Baden-Baden, 1995, გვ. 49.

2 იხ : H. Kutscher, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit im Recht der Europäischen Gemeinschaften, in: H. Kutscher, G. Ress, F. Teitgen, F. Ermacora, G. Ubertazzi, (Hrsg.), Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit in europäischen Rechtsordnungen, Heidelberg, 1985, გვ. 95.

3 დაწვრილებით იხ.: I. Pernice, Grundrechtsgehalte im europäischen Gemeinschaftsrecht, 1. Auflage, Baden-Baden, 1979, გვ. 234; J. Ukrow, Richterliche Rechtsfortbildung durch den EUGH, Baden-Baden, 1995, გვ. 49; J. Schwarze, Europäisches Verwaltungsrecht, Band II, 1. Auflage, Baden-Baden, 1988, გვ. 830; M. Zuleeg, in: H. Groeben, J. Thiesing, C.-D. Ehlermann, (Hrsg.), Kommentar zum EU-/EG-Vertrag, 5. Auflage, Baden-Baden, 1997, Art. 3b, Rn. 29.

4 EuGH – Rs. 11/70, Slg. 1970, 1125.

5 EuGH – Rs. 29/69, Slg. 1969, 425; შეად. აგრეთვე G. Ress, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit im deutschen Recht, in: H. Kutscher, G. Ress, F. Teitgen, F. Ermacora, G. Ubertazzi, (Hrsg.), Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit in europäischen Rechtsordnungen, Heidelberg, 1985, გვ. 40.

უფლებების შეზღუდვის ლიმიტირების ფუნქცია დაეკისრა.[6] ამასთან, აღნიშნული ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან კომპეტენციის განმსაზღვრელი ნორმების ბუნდოვნება და ევროპის გაერთიანების სამართალში ძირითადი უფლებების სამართლებრივად სავალდებულო კატალოგის არარსებობა უფრო მეტ დატვირთვას ანიჭებს თანაზომიერების პრინციპს, ვიდრე ეს მას ეროვნული სამართლის ფარგლებში აქვს. თანაზომიერების პრინციპს ადამიანის უფლებების სფეროში აქვს ინტერპრეტაციის პრინციპის ფუნქცია ძირითადი უფლებების შეზღუდვის უკიდურესი ფარგლების დადგენის თვალსაზრისით.[7]

დღესდღეისობით თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 აბზაცშია მოცემული და მისი მოქმედება, საყოველთაო შეხედულებით, ევროპის გაერთიანების ყველა ქმედებაზე ვრცელდება, მიუხედავად კომპეტენციის სახის, მოქმედი ორგანოსა და არჩეული სამართლებრივი ფორმისა.[8] ამასთან, აღსანიშნავია, რომ ის მოთხოვნები, რომლებიც თანაზომიერების პრინციპს წაეყენება, დამოკიდებულია ქმედების ტიპსა და სფეროზე და უფრო მკაცრი ხასიათი აქვს, როდესაც ქმედება ცალკეული შემთხვევის რეგულირებას ისახავს მიზნად.[9] ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 აბზაცი ეხება ქმედების სახესა და მოცულობას, ანუ მისი მოქმედების დიაპაზონსა და ინტენსიურობას. წევრი სახელმწიფოების ქმედებებიც – განსაკუთრებით, ევროპის გაერთიანების სამართლის აღსრულების სფეროში – ექვემდებარება თანაზომიერების პრინციპით დადგენილ მასშტაბებს.[10] თანაზომიერების პრინციპი მოცემულია ასევე ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების იმ დებულებებშიც, რომლებიც გაერთიანების მიზნებთან მიმართებით გარკვეულ გამონაკლისებსაც უშვებს.[11] მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ მხოლოდ ცნება „საჭიროება“ არის მოცემული, ნაგულისხმევია სამივე კრიტერიუმი: საჭიროება, გამოსადეგობა და თანაზომიერება ვიწრო გაგებით.[12]

6 EuGH – Rs. 44/79, Slg. 1979, 3727; Rs. 4/73, Slg. 1974, 491.
7 შეად.: J. Schwarze, Europäisches Verwaltungsrecht, Band II, 1. Auflage, Baden-Baden, 1988, გვ. 793, 805.
8 შეად.: Ch. Calliess, Das Subsidiaritäts- und Solidaritätsprinzip in der Europäischen Union, Saarbrücken, 1996, გვ. 103; M. Zuleeg, in: H. Groeben, J. Thiesing, C.-D. Ehlermann, (Hrsg.), Kommentar zum EU-/EG-Vertrag, 5. Auflage, Baden-Baden, 1997, Art. 3b, Rn. 29.
9 შეად.: J. Schwarze, Europäisches Verwaltungsrecht, Band II, 1. Auflage, Baden-Baden, 1988, გვ. 838.
10 EuGH – Rs. 205-215/82, Slg. 1983, 2633 (2665).
11 შეად. ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 30-ე, 39-ე და 46-ე მუხლები.
12 შეად.: A. Bogdandy, M. Nettesheim, in: E. Grabitz (Hrsg.), Kommentar zu EU, Art. 3b, Rn.50.

3. თანაზომიერების პრინციპი, როგორც შეზღუდვის ეფექტიანი ლიმიტირება

3.1 ევროპის გაერთიანების სასამართლოს პრაქტიკა

თანაზომიერების პრინციპის სამივე ელემენტი მოიპოვება ევროპის გაერთიანების სასამართლოს მიერ მოცემულ „ცნებაში", რომელიც მან თავის გადაწყვეტილებაში *შრედერი*-ს საქმეზე შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ზომები, რომლებიც ეკონომიკური ცხოვრების მონაწილეებს ფინანსურ ტვირთს აკისრებს, მხოლოდ მაშინ არის კანონიერი, თუკი ისინი აღნიშნული რეგულირებით დასახული მიზნების მისაღწევად გამოდგება და საჭიროა. ამასთან, თუკი ასარჩევია რამდენიმე გამოსადეგი ზომა, უნდა შეირჩეს ის, რომელიც ყველაზე მცირე ტვირთს ითვალისწინებს; გარდა ამისა, დაკისრებული ტვირთი დასახულ მიზნებთან თანაზომიერ დამოკიდებულებაში უნდა იყოს."[13]

3.1.1 გამოსადეგობა

ევროპის გაერთიანების სასამართლოს მიერ ქმედების გამოსადეგობის კონტროლი ხორციელდება ე.წ. „მტკიცებულებათა შემოწმების" გზით, რომლის დროსაც მხოლოდ და მხოლოდ მოწმდება, სახეზეა აშკარა შეცდომა თუ შესაბამისი ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლების გადაცილება.[14] კომპეტენციის ფარგლები ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.[15] ამასთან, კომპეტენციის განხორციელება უნდა გულისხმობდეს რამდენიმე შესაძლებელიდან იმ ზომის არჩევას, რომელიც მისაღწევ მიზანთან მიმართებით ყველაზე გამოსადეგად აღიქმება.[16] ევროპის გაერთიანების ღონისძიების მიზანი უნდა იყოს ხელშეკრულებით გარანტირებული ძირითადი თავისუფლებების – პირთა, საქონლისა და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლების, ასევე დაფუძნების თავისუფლების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა.

13 EuGH – Rs. 265/87, Slg. 1989, 2237 (2269).
14 EuGH – Slg. 1973, 142; Slg. 82, 551; Slg. 1990 I, 435 (481); Slg. 1992 I, 2651.
15 EuGH – Rs. C 84/94, Slg. 1996, I-5755.
16 EuGH – Rs. 265/87, Slg. 1989, 2237 (2259).

ევროპის გაერთიანების სასამართლოს პრაქტიკაში გამოსადეგობის კონტროლი ვერ გადალახა წევრი სახელმწიფოების რამდენიმე ქმედებამ, რომლებიც ევროპის გაერთიანების სამართლებრივ ძირითად თავისუფლებებს არღვევდნენ. ევროპის გაერთიანების სასამართლომ დიდი ხნით ადრე დაადასტურა, რომ ძირითად თავისუფლებებს უშუალო მოქმედების ძალა აქვთ და, შესაბამისად, ისინი თითოეული ადამიანის სუბიექტური უფლებების საფუძველს ქმნიან.[17]

3.1.2 საჭიროება

ქმედება მაშინ არის საჭირო, თუკი დასახული მიზნის სათანადოდ მაღწევა შეუძლებელია სხვა რომელიმე ქმედებით, რომელიც დასაცავ სამართლებრივ ობიექტს ნაკლებ ზიანს მიაყენებდა. აქაც საჭიროა ემპირიულ-პროგნოზული შეფასება. ამასთან, შესაბამის ორგანოს ასევე ფართო არეალი გააჩნია აღნიშნულ შეფასებასთან მიმართებაში.[18] საჭიროების კრიტერიუმის შემოწმებისას განსაკუთრებით გათვალისწინებული უნდა იქნეს ქმედების განხორციელებადობა და მიზნის მიღწევის გარანტია[19]. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესაძლებელი იყო ნაკლები ზიანის მომტანი ზომის გატარება, მოცემული გარემოებები არ იქნა გათვალისწინებული სწორედ განხორციელებადობის არგუმენტზე დაყრდნობით.[20] ეკონომიკური ხასიათის მოსაზრებებიც ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობენ: თუკი შესაბამისი ღონისძიება, მაგალითად, საერთო აგრარულ პოლიტიკას ემსახურება, შეიძლება იგი საჭიროდ ჩაითვალოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც იგი არც ისე მსუბუქი იყოს.[21]

საჭიროების კრიტერიუმის არსებობის შემოწმებისთვის დამახასიათებელია ის, რომ უპირატესობა ენიჭება დაზარალებულის ინტერესებს. აღნიშნული კრიტერიუმი განსაკუთრებით მკაცრად გამოიყენება წევრი სახელმწიფოების მიმართ ძირითადი თავისუფლებების გარანტიების დაცვის კუთხით და ხშირად მათ მიერ გატარებული ზომები საჭიროების კრიტერიუმის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.[22]

17 EuGH – Rs. 6/64, Slg. 1964, 1273; Rs. 2/74, Slg. 1974, 652.
18 EuGH – Rs. 265/87, Slg. 89, 2260.
19 EuGH – Rs. 8/55, Slg. 1955/56, 297, 311; Rs. 9/85, Slg. 1986, 2831, 2848.
20 EuGH – Rs. 5/73, Slg. 1973, 1091, 1112.
21 EuGH – Slg. 1973, 400; Rs. 265/87, Slg. 1989, 2260; იხ. ასევე J. Schwarze, Europäisches Verwaltungsrecht, Band II, 1. Auflage, Baden-Baden, 1988, გვ. 835.
22 შეად.: A. Bogdandy, M. Nettesheim, in: E. Grabitz (Hrsg.), Kommentar zu EU, Art. 3b, Rn.54.

ასევე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ჩამოაყალიბა ევროპის გაერთიანების სასამართლომ „იძულებითი მოთხოვნების"[23] კრიტერიუმები, როგორებიცაა, მაგალითად, ვაჭრობის გამჭვირვალეობა და მომხმარებელთა დაცვა, რომლებზეც დაყრდნობით მხოლოდ მაშინ არის გამართლებული ხელშეკრულებით გარანტირებული ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვა, თუკი იგი უპირობოდ საჭიროა.

აღსანიშნავია, რომ საჭიროების კრიტერიუმის შესაბამისი ქმედების შემოწმებას ევროპის გაერთიანების სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში ახორციელებს, თუკი არ დადგინდა მოცემული ქმედების გამოსადეგობის პრინციპთან აშკარა შეუსაბამობა.[24] ეს ტენდენცია სასამართლოს ბოლო პერიოდის პრაქტიკაშიც არ შეცვლილა.[25]

3.1.3 თანაზომიერება ვიწრო გაგებით

ქმედება იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს თანაზომიერად, როდესაც მოსალოდნელი შედეგი ზიანთან თანაზომიერ კავშირშია, ანუ უნდა არსებობდეს გარკვეული თანაფარდობა მხარდაჭერილ და ხელყოფილ სამართლებრივ ინტერესებს შორის. ამას ევროპის გაერთიანების სასამართლო განასხვავებს იმის მიხედვით, საქმე ეხება ხელშეკრულებით გარანტირებული ძირითადი თავისუფლებების თუ ძირითადი უფლებების ხელყოფას. პირველ შემთხვევაში, სასამართლო მოცემულ კრიტერიუმს ამოწმებს ზოგადი შეფასებით. ამასთან, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს, თუ რა წვლილი მიუძღვის თვით იმ პირს, რომლის ინტერესების ხელყოფაც მოხდა განსახილველ მდგომარეობაში აღმოჩენასთან მიმართებით.[26] სავაჭრო-პოლიტიკური დაცვითი ღონისძიებებით დადგენილ შეზღუდვებთან დაკავშირებით ევროპის გაერთიანების სასამართლო აღნიშნავს, რომ საბაზრო ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტებს თავისუფალი არჩევანის საშუალება აქვთ — შეუძლიათ, ბაზრის ნებისმიერი კონკრეტული სეგმენტი აირჩიონ თავიანთი საქმიანობისათვის. შესაბამისად, ისეთი ფულადი სანქციაც არ არის არაპროპორციული, რომელიც საწარმოს არსებობას უქმნის საფრთხეს.[27] ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი შესა-

23 EuGH – Rs. 120/78, Slg. 1979, 649; Rs. 8/74, Slg. 1974, 837; Rs. C-267-268/91, Slg. 1993 I, 6097.
24 მაგ.: EuGH – Rs. 179/84, Slg. 1985, 2301.
25 შეად.: EuGH – Rs. C-68/95, Slg. 1996, I-6065; Rs. C-280/93, Slg. 1994, I-4973.
26 EuGH – Rs. 5/73, Slg. 1973, 1091 (1111).
27 EuGH – Rs. 12/84, Slg. 1984, 1271 (1279).

ბამისი ღონისძიება დისკრიმინაციას ახდენს, გასამართლებელი საფუძვლის გარეშე, საბაზრო ურთიერთობების მონაწილესა ან მონაწილეთა ჯგუფზე, რომლებიც არანებაყოფლობით აღმოჩნდნენ მოცემულ სპეციფიკურ მდგომარეობაში, სასამართლო შესაბამის ღონისძიებას არაპროპორციულად მიიჩნევს.[28] თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუკი შესაბამისი შეზღუდვა საბაზრო ურთიერთობების ყველა მონაწილეს თანაბრად ეხება, სასამართლო მას პროპორციულად მიიჩნევს, თუნდაც ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას რადიკალურად ზღუდავდეს.[29]

ევროპის გაერთიანების სამართლით განსაზღვრული თავისუფლების იმ შინაარსობრივი დეგრადირების შეფასებას, რაც გამოიწვია წევრი სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელმა შეზღუდვებმა, სასამართლო ახდენს ძირითადი თავისუფლების არსის ხელშეუხებლობის პრინციპიდან გამომდინარე.[30]

თუკი შესაბამისი ღონისძიება ძირითად უფლებას ხელყოფს, ევროპის გაერთიანების სასამართლოს შეხედულებით, მხოლოდ მაშინ არის სახეზე არაპროპორციულობა, როცა იგი თავის არსში არის ხელყოფილი.[31] საკითხავია, რა კრიტერიუმით ადგენს სასამართლო, როდის არის ძირითადი უფლება თავის არსში ხელყოფილი. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნეს საერთო საკონსტიტუციო ტრადიციები. თუკი ისინი უშვებენ მოცემული სახის ზომის გატარებას, ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ უფლების არსის ხელყოფა არ ხდება; საწინააღმდეგო დასკვნამდე მიდის სასამართლო იმ შემთხვევაში, თუკი თუნდაც ერთ წევრ სახელმწიფოში მსგავსი შეზღუდვა მიუღებლად ჩაითვლება.[32] გასათვალისწინებელია ასევე შეზღუდვის ხანგრძლივობა, რომლის მიხედვით ვადაში შეზღუდვა და გარდამავალი დებულებები მათი სახისა და მოცულობის შესაბამისად პროპორციულად ან არაპროპორციულად შეიძლება იქნეს მიჩნეული.[33]

გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ ჯერჯერობით ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, რომლის პრეზენტაციაც 2000 წელს მოხდა ევროპული საბჭოს მიერ, კვლავინდებურად იურიდიულად სავალ-

28 EuGH – Slg. 1977, 1221.
29 მაგ. კეოტების დანესება; EuGH – Rs. 138/79, Slg. 1980, 333 (3359).
30 შეად.: I. Pernice, Grundrechtsgehalte im europäischen Gemeinschaftsrecht, 1. Auflage, Baden-Baden, 1979, გვ. 217.
31 EuZW 1992, 155.
32 EuGH – Rs. 4/73, Slg. 1974, 507.
33 EuGH – Rs. 44/79, Slg. 1979, 3727 (3769).

დებულო ძალის არმქონე დოკუმენტად რჩება. ასე რომ, ძირითადი უფლებები ევროპის გაერთიანების სასამართლოს მიერ ევროპის გაერთიანების საყოველთაო პრინციპების სახით ვითარდება. ამასთან, სასამართლოს ძირითადი ორიენტირი კვლავინდებურად არის წევრი სახელმწიფოების საერთო საკონსტიტუციო ტრადიციები და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია,[34] მიუხედავად იმისა, რომ ევროპის გაერთიანება აღნიშნული კონვენციის ხელშემკვრელი მხარე არ არის.[35]

3.2 ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები

ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობა კვლევას იმის შესახებ, უზრუნველყოფილი არის თუ არა თანაზომიერების პრინციპის საშუალებით ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვა, ვინაიდან მას ევროპის გაერთიანების სასამართლო ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში შეზღუდვების ლიმიტირების საშუალებად იყენებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირად სასამართლო პრაქტიკაში, იმის გასარკვევად, თუ რამდენად დაკმაყოფილებულია თანაზომიერების 3 ელემენტის კრიტერიუმთა მოთხოვნები, შემოწმების შემოკლებული ფორმა გამოიყენება. შედეგად, ძირითადი უფლებების ფორმალურ აღიარებასა და მათ პრაქტიკულ ეფექტიანობას შორის შესამჩნევი სხვაობის გამო, ხშირად ლიტერატურაში კრიტიკა გამოითქმება.[36] თუმცა, ამასთან, ავტორთა უმრავლესობის მიერ აღინიშნება, რომ ევროპის გაერთიანების დონეზე შეინიშნება ძირითადი უფლებების დაცვის სულ უფრო მზარდი კულტურა.[37] ისინი, მართალია, აღიარებენ, რომ ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელია დაცვის სფეროს ვიწრო დეფინიციით და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ცნების

34 EuGH – Rs. C-260/89, Slg. 1991 I, 2925.

35 აღნიშნულთან დაკავშირებით დანერილებით იხ.: გ.გაბრიჩიძე, „ადამიანის უფლებების დაცვა და ევროპის გაერთიანების სამართალი", ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, კ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2002, გვ. 26.

36 მაგ. P. Huber, M., Das Kooperationsverhältnis zwischen BVerfG und EuGH in Grundrechtsfragen, EuZW, 1997, 517 (520); J. Caspar, Nationale Grundrechtsgarantien und sekundäres Gemeinschaftsrecht, DÖV 2000, 349; U. Everling, Will Europe slip on bananas? The Bananas Judgement of the Court of the Justice and National Courts, CMLRev. 1996, 33.

37 მაგ. I. Pernice, Gemeinschaftsverfassung und Grundrechtsschutz – Grundlagen, Bestand und Perspektiven, NJW 1990, 2420; U. Kischel, Die Kontrolle der Verhältnismäßigkeit durch den Europäischen Gerichtshof, in: EuR. 2000, 380; M. Zuleeg, Zum Verhältnis nationaler und europäischer Grundrechte – Funktion einer EU-Charta der Grundrechte, EuGRZ, 2000, 511.

ფართო ინტერპრეტაციით, რადგანაც ამ შემთხვევაში ფიზიკური პირი დაცულია მხოლოდ როგორც ეკონომიკური ფაქტორი,[38] მაგრამ, ამასთან, მათ მიერ აღინიშნება, რომ ეს ფენომენი ლოგიკურია დამფუძნებელი ხელშეკრულებების მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც ეკონომიკურ ინტეგრაციაზე იყო მიმართული. ამასთან დაკავშირებით, ხაზი ესმება იმას, რომ საყოველთაო სამართლებრივი პრინციპის ისეთი განვითარებისას, როგორსაც თანაზომიერების პრინციპი და გაერთიანების დონეზე ძირითადი უფლებები აღწევენ, საჭიროა მოიძებნოს საშუალება, რომელიც ხელშეკრულების მიზანს საუკეთესოდ ეთანხმება, არცერთი წევრი სახელმწიფოს სამართლებრივ რწმენას ძირეულად არ ეწინააღმდეგება და შეძლებისდაგვარად უმრავლესობის პრაქტიკას შეესაბამება.[39] თუმცა, ამასთან, ევროპის გაერთიანების სასამართლო არ არის ვალდებული, ნორმათა კონტროლის საფუძვლად რომელიმე წევრი სახელმწიფოს მაქსიმალური დონის დაცვის კრიტერიუმი გამოიყენოს. ამავე დროს, მიიჩნევა, რომ ძირითადი უფლებების გაერთიანების დონეზე არასრულფასოვნად დაცვის კომპენსირება ხდება გაერთიანების სამართლებრივი ძირითადი თავისუფლებების საფუძველზე მიღებული სარგებლით და წევრი სახელმწიფოების პოზიციით, რომელიც ძირითადი უფლებების დაცვაზეა მიმართული.[40] შესაბამისად, თანაზომიერების პრინციპის გამოყენება ზემოაღნიშნული სახით არსებითად შეესაბამება წევრი სახელმწიფოების სამართალწესრიგის სტანდარტებს. შედეგად, თანაზომიერების პრინციპის საშუალებით სამართლებრივი პოზიციების დაცვა საკმაოდ ეფექტიანად ხორციელდება.[41]

ლიტერატურაში განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებს ევროპის გაერთიანების სასამართლოს მიერ თანაზომიერების კრიტერიუმის შემოწმების „შემოკლებული" ვარიანტის გამოყენება. მაგ., შტაინი[42] ამ სახით თანაზომიერების კრიტერიუმის გამოყენების პრაქტიკას შეუსაბამოდ მიიჩნევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან. წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის სამართალწესრიგშიც მოწმდება, თუ რამდენად დაკმაყოფილებულია თანაზომიერების სამივე ელემენტი. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ „შემოკლე-

38 იხ.: J. Ukrow, Richterliche Rechtsfortbildung durch den EuGH, Baden-Baden, 1995, გვ. 53.
39 შეად.: J. Ukrow, Richterliche Rechtsfortbildung durch den EuGH, Baden-Baden, 1995, გვ. 47.
40 იხ.: J. Ukrow, Richterliche Rechtsfortbildung durch den EuGH, Baden-Baden, 1995, გვ. 48.
41 შეად.: J. Ukrow, Richterliche Rechtsfortbildung durch den EuGH, Baden-Baden, 1995, გვ. 54.
42 T. Stein, "Bananen-Split"?, EuZW, 1998, გვ. 261.

ბული" ვარიანტის გამოყენების გამართლება შეუძლებელია ინტეგრაციის განსაკუთრებულ ფასეულობაზე დაყრდნობით.[43]

ევროპის გაერთიანების სასამართლოს მიერ ძირითადი უფლებების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ასევე მიიჩნევა წევრი სახელმწიფოების პოზიციების კოორდინაციასთან დაკავშირებული პრობლემები და ის, რომ ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ძირითადი უფლებების კატალოგი არ არსებობს.[44] მოცემული გარემოება სასამართლოსთვის შეუძლებელს ხდის, განსაზღვროს უფლების დაცვის სფერო, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის გაერთიანების სასამართლოს მიერ განვითარებული ევროპის გაერთიანების სამართლებრივი ძირითადი უფლებების სია საკმაოდ დიდია, ხშირად კრიტიკა გამოითქმება ამ უფლებების დაცვის არასაკმარისად მაღალ ხარისხთან დაკავშირებით.[45]

4. დასკვნა

ევროპის გაერთიანების სამართალში იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე ძირითადი უფლებების კატალოგი კვლავინდებურად არ არსებობს და, შესაბამისად, არ არსებობს მოცემული უფლებების შეზღუდვის ფარგლები. აქედან გამომდინარე, ევროპის გაერთიანების სასამართლო კვლავინდებურად ვალდებულია, მხოლოდ ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის მეორე აბზაცში მოცემული წყაროები, კერძოდ კი წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციები და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია აიღოს ძირითად ორიენტირად. ამასთან, საყოველთაო სამართლებრივი პრინციპები, რომელთაც თანაზომიერების პრინციპიც მიეკუთვნება, უნდა იყოს არა წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ ხედვათა ჯამი, არამედ ახალშექმნილი საერთო სამართლებრივი საფუძველი, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისი იქნება.

43 იხ.: T. Stein, "Bananen-Split"?, EuZW, 1998, გვ. 261.

44 შეად.: P. Huber, M., Das Kooperationsverhältnis zwischen BVerfG und EuGH in Grundrechtsfragen, EuZW, 1997, 517.

45 იხ.: P. Huber, M., Das Kooperationsverhältnis zwischen BVerfG und EuGH in Grundrechtsfragen, EuZW, 1997, 518.

ირაკლი გივიაშვილი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა

1. კავშირი ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად იქცა. ყველასათვის ცხადია, რომ ადამიანის სიცოცხლე დიდწილად გარემოზეა დამოკიდებული.[1] გაერო-ს ფარგლებში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ არსებობს მიზეზშედეგობრივი კავშირი გარემოს დაბინძურებასა და ადამიანების სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფას შორის.[2]

ადამიანის უფლებები მიზნად ისახავს ადამიანის ინტერესების დაცვას, იქნება ეს სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ცხოვრებისა თუ კერძო საკუთრების ინტერესი.[3] ხოლო გარემოს დაცვის ძირითადი მიზნებია ბუნებრივი გარემოს (მაგალითად მიწის, წყლის, ჰაერის, ფლო-

1 კაცობრიობის არსებობა დამოკიდებულია ბუნებრივი გარემოს განუწყვეტელ ფუნქციონირებაზე, რომელიც ანედის ენერგიას და საკვებს ადამიანებს. იხ.: გაეროს „ბუნების მსოფლიო ქარტია", გენერალური ასამბლეის 37/7 რეზოლუცია, 1982 წელი.

2 „გაეროს განვითარების პროგრამის" ფარგლებში მომზადებული კვლევის თანახმად, ორი მილიონი ადამიანის სიკვდილი და ავადმყოფობის მილიარდობით შემთხვევა შეიძლება მიეკუთვნოს გარემოს დაბინძურების მიზეზს.ამავე კვლევის თანახმად, ყოველწლიურად ნაადრევი სიკვდილის 500 მილიონამდე შემთხვევა შეიძლება მიეკუთვნოს ქალაქების დაბინძურების მაღალ დონეს. კვლევაში გაკეთებული გათვლების თანახმად, ოზონის საფარის გაუარესება მედეგად მოიტანს მსოფლიოში კანის სიმსივნის 300000 დამატებით შემთხვევას. იხ. UNDP, World Development Report, World Bank and Human Development Report, 1993; მსოფლიო ბანკმა თავის 1997 წლის მოხსენებაში – „სიცარიელის შევსება" ("Bridging the Gap") – აღიარა, რომ ინფექციური დაავადებების ზრდა პირდაპირ კავშირშია გლობალური დათბობით გამოწვეულ კლიმატის ცვლილებასთან. იხ. ასევე: World Health Organization, The World Health Report on Global Resources, Geneva, 1995, 18-20; World Bank, World Resources: A Guide to the Global Environment, 1996-1997, 181-82.

3 მაგალითისათვის იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მე-2 თავი, 1995 წელი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950 წელი.

რისა და ფაუნის) ადამიანის მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა (ანუ ადამიანების ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს დაცვა).[4] ასე რომ, გარემო, როგორც დაცვის ობიექტი, მოიცავს ბუნებრივ გარემოს (ანუ ბუნებას) და ადამიანურ გარემოს (ანუ ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, უვნებელ გარემოს).[5] ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი განმარტების თანახმად, გარემოს დაბინძურება ნიშნავს ადამიანის მიერ ისეთ მავნე ზემოქმედებას გარემოზე, რომელიც ზიანს აყენებს ბუნებას და/ან საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.[6] ეკოლოგიურ სამართალსა და ეთიკაში განასხვავებენ „ანთროპოცენტრულ" ("anthropocentric") და „ეკოცენტრულ" ("ecocentric") მიდგომებს. „ანთროპოცენტრული" მიდგომის თანახმად, გარემოს დაცვა საჭიროა ადამიანების ინტერესების დაცვის მიზნით (მაგალითად, ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით), ხოლო „ეკოცენტრიზმის" თანახმად, გარემოს დაცვა უნდა ხდებოდეს ბუნების დაცვის მიზნით (მაგალითად: ჰაერის, ფლორისა და ფაუნის დაცვის მიზნით), მიუხედავად მისი მნიშვნელობისა ადამიანებისათვის.[7] მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ეკოლოგიური სამართლის წარმოშობა უკავშირდება მცდელობას — მომხდარიყო ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა ინდუსტრიული რევოლუციით გამოწვეული გარემოს დაბინძურებისაგან. ბრიტანეთში მხოლოდ ბოლო 30 წლის განმავლობაში მოხდა ბუნებრივი გარემოს, როგორც გარემოს დაცვის მიზნის აღიარება.[8] თანამედროვე ეკოლოგიური სამართალი არის ერთგვარი კომბინაცია „ეკოცენტრული" და „ანთროპოცენტრული" მიდგომებისა. საქართველოს კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში ამის კარგი მაგალითია.

ადამიანის უფლებათა დაცვა და გარემოს დაცვა ტრადიციულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილებოდა, მაგრამ იურიდიულ მეცნიერე-

4 მაგალითისათვის იხ.: საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1996 წელი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVI თავი (დანაშაული გარემოს დაცვის წინააღმდეგ), 1999 წელი.

5 ხშირად გარემოს დაცვის კონტექსტში საუბრობენ ერთ მთლიან გარემოზე, ანუ არ ასხვავებენ ბუნებრივ და ადამიანურ გარემოს ერთმანეთისაგან. ასეთ შემთხვევაში დიფერენციაციას ახდენენ გარემოს დაბინძურების მიმღების ("receptor") მიხედვით, მაგალითად, ბუნებრივი გარემოს, როგორც გარემოს დაბინძურების მიმღებისა და ადამიანის ჯანმთრელობის, როგორც გარემოს დაბინძურების მიმღების მიხედვით.

6 M.W. Holdgate, A Perspective on Environmental Pollution, 1979, 24.

7 D. Pepper, Modern Environmentalism, 1996, Chap. 2 and 3; J. Alder and D. Wilkonson, Environmental Law and Ethics, 1999.

8 S. Bell and D. McGillivrary, Environmental Law, 2002, Chap. 1.

ბაში მოგვიანებით განვითარებული მიმართულებანი ცხადყოფს, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის.[9]

დღევანდელ მსოფლიოში გარემოს დაბინძურებას, იქნება ეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს თუ ბუნებრივი გარემოს ელემენტების დაბინძურება, შესწევს ძალა, საფრთხე შეუქმნას ადამიანის უფლებებით დაცულ სიკეთეს. მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს დაბინძურებამ შეიძლება ხელყოს სიცოცხლის უფლება[10] და ბუნებრივი გარემოს დაბინძურებამ შეიძლება ხელყოს ადამიანის საკუთრების უფლება.[11] ე.წ. „სტოკჰოლმის დეკლარაციის" პრეამბულის თანახმად, გარემოს დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.[12] მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე უეერემანტრიმ თავის მოსაზრებაში საქმეზე — *უნგრეთი სლოვაკეთის წინააღმდეგ* (*Hungary* v. *Slovakia*) — ხაზი გაუსვა, რომ გარემოსადმი ზიანის მიყენებამ შეიძლება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში მოცემული ყველა უფლება ხელყოს.[13]ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა არის ურთიერთდამოკიდებული და განუყოფელი, შესაძლებელია გარემოს დაცვის ადამიანის უფლებების დაცვის

9 ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის კავშირებზე ზოგადად, იხ.: A. R. Mowbray, The Development of Positive Obligations under the European Convention on Human Rights by the European Court of Human Rights, 2004, Chap. 6; P. Birnie and A. Boyle, International Law and the Environment, 2002, Chap. 5; S. Coyle and K. Morrow, The Philosophical Foundations of Environmental Law, 2004, Chap. 5; S. Bell and D. McGillivrary, Environmental Law, 2000, Chap. 2; J. Alder and D. Wilkinson, Environmental Law and Ethics, 1999; S. Wolf and N. Stanley, Environemntal Law, 2003, Chap. 12; R. Picolotti and J. D. Taillant (eds.), Linking Human Rights and Environment, 2003; A. Boyle and M. Anderson (eds.), Human Rights Approaches to Environmental Protection, 1998; M. Dejeant-Pons and M. Pallemaerts, Human rights and the Environment, 2002; M. DeMerieux, Deriving Environmental Rights from the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 21 (No. 3), 2001.

10 გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უმეტეს შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს დაბინძურება სწორედ ბუნებრივი გარემოს ელემენტების, მაგ.: ჰაერის, მიწის, ნყლის და ა.შ., დაბინძურების საფუძველზე ხდება. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო ბუნებრივი გარემოს დაბინძურების გარეშე ბინძურდება.მაგალითად, ხმაურის ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს დაბინძურება, მაგრამ არ გამოიწვიოს ჰაერის, როგორც ბუნებრივი გარემოს ელემენტის, დაბინძურება, მიუხედავად იმისა, რომ ხმაურის ზემოქმედებით გამოწვეული ადამიანური გარემოს დაბინძურება სწორედ ჰაერის მეშვეობით ხდება.

11 ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბუნებრივი გარემოს დაბინძურებამ შესაძლოა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გარეშე ხელყოს ადამიანის უფლებით დაცული სიკეთე. მაგალითად, ბუნებრივი გარემოს კონკრეტულმა დაბინძურებამ შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე არ შეუქმნას, მაგრამ ხელყოს კერძო საკუთრება.

12 „ადამიანური გარემოს შესახებ გაეროს კონფერენციის დეკლარაცია", 1972 წელი. ითვლება, რომ საერთაშორისო დონეზე პირველად სწორედ ამ დოკუმენტმა მოახდინა ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის პირდაპირი კავშირის დადგენა.

13 1997 წ..

მიზნით გამოყენება და ადამიანის უფლებების გარემოს დაცვის მიზნით გამოყენება.[14]

ადამიანის უფლებათა სამართლის გადმოსახედიდან ადამიანის უფლებების დაკავშირება გარემოს დაცვასთან მიზნად ისახავს ადამიანების იმდენად დაცვას გარემოს უარყოფითი ზემოქმედებისაგან,[15] რამდენადაც ეს დაიცავს ადამიანების უფლებებს დარღვევისაგან. გარემოს დაცვა არის საშუალება და არა მიზანი ადამიანის უფლებების სამართლისათვის, მაგრამ ეს კავშირი შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს გარემოს დაცვის მიზნებისათვისაც.[16]

გარემოს დაცვასა და ადამიანის უფლებებს შორის კავშირის ერთგვარი „ინსტიტუციონალიზაცია" მოხდა ე.წ. გარემოსდაცვითი უფლების ("environmental right") ჩამოყალიბების სახით.[17] დღესდღეობით შევხვდებით მრავალი ქვეყნის კონსტიტუციას, სადაც ეს უფლება, ამა თუ იმ ფორმით, ადამიანის უფლებად არის აღიარებული.[18] საქართველოს კონსტიტუციაც მათ რიცხვს მიეკუთვნება.[19]აღნიშნული უფლების საქართველოს კონსტიტუციაში ასახვა საქართველოს „მწვანეების" ინიციატივა იყო.[20] ასეთი უფლების არსებობა შედარებით ახალ კონსტიტუციებს ახასიათებთ. გარემოსდაცვითი უფლებები აღიარებულია ასევე მრავალ საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტში.[21] ხაზი უნდა გაესვას, რომ ამ

14 M. Anderson, Human Rights Approaches to Environmental Protection: An Overview, in: Human Rights Approaches to Environmental Protection, A. Boyle and M. Anderson M. (Eds.), 1998, 3.

15 იქნება ეს ბუნებრივი გარემოს თუ ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს დაბინძურებიდან გამომდინარე გარემოს უარყოფითი ზემოქმედება.

16 დღესდღეობით უკვე იშვიათობა აღარ არის ეკოლოგიური სამართლის სახელმძღვანელოებში ადამიანის უფლებების, როგორც გარემოს დაცვის ერთ-ერთი მექანიზმის, განხილვა. იგი განიხილება როგორც გარემოს დაცვის სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული მექანიზმების დამატებითი მექანიზმი. მაგალითისათვის იხ. S. Bell and D. McGillivrary, Environmental Law, 2000.

17 გარემოსდაცვითი უფლება სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს ფორმულირებული. მაგ.: „ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს უფლება" ("Right to a Healthy Environment"), „სუფთა გარემოს უფლება" ("Right to a Clean Environment"), „სახარბიელო გარემოს უფლება" ("Right to a Favourable Environment"), „ეკოლოგიურად გამართული გარემოს უფლება" ("Right to Ecologically Sound Environment") და ა.შ.

18 იმ კონსტიტუციების სია, სადაც ეს უფლება აღიარებულია, მოცემულია გაეროს ფარგლებში ქსენტინის მიერ მომზადებულ მოხსენებაში. იხ. Human Rights and the Environment, Final Report, prepared by Fatma Zohra Ksentini, Special Rapporteur, UN Doc. E/CN.4/Sub.2/1994/9, Annex III.

19 საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი..."

20 თ. ურუშაძე და ვ. ლორია, ეკოლოგიური სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 19-20.

21 იხ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სფეროში ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-11 მუხლი და ადამიანისა და ხალხის უფლებებზე აფრიკული ქარტიის 24-ე მუხლი. აღსანიშნავია, რომ 1970-იანი წლების დასაწყისში წარუმატებელი მცდელობა იყო, მოემზადებინათ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს უფლებას ჩამოაყალიბებდა.

უფლებასთან დაკავშირებული ლიტერატურა საკმაოდ შთამბეჭდავი მოცულობისაა.[22]

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უფლებები მრავალი ქვეყნის კონსტიტუციით და არაერთი საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტით არის აღიარებული, გარემოს დაცვის საკითხებზე ადამიანის უფლებების მექანიზმის გამოყენებისას აქცენტი კეთდება არა გარემოსდაცვით უფლებაზე, არამედ სიცოცხლის, პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და საკუთრების უფლებებზე. ანუ ხდება სიცოცხლის უფლების, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და საკუთრების უფლების გარემოს დაცვასთან დაკავშირება და მათი ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც დაიცავს ადამიანთა ამ უფლებებს გარემოს უარყოფითი ზემოქმედებისაგან. გარემოსდაცვითი უფლების გამოყენების უგულებელყოფის მიზეზი არაერთია. ამ უფლების მნიშვნელობა არ არის დაზუსტებული,[23] რადგან რთულია მისი საკმარისი სიზუსტითა და გარკვევით განსაზღვრა.[24] ამ უფლების განსაზღვრის სირთულე განპირობებულია გარემოს ცნების განმარტებაზე კონსენსუსის მიღწევის სირთულით.[25] უფლების ზუსტი მნიშვნელობა რომც დადგინდეს, პრობლემური დარჩება მისი სასამართლოების მიერ გამოყენების საკითხი. ძნელად წარმოსადგენია, რომ სასამართლომ ასეთი ზოგადი უფლების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს დააკისროს გარემოს გამოსწორებისათვის საჭირო ხარჯების გამოყოფა.[26] ალბათ, სწორედ ამ მიზეზების გამო არ ხდება ამ უფლებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება საქართველოს სასამართლოებში.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ინ-

22 ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს უფლებაზე ზოგადად, იხ.: D. Bryden, Environmental Rights in Theory and Practice, Minnesota Law Review, 62, 1978; P. Cullet, Definition of an Environmental Rright in a Human Rights Ccontext, Netherlands Quarterly of Human Rights, Vol. 13, No. 1, 1995; J. Nickel, The Human Rights to a Safe Environment: Philosophical Perspectives on its Scope and Justification, YJIL, 18/1, 1993; A. Kiss, Concept and Possible Implications of the Right to Environment, in: Human Rights in the Twenty-first Century: a Global Challenge, K.E. Mahoney and P. Mahoney (Eds.), 1993, 551-559; A. Kiss, An introductory Note on a Human Right to Environment, in: Environmental Change and International Law: New Challenges and Dimensions, E.B. Weiss (Ed.), 1992, 199-204; J. Hancock, Environmental Human Rights: Power, Ethics and Law, 2003.

23 P. Birnie and A. Boyle, International Law and the Environment, 2002, 256.

24 R. Pathak, The Human Rights System as a Conceptual Framework for Environmental Law, in: Environmental Change and International Law: New Challenges and Dimensions, E.B. Weiss (Ed.), 1992, 209.

25 A. Kiss, The Right to the Conservation of the Environment in: Linking Human Rights and Environment, R. Picolotti and J.D. Taillant (Eds.), 2003, 32.

26 S. Bell and D. McGillivrary, Environmental Law, 2000, 56.

ტერამერიკული კომისიისა და ადამიანის უფლებათა აფრიკული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აღიარებენ კავშირს ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის.[27] ადამიანის უფლებები, რომლებსაც გარემოს დაცვასთან აკავშირებენ, ორ კატეგორიად იყოფა – არსებითი უფლებები და პროცესუალური უფლებები. არსებით უფლებებს ძირითადად მიეკუთვნება: სიცოცხლის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და საკუთრების უფლება; პროცესუალურ უფლებებს მიეკუთვნება: სამართლიანი სასამართლოს უფლება (მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა), ინფორმაციის მიღების უფლება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება.[28]

რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისოსამართლებრივი აქტია, რომელმაც მოიცვა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მთელი კომპლექსი,[29] გასაკვირი არ უნდა იყოს მისი განსაკუთრებული როლი ადამიანის უფლებების გარემოს დაცვასთან დაკავშირების საქმეში.

2. კავშირი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და გარემოს დაცვას შორის

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას გარემოს დაცვასთან ადამიანების გარემოს ზემოქმედებისაგან დაცვის მიზანი აკავშირებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის ზოგიერთ უფლებას ადამიანების გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დასაცავად განმარტავს.[30] მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არსად არ ახსენებს გარემოს, კონვენციის პრაქტიკა ითვალისწინებს გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული დავების ადამიანის უფლებების დარღვევის ჩარჩოში მოქცევის გზებს.[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-

27 D. Shelton, The Environmental Jurisprudence of International Human Rights Tribunals in: Linking Human Rights and Environment, R. Picolotti and J.D. Taillant (Eds.), 2003, 12.

28 თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პირველ, ისე მეორე კატეგორიას სხვა უფლებებსაც მიაკუთვნებენ. მაგალითად: ჯანმრთელობის უფლებას და კულტურულ უფლებას მიაკუთვნებენ პირველ კატეგორიას; შეკრების თავისუფლებას (რომელიც მოიაზრება გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებად) — მეორე კატეგორიას. იხ. R. Picolotti and J. D. Taillant (eds.), Linking Human Rights and Environment, 2003;

29 ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2001, გვ. 219.

30 S. Bell and D. McGillivrary, Environmental Law, 2000, 55.

31 *Ibid.*, 110.

მართლოს პრეცედენტული სამართლით აღიარებულია, რომ თუ გარემოს დაბინძურება ადამიანებზე მავნე ზემოქმედებას მოახდენს, ამას შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა მოჰყვეს.[32]

2.1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არსებითი უფლებები

2.1.1 მე-2 მუხლი – სიცოცხლის უფლება[33]

საქმეში — *ლ.ს.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*LCB v. the United Kingdom*) — ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ რადიაციული გამოსხივების მიზეზით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას შეიძლება მე-2 მუხლის დარღვევა მოჰყვეს.[34] საქმეში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი სიცოცხლის უფლება რადიაციული გამოსხივებით[35] გამოწვეული მიზეზების გამო შეილახა. განმცხადებლის მამა ესწრებოდა ოთხ ბირთვულ ცდას, რომლებიც 1957-58 წლებში ტარდებოდა. თვით განმცხადებელი 1966 წელს დაიბადა და მას მოგვიანებით სისხლის გათეთრების დიაგნოზი დაუსვეს. განმცხადებლის მტკიცებით, სახელმწიფოს მხრიდან მისი მშობლების გაუფრთხილებლობას შვილის ჯანმრთელობისათვის შესაძლო საფრთხის შექმნის თაობაზე, რომელიც გამომდინარეობდა მამამისის ბირთვულ ცდებში მონაწილეობიდან, კონვენციის მე-2 მუხლს არღვევდა.[36] აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ გამოარკვია, რომ არ იყო დადგენილი განმცხადებლის მამის რადიაციის საშიში დოზით დასხივების ფაქტი. სასამართლოს განცხადებით,არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ განმცხადებლის მამას სადმე მაღალი რადიაციით დასხივების სიმპტომების გამო მიემართა. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ არ დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა, რადგან არ დადგინ-

32 M. Dejeant-Pons and M. Pallemaerts, Human Rights and the Environment, 2002, 15-16.

33 კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: „ადამიანის უფლება სიცოცხლეზე დაცული იქნება კანონის მიერ.არავის სიცოცხლე არ შეიძლება იყოს განზრახ ხელყოფილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სრულდება სასამართლოს განაჩენი პიროვნების დამნაშაულად აღიარების შემდეგ და როცა ასეთ სასჯელს ითვალისწინებს კანონი".

34 1998 წელი, 4 BHRC 447.

35 თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ რადიაციული გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა ეკოლოგიური სამართლის ობიექტია. მაგალითისათვის იხ. გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი და საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ, 1998 წელი.

36 განმცხადებლის მტკიცებით, სახელმწიფოს მამამისზე რადიაციის ზემოქმედების დონის მონიტორინგიც უნდა განეხორციელებინა.

და მიზეზშედეგობრივი კავშირი განმცხადებლის მამის ბირთვულ ცდებში მონაწილეობასა და განმცხადებლის სისხლის გათეთრებას შორის.

კონვენციის მე-2 მუხლი შეიძლება დაირღვეს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება არ მიაწვდის ინფორმაციას არსებული რისკების თაობაზე იმ პირებს, რომლებსაც რადიაციული დასხივების გარკვეული საშიშროება ემუქრებათ.[37] ეს გადაწყვეტილება ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს, გააფრთხილონ ადამიანები იმ რისკების თაობაზე,[38] რომლებიც მათ ჯანმრთელობას ემუქრებათ სახელმწიფოს საქმიანობის გამო.[39] აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ აღიარა სიცოცხლის უფლების ფართო გაგება, რომლის თანახმად, სახელმწიფოს გარკვეულ გარემოებებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის მიზნით ზომების მიღების პოზიტიური ვალდებულება ეკისრება.[40] მე-2 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს სიცოცხლის უფლების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ ვალდებულია, უზრუნველყოს ამ უფლების დაცვა, მათ შორის მესამე მხარის (ფიზიკური და იურიდიული პირები) მიერ დარღვევისაგან (პოზიტიური ვალდებულება).[41]

მნიშვნელოვანია, ადამიანებს არ გაუჩნდეთ იმის ილუზია, რომ შეძლებენ კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენებას გარემოს დაბინძურების ისეთ კონტექსტში, სადაც კავშირი გარემოს დაბინძურებასა და მათდამი მიყენებულ ზიანს შორის არ იქნება გარკვეული. საქმეში — *ტაურია საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Tauria v. France*) — განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა სახელმწიფოს მიერ ბირთვული ცდების განახლებასთან დაკავშირებით.[42] მაგრამ აღნიშნულ საქმეზე განმცხადებელმა ვერ შეძლო, დაერწმუნებინა მოსამართლეები, რომ ის იყო მე-2 მუხლის დარვევის „მსხვერპლი" კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით. იმის მტკიცება, რომ ცდების „შესაძლო შედეგები" საფრთხეს შეუქმნიდა მას და არსებობდა „რადიაქტიური გაჟონვის საშიშროება", არ აღმოჩნდა ამისათვის საკმარისი.

37 S. Bell and D. McGillivrary, Environmental Law, 2000, 110.

38 მაშინ, როდესაც ხელისუფლებამ უთუოდ იცის ასეთი რისკის არსებობა.

39 M. DeMerieux, Deriving Environmental Rights from the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 21 (No. 3), 2001, 543.

40 *იქვე*, 544.

41 კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, 2003 წელი, გვ. 27-28. კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება აღიარებულია სხვა გადაწყვეტილებებშიც, მაგ.: *მაკკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*McCann v. the United Kingdom*), 1995 წელი, Series A, no.324, 161-ე პუნქტი; *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Osman v. the United Kingdom*), 1998 წელი, Reports 1998-VIII, 3159-61, 115-ე-116-ე პუნქტები.

42 1995 წელი, 83 D&R 112.

2.1.2 მე-8 მუხლი – პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება[43]

გარემოს მნიშვნელოვანი დაბინძურებისაგან ადამიანების დაცვის მიზნით სასამართლო შემოქმედებითად განმარტავს მე-8 მუხლს.[44] სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, გარემოს დაბინძურებას შეიძლება კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა მოჰყვეს.[45]

ა) გარემოს ზემოქმედებისაგან ინდივიდების დაცვა

საქმეში — *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ* (*López Ostra v. Spain*) — სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ გარემოს დაბინძურებამ განმცხადებელზე საზიანო ეფექტი მოახდინა.[46] 1988 წლის ივლისში ქალაქ ლორკაში ფუნქციონირება დაიწყო ნარჩენების გადამამუშავებელმა კერძო საამქრომ. საამქროს არ გააჩნდა ლიცენზია, რომელიც საჭირო იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. საამქროს ხელმძღვანელობას არც კი მიუმართავს ლიცენზიის მიღების სპეციალური პროცედურისათვის. ფუნქციონირების დაწყებისთანავე, გარემოს დაბინძურებით, საამქრომ პრობლემები შეუქმნა ახლოს მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობას.ლოპეზ ოსტრა ამ ადამიანებს შორის აღმოჩნდა, რადგან იგი საამქროდან 12 მეტრის დაშორებით ცხოვრობდა. საამქროს მიერ გამოწვეული პრობლემების საპასუხოდ ქალაქის მერიამ თავისი ხარჯებით ქალაქის მოსახლეობის ეს ნაწილი სამი თვით (ივლისი, აგვისტო და სექტემბერი) ქალაქის ცენტრში გადაიყვანა საცხოვრებლად. 1988 წლის 9 სექტემბერს, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის სახელმწიფო ორგანოების მიერ აღნიშნულ პრობლემაზე ანგარიშის მომზადების შემდეგ, ქალაქის მერიამ საამქროს გარკვეული საქმიანობა აუკრძალა, კერძოდ, ქიმიური და ორგანული ნარჩენების წყლის რეზერვუარებში ჩაშვება,მაგრამ ნება დართო, გაეგრძელებინა ქრომით დაბინძურებული წყლის ნარჩენების გამოყ-

43 „1. ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მის მიმოწერას.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“ მე-2 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ ეს უფლება მიეკუთვნება კონვენციის იმ უფლებებს, რომელთა შეზღუდვა დაშვებულია გარკვეულ პირობებში.

44 S. Bell and D. McGillivrary, Environmental Law, 2000, 110.

45 T. Mare and B. Kenelly, Article 8: Right to Respect for Private and Family Life, Home and Correspondence, In: Human Rights Law and Practice, Lord Lester and D. Pannick (Eds.), 2004, 302.

46 1995 წელი, 20 EHRR 277.

ენება. 1988 წლის ოქტომბერში ლოპეზ ოსტრა და მისი ოჯახი დაუბრუნდა საკუთარ ბინას, სადაც 1992 წლამდე ცხოვრობდნენ, მაგრამ 1991-1993 წლების განმავლობაში ექსპერტთა მიერ მომზადებულ მოსაზრებებსა და წერილობით მტკიცებულებებში ჩანს, რომ გარემოს ისეთი დაბინძურება გრძელდებოდა, რომელსაც შეეძლო ახლოს მცხოვრები პირების ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა. ესე იგი, მიუხედავად საამქროს ნაწილობრივი დახურვისა, გრძელდებოდა განმცხადებელზე გარემოს ზემოქმედება. 1992 წლის თებერვალში განმცხადებელი მუნიციპალიტეტის ხარჯებით კვლავ იქნა გადაყვანილი ქალაქის ცენტრში, ხოლო 1993 წლის თებერვალში ლოპეზ ოსტრას ოჯახი გადავიდა ოჯახის ხარჯებით შეძენილ ახალ სახლში. საამქრო მხოლოდ 1993 წელს დაიხურა. ასე რომ, 1988 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, 1992 წლის თებერვლამდე ლოპეზ ოსტრას ოჯახი ცხოვრობდა საამქროდან 12 მეტრის დაშორებით საამქროდან მომდინარე სუნის, ხმაურისა და კვამლის პირობებში, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მას და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობას.

1990 წელს ლოპეზ ოსტრამ საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის თაობაზე. კომისიამ საქმე სასამართლოს წარუდგინა. ლოპეზ ოსტრას განცხადებით, ესპანეთის ხელისუფლებამ, საამქროდან მომდინარე გარემოს დამაბინძურებელი ზემოქმედების პრობლემის არაღკვეთის გამო, მე-8 მუხლით გარანტირებული მისი საცხოვრებლის პატივისცემის უფლება დაარღვია, რადგან საამქროს მუშაობა, მიუხედავად ნაწილობრივი დახურვისა, გაუსაძლისს ხდიდა მისი ოჯახის ცხოვრების პირობებს და ოჯახის წევრების ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. გაირკვა, რომ საამქროს გამონაბოლქვი შეიცავდა ქიმიური ნივთიერებების იმ მოცულობას, რაც აღემატებოდა დასაშვებს და საფრთხეს უქმნიდა ახლოს მცხოვრებ ადამიანთა ჯანმრთელობას. სასამართლომ განაცხადა, რომ: „გარემოს მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მართლაც მოახდინოს ინდივიდთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ, ისარგებლონ თავიანთი საცხოვრებლით, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თუ არა მათი ჯანმრთელობა.“ სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის ოჯახს სამ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მოუწია საამქროდან მომდინარე გარემოს ზემოქმედე-

ბის პირობებში ცხოვრება. სასამართლოს განცხადებით, ხელისუფლება პირდაპირ არ იყო პასუხისმგებელი კერძო საამქროს საქმიანობაზე, მაგრამ მან არ მიიღო საჭირო ზომები განმცხადებლის უფლების დასაცავად. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, როგორც მე-2 მუხლის, ისე მე-8 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ეკისრება. სასამართლომ განაცხადა, რომ, მიუხედავად მოპასუხე სახელმწიფოს ხელთ არსებული თავისუფალი შეფასების ფარგლებისა, მან წარმატებით ვერ გაართვა თავი განმცხადებლის კერძო და ქალაქისათვის ეკომიკური შემოსავლის საჯარო ინტერესების სამართლიან დაბალანსებას.

ლოპეზ ოსტრას საჩივრისაგან დამოუკიდებლად მისმა ნათესავებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ იმავე შენობაში, ჯერ საჩივრით მიმართეს ადგილობრივი უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატას და შემდგომ მიაღწიეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას საამქროს წინააღმდეგ. ორივე შემთხვევაში მიიღეს გადაწყვეტილება სააქმროს დახურვის თაობაზე და ორივე შემთხვევაში გასაჩივრებულ იქნა გადაწყვეტილება, რამაც საამქროს 1993 წლამდე მუშაობის საშუალება მისცა.[47] როგორც აღნიშნული მაგალითიდან ნათლად ჩანს, ადამიანების გარემოს დაბინძურებისაგან დაცვისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმი შესაძლებელია, უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს, ვიდრე ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი მექანიზმები.

საქმეში – *ფადეევა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ* (*Fadeyeva* v. *the Russian Federation*) — სასამართლომ კვლავ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა გარემოს დაბინძურების მიზეზების საფუძველზე.[48] განმცხადებელი ცხოვრობდა ქ. ჩერეპოვეცში, 450 მეტრის მოშორებით ფოლადის კერძო ქარხნიდან. განმცხადებლის მტკიცებით, ქარხნის მუშაობა იწვევდა გარემოს დაბინძურებას, კერძოდ, ხმაურს, მტვერს, ტოქსიკურ გამონაბოლქვს, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენდა მის ჯანმრთელობაზე.

47 ადმინისტრაციულ პალატაში შესული საჩივარი მოითხოვდა საამქროს გაჩერებას, რადგან ის ლიცენზიის გარეშე ფუნქციონირებდა. 1991 წელს სასამართლომ გამოტანა გადაწყვეტილება ლიცენზიის არქონის საფუძველზე საამქროს დახურვის თაობაზე,მაგრამ გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდა ქალაქის მერიისა და საამქროს მფლობელის მიერ გასაჩივრების შემდეგ. საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 1994 წელს საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში ეს გასაჩივრებული საქმე კვლავ წარმოებაში იყო. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, იგი სააქმროს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ აღიძრა 1991 წელს და საფუძვლად დაედო „ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული გარემოს დაბინძურების დანაშაულის" ჩადენა, რომელსაც ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს. აღნიშნულ საქმეზე მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სააქმროს დახურვის შესახებ, მაგრამ ისიც გასაჩივრებულ იქნა და სააქმროს დახურვა 1993 წლამდე გადაიდო.

48 2005 წელი.

განმცხადებლის მტკიცებით, სახელმწიფომ არ დაიცვა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება გარემოს ზემოქმედებით დარღვევისაგან. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის დაცვა, რაც მას შეეძლო გაეკეთებინა ან მისთვის სხვა საცხოვრებელი ადგილის გამოყოფით, ან გარემოს დაბინძურების დონის შემცირებით.

ასევე საინტერესოა ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც სასამართლომ აღიარა გარემოს ზემოქმედებისაგან მე-8 მუხლის დარღვევის შესაძლებლობა, მაგრამ არ დაადგინა დარღვევა. საქმეში – *ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Powell and Rayner v. the United Kingdom*) – განმცხადებლები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჰისროუს აეროპორტის მახლობლად, ამტკიცებდნენ, რომ საჰაერო მიმოსვლით გამოწვეული ხმაური მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას არღვევდა.[49] სასამართლომ დაადგინა თვითმფრინავების ხმაურის ზემოქმედებით მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების) დარღვევა, მაგრამ ვერ დაადგინა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა, რომელიც ითვალისწინებს უფლების შეზღუდვას. შესაბამისად, არ დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ სამართლიანი ბალანსი დაადგინა განმცხადებლის კერძო ინტერესსა (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და საზოგადოების საჯარო ინტერესს (აეროპორტის წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაში) შორის. ამ საქმის შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად ეყრდნობა ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას, გარემოს ზემოქმედების გარკვეული ზომის მისაღებად მიჩნევის გასამართლებლად.[50] ერთ-ერთი ასეთი საქმე იყო *ჰატონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Hatton and Others v. the United Kingdom*).[51] აღნიშნული საქმეც ჰისროუს აეროპორტის საჰაერო მიმოსვლის გამო მე-8 მუხლის დარღვევას ეხებოდა. აღნიშნულ საქმეზეც იდენტურად დადგინდა მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, მაგრამ არ იქნა დადგენილი მე-2 პუნქტის დარღვევა. თუმცა სასამართლომ თავდაპირველად დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა,[52] მაგრამ საქმე

49 1990 წელი, 12 EHRR 355.

50 D. Shelton, The Environmental Jurisprudence of International Human Rights Tribunals, in: Linking Human Rights and Environment, R. Picolotti and J.D. Taillant (Eds.), 2003, 14.

51 Reports of Judgements and Decisions 2003-VIII.

52 2002 წელი, 34 EHRR .

გასაჩივრდა სასამართლოს დიდ პალატაში, რომელმაც სახელმწიფო გაამართლა.

ბ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გარემოს ზემოქმედების საფრთხეზე

საქმეში — *გუერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ* (*Guerra and Others* v. *Italy*) — სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა იმის საფუძველზე, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებელთა ინფორმირება გარემოს ზემოქმედების იმ საფრთხის თაობაზე, რომელიც მათ კერძო ქარხნიდან ემუქრებოდათ.[53] ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ განმცხადებლების ჯანმრთელობაზე ზეგავლენას არ ახდენდა ქარხნის მუშაობა (რაც მოხდა ლოპეზ ოსტრას შემთხვევაში). საკითხი ეხებოდა გარემოს ზემოქმედების რისკს, რომელიც, ქარხნის ხასიათიდან გამომდინარე, განმცხადებლებს ემუქრებოდათ. მარია გუერა და სხვა 39 განმცხადებელი ცხოვრობდა ქალაქ მანფრედონიაში, დაახლოებით ერთი კილომეტრის მოშორებით კერძო ქარხნიდან, რომელიც წარმოებისას ქიმიურ ნივთიერებებს იყენებდა. წლების განმავლობაში ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოებს არ უცდიათ ადგილობრივი მაცხოვრებლების ინფორმირება ქარხნიდან მომავალი რისკებისა და საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი უსაფრთხოების ზომების თაობაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1988 წელს იტალიაში მიიღეს კანონი, რომელიც ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოებს ავალდებულებდა, მიეწოდებინა ინფორმაცია ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის მათ სიახლოვეს არსებულ საშიშ ინდუსტრიულ საამქროებზე და ამ საქმიანობით გამოწვეული საგანგებო ვითარების შემთხვევაში საჭირო უსაფრთხოების ღონისძიებებზე. ასევე გასათვალისწინებელია ქარხნის წარსული – ქარხნის მიერ გამოწვეული გარემოს დაბინძურებით 1970 წელს 150 ადამიანი მოიწამლა და მათი საავადმყოფოში მკურნალობა გახდა საჭირო.

გუერამ და სხვა დანარჩენმა 39-მა მაცხოვრებელმა საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. მათი განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ქარხნიდან მომავალი საფრთხეების თაობაზე მათთვის ინფორმაციის მიწოდება. განმცხადებლები ჩიოდნენ არა სახელმწიფოს მოქმედების, არამედ უმოქმედობის გამო. სასამართლომ მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევა დაადგინა. მან გამოარკვია, რომ სახელმწიფომ არ გადადგა ნა-

53 1998 წელი, 26 EHRR 357.

ბიჯები განმცხადებლების უფლების ეფექტიანი დაცვისათვის. სასამართლოს განცხადებით, განმცხადებლები 1994 წლამდე ამაოდ ელოდნენ იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ, შეეფასებინათ საფრთხე, თუ იგი დაემუქრებოდათ ქ. მანფრედონიაში (ქალაქი, რომელსაც მოელოდა საფრთხე ქარხანაში ავარიის მოხდენის შემთხვევაში) ცხოვრების გაგრძელების შემთხვევაში.

აღნიშნულ საქმეში ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: განმცხადებლები ასევე ამტკიცებდნენ კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული ინფორმაციის მიღების თავისუფლების[54] დარღვევას. სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებლებისათვის რისკებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ სასამართლომ არ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა, რომელიც ინფორმაციის მიღების უფლებას ითვალისწინებს და ეს მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლები ითხოვდნენ წინასწარ არსებული ოფიციალური ინფორმაციის მიღებას,ამის მიზეზი ისაა, რომ სასამართლო შეზღუდულად განმარტავს ინფორმაციის მიღების უფლებას.[55]

2.1.3 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი – საკუთრების დაცვა[56]

პირველი ოქმის 1-ლი მუხლი ადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრების უფლებას და ამ უფლების განხორციელების შეზღუდვის პირობებს. ასე რომ, საკუთრების უფლება მიეკუთვნება იმ უფლებებს, რომელთა შეზღუდვა დაშვებულია. შესაბამისად, საკუთრების უფლების დარღვევის საკითხის განხილვისას სასამართლო არკვევს სახელმწიფოს მიერ განმცხადებლის კერძო და საჯარო ინტერესს შორის დადგე-

54 ინფორმაციის მიღების თავისუფლება ორი ასპექტით ვლინდება: 1. მასმედიის წარმომადგენელთა მიერ ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლებით, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, აცნობონ აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებას; და 2. საზოგადოების უფლებით – მიიღოს ინფორმაცია, კერძოდ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს. იხ. კ. კორკელია და ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004 წელი, გვ. 201.

55 იხ. სტატიის 2.3.2 პუნქტი (ინფორმაციის მიღების უფლება).

56 „ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი მფლობელობით.არავის არ შეიძლება წაერთვას მფლობელობა, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვენ და იმ პირობებით, რომლებიც გათვალისწინებული არის კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით.
ზემო დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას უზრუნველყოს ისეთი კანონების შესრულება, რომლებიც მას აუცილებლად მიაჩნია საერთო ინტერესებიდან გამომდინარე საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის ან ბეგარის ან სხვა გადასახადების და ჯარიმების აკრეფის უზრუნველყოფისათვის.“

ნილი ბალანსის სამართლიანობას. საკუთრების უფლების გარემოს ზემოქმედებისაგან დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებს თუ გადავხედავთ, ნათელია, რომ ეკონომიკური ინტერესი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესი, შესაძლებელს ხდიდა საკუთრების უფლების დარღვევის გარეშე ბირთვული ქარხნის ამუშავებას,[57] აეროპორტის ფუნქციონირებას[58] და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენებას.[59]

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში აღიარა გარემოს ზემოქმედების მიზეზით საკუთრების უფლების დარღვევის შესაძლებლობა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ სასამართლოს პრაქტიკით დაშვებულია საკუთრების უფლებით სარგებლობის შეზღუდვა, როდესაც ეს სარგებლობა გარემოს დაცვას უქმნის საფრთხეს. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია ზოგიერთ შემთხვევაში მე-2 პუნქტში ფორმულირებულ „საერთო ინტერესს" გარემოს დაცვის მიზნებისათვის იყენებდა.[60] ამის ნათელი მაგალითია „ბუნების კონსერვაციის" გაერთიანება „საერთო ინტერესის" ცნებაში.[61] ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლომაც დაამთხვია „საზოგადოებრივი ინტერესები" გარემოს დაცვის ინტერესებს და განაცხადა, რომ დღევანდელ საზოგადოებაში გარემოს დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.[62]

2.2 ადამიანის უფლებათა კონვენციის პროცესუალური უფლებები

გარემოს დაცვას ძირითადად სამ პროცესუალურ უფლებას უკავშირებენ. ესენია: სამართლიანი სასამართლოს უფლება (მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა), ინფორმაციის მიღების უფლება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირველ ორ უფლებას აერთიანებს. რაც შეეხ-

57 *ს საფრანგეთის წინააღმდეგ* (*S v. France*), 1990 წელი, 65 D & R 250.

58 *ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Powell and Rayner v. the United Kongdom*), 1990 წელი, 12 EHRR 355.

59 *გ და ე ნორვეგიის წინააღმდეგ* (*G and E v. Norway*), 1983 წელი, 35 D&R 30.

60 *იქვე*..

61 *ოერლემანსი ნიდერლანდების წინააღმდეგ* (*Oerlemas v. the Netherlands*), No. 12565/86 62 D & R 200, 205.

62 *ფრედინი შვედეთის წინააღმდეგ* (*Fredin v. Sweden*), 1991 წელი, 13 EHRR 787, 48-ე პუნქტი.

ება მესამე უფლებას, კონვენცია მას არ იცნობს. არსებობს მოსაზრება, რომ ეს უფლება იგივეა, რაც მმართველობაში მონაწილეობის უფლება ("right to participate in governance") და ამგვარად იგულისხმება თავისუფალ არჩევნებში მონაწილეობის უფლებაში, რომელიც გარანტირებულია კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლით.[63] აღნიშნული მოსაზრება საკმაოდ სადავოა, რადგან არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ამაზე მიანიშნებდეს.

2.2.1 მე-6 მუხლი – სამართლიანი სასამართლოს უფლება[64]

კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლებას ადგენს, სასამართლოს განმარტებით, ასევე მოიცავს „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას" მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.[65] გარემოს დაცვის პრობლემატიკასთან კავშირში მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის ამ უფლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარემოს ზემოქმედება გავლენას ახდენს „სამოქალაქო უფლებებზე". საგულისხმოა, რომ თვით კონვენცია არ იძლევა ტერმინ „სამოქალაქო უფლებების" განმარტებას, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა ნათელს ჰფენს მის მნიშვნელობას.[66] საქმეში — *ზანდერი შვედეთის წინააღმდეგ* (*Zander* v. *Sweden*) — განმცხადებელი ამტკიცებდა მე-6 მუხლის დარღვევას იმის საფუძველზე, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა, სასამართლო წესით დაეცვა თავისი საკუთრების უფლება გარემოს ზემოქმედებისაგან.[67] სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა,

63 D. Shelton, The Environmental Jurisprudence of International Human Rights Tribunals, in: Linking Human Rights and Environment, R. Picolotti and J.D. Taillant (Eds.), 2003, 6.

64 „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან წაყენებული ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან ან საჯარო მოსმენაზე..."

65 იხ. *გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Golder* v. *the Unite Kingdom*), 1975 წელი, ECHR Series A, No. 18; ასევე, *კლასი გერმანიის წინააღმდეგ* (*Klass* v. *Germany*), 1978 წელი, ECHR Series A, No. 28.

66 კომერციული სფეროდან სასამართლომ განიხილა ისეთი საქმეები, რომელთა ობიექტიც ეხებოდა პროფესიული საქმიანობის ლიცენზირების უფლებას. საოჯახო სამართლის სფეროდან განხილულ საქმეთა ობიექტი გამხდარა ბავშვთა შვილად აყვანის საკითხი, სოციალური უზრუნველყოფის სფეროდან სასამართლომ განიხილა საქმეები, რომელთა დაცვის საგანი ეხებოდა სამედიცინო დაზღვევას. მე-6 მუხლით განმტკიცებული გარანტიები ვრცელდება ადმინისტრაციის ქმედების წინააღმდეგ მიმართულ სასამართლო განხილვებზეც. სამოქალაქო უფლებების ჭრილში იხილება ქონებრივი ურთიერთობები, თუ მხარედ სახელმწიფო გვევლინება. იხ. კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004 წელი, გვ. 157-158.

67 1993 წელი, ECHR series A, number 279B.

რადგან „სამოქალაქო უფლებები" მოიცავს საკუთრების საკითხებს. ხოლო საქმეში — *ბალმერ-შაფროთი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ* (*Balmer-Schafroth and Others* v. *Switzerland*) — განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მე-6 მუხლით მათ უფლება ჰქონდათ, სასამართლო წესით გაესაჩივრებინათ ატომური ელექტროსადგურის ამუშავების თაობაზე მთავრობის გადაწყვეტილება.[68] სასამართლომ არ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან არ დადგინდა პირდაპირი კავშირი ატომური ელექტროსადგურის მუშაობასა და მათი „სამოქალაქო უფლებების" ხელყოფას შორის.

ესეიგი, გარემოს დაცვის საკითხებზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისათვის მე-6 მუხლი გამოიყენება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, კერძოდ კი, მხოლოდ მაშინ, როდესაც გარემოს ზემოქმედება უარყოფით გავლენას ახდენს „სამოქალაქო უფლებებით" სარგებლობაზე.

2.2.2 მე-10 მუხლი – ინფორმაციის მიღების უფლება[69]

კონვენციის მე-10 მუხლი ადგენს ინფორმაციის მიღების უფლებას, თუმცა სასამართლო შეზღუდულად განმარტავს ამ უფლებას. საქმეში — *ლეანდერი შვედეთის წინააღმდეგ* (*Leander* v. *Sweden*) — სასამართლომ განაცხადა, რომ მე-10 მუხლი სახელმწიფოს მხოლოდ უკრძალავს, ჩაერიოს პირის თავისუფლებაში — მიიღოს ინფორმაცია, რომლის მოწოდებაც მისთვის სხვას სურს, მაგრამ არ ავალდებულებს, შეაგროვოს და გაავრცელოს ინფორმაცია.[70] სასამართლომ იგივე ფორმულირება გაიმეორა საქმეში — *გუერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ* (*Guerra and Others* v. *Italy*), სადაც განმცხადებლები გარემოს ზემოქმედების საფრთხის თაობაზე ინფორმაციის ხელმიუწვდომლობის გამო, მე-8 მუხლთთან ერთად, ამ უფლების დარღვევასაც ამტკიცებდნენ. სასამართლომ არ ცნო მე-10 მუხლის დარღვევა, მაგრამ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა იმის საფუძველზე, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებლებისათვის გარემოს ზემოქმედების რისკებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება. ამგვარად, სასამართლო მცირე იმედს ტოვებს იმისას, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება მე-10 მუხლის წარმატებით გამოყენება

68 1997 წელი, 25 EHRR 598.

69 „ყველას აქვს სიტყვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ასევე პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და მიუხედავად სახელმწიფო საზღვრებისა."

70 1987 წელი, ECHR series A, number 117, para. 74.

გარემოს დაბინძურებასა და გარემოს ზემოქმედების საფრთხეებზე ინფორმაციის მიღების მიზნით.

3. დასკვნა

სტატიაში განხილული საკითხების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ გარემოს დაბინძურებამ შეიძლება ხელყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-8 და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლებით დაცული არსებითი უფლებები და რომ კონვენცია შეიძლება ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ინდივიდთა ამ უფლებების გარემოს ზემოქმედებით დარღვევისაგან დაცვისათვის. როგორც წარმოჩნდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია ინდივიდების გარემოს ზემოქმედებისაგან დაცვის გარკვეული სტანდარტები. ეს სტანდარტები ძირითადად უკავშირდება სიცოცხლის უფლებას, პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და საკუთრების უფლებებს. გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ საქართველოსათვის, როგორც ევროპის საბჭოს შედარებით ახალი წევრი სახელმწიფოსათვის, ეს სტანდარტები შედარებით უცხოა. სახელმწიფო ხელისუფლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული სტანდარტების დამკვიდრება როგორც მოქალაქეთა მაღალი ხარისხის დაცვით უზრუნველყოფის მიზნით, ისე მომავალში სახელმწიფოს წინააღმდეგ ამ სტანდარტების დარღვევის საფუძველზე საჩივრების წარდგენის თავიდან აცილების მიზნით.

რაც შეეხება მე-6 და მე-10 მუხლებით გარანტირებულ პროცესუალურ უფლებებს, ისინი საკმაოდ შეზღუდულ შესაძლებლობებს იძლევიან. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება საერთოდ არ მოიაზრება კონვენციის პრეცედენტულ სამართალში. ეს ყოველივე ძალიან არასახარბიელოა გარემოს ზემოქმედებისაგან კონვენციის არსებითი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ფართო მასშტაბის პროცესუალურ უფლებებს ძალიან დიდი როლის შესრულება შეუძლიათ გარემოს ზემოქმედებისაგან არსებითი უფლებების დარღვევის თავიდან აცილებაში. აღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმარისია ფართომასშტაბიანი პროცესუალური უფლებების ზოგადი მიმოხილვა და ზემოთ გაკეთებული ანალიზის გადახედვა.

მაგალითად, „კონვენცია გარემოს დაცვის საკითხებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თაობაზე" პროცესუალური უფლებების ფართო სპექტრს ითვალისწინებს.[71] აღნიშნული ე.წ. „ორჰუსის კონვენცია" გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლს წარმოადგენს. საქართველო მონაწილეა აღნიშნული ხელშეკრულებისა.[72] კონვენციის მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად, სახელმწიფოს არა მარტო ევალება გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება, არამედ ასევე ევალება გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის თავისი ინიციატივით მოძიება, განახლება და გავრცელება. კონვენციის მე-6-მე-8 მუხლები ადგენს გარემოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას. ეს უფლება მოიცავს ხელისუფლების მიერ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მქონე პროექტების ლიცენზირების პროცესში ინდივიდთა მონაწილეობას. კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, გარანტირებულია მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა გარემოს დაცვის საკითხებში. ამ მუხლის გამოყენება შეიძლება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევის ყველა შემთხვევაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების ფართო პროცესუალურ უფლებას.[73] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არეგულირებს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის წესებს, გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ საქართველოს კანონი კი ადგენს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მქონე პროექტებზე ხელისუფლების მიერ გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში ინდივიდთა მონაწილეობის უფლებას.[74] აღნიშნული კანონი ასევე ადგენს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისას დოკუმენტების საჯარო გაცნობის პროცედურებს. ასე რომ, საქართველოში არსებობს საკმაოდ კარგი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებში ფართო პროცესუალურ უფლებებს ანიჭებს ინდივიდებს. მაგრამ ნაშრომში არ გაეცა პასუხი კითხვას, თუ რა როლს ასრულებს ფართო პროცესუალური უფლებები გარემოს

71 1998 წელი, ქ. ორჰუსი, დანია.
72 კონვენციის რატიფიცირება მოხდა 2000 წელს.
73 „ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ".
74 1996 წელი.

ზემოქმედებისაგან კონვენციის არსებითი უფლებების დარღვევის პრევენციის კუთხით.

აქ საყურადღებოა საქმე *გუერა იტალიის წინააღმდეგ*. სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა იმის საფუძველზე, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებლებისათვის გარემოს დაბინძურების რისკებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ სასამართლომ არ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა, რომელიც ინფორმაციის მიღების უფლებას ითვალისწინებს. უდავოა, რომ საქმეში — *გუერა იტალიის წინააღმდეგ* — დაირღვა ინფორმაციის მიღების უფლება ორჰუსის კონვენციის მნიშვნელობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორჰუსის კონვენციით გარანტირებული ინფორმაციის მიღების უფლების განხორციელების შემთხვევაში თავიდან იქნებოდა აცილებული მე-8 მუხლის დარღვევა.

ასევე ყურადღებას იპყრობს საქმე *ლ.ს.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*. აქაც, განმცხადებლის მტკიცებით, სახელმწიფოს მხრიდან მისი მშობლებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა ჯანმრთელობისათვის შესაძლო საფრთხის შექმნის თაობაზე კონვენციის არსებით უფლებას, კერძოდ კი მე-2 მუხლს, არღვევდა. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ არ დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა, რადგან ვერ დადგინდა მიზეზშედეგობრივი კავშირი განმცხადებლის მამის ბირთვულ ცდებში მონაწილეობასა და განმცხადებლის სისხლის გათეთრებას შორის. მაგრამ ასეთი კავშირი რომ დადგენილიყო, ამის მიზეზი ინფორმაციის მიღების თავისუფლების დარღვევა გახდებოდა, ოღონდ არა კონვენციის მე-10 მუხლის მნიშვნელობით, არამედ ისევ ორჰუსის კონვენციის მნიშვნელობით.

საქმეში — *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ* — სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა იმის საფუძველზე, რომ გარემოს დაბინძურებამ განმცხადებელზე საზიანო ეფექტი მოახდინა.მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საამქროს არ გააჩნდა ლიცენზია, რომელიც საჭირო იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მაგრამ საამქროს ლიცენზიისათვის რომ მიემართა და ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობა მიეღო ლოპეზ ოსტრას და სხვა დანარჩენებს, ნაკლებად სავარაუდოა, სახეზე ყოფილიყო გარემოს ასეთი დაბინძურება. ასე რომ, ორჰუსის კონვენციის მნიშვნელობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლების განხორციელებამ შეიძლება გარკვეულ გარემოებებში მე-8 მუხლის დარღვევის პრევენცია მოახდინოს.

შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კავშირი პროცედურულ უფლებებსა და არსებით უფლებებს შორის საკმაოდ ნათელი და მყარია. ერთის დარღვევამ შეიძლება მეორის დარღვევა გამოიწვიოს და ერთის დაცვამ შეიძლება მეორის დარღვევის პრევენცია მოახდინოს. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ორჰუსის კონვენციის განხორციელებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების გარემოს ზემოქმედებით დარღვევა.

ევა გოცირიძე

„აზრის გამოხატვა“, რომელსაც არ იცავს ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი

1. კვლევის საგანი

აზრის გამოხატვის თავისუფლება განუსაზღვრელად არ არის და, ცხადია, ვერც იქნება დაცული, ვინაიდან მას კანონით დაცულ სხვა ინტერესებში უხეში შეჭრის უზარმაზარი პოტენცია აქვს. ზოგიერთ „აზრის გამოხატვას“ სერიოზული სოციალური შედეგებიც კი შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, ისეთი აზრების გამოხატვამ, რომლებიც ხელს უწყობენ რასობრივი თუ ეროვნული შუღლის გაღვივებას, ამჟღავნებენ სიძულვილს ან დამამცირებელ დამოკიდებულებას ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი ჯგუფების მიმართ, პორნოგრაფიას, სხვაგვარ უხამსობას, ქალებისადმი არაჰუმანურ დამოკიდებულებას, აქეზებენ ძალადობისაკენ, დანაშაულის ან სხვა უკანონო მოქმედებების ჩადენისაკენ, მართლაც ძალზე საშიში შედეგები შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ, ცხადია, რომ ასეთი შედეგების თავიდან აცილების უფლება და მოვალეობა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს. სწორედ ეს განაპირობებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრის გამოხატვის თავისუფლება ზოგჯერ იზღუდება და ეს შეზღუდვა დემოკრატიული საზოგადოების ინტერესადაა მიჩნეული.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი ყველასათვის უზრუნველყოფს აზრის გამოხატვის თავისუფლებას, მე-2 პუნქტი კი ამ თავისუფლების გარკვეული „წესების, პირობების, შეზღუდვებისა თუ სანქციებისადმი დაქვემდებარების“ შესაძლებლობას ითვალისწინებს. მაგრამ ერთია აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობის დაშვება და იმაში

კარგად გარკვევა, თუ როდის და რა შემთხვევაში შეიძლება მისი შეზღუდვა, და მეორეა თავისთავად ის, თუ რა არის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული, ანუ რა არის ის, რისი შეზღუდვაც მე-2 პუნქტითაა დაშვებული.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანი იმის გარკვევაა, რა არ არის დაცული კონვენციის მე-10 მუხლით, ანუ რა არ არის მისი *ratione materiae*; სხვანაირად, არსებობს თუ არა „აზრის გამოხატვის" ისეთი შემთხვევები, რომლებიც (თავიანთი შინაარსის, ფორმის, საშუალების ან სხვა ნიშან-თვისების გამო) ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით საერთოდ არ არის დაცული და, მაშასადამე, არც მათი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება ხდება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

სიცხადისათვის ვაზუსტებთ, რომ აქ ვგულისხმობთ არა სუსტად დაცულ შემთხვევებს, ანუ ისეთ აზრებს, გამოხატვის ფორმებსა თუ საშუალებებს, რომლებზეც, მართალია, მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დაცვა ვრცელდება, მაგრამ ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ფაქტობრივად, ძალზე ხშირად იზღუდებიან, არამედ „აზრის გამოხატვის" ისეთ შემთხვევებს, რომლებიც, თავისთავად, ისედაც არ არის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცვის საგანი და ამიტომაც მათი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებაც, შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოში ხდება არა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, არამედ სხვაგვარად, - კონვენციის სხვა მუხლების გამოყენებით, ან თუნდაც საკუთრივ მე-10 მუხლის 1-ლ პუნქტზე მითითებით, მაგალითად, ისეთი არგუმენტაციით, რომ შესაბამისი შეხედულებისა თუ ინფორმაციის გავრცელება არ არის „აზრის გამოხატვა" კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით და ამიტომ კონვენციის მე-10 მუხლი მოცემულ შემთხვევაში გამოყენებადი არ არის და ა.შ.

2. შედარება სხვა სისტემებთან

პირველ რიგში, უკეთ ორიენტაციისათვის, ურიგო არ იქნება რამდენიმე შედარება ისეთ სისტემებთან, სადაც ამ მხრივ მეტი სიცხადეა.

მაგალითად, აშშ-ისა და კანადის კონსტიტუციურ სამართალში ეს თემები უკეთ არის დამუშავებული:

აშშ-ში სიტყვის თავისუფლებას კონსტიტუციის 1-ლი დამატება იცავს, მაგრამ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებებმა დააზუსტა, თუ რას არ დაიცავდა 1-ლი დამატება. მაგალითად: ერთ-ერთი განმარტების თანახ-

მად, ისეთი გამონათქვამები, რომლებიც არ გამოხატავენ რაიმე აზრსა და იდეას და მხოლოდ მძიმე სიტყვიერ შეურაცხყოფას გულისხმობენ, არ არის დაცული კონსტიტუციის 1-ლი დამატებით; სხვა განმარტებების თანახმად, 1-ლი დამატებით არ არის დაცული ისეთი აზრის გამოხატვაც, რომელიც არა მარტო შეურაცხმყოფელია, არამედ უხამსიც და არავითარი ღირებულება არ გააჩნია. საქმეზე — *Chaplinsk v. New Hampshire* (1942) — აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „უხამსი პორნოგრაფიული, შეურაცხმყოფელი და აგრესიული გამოთქმები არ იყო დაცული კონსტიტუციის 1-ლი დამატებით, ვინაიდან მათ მცირე ღირებულება ჰქონდათ სიმართლესთან მიახლოების საქმეში. სწორედ „უხამსობის" ნიშნით საქმეში — *Roth v. The United States* (1957) — სექსუალური თვითგამოხატვა გაიმიჯნა პორნოგრაფიისაგან, ხოლო საქმეზე — *Miller v. California* (1973) — დადგინდა პორნოგრაფიის დეკანონიზაცია; არაკონსტიტუციურად გამოცხადდა საჯარო ჩვენება სექსუალური მოქმედებებისა, რომლებიც გადმოცემული იყო ვულგარული ფორმით და მოკლებული ყოველგვარ ლიტერატურულ, მხატვრულ, პოლიტიკურ თუ სამეცნიერო ღირებულებას ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქის წარმოდგენაში, რომელიც ცხოვრობს თანამედროვე საზოგადოების ნორმებით.

აშშ-ის კონსტიტუციის 1-ლი დამატებით ასევე არ არის დაცული ნებისმიერი შინაარსის აზრების თავსმოხვევა, მათი მოსმენის იძულება ვინმესათვის მისსავე საცხოვრებელ ბინაში (მიჩნეულია, რომ ეს ხელყოფს პიროვნების ხელშეუხებლობას); აგრეთვე, „წაქეზება", ანუ ისეთი აზრის გამოხატვა, რომელიც უბიძგებს სხვა ადამიანს კანონსაწინააღმდეგო ქმედების დაუყოვნებლივ ჩადენისაკენ ისეთ ვითარებაში, როდესაც ადვილად შესაძლებელია, ასეც მოხდეს.

დაახლოებით ასეთივე მიდგომებია კანადაშიც. საქმეზე — *Dakes R. v. Butler* (1992) — კანადის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პარლამენტს შეეძლო მიეღო კანონი, რომელიც დანაშაულად აცხადებდა ისეთი პორნოგრაფიის პუბლიკაციას, რომელიც სექსუალურად ძალიან მოურიდებელია, გულისხმობს ძალადობას ან ქალთა მიმართ დამამცირებელ დამოკიდებულებას. უზენაესმა სასამართლომ ასეთი აზრების გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო აკრძალვა მართებულად მიიჩნია, ვინაიდან ისინი, მისი აზრით, შეუთავსებელი იყო აზრის გამოხატვის თავისუფლების საწყისებთან და მის ფუძემდებლურ გაგებასთან, ისინი ადამიანის პიროვნების ყველაზე უფრო ქვენა გრძნობებს გამოხატავდნენ და, როგორც წესი, განპირობებული იყო მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებებით.

3. კონვენციის მე-10 მუხლის კონსტრუქციის ანალიზი

როგორი ვითარებაა ამ მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში? ანუ რას არ იცავს ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი?

იმისათვის, რათა ამ კითხვას საფუძვლიანად ვუპასუხოთ, უწინარესად კონვენციის მე-10 მუხლის კონსტრუქციას დავაკვირდეთ. გავარკვიოთ, რა დასკვნის საშუალებას იძლევა საკუთრივ მე-10 მუხლის ტექსტი:

მუხლი 10. აზრის გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.
2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

როგორც ვხედავთ, კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის ფორმულირება ისეთი ზოგადი და ფართოა, რომ, შეიძლება ითქვას, ის აზრის გამოხატვის თავისუფლებას იცავს მთლიანად და ყოველგვარი გამონაკლისი ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა იყოს გამართლებული. კერძოდ, ნებისმიერი შეზღუდვა გამართლებულად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი კანონით არის გათვალისწინებ-

ული და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ პუნქტში მითითებული რომელიმე კანონიერი ინტერესის დასაცავად.[1]

ასე რომ, კონვენციის მე-10 მუხლის კონსტრუქციიდან გამომდინარე, აშკარაა, აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა შეფასდეს, ხოლო საკუთრივ პირველი პუნქტი, თავისთავად, არავითარ გამონაკლისს არ უშვებს.

აქედან შეიძლებოდა გაგვეკეთებინა სავარაუდო დასკვნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (კერძოდ, მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი) აზრის გამოხატვის თავისუფლებას იცავს მთლიანად და არ არსებობს წინასწარ დადგენილი გამონაკლისები – რაიმე ისეთი გამოთქმები ან სხვაგვარი გამოხატულება აზრისა, რომლებსაც თავისი შინაარსის, ფორმის ან სხვაგვარი ნიშან-თვისების გამო არ მოიცავს კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი და, მაშასადამე, არ არის წინდაწინვე აპრიორულად დაცული.

4. ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ანალიზი

ახლა შევამოწმოთ, დასტურდება თუ არა ეს წინასწარი დასკვნა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკით.

4. 1. საერთო მიდგომა

უწინარესად, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შინაარსი სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოს ძალზე ფართოდ ესმის. ამოსავალი, პრინციპული პოზიცია ყველაზე უფრო ნათლად მან 1978 წელს ჩამოაყალიბა თავის განჩინებაში საქმეზე — *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღ-*

1 მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ტექსტში „იკითხება" კიდევ ერთი „პირობა" - აზრის გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის" უგულებელყოფა იმ პირის მხრიდან, ვინც ამ თავისუფლებას ახორციელებდა. თუ კანონით დაცული სიკეთეებისათვის ზიანის მიყენება ან ასეთი საფრთხის შექმნა უფლების შეზღუდვის გამართლებულობის ძირითად ობიექტურ საფუძველს ქმნის, „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის" დარღვევა შეიძლება ნარმოვიდგინოთ როგორც ერთგვარი, მორალურად გამამართლებელი, საფუძველი ამ თავისუფლების შეზღუდვისა. იგი შეზღუდვის გამართლებულად შეფასებისათვის „დამატებითი პირობა" კი არ არის, არამედ „დამატებითი არგუმენტია" საიმისოდ, რომ შესაბამისი შეზღუდვის „აუცილებლობა" დადგენილად იქნეს მიჩნეული.

მდეგ (*Handyside v. the United Kingdom*). მან განსაზღვრა აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცულობის საერთო ფარგლები და შექმნა სტრასბურგის სასამართლოს შემდგომი პერიოდის სამოსამართლო სამართალში ყველაზე უფრო ხშირად ციტირებადი დეფინიცია: აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველია, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა... კონვენციის მე-10 მუხლით დაცულია არა მარტო მისაღები ან ნეიტრალური „იდეები" და „ინფორმაცია", არამედ ისეთებიც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელია (offend, shock and disturb) სახელმწიფოსა ან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისათვის. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.[2]

ადამიანის უფლებათა ევროპული სამოსამართლო სამართალი მოწმობს, რომ, მართლაც, კონვენციის მე-10 მუხლი მხოლოდ გარკვეული სახის იდეებისა თუ ინფორმაციების მიმართ როდი გამოიყენება — დაცულია როგორც მათი შინაარსი და ფორმა, ისე საკუთრივ გამოხატვის საშუალებებიც, დაცულია „აზრის გამოხატვა" ინდივიდურად და კოლექტიურად, იმის მიუხედავად, თუ რა სფეროს შეეხება იგი – პოლიტიკის, რელიგიის, მორალის, მხატვრული შემოქმედების, კომერციის თუ სხვ. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ „იდეები" და „ინფორმაცია", მათი გამოხატვის ფორმები და საშუალებები დაცულია განსხვავებულად, სხვადასხვა ხარისხით, თუმცა არადისკრიმინირებულად. ეს განსხვავებულობა დაცულობის ხარისხებს შორის უამრავ ფაქტორს უკავშირდება, მაგალითად, იმას, თუ რა სფეროს მიეკუთვნება გამოხატული აზრი, რომელ კანონიერ ინტერესს უპირისპირდება, რამდენად დელიკატურ საკითხს შეეხება, რამდენად გულწრფელია, ვის მიერ არის იგი გამოთქმული, ანდა ვისი მისამართით, როგორია შესაბამის სფეროში სახელმწიფოთათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლება და სხვა.

ამ სხვადასხვაგვარი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგად საბოლოოდ განისაზღვრება, იქნება თუ არა აზრის გამოხატვის თავისუფლება (მოცემულ შემთხვევაში!) დაცული, და რა ხარისხით; მიენიჭება თუ არა მას პრიორიტეტი დაპირისპირებულ ღირებულებასთან შედარებით და როგორი იქნება ეს პრიორიტეტი – სრული თუ ნაწილობრივი, ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში.

2 17 დეკემბერი 1976 წელი.

ასეა თუ ისე, ნებისმიერი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება (როგორც წესი!) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ხორციელდება, რაც თავისთავად უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ შესაბამისი აზრის გამოხატვა, იმის მიუხედავად, მოცემულ ღირებულებით კონფლიქტში მას პრიორიტეტი მიენიჭება თუ, პირიქით, შეიზღუდება, მაინც მოცულია მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით და, მაშასადამე, საზოგადოდ დაცულია.

4.2. სუსტად დაცული და „ფაქტობრივად დაუცველი" სფეროები

4.2.1. „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის" ფაქტორი

ახლა გავარკვიოთ, არსებობს თუ არა ამ საერთო წესიდან რაიმე, თუნდაც იშვიათი, გამონაკლისი, ანდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ კატეგორიის შეხედულებები თუ ინფორმაცია, მართალია, მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დაცვის სფეროშია (და მაშასადამე, მისი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ხორციელდება), მაგრამ პრაქტიკაში მათი დაცულობის ხარისხი ძალზე მცირეა. ისეთი მცირე, რომ, ფაქტობრივად, უტოლდება „არდაცულობის" ვითარებას.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ორივე ამ კითხვაზე პასუხი დადებითია.

მაგრამ ჯერ ვისაუბროთ შემთხვევათა მეორე წყებაზე, ვინაიდან ლოგიკა გვკარნახობს, რომ გამონაკლისები სწორედ ამ სუსტად დაცულ სფეროებში უნდა ვეძიოთ.

მაშ, როგორი აზრები და ინფორმაციაა ძალზე სუსტად დაცული?

იმისათვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ და მის ლოგიკასაც ჩავწვდეთ, ყველაფერი საერთო კანონზომიერების ჭრილში უნდა დავინახოთ. უწინარესად, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, თუ პრაქტიკულად როდის არსებობს ყველაზე უფრო მეტი შანსი იმისა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებამ ღირებულებით კონფლიქტში პრიორიტეტი ვერ მოიპოვოს და შეიზღუდოს, და არსებობს თუ არა მისი ისეთი ნიშან-თვისებები თუ მახასიათებლები, რომლებიც ძალზე დიდი ალბათობით ამცირებენ პრიორიტეტის შანსს და ზრდიან შეზღუდვის გამართლებულობის შესაძლებლობას.

თავის მხრივ, ზემოაღნიშნულ კითხვებზე ლოგიკურ პასუხს ძალზე იოლად მივაგნებთ, თუ ჯერ საპირისპირო შემთხვევებს დავაკვირდებით:

როდის არსებობს ყველაზე დიდი პერსპექტივა იმისა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებამ ღირებულებით კონფლიქტში პრიორიტეტი მოიპოვოს და არ შეიზღუდოს?

სრულიად ცალსახად შეიძლება ითქვას: ასეთი პერსპექტივების არსებობა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც შესაბამისი აზრი (იდეა თუ ინფორმაცია) შეეხება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს და იმავდროულად — ამ საკითხებზე თავისუფალ საჯარო დებატებში მონაწილეობას.

სწორედ ეს გახლავთ ის მთავარი ნიშან-თვისება, რომლის დროსაც ძალზე დიდი ალბათობაა იმისა, რომ პრიორიტეტი აზრის გამოხატვის თავისუფლებას მიენიჭოს და არ შეიზღუდოს. სწორედ ამ თვისებრიობას ემყარება საზოგადოდ აზრის გამოხატვის თავისუფლების დიდი მნიშვნელობის აღიარება დემოკრატიულ საზოგადოებაში, მისი მიჩნევა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ საყრდენად და მისი წარმატების აუცილებელ წინაპირობად. ამასვე ემყარება პოლიტიკის სფეროს, პრესის თავისუფლებისა და ჟურნალისტთა უფლებების განსაკუთრებული დაცვაც.

კიდევ ერთი: ცნობილია, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებას ორმაგი დატვირთვა აქვს: ერთი მხრივ, იგი პიროვნების თვითრეალიზაციის საშუალებაა, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე თავისუფალი დისკუსიისა. შესაბამისად, უდავოა, რომ ამ თავისუფლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება და ღირებულებით კონფლიქტში მისი პრიორიტეტულობის დიდი პოტენცია სწორედ მისი ამ მეორე დატვირთვიდან წარმოდგება. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ, როდესაც ეს ფაქტორი არ არსებობს, აზრის გამოხატვის თავისუფლება, როგორც მხოლოდ პიროვნების თვითრეალიზაციის საშუალება, ღირებულებით კონფლიქტში პრიორიტეტის აღების ისეთ დიდ პოტენციას ვეღარ შეიცავს,[3] და პირიქით. ამასთან, რაც უფრო საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხს შეეხება გამოხატული აზრი, რაც უფრო მეტია მისი წვლილი ამ საკითხების თავისუფალ განხილვაში და, მით უფრო, ჭეშმარიტების მიღწევაში, მით მეტია ასეთი „აზრის გამოხატვის“ ღირებულებითი მნიშვნელობა და მისი დაცულობის საჭიროება დემოკრატიულ საზოგადოებაში.

3 ამის დასტურია, მაგალითად, ის, რომ „შემოქმედებითი თვითგამოხატვა“ ინტერესთა კონფლიქტის დროს არ სარგებლობს ისეთივე ძლიერი დაცვით, როგორითაც, მაგალითად, პოლიტიკურ საკითხებზე შეხედულებების გამოხატვა.

ამრიგად, ინტერესთა დაპირისპირების დროს აზრის გამოხატვის თავისუფლების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს მისი ღირებულებითი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე თავისუფალი საჯარო დებატების კონტექსტში. შესაბამისად, როდესაც ასეთი ღირებულებითი მნიშვნელობა ძალიან მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს, ნაკლები მოტივებიღა რჩება ინტერესთა დაპირისპირების დროს მისთვის პრიორიტეტის მისანიჭებლად.

სწორედ ამიტომაა, მაგალითად, შეურაცხმყოფელი ან უხამსი გამონათქვამები ძალიან ცუდად დაცული, ანდა საერთოდ დაუცველი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამიტომ არის ასეთ დროს აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ტიპურ არგუმენტად მოხმობილი ის, რომ შესაბამისი „აზრის გამოხატვას" მცირე ღირებულება ჰქონდა ჭეშმარიტებასთან მიახლოების საქმეში და ა.შ. ამითვე აიხსნება, რომ სწორედ „ღირებულებითი არარაობაა" „აზრის გამოხატვის" ამა თუ იმ შემთხვევის დაუცველობის მთავარი არგუმენტი აშშ-ისა და კანადის კონსტიტუციურ სამართალშიც. ცხადია, არც ის არის შემთხვევითი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში წარმოიშვა შეხედულება, „გამოხატული აზრის" ღირებულების მიხედვით განსაზღვრულიყო, ისარგებლებდა თუ არა იგი კონვენციის მე-10 მუხლის დაცვით. თუმცა ეს ნაბიჯი მაინც არ გადაიდგა. როგორც დ. ჰარისი, მ.ო.ბოილი და ს. უორბრიკი აღნიშნავენ, „ღირებული" და „არაღირებული" აზრების ("valuable" and "valueless" opinions) გამიჯვნის მცდელობა საჭირო არ იყო, ვინაიდან კონვენციის მე-10 მუხლი ისედაც დიდ გასაქანს იძლეოდა საიმისოდ, რომ სახელმწიფო აღჭურვილიყო „არაღირებული აზრების" შეზღუდვის უფლებამოსილებით, თუკი შეძლებდა ამის აუცილებლობის დემონსტრირებას. მათი აზრით, „ზოგიერთი აზრის გამოხატვის გამორიცხვა კონვენციიდან შექმნიდა გადაულახავ სირთულეებსა და პრობლემებს იმის განსაზღვრისას, თუ რომელი მათგანი უნდა მიჩნეულიყო მე-10 მუხლით დაცულად, და რომელი არა.[4]

იმის მიუხედავად, რომ ევროპულმა სასამართლომ აირჩია მიდგომა, „არაღირებული აზრები" არ გამოეძევებინა კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული სფეროდან, მაინც გამოხატული აზრის „ღირებულებით არარაობაზე" მითითება ცალკეულ საქმეებთან დაკავშირებით მისი შეზღუდვის გამართლებულობის დასაბუთებისას მას არაერთხელ

4 D.G.Harris, M.O.Boyle, C.Warbrick. Law of the European Convention on Human Rights, 1995, 378.

დასჭირდა. საქმეზე — *ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (Otto Preminger Institute v. Austria)* — კი ისეთი განმარტება მისცა, რომელმაც წარმოშვა კითხვა, ხომ არ იყო ეს ისეთი შემთხვევის აღწერა, რომელსაც სტრასბურგის სასამართლო კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების ფარგლებს გარეთ ამყოფებდა. კერძოდ, მან თქვა: „ისეთი შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, რომლებიც აზრს არ გამოხატავენ და არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ, ვერ განიხილებიან, საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად, რომელიც საქვეყნო საქმეების პროგრესს უწყობს ხელს".[5]

ევროპული სასამართლოს ეს განმარტება, მართლაც, ორნაირად შეიძლებოდა გაგებულიყო:

ა) ან ევროპულმა სასამართლომ ახსნა, თუ როგორი გამონათქვამები არ იმსახურებენ დაცვას და რატომ;

ბ) ან მან განსაზღვრა, როგორი გამონათქვამები არ ჩაითვლებოდა „აზრის გამოხატვად" მე-10 (I) მუხლის გაგებით და, მაშასადამე, რა არ იყო დაცული (და ამაში სავსებით გამართული ლოგიკა იქნებოდა: მართლაც, ის, რაც საერთოდ „აზრს არ გამოხატავს", ძალზე ძნელია „აზრის გამოხატვად" მივიჩნიოთ).

ევროპული სასამართლოს მთელი საერთო პრაქტიკა და საკუთრივ *ოტო პრემინგერის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მოწმობს, რომ, რა თქმა უნდა, „ა" ვარიანტია მართებული. „ბ" ვარიანტის მართებულობის შემთხვევაში (ლოგიკურად) მათი უარყოფა მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე განხორციელდებოდა. ევროპულმა სასამართლომ კი მოცემულ საქმეზე აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართებულად მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ცნო.

ასე რომ, ფორმულა — „...გამონათქვამები, რომლებიც აზრს არ გამოხატავენ და არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ..." — საკითხისადმი საერთო მიდგომის, საერთო სულისკვეთების გამომხატველი უფროა, ვიდრე იურიდიული პოსტულატი იმის განსაზღვრისა, თუ როგორი გამონათქვამები ჩაითვლება „აზრის გამოხატავად" მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით და როგორი არა.

საბოლოო ჯამში, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არაღირებული, ნაკლებად ღირებული, ან უსარგებლო იდეები, შეხედულებები და ინფორმაცია, ისინიც, რომ-

5 29 სექტემბერი, 1994 წელი.

ლებიც „აზრს არ გამოხატავენ" და რომლებიც ვერ ჩაითვლებიან საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად, კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების ფარგლებში არიან მოქცეული, არასდროს წარმოადგენენ მე-10 მუხლის გამოყენებადობის გამომრიცხველ გარემოებას და, ცალკე აღებული, არასდროს ქმნიან საკმარის ფორმალურ იურიდიულ საფუძველს მათი დაცულობის უარსაყოფად. მაგრამ, პრაქტიკულად, კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში მათი დაცულობის პერსპექტივა უკიდურესად მცირეა და, როგორც წესი, პრიორიტეტი მათთან დაპირისპირებულ ღირებულებას ენიჭება.

შესაბამისად, ძალიან შეურაცხმყოფელი გამოთქმები, უხამსობა, პორნოგრაფია, სხვა სფეროები თუ ცალკეული შემთხვევები, რომელთა მიმართებაშიც ზემოაღნიშნული შეფასებების გამოყენება შესაფერისია, თეორიულად არ გამოირიცხება მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების სფეროდან, თუმცა, ფაქტობრივად, არ არის დაცული. ვფიქრობთ, აქ სწორედ ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც „ფაქტობრივად დაუცველობის ვითარება" ემიჯნება, ანდა „უთანაბრდება" კიდეც, „სამართლებრივად დაუცველობის" ვითარებას.

4.2.2. „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის" დარღვევა

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი თუ მახასიათებელი, რომელიც ძალიან აადვილებს აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, არის ამ თავისუფლებისაგან განუყოფელი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის" დარღვევა, რომლის ყველაზე უარესი გამოვლინებაა ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენება.

სწორედ იმ საშიში სოციალური შედეგების გამოწვევის დიდი პოტენციის გამო, რომელზეც დასაწყისში ვისაუბრეთ, კონვენციის მე-10 მუხლი საგანგებოდ მიუთითებს „აზრის გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე". იგი გულისხმობს უფლებით მოსარგებლე სუბიექტის ვალდებულებას, ისე განახორციელოს საკუთარი თავისუფლება, რომ აიცდინოს, ან მინიმუმამდე დაიყვანოს სხვა კანონიერ ინტერესებთან დაპირისპირება, მათ შორის სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის ხელყოფა. უფრო მეტიც: „კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის" დარ-

ღვევას პირდაპირ უკავშირებს სანქციების, წესების, შეზღუდვებისა და პირობებისადმი აზრის გამოხატვის თავისუფლების დაქვემდებარების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისთავად ცხადია შემდეგი: რაც უფრო მეტია „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის" დარღვევის ხარისხი, ამა თუ იმ კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული რეალური თუ პოტენციური ზიანი და, საკუთრივ, ამ კანონიერი ინტერესის მნიშვნელობა, მით უფრო მეტია აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლება.

ასე რომ, საძიებელ „გამონაკლისებსა" და მასთან მიახლოებულ შემთხვევებს სწორედ ამ ორიენტირების საშუალებით უნდა მივაგნოთ.

საშიში სოციალური შედეგების გამოწვევის თვალსაზრისით, ძალზე „ეფექტიანია" ძალადობის, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა ჩადენისაკენ წაქეზება. ასეთ დროს „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დარღვევის ხარისხი ძალიან მაღალია". ამიტომაც, თუკი რაიმე იმსახურებდა მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების ფარგლების გარეთ გატანას, ეს თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო ძალადობის, დანაშაულისა და სხვა უკანონო მოქმედებების წაქეზება.

მაგრამ როგორია პრაქტიკა?

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობისა და დანაშაულის ჩადენისაკენ სხვათა წაქეზება თავისთავად დემოკრატიის ანტითეზაა,[6] ევროპული სასამართლო მას მაინც არ გამორიცხავს მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან და მისი შეზღუდვის გამართლებულობას მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აფასებს. თუმცა მათ შეზღუდვას საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ეროვნული უშიშროებისა და სხვა პირთა უფლებების დასაცავად, როგორც წესი, გამართლებულად მიიჩნევს, ანუ, ფაქტობრივად, არ იცავს.

მაგრამ არსებობს გარკვეული უკან დახევებიც: მაგალითად, საქმეზე — *კარატასი თურქეთის წინააღმდეგ* (*Karataş* v. *Turkey*) — ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ავტორის გამონათქვამებს შეეძლო წაექეზებინა სხვები ძალადობისა და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების ჩად-

6 სწორედ ასეთი შეფასება მისცეს ძალადობისა და უკანონობისაკენ წაქეზებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტმა ლ. ვილდჰაბერმა და ევროპული სასამართლოს სხვა მოსამართლეებმა თავიანთ ერთობლივ „განსხვავებულ აზრში" საქმეზე – *სურეკი და ოზდემირი თურქეთის წინააღმდეგ (Sürek and Özdemir v. Turkey)*. 8 ივლისი 1999 წელი, (nb. joint parlty dissenting opinion of judges Wildhaber, Küris, Strážnicka, Baka and Traja).

ენისაკენ, მაგრამ აზრის გამოხატვის მხატვრული ფორმის მხედველობაში მიღებით დაიცვა იგი და ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.[7]

ამა თუ იმ აზრის სხვისათვის თავსმოხვევა ან მათი მოსმენის ვინმესათვის იძულება მისსავე საცხოვრებელ ბინაში, პოტენციური შედეგების გათვალისწინებით, უფრო ნაკლებად საშიშია, ვიდრე ძალადობისა და კანონის დარღვევისაკენ მოწოდება, მაგრამ „მოვალეობისა და პასუხისმგებლობის" დარღვევის ხარისხი აქ ასევე ძალზე მაღალია. იგი თავისი სპეციფიკურობის გამოც იპყრობს ყურადღებას. ასეთი „აზრის გამოხატვა", შეიძლება ითქვას, პიროვნებაზე ძალადობისა და აგრესიის თავისებური ფორმაა და შორს სცილდება „თავისუფალი დისკუსიების" შინაარსსა და ფარგლებს. ამ თვალსაზრისით, იგი აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამიტომ ისიც თავისუფლად შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა იმ კატეგორიისათვის, რომელიც „არ იმსახურებდა" კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცულ სფეროში ყოფნას.

საგულისხმოა, რომ, საზოგადოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში ასეთი და მსგავსი შემთხვევებისადმი (მათ შორის „არასათანადო პროზელიტიზმისადმი") დამოკიდებულება უარყოფითია. უფრო მეტიც, მიჩნეულია, რომ ასეთი ქმედება საკუთრივ აზრის გამოხატვის თავისუფლების ნეგატიური უფლების დარღვევაა[8] (მართლაც, მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი იცავს შეხედულებებისა და ინფორმაციების გამოხატვის გავრცელებისა და მიღების (!) თავისუფლებას. ნეგატიურ პლანში ეს გულისხმობს როგორც პიროვნების თავისუფლებას, არ გამოავლინოს საკუთარი აზრი, აგრეთვე, იმას, რომ უარი თქვას ვინმეს მოსმენაზე).

მაგრამ, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტების მიხედვით, ასეთი შემთხვევები ზოგჯერ რეალური დაცვითაც სარგებლობს.

მაგალითად, როდესაც საქმე რელიგიური აზრების გამოხატვას შეეხება, მათი შეზღუდვის გამართლებულობა კონვენციის მე-9 მუხლის კონტექსტში ფასდება. ეს კონტექსტი კი იმას გულისხმობს, რომ ასეთი აზრების „თავსმოხვევა" (თუ აშკარად მიუღებელ ფორმებთან და საშუალებებთან არა გვაქვს საქმე) „რელიგიური რწმენის პროპაგანდად" შეიძლება იქნეს მიჩნეული, რაც რელიგიის თავისუფლების უფლების ერთ-ერთი კომპონენტია. შესატყვისი მაგალითია საქმე *კოკინაკისი საბერძნეთს წინააღმ-*

7 ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოხატვის „მხატვრული ფორმა" განაპირობებს მსმენელთა მცირე აუდიტორიას და, ამასთანავე, ამცირებს ხალხზე ზემოქმედების შესაძლებლობას. საქმე *კარატასი თურქეთის წინააღმდეგ (Karataş v. Turkey)*, 8 ივლისი, 1999 წელი.

8 D.G.Harris, M.O.Boyle, C.Warbrick. Law of the European convention on Human Rights, 1995, 373.

დეგ (Kokkinakis v. Greece). ამ საქმეში მომჩივნები მიუთითებდნენ, რომ მათი ნაცნობი იეღოველი ცოლ-ქმარი, მათი ნების საწინააღმდეგოდ, მათსავე ბინაში ეწეოდა თავიანთი რელიგიური იდეების პროპაგანდას და თავს ახვევდა მათთვის მიუღებელ შეხედულებებს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იეღოვას მოწმეების ქცევაში არაფერი იყო უკანონო და რომ ისინი ახორციელებდნენ რელიგიის თავისუფლების უფლებას, რომელიც გულისხმობდა რელიგიური იდეების პროპაგანდის უფლებას საკუთარ რელიგიაზე სხვათა მოქცევის მიზნით.[9]

4.2.3. აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება. კონვენციის მე-17 მუხლის შეფარდება. საძიებელი „გამონაკლისები"

„არდაცულობის" ვითარება ძალზე ხშირად უკავშირდება აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.

საერთოდ ძნელია მკვეთრი მიჯნების გავლება და იმის ზუსტად განსაზღვრა, სად და როდის გადაიზრდება თავისუფლების თანაარსი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის" უგულებელყოფა ამ თავისუფლებით ბოროტად სარგებლობაში. ერთი რამ ცხადია: აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება უთუოდ გულისხმობს „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის" უხეშ დარღვევას და, შეიძლება ითქვას, მისი უკიდურესად უარესი გამოვლინებაა.

შესაბამისია მისდამი დამოკიდებულებაც: როგორც წესი, ის ყოველთვის დაუცველია (ფაქტობრივად), მაგრამ სხვადასხვა შემთხვევასთან მიდგომა სხვდასხვაგვარია:

- ზოგჯერ ამ ფაქტორის არსებობა შესაბამისი შემთხვევის დაუცველობის დასაბუთების სისტემაზე გავლენას ვერ ახდენს, ანუ, მისი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება მაინც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ჭრილში ხორციელდება;

- ზოგჯერ კი (და ეს იშვიათად ხდება) ვითარება პრინციპულად იცვლება. ევროპული სასამართლო გამონაკლისს უშვებს და გაბედულად აცხადებს, რომ შესაბამისი შემთხვევა მე-10 მუხლის მოქმედების ფარგლებიდან გადის და იშველიებს კონვენციის მე-17 მუხლს, რომელიც კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების ბოროტად გამოყენებას კრძალავს.

9 25 მაისი, 1993 წელი.

ამრიგად, ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევა, რომელიც არა მარტო ფაქტობრივად, არამედ სამართლებრივადაც არ არის დაცული და რასაც ნამდვილად არ მოიცავს კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი, უკავშირდება აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი მიდგომის საყრდენი მხოლოდ მე-17 მუხლი კი არ არის, არამედ მთელი კონვენცია და მისი სისტემა, უწინარესად მისი პრეამბულა, რომელშიც გადმოცემულია კონვენციის საერთო სულისკვეთება, მისი ღირებულებები და პრინციპები.

როდესაც აზრის გამოხატვის შესაბამისი შემთხვევა ეწინააღმდეგება აზრის გამოხატვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებას, კონვენციის ღირებულებებსა და პრინციპებს, ევროპული სასამართლოს აზრით, ეს აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების ისეთი შემთხვევაა, რომელიც კონვენციის მე-17 მუხლს გაჰყავს მე-10 მუხლით დაცული სფეროდან. ამიტომ შესაბამის საჩივრებს კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით მიუღებლად მიიჩნევს „საგნობრივი შუათავსებადობის" გამო (*ratione materiae*). ეს გარემოება დამატებითი, ასე ვთქვათ, „პროცესუალური დადასტურებაა" იმისა, რომ შესაბამისი „აზრის გამოხატვა", მართლაც, საერთოდ არ იმყოფება კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სფეროში.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთ არაორდინარულ გადაწყვეტილებებს ევროპული სასამართლო ძალზე იშვიათად იღებს (და არა ყოველთვის ან ხშირად, როცა კი საქმე აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას შეეხება). ეს მაშინ ხდება, როდესაც საქმე აქვს უფლებათა ბოროტად გამოყენებასთან, მე-17 მუხლის გაგებით[10] და თანაც არა ყოველთვის. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ნაწილობრივ წარმოდგება მე-17 მუხლის საერთო დანიშნულებიდან[11] და იმ როლიდან, რომელიც მას კონ-

10 „უფლებათა ბოროტად გამოყენება" ფართო ცნებაა. მისი შინაარსი, აუცილებელი ნიშან-თვისებები და ფარგლები მკვეთრად განსაზღვრული არ არის. ცხადია, როდესაც საქმე შეეხება კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენებას, უნდა არსებობდეს „უფლებათა ბოროტად გამოყენების ისეთი შემთხვევა (გაგება), როგორიც საკუთრივ მე-17 მუხლშია აღწერილი.

11 კონვენციის მე-17 მუხლს „უჩეულოს" უწოდებენ, ვინაიდან მისი მომარჯვება და გამოყენება შეუძლია როგორც ინდივიდს სახელმწიფოს წინააღმდეგ, ისე სახელმწიფოს ინდივიდის უფლებაში ჩარევის გამართლების დასასაბუთებლად. მისი ფუნქცია ემსახურება დემოკრატიული ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების და ტოტალიტარიზმის საფრთხის თავიდან აცილების უზრუნველყოფას. იგი შემოღებულ იქნა როგორც ინსტრუმენტი პოლიტიკური უფლებებით კომუნისტური მანიპულაციების წინააღმდეგ. დღესდღეობით ფოკუსირდება რასობრივ და ტერორისტულ ჯგუფებზე, იმავდროულად, იძლევა დამატებითი კონტროლის საშუალებას საიმისოდ, რომ სახელმწიფომ კონვენციის მე-15 მუხლი („კონვენციიდან უკან დახევა") თვითნებურად არ გამოიყენოს. D.G.Harris, M.O.Boyle, C.Warbrick. Law of the European Convention on Human Rights,1995, 510-512.

ვენციის სისტემაში ეკისრება: იგი გამოიყენება როგორც ბოლო, უკიდურესი საშუალება (instrument of last resort).[12]

ცხადია, ყველაზე მეტი საფუძველი იმისა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლების ესა თუ ის განხორციელება ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვალოს მე-17 მუხლის გაგებით, მაშინ არსებობს, როდესაც საქმე გვაქვს რასობრივი, ეროვნული, რელიგიური თუ სხვაგვარი შეუწყნარებლობის გამოვლინებასთან, მაგრამ მიჩნეულია, რომ, მაშინაც კი, როდესაც მე-17 მუხლის შესატყვისობა დადგენილია, მისი გამოყენების საკითხი უნდა გადაწყდეს იმ საფრთხის სერიოზულობის ხარისხის მიხედვით, რომელიც დემოკრატიულ სისტემას შეექმნა.[13]

ევროპული სასამართლოს შესატყვისი პრეცედენტები ძირითადად უკავშირდება კომუნისტური, რასისტული და ქსენოფობიური ჯგუფების მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.[14]

საგულისხმოა, რომ ასეთი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის პრაქტიკაც. მაგალითად, საქმეზე — *გლიმერვინი და ჰეგენბეკი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Glimmerveen and Hagenback v. the Netherlands)* — ევროპული კომისია დაეყრდნო კონვენციის მე-17 მუხლს, რათა გაემართლებინა მე-10 მუხლითა და 1-ლი ოქმის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომჩივნის უფლებების შეზღუდვა, კერძოდ, მისი მსჯავრდება რასისტული პამფლეტების გავრცელებისათვის და რასისტული პლატფორმით არჩევნებში მონაწილეობიდან გამორიცხვა.[15]

კონვენციის მე-17 მუხლზე დაყრდნობით მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან ევროპულმა სასამართლომ ყველაზე უფრო ხშირად რასისტული ან რელიგიური სიძულვილის გამომხატველი ისეთი შეხედულებები გამორიცხა, რომლებიც აშკარად აგრესიული იყო, ანდა იყო ისტორიულად ზუსტად დადგენილი ფაქტების, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის (ებრაელთა დევნა, ჰოლოკოსტი და სხვ.) უარყოფა, რევიზია ანდა აპოლოგია და იმავდროულად გულისხმობდა რასობრივი ნიშნით დიფამაციას.

ნაკლებად აგრესიული შეხედულებების მიმართ ევროპული სასამართლო კონვენციის მე-17 მუხლს არ იშველიებს, მე-10 მუხლს გამოყენებადად

12 *სფ ფარსელი ირლანდიის წინააღმდეგ (Cf Purcell v. Ireland)*, No 15404/89. 262, 278 (1991).
13 *ბეკერი ბელგიის წინააღმდეგ (De Becker v.Belgium)*, No 214/56 B2 (1960) Com Rep. para 279.
14 *პანდი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ (W.Pand and Others v. Poland)*, No 42264/98. 02.09.2004; *შიმანეკი ავსტრიის წინააღმდეგ (Schimanek v. Austria)*, No 32307/96, 1 თებერვალი, 2000 წელი.
15 No 8348/78 and 8406/78, 18 DR 187 (1979)

მიიჩნევს და ამ მუხლთან მიმართებით საჩივრის მიუღებლად ცნობისას არსებით არგუმენტად „აშკარა უსაფუძვლობის" მოტივზე მიუთითებს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ასაბუთებს სტრასბურგის სასამართლო ამ უიშვიათეს გამონაკლისებს, კერძოდ, კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან განსაზღვრული შინაარსის შეხედულებების ამორიცხვას მე-17 მუხლის მოშველიებით, გაგაცნობთ ერთ-ერთი ახალი საქმის — *გოლოდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Gauraudy v. France)* — შინაარსს. იგი შეეხებოდა ისტორიულად ზუსტად დადგენილი ფაქტების – ჰოლოკოსტისა და სხვათა უარყოფას.

მომჩივანმა (მწერალმა და ფილოსოფოსმა) დაწერა წიგნი: „მითები, რომლებიც საფუძვლად უდევს ისრაელის პოლიტიკას" (Les myths, fondateurs de la politique israélienne). წიგნის გამოქვეყნების შემდეგ რამდენიმე ორგანიზაციამ წარადგინა სარჩელი იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც მათ განიცადეს წიგნის ავტორის მიერ საჯარო რასობრივი დიფამაციისა და მათ მიმართ სიძულვილისა და აგრესიის გაღვივების შედეგად. მომჩივნის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. საბოლოო ჯამში, ის ცნობილ იქნა დამნაშავედ „ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა უარყოფისათვის", აგრეთვე, გარკვეულ პირთა ჯგუფის (ებრაელების) საჯარო დიფამაციის, რასობრივი დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ზიზღის გაღვივებისათვის.

ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი მე-10 მუხლთან მიმართებით მიუღებლად ცნო „საგნობრივი შეუთავსებადობისა" და „აშკარა უსაფუძვლობის" მოტივებით. მან, კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებადობის თვალსაზრისით, განსხვავებულად შეაფასა მომჩივნის წიგნში გამოთქმული შეხედულებები: მათი ერთი ნაწილი, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის დადგენილი და საყოველთაოდ აღიარებული ფაქტების უარყოფა, არ მიიჩნია „აზრის გამოხატავად", რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით იყო დაცული და რომლის შეზღუდვის გამართლებულობაც ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო. ამიტომ მასთან მიმართებით საჩივრის მიუღებლობის მოტივად მან „საგნობრივი შეუთავსებადობა" დაასახელა. ხოლო ისეთ შეხედულებებთან მიმართებით, რომლებიც მან შესაძლებლად ჩათვალა, რომ „აზრის გამოხატავად" მიჩნეულიყო მე-10 მუხლის გაგებით, საჩივარი „აშკარა უსაფუძვლობის გამო" არ მიიღო (რამდენადაც მათი შეზღუდვა საჩივრის მისაღებობის სტადიაზევე გამართლებულად შეაფასა).

ევროპულმა სასამართლომ, კერძოდ, აღნიშნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება განსაზღვრულ შეზღუდვებს ექვემდებარებოდა; პრონაცისტული პოლიტიკის გამართლება, ისევე, როგორც ზუსტად დადგენილი ისტორიული ფაქტების (მაგალითად, როგორიც იყო ჰოლოკოსტი – ფაშისტების მიერ ებრაელთა მასობრივი განადგურება და სხვა) უარყოფა ან რევიზია, საერთოდ არ ხვდებოდა კონვენციის მე-10 მუხლის გარანტიების ქვეშ. ევროპული სასამართლოს მითითებით, კონვენციის მე-17 მუხლს ასეთი შემთხვევები კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების სფეროდან გაჰყავდა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მსჯავრდება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის უარყოფისათვის უნდა შეფასებულიყო მე-17 მუხლის კონტექსტში. წიგნში მომჩივანი საეჭვოს ხდიდა მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ისეთი ისტორიული ფაქტების ნამდვილობას, რომლებიც კარგად და ზუსტად იყო დადგენილი, კერძოდ: ნაცისტური რეჟიმის მიერ ებრაელთა დევნას, ჰოლოკოსტს, ნიურნბერგის სასამართლოს. ის, აგრეთვე, უარყოფდა ნაცისტების მიერ ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმესა და ხარისხს. ევროპული სასამართლოს აზრით, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა უარყოფა ებრაელთა რასობრივი დიფამაციისა და მათ მიმართ სიძულვილის გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოკვეთილი ფორმა იყო. ასეთი მასშტაბის ისტორიული ფაქტების უარყოფა ან რევიზია ძირს უთხრიდა იმ ღირებულებებს, რომლებიც საფუძვლად ედო ბრძოლას რასიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ და შეეძლო, სერიოზული ზიანი მიეყენებინა საზოგადოებრივი წესრიგისათვის. ასეთი მოქმედებები უხეშად ხელყოფდა სხვა პირთა უფლებებს და შეუთავსებელი იყო დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან. მასზე პასუხისმგებელი პირები, ევროპული სასამართლოს აზრით, უეჭველად ისახავდნენ მიზნებს, რომლებიც აკრძალული იყო კონვენციის მე-17 მუხლით.[16]

სასამართლომ ისიც მიუთითა, რომ მომჩივნის წიგნის შინაარსის დიდი ნაწილი, ნაშრომის საერთო ტონალობა და, შესაბამისად, მისი მიზანი, თავისი ხასიათით ნიჰილისტური იყო და ეწინააღმდეგებოდა კონვენციის ფუძემდებლურ პრინციპებს, რომლებიც კონვენციის პრეამბულაში იყო ასახული, კერძოდ, სამართლიანობასა და საყოველთაო მშვიდობას. ევროპული სასა-

16 იგულისხმება კონვენციით გაცხადებული რომელიმე უფლების ან თავისუფლების არარად ქცევის, ან მათი იმაზე მეტი ხარისხით შეზღუდვის მიზანი, ვიდრე ეს საკუთრივ კონვენციით არის გათვალისწინებული.

მართლოს აზრით, მომჩივანი ცდილობდა, კონვენციის მე-10 მუხლი ბოროტად გამოეყენებინა ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის არსსა და სულისკვეთებას. მისი მითითებით, თუ ასეთი მიზნები დაშვებულად იქნებოდა აღიარებული, ისინი არარად გადააქცევდნენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის მე-17 მუხლის ძალით, მომჩივანი ვეღარ მოიშველიებდა მე-10 მუხლს ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის უარყოფის გამო პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად.

მან საჩივარი მიუღებლად ცნო „საგნობრივი შეუთავსებადობის" გამო.

ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლომ არ უარყო მომჩივნის საჩივრის განხილვის შესაძლებლობა კონვენციის მე-10 მუხლის კონტექსტში წიგნის იმ ნაწილთან მიმართებით, რომელშიც გადმოცემული იყო ისრაელის სახელმწიფოსა და ებრაელთა სათვისტომოს მოქმედებათა კრიტიკა, რაც ერთ-ერთი საფუძველი გახდა მომჩივნის დასჯისა, მათ შორის – რასობრივი დიფამაციისა და რასობრივი სიძულვილის გავრცელებისათვის.

ძალზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ევროპულმა სასამართლომ აქაც საეჭვოდ მიიჩნია კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებადობა. მან მიუთითა, რომ სასამართლოს სერიოზული ეჭვები ჰქონდა, შეიძლებოდა თუ არა, წიგნის საერთო ნიჰილისტური ტონალობის გათვალისწინებით, ასეთი შეხედულებების გამოხატვა მოქცეულიყო კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების ქვეშ. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მან დაუშვა, რომ ეს შეიძლებოდა მიჩნეულიყო „აზრის გამოხატავად" მე-10 მუხლის გაგებით. შესაბამისად, მისი შეზღუდვის გამართლებულობა მე-10 (II) მუხლის საფუძველზე უნდა გარკვეულიყო.

მან უდავოდ მიიჩნია, რომ მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა ემსახურებოდა კონვენციით გათვალისწინებულ, სულ მცირე, ორ კანონიერ მიზანს - „უწესრიგობასა და დანაშაულის თავიდან აცილებას" და „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას". სასამართლომ წიგნის მთელი შინაარსისა და ტონალობის გათვალისწინებით, უყოყმანოდ აღიარა შეზღუდვის საფუძვლების „შესაბამისობა და საკმარისობა", მასთან ერთად, მომჩივნის უფლებებში სახელმწიფოს ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში" და ამ მიმართებით საჩივარი მიუღებლად ცნო, „აშკარა უსაფუძვლობის" მოტივით.[17]

17 *გოლოდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Gauraudy v. France)*, 24 ივნისი, 2003 წელი.

ისტორიული ფაქტების რევიზიასა და ამ გზით სხვა პირთა დიფამაციას შეეხებოდა, აგრეთვე, საქმე *შოვი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Chauvy and others v. France).*[18] მაგრამ იმის გამო, რომ ამ საქმეში არც შესაბამისი მოვლენები მიეკუთვნებოდა ზუსტად დადგენილი ფაქტების კატეგორიას, და არც დიფამაცია ეფუძნებოდა რასობრივ ნიშანს, ევროპულმა სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია საკითხის მე-10 მუხლის კონტექსტში განხილვა:

მომჩივანმა დაწერა წიგნი, რომელშიც გააშუქა მე-2 მსოფლიო ომის პერიოდთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიული მოვლენა, რომელიც შეეხებოდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობას. წიგნში ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული ამ მოძრაობის ერთ-ერთი მებრძოლის — რაიმონდ ობრაკის საქციელი და მინიშნებული იყო მის მიერ ღალატის ჩადენაზე, რასაც, ავტორის აზრით, შედეგად მოჰყვა გესტაპოს მიერ წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერთა დაპატიმრება.

ბ-ნმა და ქ-ნმა ობრაკებმა აღძრეს საქმე ცილისწამებისათვის. სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი წინააღმდეგობის მოძრაობის წევრების მიმართ ცილისმწამებლური მონაჭორის გავრცელებისათვის, მიუსაჯა ჯარიმა და კომპენსაციის გადახდა.

ევროპული სასამართლოს აზრით, წიგნის მიზანი იყო ისტორიული მოვლენების შესახებ ოფიციალური ვერსიის დაბეჯითებით უარყოფა და ხალხის იმაში დარწმუნება, რომ ობრაკმა ღალატის აქტი ჩაიდინა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ისტორიული სიმართლის ძიება აზრის გამოხატვის თავისუფლების განუყოფელი ნაწილია და მოცემულ შემთხვევაში ეს მნიშვნელოვანი ისტორიული საკითხი, რომელიც ისტორიკოსებისა და საზოგადოების ხანგრძლივი დებატების საგანი იყო, არ მიეკუთვნებოდა ზუსტად დადგენილი ფაქტების (როგორიც იყო ჰოლოკოსტი) კატეგორიას, რომლის უარყოფასა ან გადასინჯვაზეც არ გავრცელდებოდა კონვენციის მე-10 მუხლის გარანტიები მე-17 მუხლის ძალით.

ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობა მე-10 მუხლის საფუძველზე უნდა შეფასებულიყო.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეროვნული სასამართლოს შეფასება, რომ წიგნის შინაარსი ეწინააღმდეგებოდა ისტორიული მეთოდის

18 29 ივნისი, 2004 წელი.

უმნიშვნელოვანეს წესებს და შეიცავდა აშკარად დაუჯერებელ გამონაგონს. მან არც ჩარევის „თანაზომიერება" უარყო: გაითვალისწინა, რომ წიგნის ტირაჟის განადგურების გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული და, ფაქტობრივად, აკრძალულიც არ იყო. ამიტომ მან არ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენების დასაბუთების თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს აგრეთე საქმე *ნორვუდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Norwood v. the United Kingdom).*

მომჩივანმა, რომელიც იყო ბრიტანეთის ნაციონალური (უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებების მქონე პოლიტიკური პარტიის - „BNP") პარტიის წევრი, თვისი საცხოვრებელი სახლის ფანჯარაზე გამოაკრა პლაკატი წარწერით: „ისლამი განიდევნოს ბრიტანეთიდან – დავიცვათ ბრიტანელი ხალხი" (Islam out of Britain – Protect the British People). პლაკატზე გამოხატული იყო აგრეთვე ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის სიმბოლო აკრძალვის ფორმით. იგი გაასამართლეს მძიმე სამართალდარღვევის ჩადენისათვის საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ აქტის (1986) მე-5 მუხლის საფუძველზე და დააჯარიმეს. ეროვნულმა სასამართლოებმა პლაკატი ისლამის რელიგიისა და მის მიმდევრებზე თავდასხმად მიიჩნიეს.

მომჩივნის აზრით, მისი მსჯავრდება და დაჯარიმება მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში უკანონო ჩარევა იყო.

თუმცა მომჩივანი ცხოვრობდა შედარებით მიყრუებულ ადგილას და არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, რომ თუნდაც ერთმა მუსლიმანმა იხილა მისი პლაკატი, ევროპულმა სასამართლომ საქმე მაინც კონვენციის მე-17 მუხლს დაუქვემდებარა.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეროვნულ სასამართლოთა შეფასება, რომ პლაკატი იყო თავდასხმა ბრიტანეთში მცხოვრებ განურჩევლად ყველა მუსლიმანზე, რაც ვერ უთავსდებოდა კონვენციით აღიარებულ და უზრუნველყოფილ ღირებულებებს, კერძოდ: ტოლერანტობას, სოციალურ მშვიდობასა და დისკრიმინაციის აკრძალვას. სასამართლოს დასკვნით, ასეთი ქმედება წარმოადგენდა აქტს, რომელიც კონვენციის მე-17 მუხლით იყო ნაგულისხმები. ამიტომ მისი საჩივარი მიუღებლად გამოცხადდა, როგორც კონვენციის დებულებების *ratione materiae*-სთან შეუთავსებელი.[19]

19 Appl. no. 23131/03; 16 ნოემბერი, 2004 წელი.

4.3. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის არათანმიმდევრულობა რასისტული შეხედულებებისადმი დამოკიდებულებისა და კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენების სფეროში

ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის გაცნობა მოწმობს, რომ იგი ცდილობს, რაც შეიძლება შეზღუდოს იმ შემთხვევათა წრე, რომლებსაც კონვენციის მე-17 მუხლი მე-10 მუხლის დაცვიდან გამორიცხავს. მაგალითად, იგი იშვიათად მიიჩნევს ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტებს ზუსტად დადგენილად და, მით უმეტეს, ისეთად, რომელთა უარყოფაც კონვენციის მე-17 მუხლის ამოქმედებას გამოიწვევს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, ასეთი გამონაკლისები ძირითადად თავისთავად ჰოლოკოსტის უარყოფასა და რევიზიას უკავშირდებოდა.

თავისთავად ის გარემოება, რომ რასობრივი შეხედულებების, ისევე, როგორც შეუწყნარებლობის სხვა გამოვლინებების შეზღუდვა არ ხორციელდება ყოველთვის მე-17 მუხლის საფუძველზე და შესაბამისი დასაბუთება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს ეყრდნობა, იმის დასტურია, რომ, თუმცაღა საერთო ტენდენციის შესაბამისად, ისინი სახელმწიფოს შეზღუდვისაგან სუსტად არიან დაცული, მაგრამ ფაქტობრივად მე-10 მუხლის მოქმედების ფარგლებში იმყოფებიან.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გვსურს გამოვთქვათ. ჩვენი შეხედულებით, რასისტული შინაარსის განცხადებების მიმართ ევროპული სასამართლოს მიდგომა უფრო ცალსახა უნდა იყოს. ასეთი განცხადებები მთლიანად შეუთავსებელია აზრის გამოხატვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებასთან, ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენება არის, ეწინააღმდეგება კონვენციის ღირებულებებს და ანტიდემოკრატიულია თავისი არსით. ამიტომ გაცილებით სამართლიანი იქნებოდა მათი მთლიანად გამორიცხვა კონვენციის მე-10 მუხლით დაცული სფეროდან. კონვენციის მე-17 მუხლი, ისევე, როგორც კონვენციის პრეამბულა, რომელშიც კონვენციის მიზნები და ღირებულებებია გაცხადებული, ვფიქრობთ, საკმარისი ლოგიკური და იურიდიული საფუძველია ამ ნაბიჯის გადასადგმელად. უფრო მეტიც, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ, მსგავსად სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა ამ სფეროში, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც არა-

პირდაპირი დასტური ზემოაღნიშნული ნაბიჯის გადასადგმელად. უაღრესად საგულისხმოა 2004 წლის 12 თებერვალს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული „დეკლარაცია მედიაში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ". იგი საგულისხმოა იმიტომაც, რომ სწორედ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა საერთო ნების გამოხატულებაა. ამ დეკლარაციაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ „პოლიტიკური დებატების თავისუფლება არ მოიცავს რასისტული აზრების, ისევე, როგორც ისეთი აზრების გამოხატვის თავისუფლებას, რომლებიც წარმოადგენენ სიძულვილის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის ნებისმიერი ფორმით წაქეზებას".

ასეთი წინადადება მხოლოდ კონცეპტუალური მოსაზრებებით კი არ არის ნაკარნახევი (ანუ იმით, თუ პრინციპულად რა არის სწორი და სამართლიანი), არამედ ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ერთგვარი არათანმიმდევრულობითაც.

ამ არათანმიმდევრულობას რამდენიმე გამოვლინება აქვს:

1) ევროპული სასამართლო არათანმიმდევრულია კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენების საკითხში (აღმოჩნდა, რომ მე-17 მუხლის მოშველიება სხვადასხვა შემთხვევაში სრულიად სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მატარებელია, რაც ზოგჯერ გაუგებრობისა და „სამართლებრივი გაურკვევლობის" წყარო შეიძლება გახდეს);

2) ევროპული სასამართლო არათანმიმდევრულია რასისტული შეხედულებებისადმი მიდგომისას (ზოგჯერ ის მეტისმეტად ლიბერალურად გამოიყურება).

უფრო დაწვრილებით:

ევროპული კომისიისა და სასამართლოს პრაქტიკაში აღმოჩნდა პრეცედენტები, სადაც კონვენციის მე-17 მუხლის მომარჯვება იმის დასაბუთებას კი არ ემსახურება, რომ შესაბამისი „აზრის გამოხატვა" გასულია მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან, არამედ იმისას, რომ მისი შეზღუდვა კონვენციის მე-10 (II) მუხლის საფუძველზე გამართლებული იყო.

მაგალითად, საქმეებზე — *სფ ფარსელი ირლანდიის წინააღმდეგ (CF Purcell v. Ireland)*[20] და *ქიუნენი გფრ-ის წინააღმდეგ (Kühnen v. FRG)*[21] — ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ გამოიყენა მე-17 მუხლი თავისი იმ

20 No 15404/89. 262, 278 (1991).
21 No12194/86. 56.DR.205 (1988).

დასკვნის დასაბუთების გასამყარებლად, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გამართლებული იყო მე-10 (II) მუხლის საფუძველზე.

ასე რომ, კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენება (მომარჯვება) მე-10 მუხლთან მიმართებით ორ განსხვავებულ როლს ასრულებს: ზოგჯერ იგი იურიდიული საყრდენია იმის დასასაბუთებლად, რომ ამა თუ იმ „აზრის გამოხატვა" ჩაითვალოს კონვენციით გათვალისწინებული თავისუფლების ბოროტად გამოყენების ისეთ შემთხვევად, რომელიც ვეღარ იქნება მიჩნეული როგორც მე-10 მუხლით დაცულ სფეროში მყოფი; ხოლო ზოგჯერ იგი მხოლოდ დამატებითი არგუმენტია მე-10 (II) მუხლის საფუძველზე მისი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ შემთხვევაში მე-17 მუხლს შესაბამისი „აზრის გამოხატვა" გაჰყავს მე-10 მუხლით დაცული სფეროდან, მეორე შემთხვევაში კი არა.

ჯერ ერთი, თუ შემთხვევათა მეორე წყებაში მე-17 მუხლის მოშველიება, ფაქტობრივად, შესაბამისი შემთხვევის აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებად (მე-17 მუხლის გაგებით) კვალიფიკაციის დადასტურებაა, მაშინ გაუგებარია, ეს შემთხვევებიც რატომ არ გაჰყავს მე-17 მუხლს მე-10 მუხლით დაცული სფეროდან და რითი განსხვავდება ისინი შემთხვევათა პირველი წყებისაგან. მით უმეტეს, რომ არსებობს კიდევ მესამე კატეგორია შემთხვევებისა, სადაც ევროპულმა სასამართლომ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მე-10 (II) მუხლის საფუძველზე გამართლებულად ცნო სწორედ იმიტომ, რომ იგი იყო ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენება, მაგრამ მე-17 მუხლი არანაირ კონტექსტში მოხსენიებულიც კი არ იყო;[22]

მეორე, მე-17 მუხლის მოშველიება მე-10 (II) მუხლის საფუძველზე აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დასაბუთების გასაძლიერებლად, აკნინებს შემთხვევათა პირველ წყებაში მე-17 მუხლის ფუნქციურ დატვირთვას და ხელოვნურ ბარიერებს უქმნის იმის ნათლად წარმოდგენას, თუ რას გულისხმობს დებულება, რომ „მე-17 მუხლს შესაბამისი შემთხვევა გაჰყავს მე-10 მუხლით დაცული სფეროდან" — იმას, რასაც ის ლოგიკურად უნდა ნიშნავდეს (რომ შესაბამისი შემთხვევა საერთოდ არ არის დაცული მე-10 მუხლით), თუ რაიმე სხვას.

22 *ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Engel and others v. the Netherlands)*, 8 ივლისი, 1976 წელი; *რ.ფოლკმერი გერმანიის წინააღმდეგ (R.Volkmer v. Germany)*, 22 ნოემბერი, 2001 წელი; *გ. პიტკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ (G.Pitkevich v. Russia)*, 8 თებერვალი, 2001 წელი.

ის გარემოება, რომ კონვენციის მე-17 მუხლი მხოლოდ უკიდურეს, განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენება და ბოლო საშუალებაა, სრულებითაც არ უნდა იწვევდეს ასეთ აღრევას. მისი გამოყენებადობის დაბალი სიხშირე სამართლებრივი და ზოგჯერ პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხია და, როგორც ჩანს, ნაკარნახევია იმ საზრუნავით, რომ მისი არსებობა თავისთავად არ გადაიქცეს აზრის გამოხატვის თავისუფლების (ისევე, როგორც კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებების) გაუმართლებელი შეზღუდვისა და მე-10 მუხლის გარანტიებისაგან მისი ხელოვნური მოწყვეტის მექანიზმად. ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ მე-17 მუხლის სხვადასხვაგვარ გამოყენებასა და მისგან მომდინარე „სამართლებრივ გაურკვევლობაზე", რომელიც შეუძლებელს ხდის სრული დარწმუნებით იმის მტკიცებას, რა არის დაცული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით, და რა არა; მართლაც არსებობს თუ არა „აზრის გამოხატვის, ისეთი შემთხვევები, რომლებზეც საერთოდ არ ვრცელდება მე-10 მუხლის მოქმედება.

ახლა, რაც შეეხება მეორე სახის არათანმიმდევრულობას:

როგორც აღვნიშნეთ, ევროპული სასამართლო ზოგჯერ მეტისმეტად ლიბერალურ და შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ავლენს განსაკუთრებით ისეთი შემთხვევების მიმართ, რომლებიც მხოლოდ არაპირდაპირ გულისხმობენ რასისტული იდეების პროპაგანდას, ანდა ასეთი შეხედულებების გავრცელების ხელშეწყობად გვევლინება.

რასობრივი შეხედულებების არაპირდაპირი პროპაგანდა, ანდა მათი გავრცელების ხელშეწყობა, ცხადია, „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის" დარღვევის გაცილებით ნაკლებ ხარისხს გულისხმობს და, ამდენად, მათდამი დამოკიდებულება მართლაც შეიძლება იყოს უფრო ლიბერალური. მაგრამ, ამის მიუხედავად, ცალკეულ საქმეებზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა და, მით უფრო, შესაბამისმა არგუმენტაციამ, შეგვიქმნა შთაბეჭდილება, რომ მათ მიმართ იმაზე მეტი ლიბერალიზმი იყო დაშვებული, ვიდრე, რაც გონივრული და სამართლიანი იქნებოდა შესაბამის შემთხვევებში.

ამის საილუსტრაციოდ ორ მაგალითს გაგაცნობთ.

ევროპულმა სასამართლომ განიხილა ყოფილი ნაცისტის – მარშალ პეტენის (რომელიც პასუხისმგებელი იყო საფრანგეთში 10 ათასი ებრაელის დეპორტაციისათვის სიკვდილის ბანაკებში) რეაბილიტაციის მიზნით სარეკლამო განცხადების შეზღუდვის მართლზომიერება (საქმე *ლეიდო*

და იზოლნი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Lehideux and Isorni* v. *France*).[23] მართალია, მან აღნიშნა, რომ პრონაცისტული პოლიტიკის გამართლება ვერ ისარგებლებდა მე-10 მუხლის დაცვით, მაგრამ მიიჩნია, რომ რეკლამის ტექსტი ასეთ რამეს არ შეიცავდა. ეს დასკვნა მხოლოდ იმ გარემოებას ეყრდნობოდა, რომ რეკლამის ტექსტში არ იყო აღნიშნული მარშალ პეტენის წარსული საქმიანობა და მისი პასუხისმგებლობა ადამიანთა მკვლელობისათვის. იგი არ შეიცავდა „ნაცისტური სისასტიკისა და თვითნებობის" რაიმე გამართლებას. გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ იგი ვერ იქნებოდა მსაჯული ისეთ საკითხებზე მოვლენებისა, რომელთა ინტერპრეტაცია ისტორიკოსების დავის საგანი იყო. ევროპულმა სასამართლომ იმასაც მიანიჭა მნიშვნელობა, რომ ისტორიული მოვლენებიდან გასული იყო 40 წელზე მეტი და მაშინაც კი, თუ გამონათქვამები კვლავაც აღვივებდნენ უთანხმოებას და ტანჯვას აყენებდნენ მოსახლეობას, მათ წინააღმდეგ გამოყენებული ღონისძიებები არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთივე მკაცრი, როგორიც 10 ან 20 წლის წინ. უფრო მეტიც, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ყოველ ქვეყანას უფლება ჰქონდა, ღიად და თავისუფლად ემსჯელა თავისი ისტორიის შესახებ „ცივი გონებითა და ვნებათაღელვის გარეშე" და აუცილებლად მიიჩნია, ისიც კი შეეხსენებინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავდა „შეურაცხმყოფელ, გამაოგნებელ და შემაშფოთებელ იდეებსა და ინფორმაციას" და, რომ ასეთი იყო პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ლიბერალიზმის მოთხოვნები.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ ყოფილი ნაცისტის რეაბილიტაციისაკენ მოწოდება არ მიიჩნია არც ნაციზმის იდეების პროპაგანდად და არც აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებად. შესაბამისად, მან არათუ არ დაუქვემდებარა ეს საკითხი კონვენციის მე-17 მუხლს, არამედ საერთოდ გაუმართლებლად შეაფასა შეზღუდვა კონვენციის მე-10 (II) მუხლის კონტექსტში.

ჩვენი აზრით, ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება და მით უფრო მისი არგუმენტაცია მიუღებელია. ათიათასობით ადამიანის მკვლელობისათვის პასუხისმგებელი პირის რეაბილიტაციისაკენ მოწოდება არაპირდაპირ ნაცისტური იდეების პროპაგანდას თუ არა, მათ შემწყნარებლობას მაინც გულისხმობს. არა მგონია, რომ დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი „შემწყნარებლობა" ნაცისტური იდეების შემწყნარებლობასაც გულისხმობდეს. გარდა ამისა, თუკი იმ ისტორიულ მოვლენებზე

23 23 სექტემბერი, 1998 წელი.

საუბარი, რომლებიც ფაშისტური დიქტატურის წლებს უკავშირდება, „ცივი გონებითა და ვნებათა ღელვის გარეშე" განსჯის საგანი შეიძლება გახდეს, მაშინ რატომღა არ შეინყნარა მან ზემოთ განხილულ Gauraudy-ის საქმეზე (ისრაელის პოლიტიკის შესახებ) წიგნის ავტორის ნიჰილიზმი? მაშინაც ხომ იყო გასული ისტორიული მოვლენებიდან 40-ზე მეტი წელი?

ჩვენ ძალზე შორსა ვართ იმის მცდელობისაგან, ერთმანეთთან გავათანაბროთ ზემოთ განხილულ ორ საქმეში „აზრის გამოხატვის" თავისუფლების განხორციელების შედეგად კანონიერი ინტერესებისათვის შექმნილი საშიშროების ხარისხები, მაგრამ ასეთი დიდი ამპლიტუდა და მეტის-მეტად განსხვავებული მიდგომა, ჩვენი აზრით, სულ მცირე, ევროპული სასამართლოს არათანმიმდევრულობისა და ასეთი კატეგორიის საქმეების მიმართ უსისტემო მოპყრობის გამოვლინებაა. ყოველ შემთხვევაში, ცნობილი ნაცისტის რეაბილიტაციისაკენ მოწოდების დაცვა დემოკრატიულ საზოგადოებაში ლიბერალიზმისა და შემწყნარებლობის არგუმენტით, საერთო ფონის გათვალისწინებით, ალოგიკური და გაუმართლებელია.

საქმეზე — *ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ* (*Jersild* v. *Denmark*) — მიღებული გადაწყვეტილება კიდევ უფრო საკამათოდ გვესახება. ეს საქმე შეეხებოდა ტელევიზიის ჟურნალისტს, რომელმაც ეთერში გაუშვა რასისტული განწყობილებების მქონე ახალგაზრდების ჯგუფთან ინტერვიუ, რომელშიც აშკარად რასისტული შეხედულებები, უკიდურესად შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ეპითეტები გამოითქვა დანიაში მცხოვრები ემიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მისამართით. ინტერვიუში საერთოდ უარყოფილი იყო ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის კუთვნილება ადამიანური არსებებისადმი, შავკანიანები კი შედარებული იყვნენ გორილასთან. ჟურნალისტმა, თავის მხრივ, არაფერი დაუპირისპირა ამას და არ გამოხატა დამგმობი პოზიცია.[24]

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტის მსჯავრდება რასისტული იდეების გავრცელების ხელშეწყობისათვის გამართლებული არ იყო.

ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა რასობრივი ნიშნით მასობრივ საჯარო დიფამაციასთან, ანუ, თავისთავად, ძალზე სერიოზულ დანაშაულთან. ამიტომ ასეთი შეხედულებების გავრცელების შესაძლებლობის მიცემა კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენებადობის შესატყვისობაზე თუ არ მეტყველებდა, იმას მაინც

24 23 სექტემბერი, 1994 წელი.

„იმსახურებდა", რომ მე-10 (II) მუხლის საფუძველზე შეზღუდულიყო, „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის" ასეთი უხეში ხელყოფის გამო. ევროპულმა სასამართლომ პრიორიტეტი მაინც ჟურნალისტის თავისუფლებას მიანიჭა. მან ამ შემთხვევაში რატომღაც არ ჩათვალა, რომ ჟურნალისტი არაპირდაპირ ინაწილებდა იმ „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას", რომლებიც რასისტული განწყობილებების მქონე ახალგაზრდებმა აიღეს თავიანთ თავზე ემიგრანტებისა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის რასობრივი ნიშნით დიფამაციისას. არადა, თავად ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებული პრინციპის თანახმად, ჟურნალისტები და გამომცემლები (ნაწილობრივ მაინც) იზიარებენ გამოთქმული შეხედულებების ავტორთა „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას".[25]

ვფიქრობთ, ამ სავსებით სწორ პრინციპს პირდაპირ ეწინააღმდეგება განჩინებაში მითითებული სასამართლოს შემდეგი დებულება: „ჟურნალისტის დასჯა იმისათვის, რომ სხვა პირს დაეხმარა, გაევრცელებინა თავისი შეხედულებები, სერიოზულად დააკნინებს მასმედიის წვლილს თავისუფალი საჯარო დებატების გამართვაში." ძალიან საეჭვოა, რომ რასისტული შეხედულებების გავრცელება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე თავისუფალ საჯარო დებატებში (რომელიც ასე ძვირად ფასობს დემოკრატიულ საზოგადოებაში) წვლილის შეტანა იყოს მათ გავრცელებაში დახმარება კი მასმედიის როლს შეესაბამებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლომ თავის განჩინებაში აღნიშნა, მაგრამ ფაქტობრივად არ გაითვალისწინა არც აუდიოვიზუალური საშუალებების უშუალო და ძლიერი ზემოქმედების უნარი, შესაბამისი აუდიტორიის სიფართოვე და ის დიდი ზიანი, რომელიც განიცადა უამრავი ადამიანის უფლებებმა და რეპუტაციამ. ვფიქრობთ, ის ბალანსი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჟურნალისტის უფლებებსა და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციის დაცვის ინტერესს შორის დაადგინა, არსებითად უსამართლოა.

25 ასეთი განმარტება არაერთ საქმეს მისცა ევროპულმა სასამართლომ. მაგალითად, ოზთურქის საქმეზე მან მიუთითა, რომ, იმის მიუხედავად, იზიარებდა თუ არა გამომცემელი (იგულისხმება სადაო წიგნის გამომცემელი) მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში გამოთქმულ შეხედულებებს, იგი ავტორის მხარდაჭერის უზრუნველყოფით მონაწილეობდა შესაბამისი აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში და არაპირდაპირ იზიარებდა იმ „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას", რასაც ავტორი იღებდა თავის თავზე საზოგადოების წინაშე საკუთარი შეხედულებების გავრცელებისას. *(ოზთურქი თურქეთის წინააღმდეგ (Öztürk v. Turkey)*, განჩინება, 28 სექტემბერი, 1999 წელი).

საყურადღებოა, რომ სასამართლოს ეს განჩინება მიღებულია 12 ხმით 7-ის წინააღმდეგ. უმცირესობაში დარჩენილმა მოსამართლეებმა (მათ შორის იყო სასამართლოს მაშინდელი პრეზიდენტი რ. რისდალი) „განსხვავებულ აზრში" სასამართლოს მიერ მიღწეული ბალანსის სამართლიანობა ეჭქვეშ დააყენეს. მათი აზრით, რაკი რასისტული იდეების გავრცელება არ სარგებლობდა მე-10 მუხლის დაცვით, ეს თანაბრად უნდა შეხებოდა ჟურნალისტსაც. „განსხვავებულ აზრში" ნათქვამია, რომ სტრასბურგის სასამართლო პირველად შეეჯახა შემთხვევას, სადაც სხვა პირთა უფლებები და რეპუტაცია ასეთი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სამწუხაროდ, უმრავლესობამ გაცილებით დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ჟურნალისტის თავისუფლებას, ვიდრე იმათ დაცვას, ვინც იძულებით გაიტანჯა რასობრივი სიძულვილით. გადაცემაში ყველაზე უხეში გამონათქვამები იყო ინტერვიუდან ამოკრეფილი. ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებით აუცილებელი იყო ჟურნალისტის მხრიდან მკაფიო, რასიზმის დამგმობი პოზიციის გამოთქმა. გადაცემის ნახვის შემდეგ ადამიანთა დიდ ჯგუფს ნამდვილად არ დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ იგი მათი რეპუტაციისა და უფლებების დაცვას ემსახურებოდა, და რომ **რასობრივი უმცირესობის დაცვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე ინფორმაციის გავრცელების უფლება საზოგადოდ** (ხაზგასმა ჩემია – ე.გ.).

5. დასკვნა

ზემოაღნიშნული ორი საქმე, ისევე, როგორც მე-10 მუხლთან დაკავშირებული ევროპული სასამართლოს სხვა პრაქტიკა, ადასტურებს, რომ „ფაქტობრივად დაუცველ" სფეროებშიც კი (როგორებიცაა: რასისტული შეხედულებების გავრცელება, შეურაცხმყოფელი ან სხვაგვარი გამოთქმები, რომლებიც „აზრს არ გამოხატავენ", აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება და სხვა) შესაბამისი შემთხვევისადმი დამოკიდებულებას კონკრეტულ საქმეზე არსებული სხვადასხვა ფაქტორის (ზოგჯერ ნიუანსებისაც კი) ერთობლიობა განსაზღვრავს და არა ერთი რომელიმე მთავარი კონცეპტუალური მიდგომა — როგორი შეხედულებები თუ ინფორმაცია იმსახურებს დაცვას და რომელი არა.

სტრასბურგის სასამართლო ცდილობს, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით აზრის გამოხატვის თავისუფლებისათვის შექმნილი გარანტიები

ყოველ საქმეში ეფექტიანად იყოს ამოქმედებული. სწორედ აქედან წარმოდგება კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტისათვის უაღრესად ფართო, თითქმის ყოვლისმომცველი შინაარსის მინიჭება და მასში ნებისმიერი აზრისა თუ ინფორმაციის ნებისმიერი ფორმითა თუ საშუალებით გამოხატვის უფლების დამკვიდრება. ლოგიკა მარტივია:

რაც უფრო ფართო შინაარსი ექნება მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტს, მით უფრო ფართო იქნება იმ შემთხვევათა წრე, რომელიც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გარანტიებით ისარგებლებს.

და მაინც, დებულება იმის თაობაზე, რომ ევროპული კონვენციის 1-ლი პუნქტი აზრის გამოხატვის თავისუფლებას იცავს მთლიანად და ყოველგვარი შეზღუდვა ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა იყოს გამართლებული, ბოლომდე უტყუარი არ არის, სწორედ იმ იშვიათი გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ჩვენ ზემოთ აღვწერეთ. პრაქტიკამ გამოავლინა, რომ „აზრის გამოხატვის" ზოგიერთ შემთხვევაზე მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თუნდაც ფორმალური დაცვის გავრცელებაც კი, პრინციპულად უსამართლო, არაგონივრული და მიუღებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ლოგიკურია, რომ ასეთი გამონაკლისები უკავშირდება აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას და მის ყველაზე უფრო უარეს გამოვლინებებს, კერძოდ იმ შემთხვევებს, რომლებიც ისახავენ კონვენციის მე-17 მუხლით აკრძალულ მიზნებსა და, მაშასადამე, ეწინააღმდეგებიან კონვენციის სულისკვეთებასა და ღირებულებებს.

აქვე აუცილებლად გვესახება, მკითხველის ყურადღება საგანგებოდ გავამახვილოთ იმ გარემოებებზე, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება (თვით კონვენციის მე-17 მუხლის გაგებითაც კი), არ არის საკმარისი ფორმალური იურიდიული საფუძველი შესაბამისი შემთხვევის მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან გასაყვანად. ასეთ გადაწყვეტილებას ევროპული სასამართლო მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევებში იღებს და ზრუნავს საიმისოდ, რომ მე-17 მუხლის არსებობა, თავისთავად, არ გადაიქცეს მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების შემასუსტებელ ფაქტორად. ამიტომ მე-17 მუხლის გამოყენების ზუსტად განჭვრეტა ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

საბოლოო ჯამში, პასუხი კითხვაზე, არსებობს თუ არა ისეთი „აზრის გამოხატვა", რომელიც არ არის დაცული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით, კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენების არაერთგვაროვანი

პრაქტიკის მიუხედავად, დადებითია, თუმცა ძალზე გაჭირდება ასეთი „აზრის გამოხატვის“ აუცილებელი მახასიათებლების ზუსტი, ამომწურავი ჩამოთვლა.

უმჯობესი იქნებოდა, საბოლოო დასკვნა მაინც ასე ჩამოგვეყალიბებინა:

კონვენციის მე-10 მუხლი არ იცავს „აზრის გამოხატვის“ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით ეწინააღმდეგება აზრის გამოხატვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებას, დემოკრატიულ ღირებულებებს და მათი შედეგების გათვალისწინებით მიუღებელია, მიუხედავად თვით დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის.

მარიამ ვარდოსანიძე

რელიგიის თავისუფლების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით

1. შესავალი

ამჟამად საქართველოში ერთ-ერთი აქტუალური თემაა რელიგიისა და სარწმუნოების თავისუფლება. საქართველო, როგორც რელიგიური შემწყნარებლობის დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანა, სამწუხაროდ, ხშირად ფიგურირებს რელიგიის თავისუფლების დარღვევების ამსახველ სხვადასხვა საერთაშორისო მოხსენებაში.

როგორც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის" მონაწილე სახელმწიფოს, საქართველოს ეკისრება ვალდებულება — თავისი იურისდიქციის ფარგლებში დაიცვას აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მე-9 მუხლი). ეს უფლება არა მხოლოდ ევროპული კონვენციით არის აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებად და დემოკრატიის აუცილებელ კომპონენტად,[1] არამედ არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებითა თუ დეკლარაციით, როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონალურ დონეზე. ყველა ადამიანს აქვს სამართლებრივად დაცული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც იცავენ მას სახელმწიფოს ჩარევისგან.[2] რელიგიის თავისუფლება სწორედ ამგვარ ძირითად უფლებას განეკუთვნება.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი უფლებათაგანია და მისი რეალობად ქცევა დღევანდელი დღის იმპერატიული აუცილებლობაა ნებისმიერი ინდივიდისათვის,

1 კ. კორკელია, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „ქართული სამართლის მიმოხილვა", 6, 1, 2003 წელი, გვ. 136.

2 პ. მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2005 წელი, გვ. 236.

მიუხედავად მისი რელიგიისა ან რწმენისა, სტატუსისა თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის" რატიფიცირება საქართველომ 1999 წელს მოახდინა, შესაბამისად, მისთვის ამოქმედდა კონვენციით გათვალისწინებული საზედამხედველო სისტემაც. ამდენად, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირებს შესაძლებლობა აქვთ, ევროპულ სასამართლოში შეიტანონ განაცხადი საქართველოს ხელისუფლების ისეთ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპულ კონვენციაში მოცემულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფოსათვის სავალდებულოა შესასრულებლად.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, განიხილოს, თუ რამდენადაა ასახული საქართველოს კანონმდებლობაში ის გარანტიები, რომლებსაც აწესებს კონვენცია, კერძოდ მისი მე-9 მუხლი (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

2. ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი: აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება

2.1. ზოგადი განმარტება

ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება: 1-ლი ნაწილი უზრუნველყოფს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას:

„1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან კერძოდ, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით."[3]

მე-2 ნაწილი კი ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს ამ უფლების განხორციელების მიმართ. ეს შეზღუდვები უნდა იყოს კანონით გათვალ-

3 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 9(1), რომი, 4.XI.1950.

ისწინებული, აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და ისინი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ერთ-ერთი კანონიერი მიზნის მისაღწევად (მაგ.: საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, საჯარო წესრიგის, ჯანმრთელობის, ზნეობის დაცვა ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა):[4]

„2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად."

აღსანიშნავია, რომ რელიგიური შეხედულების შეცვლის უფლება არ შეიძლება სახელმწიფოს რეგულირების საგანი გახდეს. სახელმწიფომ შეიძლება მოაწესრიგოს და შეზღუდოს რელიგიის მხოლოდ გარეგანი გამოვლინება.[5]

რელიგიის თავისუფლებას ორი ასპექტი აქვს: ერთი მხრივ, იგი იცავს რწმენის უფლებას (თეიზმი), ხოლო, მეორე მხრივ, მათ უფლებას, ვისაც არ სწამს (ათეიზმი). შესაბამისად, თავის პრეცედენტულ სამართალშიც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება მოიცავს, *inter alia*, თავისუფლებას, პირს ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რელიგიური მრწამსი და იყოს ან არ იყოს რელიგიის მიმდევარი.[6] ეს უდავოდ აფართოებს მე-9 მუხლის მნიშვნელობას და ზრდის ამ თავისუფლებათა დაცვის აუცილებლობას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქმე *კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Kokkinakis* v. *Greece)*, რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ „ეს უფლება მორწმუნეთა ცნობიერებისა და მათი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ერთ-ერთი სასიცოცხლო ელემენტია, ამასთანავე, იგი ფასეულია ათეისტებისთვის, აგნოსტიკოსებისა და იმ პირებისთვისაც კი, რომელნიც ინდიფერენტულად ეკიდებიან ამ საკითხებს. დემოკრატიული საზოგადოებისაგან განუყოფელი საჯაროობა, რომლის მოპოვებაც შესა-

4 კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005 წელი, გვ. 253.

5 P.van Dijk and G.J.H van Hoof, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, 1998, 543.

6 P.van Dijk and G.J.H van Hoof, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, 1998, 547; იხილეთ ასევე საქმე: *ბუსკარინი სან-მარინოს წინააღმდეგ*, 18 თებერვალი, 1999 წელი.

ძლებელი გახდა საუკუნეების მანძილზე ბრძოლის შედეგად, დამოკიდებულია ამ უფლებაზე."[7]

ევროპულმა სასამართლომ საქმეზე — *მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Mannousakis and others v. Greece)* — განაცხადა: „მე-9 მუხლი პირველ რიგში იცავს ინდივიდის რელიგიურ მრწამსს. ამასთანავე, იგი იცავს ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია მათ გარეგან გამოვლინებასთან, მაგალითად, ქმედებასთან, რომელიც ღვთისმსახურებასა და ლოცვას უკავშირდება და რომელიც რელიგიური მრწამსისა და ჩვეულებების გამოხატვაა საყოველთაოდ აღიარებული ფორმით."

მე-9 მუხლთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე — *მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Mannousakis and others v. Greece)*, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოებს აქვთ უფლება, შეამოწმონ, ახორციელებს თუ არა მოძრაობა ან გაერთიანება მოსახლეობისთვის საზიანო საქმიანობას და ამასთანავე დასძინა, რომ რელიგიის თავისუფლების უფლება „გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე უფლებამოსილებას, განსაზღვროს, კანონიერია თუ არა რელიგიური მრწამსი ან ის საშუალებები, რომლებიც გამოიყენებიან მათ გამოსახატავად."[8]

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ნათლად ჩანს, რომ კონვენციის მსგავსად სტრუქტურირებული მე-8, მე-10 და მე-11 მუხლებისგან განსხვავებით, მე-9 მუხლი ერთადერთია, რომელიც არ რთავს სახელმწიფოს დაცული უფლების შეზღუდვის უფლებას ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის.[9]

აღსანიშნავია, რომ მე-9 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ვალდებულებებს,[10] ანუ ისინი ვალდებულები არიან, არა მარტო თავი შეიკავონ რელიგიისა და რწმენის გამოხატვაში ჩარევისაგან, არამედ მათ უნდა უზრუნველყონ ამ უფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობის შესაძლებლობა თავიანთ იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის.

7 1993 წლის 25 მაისი, Series A no. 260-,33-ე პუნქტი.

8 კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2005 წელი, გვ. 255.

9 კ. კორკელია, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „ქართული სამართლის მიმოხილვა", 6, 1, 2003 წელი, გვ. 138.

10 თ. გურჩიანი, ს. პაპუაშვილი, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2003 წელი, გვ. 18.

რელიგიის თავისუფლება გულისხმობს მისი გამოვლინების როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ ფორმასაც.[11]

2.2. რეგისტრაციის საკითხი

2.2.1. ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტი

ადამიანმა, როგორც ჯგუფის წევრმა, სრულად რომ განახორციელოს თავისი რელიგიის თავისუფლება, სახელმწიფოს მხრიდან, მინიმუმ, საჭიროა ამ ჯგუფისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭება და რელიგიური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობისთვის არადისკრიმინაციული ნორმატიული ბაზით უზრუნველყოფა.[12] რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციისთვის სათანადო პირობების შექმნის ვალდებულებასთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე *მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Mannousakis and others* v. *Greece),* რომლის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ არათუ ხელი არ უნდა შეუშალოს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციას, არამედ, პირიქით, ვალდებულია, უზრუნველყოს ყველას სათანადო პირობა, რათა ასეთ გაერთიანებებს, სურვილის შემთხვევაში, ჰქონდეთ რეგისტრაციის შესაძლებლობა ზედმეტი დაბრკოლებების გარეშე, რამეთუ ასეთი რეგისტრაცია ზოგჯერ აუცილებელიცაა ნორმალურ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში შესვლისთვის (იქნება ეს რელიგიური ლიტერატურის იმპორტ-ექსპორტი, შენობის იჯარით აღება თუ სხვა).[13] რეგისტრაციასთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე *Apeh Üldözötteinek Szövetsége and others v. Hungary*, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „იურიდიული სტატუსის შეძენის შესაძლებლობა ორგანიზაციას საშუალებას მისცემს, იყოს სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების სუბიექტი.[14]

საინტერესოა, თუ რა სტატუსი აქვთ მინიჭებული რელიგიურ გაერთიანებებს ევროპულ სახელმწიფოთა პრაქტიკაში. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ნაკლებად გავრცელებულია, რადგან ეს სახელმწიფოს მხრიდან უამრავ პრივილეგიასთან (უფრო მეტად საგა-

11 P.van Dijk and G.J.H van Hoof, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, 1998, 552.

12 თ. გურჩიანი, ს. პაპუაშვილი, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2003 წელი, გვ. 28.

13 თ. გურჩიანი, ს. პაპუაშვილი, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2003 წელი, გვ. 44.

14 განაცხადი საქმეზე – *Apeh Üldözötteinek Szövetsége and others v. Hungary,* No. 32367/96.

დასახადო) არის დაკავშირებული. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული, შესაძლოა, კონტროლშიც გადაიზარდოს. საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები: გერმანიაში რელიგიური გაერთიანება შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირად; დიდ ბრიტანეთში რელიგიური გაერთიანებები საქველმოქმედო ორგანიზაციების სახით რეგისტრირდებიან; საფრანგეთში მათ შეუძლიათ მიიღონ როგორც ჩვეულებრივი, ისე კულტურული გაერთიანების სტატუსი.

2.2.2. საქართველოს კანონმდებლობა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ რა ხდება ამ მხრივ საქართველოში. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რელიგიური გაერთიანებების განმარტებას.

2005 წლის 6 აპრილს ცვლილებები შევიდა სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლში, რომლის საფუძველზე რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით. თუმცა საინტერესოა, ასევე განვიხილოთ, თუ როგორ რეგულირდებოდა ეს საკითხი საქართველოს მანამდე მოქმედი კანონმდებლობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლით რელიგიურ უმცირესობათა ორგანიზაცია მოიაზრებოდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, მაგრამ კანონში არ იყო მითითებული, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მათი რეგისტრაცია.[15]

1509-ე მუხლი *a priori* უშვებდა, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს ამოძრავებდათ საჯარო მიზანი, რაც ნათლად ჩანდა კანონის ტექსტიდან. ამ მუხლის ე) ქვეპუნქტის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებოდნენ საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, მაგ., პოლიტიკური პარტიები.

საინტერესოა, უნდა ემსახურებოდნენ თუ არა რელიგიური გაერთიანებები საჯარო მიზნებს და არიან თუ არა ისინი საჯარო ინტერესების მატარებელი ორგანიზაციები. რეალურად ყველა რელიგიური ორგანიზაცია არ ემსახურება საჯარო მიზნებს. საქართველოში არსებული ძალზე ბევრი მსგავსი ტიპის ორგანიზაცია ამგვარი საქმიანობით არ არის დაკავე-

15 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1509; 26 ივნისი, 1997 წელი.

ბული და მხოლოდ საკუთარი მრევლის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ზრუნავს. ამიტომ ყველა რელიგიური ორგანიზაცია ვერ იქნებოდა საჯარო მიზნის მქონე. ეს გაუგებარს ხდიდა კიდევ ერთ საკითხს — მაშინ რატომ მოხდა რელიგიური ორგანიზაციების გამიჯვნა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან, როგორიც არის, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საჯარო მიზანს ემსახურებიან?

საინტერესოა ასევე, თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ პრაქტიკაში. სასამართლოს, როგორც ნეიტრალურ არბიტრს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა, დაიცვას ადამიანის უფლებები, გამოაქვს გადაწყვეტილება რელიგიურ გაერთიანებათა რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. 1998 წლის აპრილსა და ივნისში ქ. თბილისის ისნის რაიონის სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლების (30-ე-34-ე) თანახმად, რელიგიური ორგანიზაციები — „იეღოვას მოწმეთა კავშირი" და „პენსილვანიის საგუშაგო კოშკი" — გაატარა რეგისტრაციაში, როგორც საქველმოქმედო კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები.[16] 2001 წლის 22 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა სასამართლოში შეტანილი სარჩელი და იეღოვას მოწმეთა ორი ორგანიზაცია უკანონოდ რეგისტრირებულად ცნო.[17]

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, მიუხედავად ამისა, რეგისტრაციის საკითხი კვლავ მოუგვარებელი რჩება. ზოგიერთი კონფესიის წარმომადგენელი უარს აცხადებს კერძო სამართლის იურიდიული სუბიექტის სტატუსის მოპოვებაზე, ვინაიდან რეგისტრაციის დღეისათვის არსებული შესაძლო ფორმები სრულად ვერ ასახავს რელიგიური გაერთიანების სპეციფიკას. მათთვის მიუღებელია ფონდის ან კავშირის სახით არსებობა, მით უფრო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საჯარო სამართლის იურიდიული პირია.[18]

საყურადღებოა დღეისათვის არსებული ტენდენცია რელიგიური ორგანიზაციებისათვის რეგისტრაციის მოთხოვნის გაუქმებასთან დაკავშირებით, როგორც ეს ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაშია, ვინაიდან აღიარე-

16 ზ. ადეიშვილი, საყოველთაო უფლება და სამართალი, „თავისუფლება", თბილისი, 2002 წელი, გვ. 14.

17 იეღოვას მოწმეებმა, მათ წინააღმდეგ ძალადობის ფაქტებისა და მათთვის რეგისტრაციის გაუქმების გამო, თავიანთი უფლებების დასაცავად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს.

18 საქართველოს სახალხო დამცველის 2005 წლის წლიური ანგარიში, მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების კუთხით, 2005 წელი.

ბულია, რომ ასეთი მოთხოვნები არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.[19]

სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა როგორც ინდივიდის დაცვა სახელმწიფოს რეპრესიული აპარატისგან, ისე უმცირესობების დაცვა უმრავლესობისგან. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას, რომ რელიგიური უმცირესობების უფლებები უმრავლესობის ინტერესების გამო შეიზღუდოს.[20]

რელიგიური ორგანიზაციისათვის ძალზე მნიშვნელოვანია იურიდიული სტატუსის შეძენა, რაც საშუალებას მისცემს მათ, სრულყოფილად და ეფექტიანად გამოხატონ საკუთარი რწმენა და განახორციელონ სხვადასხვა საქმიანობა.

საქართველოს კონსტიტუციაში ისეთი დებულებები, რომლებიც უშუალოდ რელიგიას, მის თავისუფლებას ეხება, მოწესრიგებულია სამი მუხლით, რომლებიც თავისი არსით მსგავსია. კონსტიტუციის მე-9 მუხლში აღნიშნულია, რომ: „სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენის და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან." მე-14 მუხლის მიხედვით, „ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რელიგიისა." დაბოლოს, ამავე აქტის მე-19 მუხლი აცხადებს: „ყოველ ადამიანს აქვს აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება."

საქართველოს კონსტიტუციის დებულებები ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებს და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას — კონსტიტუცია უფრო მაღალ სტანდარტებსაც კი აწესებს, ვიდრე ევროპული კონვენცია.[21] თუმცა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების ადეკვატურად ასახვა არ ხდება მიმდინარე კანონმდებლობაში.

19 Freedom of Religion or Belief: Laws Affecting the Structuring of Religious Communities, OSCE Review Conference, September 1999 ODIHR, Background paper, 1999/4.

20 ზ. ადეიშვილი, საყოველთაო უფლება და სამართალი, „თავისუფლება", თბილისი, 2002 წელი, გვ. 16.

21 კ. კორკელია, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „ქართული სამართლის მიმოხილვა", 1, 2003 წელი, გვ. 152.

3. კონსტიტუციური შეთანხმება ეკლესიასთან და დისკრიმინაციის აკრძალვა

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლმა განიცადა ცვლილება და დამატება, რომლის მიხედვით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის ურთიერთობა წესრიგდება კონსტიტუციური შეთანხმებით,[22] რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიას უკეთეს პირობებში აყენებს სხვა რელიგიურ მიმდინარეობებთან შედარებით. აღნიშნული შეთანხმებით განისაზღვრება მართლმადიდებლური ეკლესიის იურიდიული სტატუსი. ამ აქტით აღიარებულია, რომ ეკლესია სახელმწიფოსაგან გამიჯნულია და საჯარო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში". სავარაუდოა, რომ სწორედ ამ დებულებამ განაპირობა მართლმადიდებლურ ეკლესიასთან საგანგებო შეთანხმების დადება.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის არსებულ კონსტიტუციურ შეთანხმებაზე საინტერესო შეხედულება აქვს ვენეციის კომისიის ექსპერტს, ანტონის მანიტაკისს. მისი აზრით, საკონსტიტუციო შეთანხმების არსებობა კანონიერი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საპატრიარქო იქნებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, როგორიც არის, მაგალითად, ვატიკანი.[23] ასევე საინტერესოა სხვათა მოსაზრება, რომ: „ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, უპირატესობები, რომლებიც ენიჭება საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, ასევე უნდა გავრცელდეს სხვა რელიგიებზე."[24]

22 შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის ხელი მოეწერა 2002 წლის 14 ოქტომბერს, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ამავე წლის 22 დეკემბერს.

23 A. Manitakis, Comments on the Draft of the Constitutional Agreement Between the State of Georgia and the Orthodox Church of Georgia, Venice Commission, 2003, 4.

24 კ. კორკელია, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „ქართული სამართლის მიმოხილვა", 6, 1, 2003 წელი, გვ. 148.

ზოგიერთ იმ ევროპულ სახელმწიფოში, სადაც ტრადიციული რელიგიები არსებობს, ისინი გარკვეული პრიორიტეტებით სარგებლობენ. იმ ფაქტმა, რომ რომელიმე რელიგია აღიარებულია სახელმწიფო ან ოფიციალურ (ტრადიციულ) რელიგიად, ან მისი მიმდევრები შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, არ შეიძლება რაიმე გავლენა იქონიოს მე-9 მუხლით აღიარებული უფლებით სარგებლობაზე იმ პირთა მიერ, რომელნიც წარმოადგენენ რელიგიურ უმცირესობას. ევროპული კონვენციიდან და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც ნათელია, რომ ყველა რელიგიის მიმართ, ტრადიციულია ის თუ არა, უნდა დაწესდეს იდენტური პირობები.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად." აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპული კონვენციის მიხედვით, თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს მოპყრობის თანაბარი პირობები.

ასევე საინტერესოა კონსტიტუციური შეთანხმებით მოწესრიგებული საკითხი, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო მართლმადიდებლურ ეკლესიას უბრუნებს საბჭოთა მმართველობის პერიოდში ჩამორთმეულ ყველა შენობასა და რელიგიურ ნივთს. კონსტიტუციური შეთანხმებით ასევე დადგენილია, რომ ეკლესია არ გადაიხდის გადასახადებს. სახელმწიფო სკოლებში სწავლების პროგრამა და რელიგიური განათლების კადრები ეკლესიის მიერ გაკონტროლდება. მართლმადიდებლური სამღვდელოება არ მოიხდის სავალდებულო სამხედრო სამსახურსაც.[25] კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლი ადგენს, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები თავისუფლდებიან სამხედრო ვალდებულებისაგან. თუ გავითვალისწინებთ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლს, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას, მსგავსი წესი უნდა გავრცელდეს სხვა რელიგიების მიმდევარ სასულიერო პირებზეც.[26]

25 L. Rayeva, Church and State in Tight Embrace, Institute for War and Peace Reporting, 151, 17 October 2002, იხილეთ ინსტიტუტის ინტერნეტ-გვერდზე [www.iwpr.net].

26 კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2005 წელი, გვ. 256.

მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის დაცვის ქვეშ მოიაზრება. 1987 წელს მიღებულ რეკომენდაციაში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ძირითადი პრინციპის სახით დაადგინა, რომ „ნებისმიერ სამხედროვალდებულ პირს, რომელიც მრწამსის გამო უარს აცხადებს იარაღის გამოყენებაზე, აქვს უფლება, განთავისუფლდეს ასეთი სამსახურის გავლის ვალდებულებისაგან, დადგენილი პირობების გათვალისწინებით. ასეთ პირებს შეიძლება დაეკისროთ ალტერნატიული სამსახურის შესრულება."[27]

კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლი აწესებს, რომ „სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით." თუ სახელმწიფო გარკვეულ სტატუსს ანიჭებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას, კონვენციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, სხვა რელიგიების მიხედვით შესრულებულ ჯვრისწერასაც იდენტური სტატუსი უნდა მიენიჭოს.[28]

საინტერესოა ასევე საქართველოს კანონი განათლების შესახებ, რომლის მე-18 მუხლით განსაზღვრულია,[29] რომ საქართველოს საპატრიარქო მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში. ეს, რა თქმა უნდა, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს არადომინანტი რელიგიის მიმდევრებს და მათ უკმაყოფილებასაც იწვევს.[30]

როგორც უკვე აღინიშნა, მე-14 მუხლიდან გამომდინარე, უპირატესობები, რომლებიც ენიჭება საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, ასევე უნდა გავრცელდეს სხვა რელიგიებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები არათანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან მართლმადიდებლურ ეკლესიასთან შედარებით. სწორედ ამიტომ სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად საჭიროა არსებობდეს კანონი რელიგიის შესახებ, რომელიც დაარეგულირებდა პრობლემატურ საკითხებს და მიანიჭებდა მათ თანასწორ უფლებებს, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ასე არ მომხდარა.

27 P.van Dijk and G.J.H van Hoof, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, 1998, 545.

28 კ. კორკელია, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „ქართული სამართლის მიმოხილვა", 6, 1, 2003 წელი, გვ. 146.

29 საქართველოს კანონი განათლების შესახებ (1997 წელი), მუხლი 18(2).

30 „სომხური და კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები საქართველოში ისეთსავე სტატუსს მოითხოვენ, რომლითაც კონკორდატის ფარგლებში მართლმადიდებლური ეკლესია სარგებლობს'', იხილეთ თავისუფლების ინსტიტუტის ინტერნეტ-გვერდი: [www.liberty.ge].

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულია კანონპროექტი „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ," რომელიც პარლამენტის განხილვის საგანი ჯერ არ გამხდარა, თუმცა აღნიშნული კანონპროექტიც სრულად არ შეესაბამება ევროპულ კონვენციას, რაც არაერთხელ აღინიშნა როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე თავად რელიგიური უმცირესობების მიერ.[31]

კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ასევე ითვალისწინებს უფრო ვრცელ ჩამონათვალს იმ კანონიერი მიზნებისას, რომელთა გამოც შეიძლება შეიზღუდოს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი არ ითვალისწინებს ისეთ კანონიერ მიზნებს, როგორებიცაა: „სახელმწიფო თავდაცვა" და „კონსტიტუციური წყობილება". ამდენად, კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ეწინააღმდეგება კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს.

კანონპროექტი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ ადგენს რელიგიურ გაერთიანებათა რეგისტრაციის წესებსა და პროცედურას და რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს. სხვა მიზეზებთან ერთად, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ რელიგიურ გაერთიანებას შეიძლება ეთქვას უარი, თუ „სახელმწიფო რელიგიური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ გაერთიანება არ არის რელიგიური" (მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი). ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ზემოთ განხილული საქმე *მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ* (*Mannousakis and others* v. *Greece*), სადაც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, თუმცა სახელმწიფოს აქვს უფლება, შეამოწმოს, ახორციელებს თუ არა მოძრაობა ან გაერთიანება საქმიანობას, რომელიც საზიანოა მოსახლეობისათვის, რელიგიის თავისუფლების უფლება „გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე უფლებამოსილებას, განსაზღვროს, კანონიერია თუ არა რელიგიური მრწამსი ან ის საშუალებები, რომლებიც გამოიყენებიან მათ გამოსახატავად."[32]

მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეკომენდაციები რელიგიის თავისუფლების საკ-

31 Ф. Корли, Серьезные опасения по поводу проекта религиозного закона, Кестонская Служба Новостей, 12.07.2002.

32 კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2005 წელი, გვ. 255.

ითხებთან დაკავშირებით. 1999 წლის რეკომენდაციაში[33] მითითებულია, რომ რელიგიური ექსტრემიზმი, რომელიც განაპირობებს შეუწყნარებლობასა და ძალადობას, სერიოზულ ზიანს აყენებს დემოკრატიულ გარემოს, „იმდენად რამდენადაც ამგვარი ქმედებები შეიძლება არღვევდეს საზოგადოებრივ წესრიგს, მათთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ კანონის უზენაესობის პრინციპის გათვალისწინებით და როცა ხელისუფლების რეალური მიზანია საზოგადოებისათვის იმ პრობლემების მოხსნა, რომლებიც ექსტრემისტული რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობას ახლავს თან". ასევე მნიშვნელოვანია საპარლამენტო ასამბლეის 1993 წლის რეკომენდაცია „რელიგიური შემწყნარებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში", რომლის მიხედვითაც „ყოველი ადამიანი განიხილება როგორც ერთი ღმერთის ქმნილება და ისინი თანაბრად ღირსეულ და თანასწორუფლებიან პირებად მიიჩნევიან."[34]

4. საქართველოს პრაქტიკა

საქართველოში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ მართლმადიდებლური და სხვა ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევრები. მათ შორის არასოდეს ყოფილა შუღლი და დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე. ამის საფუძველი მართლმადიდებლობის სხვა ეკლესიებთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და შემწყნარებლური დამოკიდებულების პოლიტიკა იყო.

1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის საქმიანობა გააქტიურდა. რელიგიური უმცირესობებისა და რელიგიური ექსტრემიზმის საკითხი განსაკუთრებულად აქტუალური გახდა 1999 წლიდან, როდესაც სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობაზე თავდასხმის ფაქტებმა მკვეთრად მოიმატა.

წინა წლებში ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა არამართლმადიდებლური რელიგიური მიმდინარეობების დევნისა და შევიწროებისა. ხშირად ეს დევნა სწორედ წინა ხელისუფლების თანხმობით, წაქეზებით ან მონაწილეობით ხორციელდებოდა.[35] ამის ნათელი მაგალითია იეღოვას მოწმეე-

33 ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1396, „რელიგია და დემოკრატია", 1999 წელი.

34 საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1202, 1993 წელი.

35 იხ. თავისუფლების ინსტიტუტის ინტერნეტ-გვერდი: [www.liberty.ge].

ბზე განხორციელებული სისტემატიური ძალადობა, რომლის საწინააღმდეგოდაც სახელმწიფო მხოლოდ ზეპირი განცხადებებით შემოიფარგლებოდა და ამგვარად გმობდა განხორციელებული რელიგიური ძალადობის ფაქტებს.

სახელმწიფოს ამგვარი ქმედებები გაკრიტიკებულ იქნა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ეუთოს კომიტეტის თავმჯდომარე თავის მოხსენებაში მიუთითებდა იეღოველების წინააღმდეგ დარბევისა და შევიწროების 80-მდე შემთხვევაზე, რელიგიური ექსტრემიზმის მსხვერპლთა მიერ აღძრულ დაახლოებით 600 სარჩელზე, რომლისგანაც რეალური და ქმედითი რეაგირება თითქმის არცერთზე არ მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ სიტუაცია რელიგიის, რწმენისა და სინდისის თავისუფლების დაცვის მხრივ ნაწილობრივ შეიცვალა. შეწყდა რელიგიურ ნიადაგზე დარბევა და რელიგიურ უმცირესობათა ფიზიკური შეურაცხყოფა. წინამორბედი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ამჟამინდელი ხელისუფლება არ ახდენს რელიგიური ექსტრემიზმის წახალისებასა და ფიზიკური ძალადობის ფაქტების იგნორირებას.

სახალხო დამცველის ოფისის მიერ გამოკითხული ექსპერტების აზრით, საზოგადოების შეუწყნარებლობა განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანების მიმართ ისევ სერიოზულ პრობლემად რჩება. „სახელმწიფო, ჯერ-ჯერობით, არაფერს აკეთებს ამ კლიმატის შესაცვლელად. ის პირველი ნაბიჯები, რაც გადაიდგა, მხოლოდ რეპრესიული ხასიათისაა. [...] რელიგიური ექსტრემისტების დაკავება და გასამართლება თავისთავად არაფრის მომცემია, თუკი უფრო ფართო პლანით არ გაიშლება მუშაობა“, — აცხადებს ერთ-ერთი რესპონდენტი.[36]

გასათვალისწინებელია, რომ, ევროპული სასამართლოს აზრით, როცა სახეზე გვაქვს რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტი, „ხელისუფლების როლი გამოიხატება არა წარმოქმნილი კონფლიქტის მიზეზის აღმოფხვრით, არამედ სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას გარანტიები, რის შედეგადაც არსებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის იარსებებს ტოლერანტობა და ურთიერთშემწყნარებლობა.“[37]

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დაცული რელიგიურ

36 საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, მოხსენება საქართველოში 2004 წლის ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, 2004 წელი.

37 *Metropolitan Church of Bessarabia v. Moldova*, 2001.

მიმდინარეობათა თანასწორობის პრინციპი. სახეზეა არა მხოლოდ ევროპული კონვენციის, არამედ აგრეთვე სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების დარღვევა.

5. დასკვნა

დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, ასახულია თუ არა საქართველოს კანონმდებლობით ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით დადგენილი სტანდარტები, აღსანიშნავია შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ერთ ათწლეულზე მეტს ითვლის, ქვეყანამ ვერ მოახერხა ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებას — აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას უზრუნველყოფდა საქართველოს ტერიტორიაზე. ამის გამო მნიშვნელოვანია, საქართველოში დროულად მოწესრიგდეს რელიგიის თავისუფლების დაცვის საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

კონსტანტინე კორკელია

სასწავლო პროგრამა და საგამოცდო სტანდარტები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპულ სამართალში მოსამართლეებისათვის, პროკურორების, ადვოკატებისა და მოსამართლეთა თანაშემწეებისათვის[1]

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები გამოცხადდა ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, ანუ ეროვნული სამართლის წყაროდ და მათ მიენიჭათ საკმაოდ მაღალი იერარქიული ადგილი ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის. ამიტომ აშკარაა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებათა გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და, განსაკუთრებით, სასამართლო პრაქტიკაზე სულ უფრო გაიზრდება.

საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა უდავოდ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებს ენიჭებათ, რომელთა გამოყენება მართლმსაჯულების განხორციელებისას არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიც ხდება. შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან ერთად, საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენება მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა სწორად იქნეს განმარტებული, ხოლო, მეორე მხრივ, რათა არ იქნეს გამოყენებული კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებათა ისეთი სტანდარტები, რომლებიც ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს. ცხადია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო

1 წინამდებარე კვლევა განხორციელდა ევროპის საბჭოს მხარდაჭერით.

სტანდარტების გამოყენება მართლმსაჯულების განხორციელებისას თვითმიზანი არ არის. ასეთი სტანდარტების გამოყენებით ხელი შეეწყობა ადამიანის უფლებათა ეფექტიან დაცვას, რაც მართლმსაჯულების ძირითადი მიზანია.

უდავოა, რომ დახვეწილი სასწავლო და საგამოცდო (ტესტირების) პროგრამების არსებობა ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიცირებული კანდიდატების მიერ ამ თანამდებობათა დაკავებას. არც ის უნდა იწვევდეს ეჭვს, რომ თუ სასწავლო და საგამოცდო პროგრამები ასახავენ თანამედროვე საერთაშორისო (ევროპულ) მოთხოვნებს და დაადგენენ ამ პროფესიების წარმომადგენელთათვის ისეთი საკითხების ცოდნის აუცილებლობას, რომლებიც საჭიროა მათი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობისათვის, ცხადია, მათი ცოდნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით თანამედროვე მოთხოვნების ადეკვატური იქნება. თუ იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა ცოდნა ამ საკითხებზე ასახავს ასეთ მოთხოვნებს, ადამიანის უფლებათა დაცვა უზრუნველყოფილი იქნება მაღალ დონეზე. ამიტომაც საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ სასწავლო და საგამოცდო (ტესტირების) პროგრამების მაღალ დონეზე შემუშავება დადებით გავლენას მოახდენს ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხზე საქართველოში.

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ, მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, რომელიც ვითარდება საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ იშვიათობაა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება, მათ შორის, სასამართლო საქმეთა განხილვისას. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იმაში ვეძიოთ, რომ იურიდიული პროფესიების წარმომადგენლების დიდი ნაწილი საკმარისად კარგად არ იცნობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო (ევროპულ) სტანდარტებს, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ მათი სასწავლო პროგრამები არასაკმარის დონეზე უზრუნველყოფენ ამ საკითხების შესწავლას.[2]

2 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ: 2001 წლის მეორე ნახევარი", 2002 წელი, გვ. 18-19.

სასამართლო პრაქტიკაზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მზარდი გავლენის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზოგიერთი იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა მიერ თანამდებობის დაკავებისათვის გამოცდის ჩაბარება (ტესტირების გავლა) ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია.

საგამოცდო (ტესტირების) პროგრამაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხების გათვალისწინების მიუხედავად, ცხადია, აუცილებელია, პროგრამა ისე ჩამოყალიბდეს, რომ ასახოს თანამედროვე პრაქტიკა და პასუხობდეს ამ იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით დადგენილ მოთხოვნებს.

ამიტომაც მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ გაანალიზდეს და შეფასდეს ზოგიერთი იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა (მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები და მოსამართლეთა თანაშემწეები) თანამდებობის დაკავებისათვის გათვალისწინებული საგამოცდო (ტესტირების) პროგრამები, განხილულ იქნეს, პასუხობენ თუ არა ისინი თანამედროვე მოთხოვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, გამოითქვას ზოგიერთი რეკომენდაცია ამ პროგრამების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

წინამდებარე კვლევის ყურადღების ცენტრშია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებული სტანდარტების ჩათვლით.

2. სასწავლო (განათლების) სისტემა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ადამიანის უფლებათა ეფექტიან დაცვას, კარგად ფუნქციონირებადი სასწავლო (განათლების) სისტემაა. ევროპული კონვენციის მიღებიდან 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა ყურადღება გაამახვილეს ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი სასწავლო სისტემის მნიშვნელობაზე. ამ რეზოლუციით სახელმწიფოებს ეთხოვათ ადამიანის უფლებათა შესახებ,

მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ, სასწავლო კურსების შემოღება.[3]

ამასთანავე, 2005 წლის 17 მარტს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ვარშავის სამიტზე მიღებულ მოქმედებათა გეგმაში სახელმწიფოებს მიემართათ თხოვნით, უზრუნველყონ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტები სრულად იქნეს ინტეგრირებული საუნივერსიტეტო და პროფესიულ სასწავლო პროგრამებში. ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა ასევე გადაწყვიტეს, რომ დაიწყოს ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების ევროპული პროგრამა იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, რისთვისაც წევრ სახელმწიფოებს მოეწოდათ, თავიანთი წვლილი შეიტანონ მის განხორციელებაში.[4]

ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2004 წლის 12 მაისს მიიღო სპეციალური რეკომენდაცია, მიმართული წევრი სახელმწიფოებისადმი: „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საუნივერსიტეტო განათლებასა და პროფესიულ ტრენინგებში", რომელშიც, *inter alia*, ყურადღებას ამახვილებს იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთა საგამოცდო და სასწავლო პროგრამებში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ საკითხების გათვალისწინების აუცილებლობაზე.[5]

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში იურიდიული პროფესიის იმ წარმომადგენელთა სასწავლო პროგრამები, რომლებიც მონაწილეობენ სასამართლო პროცესში, ითვალისწინებენ სწავლებას ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს ძირითადი პრეცედენტების შესახებ.[6] აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ამ სახელმწიფოებში საწყის ეტაპზე ევროპული კონვენციის გამოუყენებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ევროპული კონვენციის შესახებ სასწავლო პროგრამების არარსებობა იყო.[7]

3 Para. 14(iv), Resolution I, Institutional and Functional Arrangements for the Protection of Human Rights at National and European Level, Ministerial Conference and Commemorative Ceremony of the 50th Anniversary of the Convention, H/Conf(2000)1, Rome, 3-4 November 2000, 2.

4 იხ. Minister's Deputies Documents, CM(2005)80 final, 17 May 2005, I(1).

5 იხ. Rer(2004)4, 12 May 2004.

6 იხ. T. Barkhuysen & M. van Emmerik, Legal Protection Against Violations of the European Convention on Human Rights: Improving (Co-)operation of Strasbourg and Domestic Institutions, 12 Leiden Journal of International Law, 1999, 839.

7 მაგალითისათვის იხ. K. Ioannou, Greece, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 356.

რა მდგომარეობაა საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სწავლებასთან დაკავშირებით და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

2.1. უმაღლესი სასწავლებლები

გასაკვირი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში უმნიშვნელო ყურადღება ექცეოდა საერთაშორისო სამართლის სწავლებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.[8] საერთაშორისო სამართლის დისციპლინა, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლებოდა, ძირითადად თეორიული საკითხებით შემოიფარგლებოდა და მსმენელს არ უვითარებდა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებების, უშუალო გამოყენების ჩვევებს. საერთაშორისო სამართლის სწავლებისათვის უმნიშვნელო როლის მინიჭება განპირობებული იყო პოლიტიკურ-სამართლებრივი მიზეზებით. საბჭოთა კავშირი ემხრობოდა საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის დუალისტურ დოქტრინას, ანუ აღიარებდა მათ ორ დამოუკიდებელ სამართლებრივ სისტემად, რომლებიც უმნიშვნელო გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე.[9] საერთაშორისო სამართალი, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულება, არ იყო საბჭოთა კავშირის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყარო. საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს, სასამართლოებს პრაქტიკულად არანაირი შეხება არ ჰქონდათ საერთაშორისო სამართალთან. იმის გამო, რომ საერთაშორისო სამართლის, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებების, გავლენა იურისტების საქმიანობაზე ძალზე უმნიშვნელო იყო, არ არსებობდა საერთაშორისო სამართლის შესახებ ცოდნის შეძენის მწვავე საჭიროება. ამიტომაც, იურისტებს, რომლებმაც იურიდიული განათლება საბჭოთა კავშირის პერიოდში მიიღეს საქართველოში, არ ჰქონდათ შექმნილი სათანადო პირობები საერთაშორისო სამართლის შესახებ პრაქტიკული ცოდნის შესაძენად, რადგან არც იყო ამის აუცილებლობა.

8 საბჭოთა კავშირის დროს ორი ელიტარული უმაღლესი სასწავლებელი – მოსკოვსა და კიევში — ამზადებდა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს.

9 ამას გარდა, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, გარდა უკრაინისა და ბელორუსიისა, უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში. იხ. ლ. ალექსიძე, ნინასიტყვაობა, საქართველო და საერთაშორისო სამართალი, კ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2001 წელი, გვ. 8.

საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საერთაშორისო სამართლის სწავლების მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ეს განაპირობა საერთაშორისო სამართლის გავლენის ზრდამ საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. ამჟამად საერთაშორისო სამართალი ისწავლება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული განხრის სპეციალობებზე.[10] რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში დაარსდა საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი. ზოგიერთში სპეციალური კურსიც კი შემოიღეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლის სასწავლო პროგრამა განსხვავებულია საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. უმრავლესობა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებისა არასაკმარისად ასახავს იმ როლსა და მნიშვნელობას, რომელიც საერთაშორისო სამართალს, განსაკუთრებით საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ენიჭება საქართველოში. ასევე საყურადღებოა, რომ უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში საერთაშორისო სამართლის (ისევე როგორც სხვა დისციპლინების) სწავლება მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ მხოლოდ თეორიული ცოდნის შეძენას და არა პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სწავლება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, მდგომარეობა ბევრად უკეთესიც რომც იყოს ქვეყანაში ამ საგნის სწავლების თვალსაზრისით, იურიდიული პროფესიების წარმომადგენლების მხრიდან ამ დარგის ცოდნის ხარისხი საგრძნობლად მაღალი უნდა იყოს, ვიდრე საუნივერსიტეტო ცოდნა. თუმცა არ იქნებოდა მართებული უმაღლეს სასწავლებლებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესახებ მისაღები ცოდნის მნიშვნელობის დაკნინება, მაგრამ ის ფაქტი, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული ცოდნა არ არის ადეკვატური, კიდევ უფრო ართულებს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მდგომარეობას, რომლებსაც უმაღლეს სასწავლებელში არ მიუღიათ საბაზისო ცოდნაც კი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო (ევროპული) სამართლის საკითხებზე.

10 საერთაშორისო სამართალი ასევე ისწავლება რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობებზე სპეციალიზებულ ფაკულტეტებზე.

2.2. მოსამართლეები

უდავოა, რომ მოსამართლეებს ენიჭებათ მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების გამოყენებაში. ამ როლმა განაპირობა ის, რომ მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად პირმა უნდა გაიაროს საკვალიფიკაციო გამოცდა, სხვა საკითხებთან ერთად, ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: „ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები".[11]

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულმა კანონმა დააწესა ხსენებულ საკითხებზე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების აუცილებლობა და დაადგინა, რომ საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამას საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამაში ადამიანის უფლებათა საკითხების გათვალისწინება უდავოდ მისასალმებელია და ასახავს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა იურიდიული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია, გამოცდისათვის მოსამზადებელ პროგრამებში გათვალისწინებული იყოს კომპონენტი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ.[12]

მიზანშეწონილია მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის იმ ნაწილის განხილვა, რომელიც ეხება „ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებს და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს".[13]

საგამოცდო პროგრამის ნაწილი, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შედგება ოთხი თემისაგან:

ა) ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი დაცვა;

ბ) ადამიანის უფლებათადაცვის საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმები;

11 „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლი.

12 იხ. Rer(2004)4, 12 May 2004.

13 იხ. „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა", საქართველოს იუსტიციის საბჭო, თბილისი, 2005 წელი.

გ) საერთაშორისოსამართლებრივი აქტები მართლმსაჯულების საკითხებზე;

დ) საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები.

ამ ნაშრომის თემატიკის გათვალისწინებით, ყურადღება გამახვილდება მხოლოდ პირველ ორ თემაზე. მიზანშეწონილია მათი შინაარსის სრულად ასახვა ამ ნაშრომში.

პირველი თემა („ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი დაცვა") ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის ფაკულტატიური ოქმი. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ევროპის სოციალური ქარტია."

მეორე თემა („ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმები") მოიცავს შემდეგ საკითხებს:

„გაერო და მისი საერთაშორისო სასამართლო. საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი. ევროპის საბჭო და მისი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კომისია. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული (ქ. სტრასბურგის) სასამართლო. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი (რომის სტატუტი)."

სრულყოფილია თუ არა საკვალიფიკაციო პროგრამის ხსენებული ორი ნაწილი და საკმარისია თუ არა ამ საკითხების ცოდნა საქართველოს მოსამართლეებისათვის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ეფექტიანი გამოყენებისათვის მართლმსაჯულების განხორციელებისას?

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, თავისთავად ის ფაქტი, რომ მოსამართლეობის საგამოცდო პროგრამაში გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, მათ შორის ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებთან, დაკავშირებული საკითხები, დადებითი მოვლენაა. ეს ადასტურებს მნიშვნელოვან როლს, რომელიც ენიჭებათ საქართველოს სასამართლოებს მართლმსაჯულების განხორციელების დროს საერთაშორისო აქტების გამოყენებაში. მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოითქ-

ვას რამდენიმე მოსაზრება საგამოცდო პროგრამის ამ ნაწილის სრულყოფის შესახებ.

პროგრამით გათვალისწინებულია ისეთი საკითხი, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები". მიუხედავად იმისა, რომ თემა „ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი დაცვა" მოიცავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, ძალზე რთულია, თუ საერთოდ შესაძლებელია, ამ საკითხის ფარგლების დადგენა. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები მოიცავს ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო დონეზე მიღებულ *ნებისმიერ* აქტს, მიუხედავად მისი ბუნებისა და იურიდიული ძალისა. იგი მოიცავს როგორც სახელმწიფოებისათვის იურიდიულად სავალდებულო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს (მაგ., სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია), ისე სარეკომენდაციო ხასიათის საერთაშორისო აქტებს (მაგ., ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია[14]). სარეკომენდაციო ხასიათის საერთაშორისო აქტები მოიცავს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ რეზოლუციებს,[15] ისე ადამიანის უფლებათა საზედამხედველო ორგანოთა სხვადასხვა სახის აქტებს (მაგ., ადამიანის უფლებათა კომიტეტის „საერთო კომენტარები"). ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტებს ასევე განეკუთვნება საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც სახელმწიფოს აკისრებენ არა სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა სფეროში (მაგალითად, ჰელსინკის დასკვნითი აქტით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა სტანდარტები, ისევე როგორც ზოგადად, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დოკუმენტებში განმტკიცებული სტანდარტები).

ამდენად, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები" ძალზე ფართო ცნებაა და მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით საერთაშორისო დონეზე მიღებულ ნებისმიერ აქტს. ისმის კითხვა: *მიზანშეწონილია თუ არა ასეთი ზოგადი საკითხის გათვალისწინება საგამოცდო პროგრამით და რეალისტურია თუ არა მოლოდინი, რომ*

14 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის სამართლებრივი ბუნების შესახებ იხ. კ.კორკელია, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, „საქართველო და საერთაშორისო სამართალი", კ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2001 წელი, გვ. 72-73.

15 მხოლოდ გაეროს ფარგლებში ადამიანის უფლებათა სფეროში ყოველწლიურად მიიღება ათეულობით რეზოლუცია.

მოსამართლეობის კანდიდატი (ან ნებისმიერი სხვა იურიდიული პროფესიის წარმომადგენელი) შეძლებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას? ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო სტანდარტის ან მისი უმრავლესობის ცოდნა მოსამართლეობის კანდიდატის მიერ პრაქტიკულად შეუძლებელია. ყველა ასეთი სტანდარტის ცოდნა შეუძლებელია არა მხოლოდ მოსამართლეობის კანდიდატისათვის, რომელიც საკვალიფიკაციო გამოცდას აბარებს კიდევ ექვს სხვა საგანში, არამედ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტისათვისაც კი.[16] ხსენებულიდან გამომდინარე, აუცილებელია ამ საკითხის დაზუსტება.

საგამოცდო პროგრამა ასევე ითვალისწინებს ისეთ საკითხს, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია". როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაა და, შესაბამისად, არ აკისრებს სახელმწიფოებს მისი შესრულების იურიდიულ ვალდებულებას. საერთაშორისო ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, საყოველთაო დეკლარაცია, ისევე როგორც სხვა სარეკომენდაციო ხასიათის რეზოლუციები, არ არის საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი. ის თავისთავად არ წარმოშობს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უფლებებს. დეკლარაციაში განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ის სტანდარტები, რომელთა შესრულებასაც სახელმწიფოები უნდა ესწრაფვოდნენ. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ საყოველთაო დეკლარაციაში განმტკიცებული ნორმების დიდი ნაწილი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებად ჩამოყალიბდა. დეკლარაციით განმტკიცებული სტანდარტების უმრავლესობა ასევე გათვალისწინებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტებით, რომლებიც აკისრებენ სახელმწიფოებს საერთაშორისო ვალდებულებებს. თუმცა საყურადღებოა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოში დეკლარაცია მართლმსაჯულების განხორციელებისას გამოიყენება როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების განმარტების საშუალება. მიუხედავად ამისა, საყოველთაო დეკლარაცია სახელმწიფოებისათვის

16 როგორც ცნობილია, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გარდა „ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტების და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების" საგნისა, ტარდება ისეთ საგნებში, როგორებიცაა: საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი და ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი. იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

მაინც სარეკომენდაციო ხასიათის რეზოლუციად რჩება. ხსენებულის გათვალისწინებით, უპრიანი იქნებოდა, პროგრამით გამიჯნული ყოფილიყო სახელმწიფოსათვის იურიდიულად სავალდებულო აქტები (საერთაშორისო ხელშეკრულებები) და სარეკომენდაციო აქტები.

საგამოცდო პროგრამით ასევე გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულება (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი). უეჭველია, ხსენებული აქტები გაეროს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებებია ადამიანის უფლებათა სფეროში და აუცილებელია მათი შინაარსის ცოდნა საქართველოს მოსამართლეთათვის. ამასთანავე, საინტერესოა, ნიშნავს თუ არა მხოლოდ ხსენებული აქტების შეტანა პროგრამაში იმას, რომ საქართველოს მოსამართლეები არ არიან ვალდებულნი, იცნობდნენ ადამიანის უფლებათა შესახებ სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც მიღებულია გაეროს ფარგლებში? რა თქმა უნდა, არა. ისინი უნდა იცნობდნენ ადამიანის უფლებათა შესახებ ყველა ძირითად საერთაშორისო ხელშეკრულებას. გაეროს ეგიდით მიღებულ ადამიანის უფლებათა შესახებ სხვა უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებებს განეკუთვნება, *inter alia*: კონვენცია წამების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. თუმცა გაეროს ეგიდით ასევე მიღებულია სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებებიც. ყველა ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია. ისინი წარმოშობენ უფლებებსა და ვალდებულებებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის და შეიძლება გამოყენებულ იქნენ მართლმსაჯულების განხორციელებისას. ხსენებულიდან გამომდინარე, გამართლებული იქნებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებების სიის გონივრულ ფარგლებში გაზრდა და ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებების შეტანა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო პროგრამაში.

საგამოცდო პროგრამით ასევე გათვალისწინებულია რეგიონულ დონეზე მიღებული ადამიანის უფლებათა ორი საერთაშორისო ხელშეკრულება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპის სოციალური ქარტია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საგამოცდო პროგრამაში ჩართვა უდავოდ მნიშვნელოვანია, რადგან ამ კონვენციით შექმნილია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის ყველაზე ეფექტიანი სისტემა. რაც შეეხება ევროპის სოციალურ ქარტიას, აღსანიშნავია, რომ არსებობს ევროპის სოციალური ქარტიის ორი ტექსტი: ერთი მიღებულია 1961 წელს („ევროპის სოციალური ქარტია"), ხოლო მეორე, განახლებული ტექსტი — 1996 წელს („ევროპის სოციალური ქარტია (განახლებული)").

მართალია, საკითხი ევროპის სოციალური ქარტიის შესახებ პროგრამაში შეტანილია ამ პროგრამის შემუშავების დღიდან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ იყო ქარტიის მონაწილე და შესაბამისად მისთვის იგი სავალდებული არ იყო, მაგრამ ვინაიდან საქართველომ მოახდინა ქარტიის რატიფიცირება 2005 წლის 22 აგვისტოს (ქარტია საქართველოსათვის ძალაში შედის 2005 წლის 1 ოქტომბერს), ცხადია, საკითხი ქარტიის შესახებ საგამოცდო პროგრამაში უნდა დარჩეს. ამასთანავე, სასურველია, პროგრამაში დაზუსტდეს, რომ საკითხი ეხება ევროპის სოციალური ქარტიის განახლებულ ტექსტს.

რაც შეეხება პროგრამის მეორე თემას („ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები"), მის მიმართაც შეიძლება გამოითქვას რამდენიმე მოსაზრება. ხსენებული თემა ითვალისწინებს ისეთ საკითხს, როგორიცაა „გაერო და მისი საერთაშორისო სასამართლო. საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია." გაერო, როგორც ცნობილია, უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციაა და მისი საქმიანობის სფერო მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვას. გაეროს საქმიანობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რისი ცოდნა მოეთხოვება მოსამართლეობის კანდიდატს. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ამ საკითხში იგულისხმება გაეროს საქმიანობა ადამიანის უფლებათა სფეროში, მაგრამ არც ეს არის საკმარისად ზუსტი დეფინიცია იმისა, თუ რა უნდა იცოდეს მოსამართლეობის კანდიდატმა. როგორც ცნობილია, გაეროს საქმიანობა ადამიანის უფლებათა სფეროში ხორციელდება ძირითადად სახელშეკრულებო (მაგ., ადამიანის უფლებათა კომიტეტი ან წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი) და არასახელშეკრულებო ორგანოების (მაგ., ადამიანის უფლებათა კომისია) მიერ. ამ ორგანოთა საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ მოსა-

მართლეობის კანდიდატმა მეტ-ნაკლები დეტალურობით იცოდეს მათი საქმიანობის შესახებ.

რაც შეეხება საკვალიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხს საერთაშორისო სასამართლოს შესახებ, პროგრამა აქაც საჭიროებს დაზუსტებას. საერთაშორისო სასამართლო გაეროს ერთ-ერთი ძირითადი ორგანოა, მაგრამ გაეროს ფარგლებში დაარსებულია სხვა საერთაშორისო სასამართლოები, მათ შორის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულების შესახებ და რუანდის ტრიბუნალი. მეორე საკითხიდან (საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია) გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსამართლეობის კანდიდატს, პროგრამის მიხედვით, მოეთხოვება გაეროს ერთ-ერთი ძირითადი ორგანოს საქმიანობის ცოდნა. საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამით ამა თუ იმ საკითხის გათვალისწინება უნდა გამომდინარეობდეს იქიდან, აუცილებელია თუ არა მოსამართლისათვის ამ საკითხების ცოდნა. ამიტომ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, მოსამართლეს დასჭირდება თუ არა თავის საქმიანობაში ისეთი საკითხის ცოდნა, როგორიცაა საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია. საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის საკითხი ეხება იმას, თუ რა ფორმითა და ხერხით აღიარებს სახელმწიფო სასამართლოს კომპეტენციას, განიხილოს საერთაშორისო დავა და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება. მით უმეტეს, რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსაგან განსხვავებით, არ განიხილავს ფიზიკური და იურიდიული პირების განაცხადებს. მისი იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფოთაშორის დავებზე.[17] ამიტომ ეროვნულ სასამართლოს პრაქტიკულად არანაირი შეხება არა აქვს გაეროს საერთაშორისო სასამართლოსთან, რის გამოც პროგრამით მისი გათვალისწინება მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს საკითხს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის შესახებ.[18] ადამიანის უფლებათა კომიტეტი საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოა, რომელიც დაარსებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით. მიუხედავად იმი-

17 როგორც ცნობილია, საერთაშორისო სასამართლოს ასევე აქვს საკონსულტაციო იურისდიქცია. იხ. საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 65-ე მუხლი.

18 ამ საერთაშორისო ორგანოს სახელწოდებაა „ადამიანის უფლებათა კომიტეტი" და არა „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი".

სა, რომ ამ საკითხს მოიცავს პირველი თემის ერთ-ერთი საკითხი (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი), მაინც მიზანშეწონილია მისი გათვალისწინება პროგრამით. მაგრამ, თუ მოსამართლეობის კანდიდატს მოეთხოვება, იცოდეს ამ საზედამხედველო ორგანოს საქმიანობის შესახებ, მან ასევე უნდა იცოდეს სხვა საზედამხედველო ორგანოთა, მათ შორის: ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის საქმიანობის შესახებ.

ასევე ზოგადია საკითხი „ევროპის საბჭოსა და მისი როლის შესახებ ადამიანის უფლებათა სფეროში". ის მოიცავს ევროპის საბჭოს ნებისმიერ საქმიანობას ადამიანის უფლებათა სფეროში, რაც ძალზე ფართოა. პრაქტიკულად რთულია, რომ მოსამართლემ იცოდეს ყველა ამ საქმიანობის შესახებ და, რაც მთავარია, ასეთი ცოდნა გამოუსადეგარია მოსამართლისათვის. მოსამართლეობის კანდიდატმა უნდა იცოდეს ის, რაც მოსამართლეს შეიძლება გამოადგეს თავის საქმიანობაში. ამიტომ მიზანშეწონილია ამ საკითხის დაზუსტება. მოსამართლის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია არა ზოგადად ევროპის საბჭოს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის, როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, არამედ ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც აწესრიგებენ ადამიანის უფლებათა დაცვას. ამას გარდა, საქართველოს მოსამართლეებისათვის მნიშვნელოვანია ის ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილეცაა საქართველო, რადგან მხოლოდ ასეთი ხელშეკრულებებია საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი.

პროგრამით ასევე გათვალისწინებულია ისეთი საკითხი, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კომისია." ვინაიდან ევროპულმა კომისიამ შეწყვიტა საქმიანობა 1998 წლის 1 ნოემბერს ევროპული კონვენციის მე-11 ოქმის (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საზედამხედველო სისტემის რესტრუქტურიზაციის შესახებ) ძალაში შესვლის შედეგად,[19] უცნაურია, რომ საგამოცდო პროგრამის დღევანდელ რედაქციაში მაინც გათვალისწინებულია საკითხი ევროპული კომისიის შესახებ. ამიტომ აუცილებელია საგამოცდო პროგრამიდან ამ საკითხის ამოღება.

19 ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, ევროპული კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კიდევ ერთი წლით გააგრძელა საქმიანობა განუხილავ საქმეებზე მუშაობის დასასრულებლად.

პროგრამის ამ ნაწილით ასევე გათვალისწინებულია შემდეგი საკითხი: „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული (ქ. სტრასბურგის) სასამართლო".[20] მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს მოიცავს პროგრამით გათვალისწინებული სხვა საკითხი („ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია"), მაინც აუცილებელია, რომ საქართველოს მოსამართლე გათვითცნობიერებული იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციონირებაში.

ასევე ყურადღებას იპყრობს საკითხი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესახებ, რომელიც მოქცეულია მე-2 თემაში — „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი". ვინაიდან საერთაშორისო სისხლის სამართალი დღეს უკვე საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ დარგად მიიჩნევა, სადავოა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესახებ საკითხის ჩამოყალიბება პროგრამის ამ თემაში. უპრიანი იქნებოდა, საკითხი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესახებ გადატანილიყო მე-4 თემაში („საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები"), რადგან მასში თავმოყრილია სხვადასხვა საკითხის მომწესრიგებელი საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ხელშეკრულებები საერთაშორისო სისხლის სამართლის საკითხებზე.[21]

საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის იმ ნაწილიდან გამომდინარე, რომელიც ზემოთ იქნა განხილული, შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნის გაკეთება: ერთი მხრივ, პროგრამით გათვალისწინებულია იმდენად ზოგადი და განუსაზღვრელი საკითხები (მაგ., ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები), რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მათი ცოდნა მოსამართლეობის კანდიდატისათვის; მეორე მხრივ, პროგრამა ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, რომლებიც ან უშუალოდ არ ეხება საქართველოს სასამართლოების საქმიანობას (საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია), ან საერთოდ აღარ არის აქტუალური (ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია). პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ ის არ ითვალისწინებს რამდენიმე ისეთ საკითხს, რომელთა შესახებაც მოსამართლეებს ზუსტი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ. პროგრამაში არ არის შეტანილი რამდენიმე საკითხი, რომელთა ცოდნა აუცილებელია მოსამართლეებისათვის, მათ შორის: საქართველოს საერ-

20 სასამართლოს სწორი სახელწოდებაა „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო".

21 ევროპული კონვენცია მსჯავრდებულთა გადაცემის შესახებ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ.

თაშორისო ხელშეკრულების როლი საქართველოს კანონმდებლობაში, მისი იერარქიული ადგილი და გამოყენების წინაპირობები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით განმტკიცებული მატერიალური უფლებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იურიდიული ბუნება, ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმებით (მე-4, მე-6, მე-7 და მე-13 ოქმები) გათვალისწინებული საკითხები.

განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგამოცდო პროგრამა არ ითვალისწინებს საკითხს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ. საყურადღებოა, რომ იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთა სასწავლო და საგამოცდო (ტესტირების) პროგრამების შედგენა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გარეშე, არა მხოლოდ არასწორია, არამედ დიდია იმის ალბათობა, რომ მან ხელი შეუწყოს არასწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას ევროპული კონვენციის დებულებათა განმარტებასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ სასამართლო დავაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან კონკრეტული პროცესის მხარეები, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს იყენებენ პრაგმატული მოსაზრებით. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები და მათი ეროვნული სასამართლოები პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც კონვენციის საზედამხედველო ორგანო, ახდენს ევროპული კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებას. ეს განაპირობებს სახელმწიფოების, მათ შორის მათი ეროვნული სასამართლოების, მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების (პრეცედენტების) გამოყენებას, რომლებიც ეხება კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს.[22]

22 E. Klein, Should the Binding Effect of the Judgments of the European Court of Human Rights be Extended? in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 705; ასევე იხ. Para. 43, Report of the Constitutional Court of the Russian Federation, XIIth Congress of the Conference of the European Constitutional Courts: "The Relations between the Constitutional Courts and the Other National Courts, Including the Interference in this Area of the Action of the European Courts", 14-16 May 2002, Brussels. მოხსენება ხელმისაწვდომია კონფერენციის ინტერნეტ-გვერდზე: [http://www.confeuconstco.org] .

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ამ გადაწყვეტილების (პრეცედენტის) მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათადა თავისუფლებათაშინაარსს.[23] კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით ევროპული სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს.[24] ევროპული სასამართლოს განმარტებით, რაც აისახება პრეცედენტულ სამართალში, ევროპული სასამართლო ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციას.[25] ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციაზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში. მან გაანაცხადა, რომ: „ფაქტობრივად სასამართლოს გადაწყვეტილებები მიზნად ისახავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილ საქმეთა გადაწყვეტას, არამედ, უფრო ზოგადად, ნათელი მოჰფინოს, დაიცვას და განავითაროს კონვენციით გათვალისწინებული ნორმები და ამგვარად ხელი შეუწყოს სახელმწიფოების, როგორც ხელშემკვრელი მხარეების, მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას".[26]

ა) ეროვნული სასამართლოები ათვითცნობიერებენ, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მისი პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე ძალზე რთულია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსის სწორად დადგენა და, შესაბამისად, კონვენციის დებულებათა სწორად გამოყენება.[27] კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული. კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შინაარსი გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.[28] ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტდება კონვენციის (და მისი

23 J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, N11-12, 1996, 407.

24 *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Ireland* v. *the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A, no. 25, 154-ე პუნქტი.

25 J. Polakiewicz, The Implementation of the ECHR and of the Decisions of the Strasbourg Court in Western Europe: An Evaluation, The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe (eds. E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski *et al.*), 1992, 154.

26 *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Ireland* v. *the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A, no. 25, 154-ე პუნქტი.

27 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაცია Rec(2002)13. რეკომენდაციის ტექსტი ხელმისანვდომია ევროპის საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე: [www.coe.int].

28 J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, N11-12, 1996, 407.

ოქმების) დებულებათა შინაარსი და ფარგლები.[29] კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ნათელს ჰფენს კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.[30]

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აზუსტებს კონვენციის ცალკეულ დებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, ისევე როგორც გამოყენების სფეროს, ევროპულ სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოები არ განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გარეშე.[31] როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტმა ლუციუს ვილდჰაბერმა აღნიშნა: „გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნულ სამართალში ენიჭება კონვენციის ტექსტს, თუმცა ასეთივე მნიშვნელობა უნდა განეკუთვნოს შესაბამის სასამართლო პრაქტიკას, რომელიც კონვენციის ტექსტიდან გამომდინარეობს."[32]

ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით.[33] ისინი დადგენილია როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე მიღებული პრეცედენტული სამართლით.[34] სხვა სიტყვებით, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიაზრება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები.[35]

29 L. Wildhaber, Speech made at Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special issue), N50, 2000, 42.

30 J. Polakiewicz, The Execution of Judgments of the European Court of Human Rights, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 72-73.

31 J. Madureira, Portugal, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 683.

32 ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 2002 წელი, გვ. 63.

33 A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 676.

34 M. Melchior, Main Point of the General Report, Seminar "Partners for the Protection of Human Rights: Reinforcing Interaction Between the European Court of Human Rights and National Courts", 9-10 September 2002, Strasbourg.

35 M. Macovei, Freedom of Expression: A Guide to the Implementation on Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001, 5.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოშველიება, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო განხილვაზე. თუ არ გაანალიზდა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ძალზე რთულია იმის დადგენა, კონკრეტულად რას გულისხმობს: სამართლიანი და საჯარო მოსმენა, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს ასეთი განხილვა და როგორ უნდა იქნეს ეს პრინციპები გამოყენებული პრაქტიკაში.

ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას ადასტურებენ მეცნიერი იურისტები. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავეყრდნოთ იორგ პოლაკევიჩის შეხედულებას, რომელმაც აღნიშნა:

„კონვენციის მრავალი დებულების ნამდვილი მნიშვნელობის სათანადოდ გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მხედველობაში მიიღება სტრასბურგის სასამართლოსა და კომისიის პრაქტიკა.

სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის მზარდი მნიშვნელობა გავლენას ახდენს ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის გამოყენებაზე. თუ წარსულში ზოგადად მოიშველიებოდა კონვენციის ცალკეული დებულებანი, დღეს ეროვნული სასამართლოები რეგულარულად ითვალისწინებს ამ დებულებათა გამოყენების პრაქტიკას სტრასბურგის სასამართლოს მიერ. მაგალითად, საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიები ან მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არ განისაზღვრება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მხოლოდ მე-6 მუხლის საფუძველზე. მათი [*საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიების ან მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის—ავტორი*] დამახასიათებელი ნიშნების დასადგენად ეროვნული სასამართლოები იყენებენ იმ კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომლებიც სხვადასხვა საქმის კონტექსტში განვითარდა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში."[36]

ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევა-

36 J. Polakiewicz, The Status of the Convention in National Law, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 51.

ში, დიდია იმის ალბათობა, რომ ევროპული კონვენციის დებულებებს განსხვავებულად განმარტავენ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა სახელმწიფოს მიერ. თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მან შეიძლება უფრო შეზღუდვითად განმარტოს ის უფლება, რომელიც ენიჭება პირს. ამის შედეგად პირი არ იქნება უზრუნველყოფილი უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპული კონვენციით. ასეთ შემთხვევაში, თუ პირი მიმართავს ევროპულ სასამართლოს იმის მტკიცებით, რომ ეროვნულმა სასამართლომ იგი არ უზრუნველყო იმ უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპული კონვენციით, ევროპული სასამართლო მის სასარგებლოდ გადაწყვეტს დავას და დაადგენს, რომ სახელმწიფომ, რომლის სასამართლომაც კონვენციით გათვალისწინებული დებულება უფრო შეზღუდვითად განმარტა, ვიდრე ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, არ შეასრულა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებანი.[37]

კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შინაარსის დადგენაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ კონვენცია არის არა სტატიკური, არამედ „ცოცხალი" დოკუმენტი.

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მიღებულია 1950 წელს. იგი იურიდიულად სავალდებულო პირველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომელმაც საერთაშორისო დონეზე განამტკიცა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.[38] ამ პერიოდიდან მოყოლებული, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვა როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვნად განვითარდა, განმტკიცდა ადამიანთა უფლებრივი გარანტიები, გაფართოვდა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსი და მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამონაკლისი არ არის. მისი მიღებიდან გასული ხუთი ათწლეულის განმავლობაში ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებშიც იცვლებოდა საზოგადოებრივი ცნობიერება, მიდგომა ამა თუ იმ ზნეობრივი ფასეუ-

37 J. Velu, Report on "Responsibilities for States Parties to the European Convention", in: Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights, 13-16 November 1985, 1988, 592-593.

38 თუმცა 1945 წელს მიღებულმა გაეროს წესდებამ პირველად მოახდინა ადამიანის უფლებათა დაცვის „ინტერნაციონალიზაცია".

ლობებისადმი. მათთან ერთად შეიცვალა ადამიანის უფლებათა შინაარსი, გაფართოვდა ის გარანტიები, რომლებიც პირს ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.

ბუნებრივია, რომ ევროპულ სასამართლოს ჯეროვანი პასუხი უნდა გაეცა აღნიშნული ცვლილებებისათვის, რაც შეუძლებელი იყო სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ზნეობრივი ფასეულობების კვალდაკვალ ევროპული კონვენციით დაცული უფლებებისათვის უფრო ფართო შინაარსის მინიჭების გარეშე. ამისათვის ევროპული კონვენციის საზედამხედველო ორგანოებმა[39] ჩამოაყალიბა და განავითარა ევროპული კონვენციით განმტკიცებული უფლებების „დინამიკური" განმარტების კონცეფცია. სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ მხედველობაშია მისაღები კონვენციის სპეციალური ხასიათი, კერძოდ კი ის, რომ კონვენცია „ცოცხალი" დოკუმენტია, რომელიც უნდა განიმარტოს დემოკრატიულ სახელმწიფოში დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.[40] სასამართლომ უარყო კონვენციის სტატიკური, ისტორიული განმარტების იდეა.[41] შესაბამისად, ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ კონცეფციებს ევროპული სასამართლო იმ მნიშვნელობით განმარტავს, რაც ასახავს ევროპული საზოგადოების დღევანდელი განვითარების დონეს და არა იმ მნიშვნელობით, რომელიც კონვენციის მიღების დროს არსებობდა.[42] მაგალითად, საქმეზე — *თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Tyrer* v. *the United Kingdom*) (1978 წელი), რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანის გაწკეპვლას, — ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული კონვენცია, კერძოდ მისი მე-3 მუხლი,[43] უნდა განიმარტოს საქმის განხილვის დროინდელი მნიშვნელობით და არა იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ენიჭებოდა 1950 წელს. ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმის არსი იყო ის, წარმოადგენდა თუ არა არასრულწლოვანის გაწკეპვლა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, კერძოდ კი, შეადგენდა თუ არა ეს მოქმედება ღირსების შემლახავ სასჯელს. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწი-

39 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

40 სხვა საქმეებთან ერთად, იხ. საქმე *ვან დერ მიუსელი ბელგიის წინააღმდეგ* (*Van der Mussele* v. *Belgium*), 1983 წლის 23 ნოემბერი, 32-ე პუნქტი.

41 J. Frowein, The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe, in: Collected Courses of the Academy of European Law, 1990, vol. I(2) 1992, 302.

42 R. Bernhardt, The Convention and Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 31-32.

43 „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს".

ფოთა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განვითარებისა და ზოგადად დამკვიდრებული სტანდარტების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გაწკეპვლა არის ღირსების შემლახავი სასჯელი და, შესაბამისად, მიიჩნია, რომ არასრულწლოვანის გაწკეპვლით დაირღვა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.“

ამ კონცეფციის მეშვეობით ევროპული სასამართლო აზუსტებს კონვენციით დაცული უფლებების შინაარსს, აფართოებს მათში ჩამოყალიბებულ გარანტიებს.[45] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კონვენციის ნორმების განმარტება იცვლება და ვითარდება დროთა განმავლობაში, საზოგადოების ცნობიერების განვითარებისა და ზნეობრივი ფასეულობების შეცვლასთან ერთად.[46] ესა თუ ის მოქმედება, რომელიც 50-60-იან წლებში არ განიხილებოდა კონვენციის დარღვევად, 80-90-იან წლებში შეიძლება ასეთად ჩაითვალოს.

ევროპული კონვენცია საკმაოდ „მშრალი“ დოკუმენტია. კონვენციის ანალოგიური დებულებები ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამდიდრებს ამ დებულებებს, განმარტავს კონვენციის ნორმებს, ადგენს მისი გამოყენების შესაძლებლობას კონკრეტულ გარემოებათა მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოებმა, მათ შორის სასამართლოებმა, უნდა გაითვალისწინოს ამ პრეცედენტების მიღების პერიოდი. ვინაიდან ევროპული კონვენცია „ცოცხალი“ დოკუმენტია, რის გამოც კონვენციის ამა თუ იმ უფლების შინაარსი შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლასთან ერთად, დასაშვებია, რომ ესა თუ ის კონკრეტული პრეცედენტი, რომელიც გამოიყენა ეროვნულმა სასამართლომ, შეიძლება მოძველებუ-

44 *თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Tyrer v. the United Kingdom*), 1978 წლის 25 აპრილი; ასევე იხ. J. Merrils, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 79-80.

45 N. Mikkelsen, The Implementation in National Law of the Rights and Freedoms Embodies in the European Convention on Human Rights, in: The Implementation in National Law of the European Convention on Human Rights, Proceedings of the Fourth Copenhagen Conference on Human Rights, 28-29 October, 1988, 1989, 93.

46 Para. 43, Report of the Constitutional Court of the Russian Federation, XIIth Congress of the Conference of the European Constitutional Courts: "The Relations between the Constitutional Courts and the Other National Courts, Including the Interference in this Area of the Action of the European Courts", 14-16 May 2002, Brussels. მოხსენება ხელმისაწვდომია კონფერენციის ინტერნეტ-გვერდზე: [http://www.confeuconstco.org].

ლი იყოს. რაც უფრო ძველია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, მით უფრო ნაკლებად სარწმუნოა იგი და, შესაბამისად, მით უფრო დიდია ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლების არასწორი განმარტების რისკი.[47] ამიტომაც ეროვნულმა სასამართლოებმა მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ, რათა აღმოაჩინონ და გამოიყენონ უახლესი პრეცედენტები, რომლებიც მიღებულია ევროპული სასამართლოს მიერ. ამისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელიც მოსამართლეებს მისცემს საშუალებას, მუდმივად ადევნონ თვალყური ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის დებულებათა „ახლებურ" განმარტებას.

როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რათა განმარტონ ევროპული კონვენციის დებულებები. ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს შეუძლია, მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინოს ეროვნულ სასამართლოებს კონვენციის დებულებების გამოყენებისას. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რისთვისაც მათ უნდა მოიძიონ ევროპული სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებიან ანალოგიურ სიტუაციას, დასაშვებია, ეროვნულმა სასამართლომ ვერ მიაკვლიოს ევროპული სასამართლოს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ნათელს მოჰფენს ევროპული კონვენციის დებულებათა განმარტებას იმ კონტექსტში, რომელიც ეროვნული სასამართლოს მიერ განიხილება. ამის მიზეზი შეიძლება მარტივი იყოს: ევროპულ სასამართლოს არ ჰქონდეს განხილული ანალოგიური საქმე იმის გამო, რომ არავის მიუმართავს მისთვის ადამიანის უფლებათა ასეთ გარემოებაში დასაცავად. ცხადია, ევროპული სასამართლო იხილავს საქმეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიმართა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის მტკიცებით. ევროპული სასამართლო არ არის უფლებამოსილი, განიხილოს საქმეები *in abstracto*. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება ვერ აღმოაჩინოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტი, რომელიც ეროვნული სასამართლოს წინაშე განსახილველი საქმის გარემოებების ანალოგიურია, ასეთი პრეცედენტის არარსებობა არ ნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლომ უნდა

47 P. Plowden & K. Kerrigan, Advocacy and Human Rights: Using the Convention in Court and Tribunals, 2002, 157.

შეწყვიტოს კონვენციის განხილვა და საქმე გადაწყვიტოს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის საფუძველზე.[48] ეროვნულმა სასამართლომ თავად უნდა შეაფასოს საქმის გარემოებები და კონვენციის შესაბამისი დებულებები გამოიყენოს საქმის გადასაწყვეტად. მაგალითად, თუ ეროვნული სასამართლო იხილავს დავას კონვენციის მე-8 – მე-11 მუხლებთან დაკავშირებით,[49] მას შეუძლია განიხილოს ამ მუხლების მე-2 პუნქტებით დადგენილი სამი კრიტერიუმი, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ხსენებული მუხლებით დადგენილი უფლებები და თავისუფლებები.[50]

ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ, რათა შესაძლებელი გახდეს კონვენციით გათვალისწინებული ამა თუ იმ სამართლებრივი ცნებისა თუ პრინციპის კონკრეტული შინაარსის დადგენა, რის გარეშეც ძალზე რთულია კონვენციის დებულებათა სწორი გამოყენება.[51]

ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმ გარანტიების დადგენისათვის, რომლებიც დაცულია კონვენციით. როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (და მისი დამატებითი ოქმებით) დაცული უფლებები და თავისუფლებები არ არის ყოვლისმომცველი. კონვენციაში შეუძლებელია ყველა იმ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ დებულებების მოძიება, რომლებიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეიძლება მიენიჭოთ.

მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ კონვენციაში პირდაპირ არ არის მითითება ამა თუ იმ გარემოებაზე, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს კონვენციის კონკრეტული დებულება, არ ნიშნავს, რომ გამოირიცხება ამ გარემოებაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლების გავრცელება. კონვენციით განმტკიცებული გარანტიების გამოყენების არეალი შეიძლება გაფართოვდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით

48 M. Scheinin, International Human Rights in National Law, An Introduction to the International Protection of Human Rights (Eds. R. Hanski & M. Suksi), 1999, 421-422.

49 პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება; აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; გამოხატვის თავისუფლება; შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.

50 M. Macovei, Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001, 24.

51 T. Buergenthal, International Tribunals and National Courts: The Internationalization of Domestic Adjudication, in: Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Ferstschrift für Rudolf Bernhardt, 1995, 687.

და გამოყენებულ იქნეს ისეთი გარემოებების მიმართ, რომლებიც პირდაპირ არ არის მოხსენიებული ევროპულ კონვენციაში.[52]

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება კონკრეტული მაგალითების მოყვანა. საქმეზე — *კლასი გერმანიის წინააღმდეგ* (*Klass* v. *Germany*), რომელიც ეხებოდა სატელეფონო მოსმენას, — ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ არ იცავს სატელეფონო საუბრების კონფიდენციურობას, ამ მუხლით განსაზღვრული ცნებები: „პირადი ცხოვრება" და „მიმოწერა" მოიცავს მას.[53]

ასევე შეიძლება სხვა მაგალითის მოყვანა, რომელიც ნათელყოფს, კონვენციის დებულებებთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას კონკრეტული უფლების შინაარსის დასადგენად. საქმეზე — *ნიმიტცი გერმანიის წინააღმდეგ* (*Niemietz* v. *Germany*), რომელიც ეხებოდა მ. ნიმიტცის, პროფესიით ადვოკატის, პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლებას (კონვენციის მე-8 მუხლი), — ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებლის საადვოკატო ოფისის გაჩხრეკამ დაარღვია მისი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლება. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საადვოკატო ოფისი, უფრო ზოგადად კი განმცხადებლის სამუშაო ადგილი, ექცევა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში.[54] აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცნება „საცხოვრებელი", რომელიც დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, მოიცავს ინდივიდის სამუშაო ადგილს და, შესაბამისად, იცავს პირს არამართლზომიერი ჩარევისაგან.[55]

მართალია, ევროპული კონვენცია პირდაპირ არ აწესრიგებს ექსტრადიციის საკითხს, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ნათელი მოჰფინა იმას, რომ იმ სახელმწიფოში პირის ექსტრადიცია, რომელშიც მის მიმართ არსებობს წამების ან არაადამიანური მოპყრობის დასაბუთებული ეჭვი, შეიძლება ჩაითვალოს გადამცემი სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. თუ

52 J. Madureira, Portugal, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 683.

53 *კლასი გერმანიის წინააღმდეგ* (*Klass* v. *Germany*), 1978 წლის 6 სექტემბერი, Series A, no. 28, 41-ე პუნქტი.

54 1992 წლის 16 დეკემბერი, Series A, no. 251-B, 29-ე-33-ე პუნქტები.

55 *იქვე*; ასევე იხ. L. Clements, N. Mole & A. Simmons, European Human Rights: Taking a Case Under the Convention, 1999, 24-25.

სახელმწიფომ, მისმა ეროვნულმა სასამართლომ არ განიხილა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და არ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა ექსტრადიციის საკითხებზე, იგი არ ჩათვლის, რომ კონვენციის მე-3 მუხლი უნდა იყოს გამოყენებული ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

ამდენად, მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით ეროვნულმა სასამართლოებმა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ ევროპული კონვენციის სტანდარტების დადგენა ძალზე რთულია მხოლოდ კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად. კონვენციაში შეიძლება საერთოდ არ იყოს მოხსენიებული ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელზეც ვრცელდება კონვენციის უფლებები და თავისუფლებები. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საშუალებას აძლევს მოსამართლეებს, უკეთ ჩასწვდნენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს.

გ) ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ განპირობებულია ასევე იმით, რომ იგი აძლევს ეროვნულ სასამართლოებს იმ გადაწყვეტილების განჭვრეტის შესაძლებლობას, რომელსაც სავარაუდოდ მიიღებს ევროპული სასამართლო ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში განაცხადით მიმართვის შემთხვევაში.

თუ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადრე განხილულ საქმეზე დაადგინა კონვენციის დარღვევა ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს მიერ, დიდია იმის ალბათობა, რომ მსგავს საქმეზე, რომელიც მომავალში შეიძლება განიხილოს ევროპულმა სასამართლომ, იგი მიიღებს ასეთსავე გადაწყვეტილებას, კერძოდ, დაადგენს სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევას.[56]

თუ ეროვნული სასამართლოები არ გაითვალისწინებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, არ მოახდენენ კანონმდებლობისა და პრაქტიკის, განსაკუთრებით კი სასამართლო პრაქტიკის, კორექტირებას ევროპული სასამართლოს მიერ ანალოგიურ საქმეებზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, ისინი დადგებიან რეალური საფრთხ-

56 J. A. Carrilo Salcedo, The European System of Protection of Human Rights, in: Judicial Protection of Human Rights at the National and International Level, vol. I, 1991, 376-377; J. Merrils, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 12.

ის წინაშე, რომ ევროპული სასამართლო დაადგენს ევროპული კონვენციის დარღვევას ამ სახელმწიფოს მიერ. სხვა სიტყვებით, თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ევროპული სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები ანალოგიურ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა, სავარაუდოა, რომ ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ განაცხადის შეტანის შემთხვევაში ევროპული სასამართლო იმავეს დაადგენს.[57]

ცხადია, სახელმწიფოს, მისი ეროვნული სასამართლოების ინტერესებშია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება, რაც მას მისცემს შესაძლებლობას, დაიცვას ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები ევროპული სტანდარტებით. თუ ეროვნულმა სასამართლოებმა გამოიყენეს პრეცედენტული სამართალი და მასში დადგენილი სტანდარტებით დაიცვეს პირთა უფლებები, ნაკლებად მოსალოდნელია, ამ პირებმა მიმართონ ევროპულ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად და, აქედან გამომდინარე, მცირეა იმის ალბათობა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინოს, რომ ამ სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენცია.

თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები (პრეცედენტები) არ არის მისთვის სავალდებულო მომდევნო საქმეებზე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ ის გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, ითვალისწინებს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებს, მათ შორის კონვენციის ამა თუ იმ მუხლის განმარტებას.[58] ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე — *კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Cossey* v. *the United Kingdom*) — აღნიშნა:

„მართალია, [...] სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო თავისი ადრინდელი გადაწყვეტილებები, [...] მაგრამ, იგი, ჩვეულებრივ, მისდევს და იყენებს თავისსავე პრეცედენტებს, რაც სამართლებრივი სიცხადისა და კონვენციის პრეცედენტული სამართლის თანამიმდევრულად განვითარების ინტერესებისთვისაა საჭირო".[59]

57 E. Alkema, Responsibilities Deriving from the Implementation of the European Convention on Human Rights: Responsibilities for States Parties to the Convention, in: Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights, 13-16 November 1985, 1988, 708.

58 L. Wildhaber, Precedent in the European Court of Human Rights, in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 1529-1531.

59 1990 წლის 27 სექტემბერი, Series A, no. 184, 35-ე პუნქტი.

საერთაშორისო სასამართლოების მიერ თავიანთი გადაწყვეტილებების მხედველობაში მიღების ფენომენი ბრიტანელმა იურისტმა ჰ. ლაუტერპახტმა შემდეგნაირად ახსნა:

„რადგან ასეთი გადაწყვეტილებები არის დროთა განმავლობაში შეძენილი სამართლებრივი გამოცდილება, რომლის მიმდევრობა მოხერხებულია; რადგან ისინი ასახავენ იმას, რაც წარსულში სასამართლომ სამართლიანად ჩათვალა; რადგან ადრე მიღებული გადაწყვეტილებების პატივისცემა უზრუნველყოფს სიცხადესა და სტაბილურობას, რაც მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისათვის; და [...] რადგან მოსამართლეებს, ბუნებრივია, არ სურთ, ამისათვის საკმარისი მიზეზების გარეშე აღიარონ, რომ წარსულში შეცდნენ."[60]

ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, ითვალისწინებს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებს (პრეცედენტულ სამართალს), არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია შეცვალოს თავისი შეხედულება და განსხვავებულად განმარტოს კონვენციის დებულებები. საქმეზე — *კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Cossey v. the United Kingdom*) — ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა მომდევნო საქმეების განხილვისას გამოყენების პრაქტიკა „ხელს არ შეუშლის სასამართლოს, გადაუხვიოს ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, თუ იგი დარწმუნდა, რომ არსებობს ამისათვის დამაჯერებელი მიზეზები. ასეთი გადახვევა შეიძლება მოხდეს, რათა, მაგალითად, უზრუნველყოფილ იქნეს კონვენციის ისეთი განმარტება, რომელიც ასახავს საზოგადოებრივ ცვლილებებს და შეესატყვისება დღევანდელ პირობებს."[61]

როგორც თავად კონვენციით, ისე სასამართლო პრაქტიკით დადასტურებულია ევროპული სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რომელიც განასხვავებს მის დღევანდელ მიდგომას ადამიანის უფლებათადაცვის ამა თუ იმ საკითხისადმი ადრინდელი მიდგომისაგან.[62] ევროპული კონვენციის 30-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილებ-

60 H. Lauterpacht, The Development of International Law by the International Court, 1958, 14.

61 1990 წლის 27 სექტემბერი, Series A, no. 184, 35-ე პუნქტი.

62 იხ. საქმეები: *დელკური ბელგიის წინააღმდეგ* (*Delcourt v. Belgium*) (1970 წელი) და *ბორგერსი ბელგიის წინააღმდეგ* (*Borgers v. Belgium*) (1990 წელი); *შისერი შვეიცარიის წინააღმდეგ* (*Schiesser v. Switzerland*) (1979 წელი); ასევე იხ. L. Wildhaber, Precedent in the European Court of Human Rights, In: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 1532-1533.

ის მიღების შესაძლებლობას, რომელიც შეუთავსებელია სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებასთან.[63] რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ევროპული კონვენციის ისეთ განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც განსხვავდება ადრინდელი განმარტებისაგან, სასამართლო პრაქტიკაში მრავლად იყო შემთხვევა, როდესაც ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის დებულებათა განმარტება განსხვავდებოდა ადრინდელისაგან.[64]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასამართლოების ნაწილი დავების გადაწყვეტისას იყენებს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, არამედ ევროპული კომისიის გადაწყვეტილებებს. როგორც ცნობილია, ევროპულმა კომისიამ შეწყვიტა არსებობა მას შემდეგ, რაც განხორციელდა ევროპული კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმა.[65] მართალია, ეროვნული სასამართლოები დავების გადაწყვეტის დროს, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გარდა, ეყრდნობა კომისიის გადაწყვეტილებებს კონვენციის დებულებათა განმარტებისათვის, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ ხშირად სასამართლოს შეხედულება კონვენციის დებულებათა განმარტების შესახებ განსხვავდებოდა კომისიის შეხედულებისაგან. იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოოდ ევროპული სასამართლო ადგენდა, თუ როგორ უნდა განიმარტოს ევროპული კონვენციის დებულებები, უეჭველია, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ეროვნული სასამართლოებისათვის კონვენციის დებულებათა განმარტების ბევრად უფრო ავტორიტეტული წყაროა, ვიდრე ევროპული კომისიის გადაწყვეტილებები.[66] ამას გარდა, გასათვალისწინებელია, რომ, რამდენადაც

63 ევროპული კონვენციის 30-ე მუხლის თანახმად: „როდესაც პალატის განხილვაში არსებული საქმე მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის, რომელიც გაელენას ახდენს კონვენციისა ან მისი ოქმების განმარტებაზე, ან პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს, გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ, თუ საქმის რომელიმე მხარე არ არის წინააღმდეგი."

64 J. Merrils, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 14.

65 კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმა დასრულდა 1998 წელს კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმის ძალაში შესვლით. მართალია, ახალმა ევროპულმა სასამართლომ 1998 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო ფუნქციონირება, მაგრამ ევროპულმა კომისიამ კიდევ ერთი წლით გააგრძელა საქმიანობა განუხილავ საქმეებზე მუშაობის დასასრულებლად.

66 K. Starmer, European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights, 1999, 19. რაც შეეხება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებებს, რომელნიც კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე (1998 წ.) ასევე არსებითად წყვეტდნენ საქმეებს, მათი მნიშვნელობა ეროვნული სასამართლოებისათვის მცირეა, რადგან მისი გადაწყვეტილებები არ საბუთდებოდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მსგავსად. იხ. P. Plowden & K. Kerrigan, Advocacy and Human Rights: Using the Convention in Court and Tribunals, 2002, 158.

ევროპულმა კომისიამ შეწყვიტა არსებობა, მისი განმარტებები შეიძლება აღარ ასახავდეს დღევანდელ მდგომარეობას ან იმას, რომელიც შეიძლება შეიქმნას მომავალში.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მოსამართლეების ნაწილმა, სამწუხაროდ, არ იცის, თუ რა როლი უნდა მიენიჭოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს სასამართლო საქმეთა განხილვისას, კერძოდ, რომ ევროპული კონვენციის ტექსტი უნდა განიმარტოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით. მოსამართლეთა ეს ნაწილი თავს იკავებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისაგან და თავის პოზიციას ხსნის მცდარი შეხედულებით, რომ ვინაიდან საქართველო არ არის პრეცედენტული სამართლის ქვეყანა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც არ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოში.

აუცილებელია, რომ საქართველოს მოსამართლეები იცნობდნენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის დიდი მოცულობის გამო მოსამართლეობის კანდიდატებს გონივრულ ფარგლებში უნდა მოეთხოვოთ მისი ცოდნა. საკმარისია, რომ მოსამართლეობის კანდიდატები იცნობდნენ ევროპული სასამართლოს საკვანძო გადაწყვეტილებებს ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც განმარტავენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსს.

· ხსენებულიდან გამომდინარე, სასწავლო და საგამოცდო პროგრამაში უნდა შევიდეს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ძირითადი პრეცედენტები, არამედ ასევე ზოგადი საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იურიდიული ბუნებისა და მათი როლის შესახებ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ასეთი პრაქტიკა დამკვიდრებულია ევროპის საბჭოს ქვეყნებში, სადაც არა მხოლოდ მოსამართლეების საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამები ითვალისწინებენ ევროპული კონვენციითა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, არამედ პროკურორებისა და ადვოკატების საგამოცდო პროგრამებიც.[67]

67 იხ. The European Convention on Human Rights in University Education and Professional Training, Commiittee of Experts for the Improvement of Procedures for the Protection of Human Rights, DH-PR(2005)004, 21 April 2005, 16, 19.

საგამოცდო პროგრამაში მიზანშეწონილია შეტანილ იქნეს შემდეგი საკითხები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ამომწურავი არ არის:

1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების როლი საქართველოს კანონმდებლობაში, მისი იერარქიული ადგილი და გამოყენების წინაპირობები;

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ადამიანის შემდეგი ძირითადი უფლებების რეგულირება, მათ შორის ევროპული სასამართლოს ძირითადი პრეცედენტები ამ უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით:

- სიცოცხლის უფლება;
- წამების ან არაჰუმანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელის აკრძალვა;
- მონობის, იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვა;
- თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება;
- საქმის სამართლიანი განხილვის უფლება;
- სისხლის სამართლის კანონმდებლობის უკუქცევითი გამოყენების აკრძალვა;
- პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- გამოხატვის თავისუფლება;
- შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება;
- ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება;
- ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის უფლება;
- დისკრიმინაციის აკრძალვა;
- საკუთრების უფლება;
- განათლების მიღების უფლება;
- თავისუფალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება;
- სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა;
- თავისუფალი გადაადგილების უფლება;
- საკუთარი ქვეყნიდან მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა;
- უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა;
- სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ უცხოელთა გაძევების აკრძალვა;

- ზემდგომ სასამართლოში განაჩენის გასაჩივრების უფლება;
- კომპენსაციის მიღების უფლება არამართებული მსჯავრდებისათვის;
- ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის ხელმეორედ გასამართლებისა ან დასჯის აკრძალვა;
- მეუღლეთა შორის თანასწორობის უფლება.

3. ადამიანის უფლებათა შეზღუდვის პირობები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით;

4. ადამიანის უფლებათა დაცვის საზედამხედველო ორგანოებისადმი ინდივიდუალური განაცხადით მიმართვის პირობები;

5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების იურიდიული ბუნება და მათი როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში.

ასევე აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამას თან უნდა დაერთოს იმ ლიტერატურის სია, რომლითაც შეუძლიათ იხელმძღვანელონ მოსამართლეობის კანდიდატებმა. მართალია, ასეთი სია დღეს მოქმედ საგამოცდო პროგრამას ერთვის, მაგრამ აუცილებელია მისი გადახედვა და იმ ლიტერატურით განახლება, რომელიც უკანასკნელ პერიოდში გამოიცა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საგამოცდო პროგრამას დაერთოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ის ძირითადი პრეცედენტები, რომელთა ცოდნა აუცილებელია მოსამართლეობის კანდიდატებისათვის თითოეულ უფლებასა და თავისუფლებასთან დაკავშირებით.

2.3. პროკურორები

მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, გამოყენებასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია პროკურორთა როლი. პროკურორი კარგად უნდა იცნობდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივ სტანდარტებს, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს. ამიტომ აუცილებელია პროკურორთა კორპუსის ეფექტიანი სწავლების სისტემის არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტები მნიშვნელოვანია პროკურორთა საქმიანობაში, საქართველოს ორგანულ კანონში „პროკურატურის შესახებ" შეტანილი

ცვლილებები და დამატებები,[68] რომლებიც ეხება პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, არ ითვალისწინებს გამოცდას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რაც კანონის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.[69]

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პროკურორის თანამდებობის დაკავების ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა, როგორც ეს მოხდა მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეებისა და ადვოკატების შემთხვევაში. ასეთი პრაქტიკა დამკვიდრებულია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში.[70] პროკურორი უნდა იცნობდეს ამ სტანდარტებს, რათა თავის პრაქტიკაში გამოიყენოს სისხლის სამართლის პროცესუალური სტანდარტები, რომლებიც დადგენილია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომლის მრავალი მუხლი მჭიდროდ არის დაკავშირებული პროკურორთა ყოველდღიურ საქმიანობასთან.

ევროპული კონვენციის სტანდარტების გამოყენებას ეროვნულ დონეზე ხელს შეუწყობს ამ დარგის საფუძვლიანი სწავლება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთათვის. ასეთი სასწავლებლის დაარსება დღესდღეობით დღის წესრიგშია. იუსტიციის უმაღლეს სკოლას, სადაც მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები შეიძენენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს იმ სამართლებრივი ხარვეზის გამოსწორებაში, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს უმაღლესი განათლების სისტემაში ამ საგნის ჯეროვან დონეზე სწავლებასთან დაკავშირებით. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთათვის უნდა იქნეს შემოღებული სპეციალური სასწავლო კურსები საერთაშორისო სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.

68 იხ. საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, 2002 წლის 21 ივნისი.

69 „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ითვალისწინებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას შემდეგ დისციპლინებში: საკონსტიტუციო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სასჯელაღსრულებითი სამართალი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლები. იხ. კანონის 31-ე მუხლის „ა" პუნქტი.

70 იხ. The European Convention on Human Rights in University Education and Professional Training, Committee of Experts for the Improvement of Procedures for the Protection of Human Rights, DH-PR(2005)004, 21 April 2005.

2.4. ადვოკატები

საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ" ითვალისწინებს, რომ ადვოკატად გახდომისათვის პირმა უნდა გაიაროს ტესტირება ისეთ საგანში, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი".[71] კანონის თანახმად, ტესტირება არის საერთო და სპეციალიზაციის (სამოქალაქო სამართალი და სისხლის სამართალი) მიხედვით. მიუხედავად სპეციალიზაციისა, კანდიდატმა ტესტირება ყველა შემთხვევაში უნდა გაიაროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.

საყურადღებოა, რომ განსხვავებით მოსამართლეობის კანდიდატებისაგან, რომლებიც გამოცდას აბარებენ ისეთ საკითხზე, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები (შეთანხმებები)", კანონის თანახმად, ადვოკატობის კანდიდატებს მოეთხოვებათ ტესტირების გავლა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. ხსენებული ორი საგანი არ არის იდენტური.

რაც შეეხება ადვოკატობის კანდიდატთა ტესტირების პროგრამას, ის მიღებულია 2002 წლის 16 იანვარს.[72] მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, შესაბამისი კანონებით დადგენილი ადვოკატობისა და მოსამართლეობის კანდიდატთა საგამოცდო (ტესტირების) პროგრამები არსებითად განსხვავდება სათაურებით ერთმანეთისაგან, ადვოკატთა ტესტირების პროგრამა ძირითადად იმეორებს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო პროგრამას. რამდენიმე საკითხი, რომლებიც გათვალისწინებულია ადვოკატთა ტესტირების პროგრამით, სცილდება „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის" თემას. კერძოდ, „ევროპული კონვენცია მსჯავრდებულთა გადაცემის შესახებ" საერთაშორისოსამართლებრივი ურთიერთდახმარების საკითხს განეკუთვნება და მხოლოდ არაპირდაპირი კავშირი აქვს „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან".

ადვოკატობის კანდიდატთა ტესტირების პროგრამასთან დაკავ-

71 იხ. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის (2000 წლის 20 ივნისი) მე-11 მუხლი.

72 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N16. 2002 წლიდან ტესტირების პროგრამაში შეტანილია რამდენიმე ცვლილება, მათ შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნაწილში.

შირებით შეიძლება გამოითქვას სხვა შენიშვნებიც. ტესტირების პროგრამის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნაწილის 1-ლი თემა მოიცავს ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, როგორებიცაა: კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მისი ფაკულტატიური ოქმი; კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ; კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მისი ფაკულტატიური ოქმი; ბავშვის უფლებათა კონვენცია, მისი ფაკულტატიური ოქმი. მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ცუდი არ არის ამ კონვენციებისა და მათი ოქმების გათვალისწინება საგამოცდო პროგრამით, გაურკვეველი რჩება, რა კრიტერიუმებით შეირჩა ეს კონვენციები, მით უმეტეს, რომ გაეროსა და ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებულია სხვა არანაკლებად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები ადამიანის უფლებათა საკითხებზე.

2.5. მოსამართლეთა თანაშემწეები

სასამართლოების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, გამოყენებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ მოსამართლეთა თანაშემწეებს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 73-ე მუხლის თანახმად, „მოსამართლის თანაშემწე [...] ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომის განსახილველად, მოსამართლის დავალებით ასრულებს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს.“[73]

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი უფრო დეტალურად განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის ფუნქციებს. იგი ადგენს, რომ „მოსამართლის თანაშემწე [...] ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომებზე

73 ორგანული კანონის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია პირის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საკმაოდ მაღალი მოთხოვნები, კერძოდ, „მოსამართლის თანაშემწედ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და, როგორც წესი, გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი სამოსამართლო სწავლების ცენტრში, ან აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, აგრეთვე ადვოკატად მუშაობის ერთი წლის გამოცდილება, ანდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი (უმაღლესი) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, აგრეთვე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.“

განსახილველად, მოიძიებს სათანადო სამართლებრივ ლიტერატურას და სასამართლო პრაქტიკის მასალებს, ადგენს სათანადო დოკუმენტების პროექტებს, ასრულებს მოსამართლის სხვა სამსახურებრივ დავალებებს."

შემუშავებულია საკვალიფიკაციო პროგრამა მოსამართლის თანაშემწეობის პრეტენდენტებისათვის.[74] ეს პროგრამა, მსგავსად მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამისა, შვიდი ნაწილისაგან შედგება. პროგრამის მეშვიდე ნაწილი ეხება ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივ დაცვას. პროგრამა თანაშემწეობის პრეტენდენტებისათვის შედგენილია მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის მიხედვით და პრაქტიკულად იმეორებს მას.[75]

მოსამართლის თანაშემწეობის პრეტენდენტების პროგრამასა და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამას შორის მსგავსების გათვალისწინებით, იმ შენიშვნათა უმრავლესობა, რომელნიც გამოითქვა მოსამართლეობის კანდიდატთა საგამოცდო პროგრამის მიმართ, თანაბრად ვრცელდება მოსამართლის თანაშემწეობის პრეტენდენტთა პროგრამაზეც.

3. იურიდიული პროფესიების მოქმედი წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება

საგამოცდო (ტესტირების) პროგრამასთან ერთად, რომლის მიზანია შემოწმდეს, აკმაყოფილებს თუ არა კანდიდატის კვალიფიკაცია შესაბამისი პროფესიული თანამდებობისათვის დადგენილ მოთხოვნებს, საყურადღებოა საკითხი, რომელიც ეხება იურიდიული პროფესიების მოქმედ წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებას (გადამზადებას) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო (ევროპულ) სამართალში. ამ საკითხზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა ევროპის საბჭოს

74 სასწავლო პროგრამა მოსამართლის თანაშემწეობის პრეტენდენტთათვის, თბილისი, 2002 წელი.

75 მხოლოდ ორი განსხვავებაა მოსამართლის თანაშემწეობის პრეტენდენტებისათვის სასწავლო პროგრამასა და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამას შორის. საგამოცდო პროგრამისაგან განსხვავებით, სასწავლო პროგრამაში არ მოიხსენიება „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის ფაკულტატიური ოქმი" (თემა I) და „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი" (თემა II).

სახელმწიფოებს, მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა გადამზადების პროგრამაში ერთ-ერთი კომპონენტი მიეძღვნას სწავლებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საკითხებში.[76] ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები დროთა განმავლობაში იცვლება და ვითადრება საზოგადოებრივ ცნობიერებაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად. ამიტომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლის მიერ შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად ჩაბარებული გამოცდებისათვის წაყენებული მოთხოვნები შესაძლოა, დროთა განმავლობაში მოძველდეს და აღარ ასახავდეს თანამედროვე რეალობებს.

ცხადია, ეს განაპირობებს იმას, რომ მოსამართლეებმა, ადვოკატებმა, პროკურორებმა და მოსამართლეთა თანაშემწეებმა პერიოდულად განაახლონ ის ცოდნა, რომელიც მათ აქვთ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, კერძოდ, გაეცნონ კონვენციის ამა თუიმ დებულების ახლებურ ინტერპრეტაციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის ახალ გადაწყვეტილებებს.

ეს შეიძლება მოხდეს ამ პროფესიის წარმომადგენლებისათვის როგორც პერიოდულად საკვალიფიკაციო სასწავლო კურსების ორგანიზების, ისე საინფორმაციო მასალების გავრცელების გზით. რაც შეეხება პერიოდულ საკვალიფიკაციო სასწავლო კურსებს, საერთაშორისო პრაქტიკიდან და თითოეული იურიდიული პროფესიის თავისებურებიდან გამომდინარე, სასურველია, 3-4 წელიწადში ერთხელ ამ პროფესიის წარმომადგენლებმა აიმაღლონ კვალიფიკაცია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო (ევროპულ) სამართალში.

4. გამოცდების მეთოდოლოგია

საგამოცდო (ტესტირების) პროგრამის საფუძველზე შემუშავებულია კონკრეტული კითხვები პროგრამის თემატიკასთან დაკავშირებით. კითხვების უმრავლესობა ატარებს ტესტების ფორმას, კერძოდ, მოცემულია კითხვა, რომელსაც ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. ამ ოთხი პასუხიდან მხოლოდ ერთი არის სწორი.

მართალია, ტესტის ფორმით გამოცდამ ზოგიერთ შემთხვევაში შეი-

76 იხ. Rec(2004)4, 12 May 2004.

ძლება გაამართლოს, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ უპრიანი იქნებოდა გამოცდის (ტესტირების) მეთოდოლოგიის გადახედვა. სასურველია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო (ევროპულ) სამართალში გამოცდაზე მეტი ყურადღება გამახვილდეს არა ტესტური ფორმით ჩამოყალიბებულ კითხვებზე, არამედ კაზუსზე, რომელშიც აღწერილი იქნება ჰიპოთეზური გარემოებები, რაც გამოსაცდელმა უნდა შეაფასოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტებიდან გამომდინარე.

კაზუსის ამოხსნა მისცემს გამოსაცდელს შესაძლებლობას, გამოავლინოს თავისი ცოდნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო (ევროპულ) სტანდარტებზე არა მხოლოდ კონვენციის ტექსტთან მიმართებით, არამედ და, რაც მთავარია, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებით.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ აქამდე საგამოცდო კითხვები მზადდებოდა ძირითადად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების საფუძველზე და, შესაბამისად, არ ითვალისწინებდა კითხვებს, რომლებიც გამომდინარეობს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. მხოლოდ კონვენციისა და მისი ოქმების საფუძველზე კითხვების მომზადება, ცხადია, ძალაუნებურად ზღუდავს კითხვების ავტორებს, რათა კითხვები შეიმუშავონ არა მხოლოდ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ტექსტიდან, არამედ ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე.

მართალია, იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო (ევროპულ) სამონიტორინგო სისტემაზე, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციონირების წესებზე, მაგრამ მოსამართლეებისათვის, ადვოკატების, პროკურორებისა და მოსამართლეთა თანაშემწეებისათვის უფრო მნიშვნელოვანია მატერიალური უფლებები, ანუ ადამიანის უფლებათა ის სტანდარტები, რომლებიც ჩამოყალიბდა თითოეულ უფლებასა და თავისუფლებასთან დაკავშირებით.

5. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთათვის ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ

სასწავლო და საგამოცდო (ტესტირების) პროგრამის ეფექტიანობა მჭიდროდ დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობასთან, რადგან ორივე მათგანის საბოლოო მიზანია, იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებმა თავიანთ პრაქტიკაში გამოიყენონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო (ევროპული) სტანდარტები და ადამიანის უფლებათა დაცვა უზრუნველყონ ამ სტანდარტების საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმიუწვდომლობა ეროვნულ დონეზე, მათ შორის ეროვნული სასამართლოებისათვის, მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია მათი გამოყენებისათვის. ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმიუწვდომლობის პირობებში შეუძლებელია, სასამართლოებს მოეთხოვოთ მათი გამოყენება. ყველაზე სრულყოფილი საკანონმდებლო დებულებაც კი, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებას ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად აცხადებს, ვერ უზრუნველყოფს მის გამოყენებას ეროვნულ დონეზე, თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტი არ არის ხელმისაწვდომი სასამართლოსათვის.[77] ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელებისას ევროპული კონვენციის გამოყენება არსებითად არის დამოკიდებული ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობაზე.

ეფექტიანი საინფორმაციო პოლიტიკა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავრცელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროვნულ დონეზე ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტუ-

77 Report by A.-W. Heringa, Existing Forms of Interaction: their Potential and their Limits, Seminar "Partners for the Protection of Human Rights: Reinforcing Interaction Between the European Court of Human Rights and National Courts", 9-10 September 2002, Strasbourg.

ლი სამართლის გამოყენებას.[78] ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავრცელებაზე ყურადღება გამახვილდა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კონფერენციაზე (2000 წლის 3-4 ნოემბერი), რომელიც მიეძღვნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიღების 50-ე წლისთავს. კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციით ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოეწოდათ, რომ მათ „უზრუნველყონ კონვენციის ტექსტის თარგმნა და ფართოდ გავრცელება სახელმწიფო ორგანოებში, განსაკუთრებით სასამართლოებში და [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარების ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ენაზე (ენებზე)."[79]

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავრცელებას მიეძღვნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის რეკომენდაცია.[80] რეკომენდაციაში ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ „სახელმწიფოებმა უზრუნველყონ კონვენციის ტექსტის გამოქვეყნება და გავრცელება სახელმწიფო ენაზე (ენებზე), რათა იგი ცნობილი გახდეს სახელმწიფო ორგანოებისათვის, განსაკუთრებით სასამართლოებისათვის და მათ გამოიყენონ კონვენცია."[81] რეკომენდაციაში ხაზგასმულია სახელმწიფო ენაზე (ენებზე) ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა გავრცელების საჭიროება. რეკომენდაციის მიხედვით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება გავრცელდეს მათი მთლიანი ტექსტის ან რეზიუმეს სახით ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს, კომპეტენტური სამინისტროს საინფორმაციო ბიულეტენის, იურიდიული ხასიათის ჟურნალებისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების მეშვეობით. რეკომენდაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება გავრცელდეს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.[82]

78 Para. 14(iii), Resolution I, Institutional and Functional Arangements for the Protection of Human Rights at National and European Level, Ministerial Conference and Commemorative Ceremony of the 50th Anniversary of the Convention, H/Conf(2000)1, Rome, 3-4 November 2000, 2.

79 Resolution I, Institutional and Functional Arrangements for the Protection of Human Rights at National and European Level, Ministerial Conference and Commemorative Ceremony of the 50th Anniversary of the Convention, H/Conf(2001)1, Rome 3-4 November 2000, Para. 14(iii), 2.

80 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაცია Rec(2002)13. რეკომენდაციის ტექსტი ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე: [www.coe.int].

81 *იქვე*, 1-ლი პუნქტი.

82 *იქვე*, მე-2 პუნქტი.

ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, ძირითადი პრობლემაა არა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავრცელება.

საქართველოში ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პოპულარიზაციისათვის გატარებული ღონისძიებები მისასალმებელია, თუმცა მდგომარეობა ჯერჯერობით მაინც არადამაკმაყოფილებელია. ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ყველასათვის, ვისაც შეხება აქვს ადამიანის უფლებათა დაცვასთან, განსაკუთრებით მოსამართლეებისა და ადვოკატებისათვის. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავრცელება ქართულ ენაზე უდავოდ უნდა გაგრძელდეს. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რეგულარულად უნდა გამოქვეყნდეს, რაც მოსამართლეებს, ადვოკატებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მისცემს შესაძლებლობას, თვალ-ყური ადევნონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებას, მათ შორის ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების დებულებების ახლებურ განმარტებას.[83] ვინაიდან ევროპული კონვენცია მიჩნეულია „ცოცხალ დოკუმენტად", აუცილებელია, დაინტერესებულ პირებს, მათ შორის მოსამართლეებსა და ადვოკატებს, ჰქონდეთ ინფორმაცია ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის ამა თუ იმ დებულების ამჟამინდელი განმარტების შესახებ.

საყურადღებოა, რომ არ არის აუცილებელი ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების გამოქვეყნება სახელმწიფო ენაზე. საჭიროა გამოქვეყნდეს ევროპული სასამართლოს მხოლოდ ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც პრეცედენტული მნიშვნელობა აქვთ, ანუ გადაწყვეტილებები, რომლებიც განმარტავენ კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები თავისუფალნი არიან განსაზღვრონ, თუ რომელი გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს სახელმწიფო ენაზე, ევროპულ სასამართლოში ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რათა სასამართლომ აღმოუჩინოს დახმარება სახელმწიფოებს პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა განსაზღვრაში.

83 A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 676.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების ფორმასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებები შეიძლება გამოქვეყნდეს როგორც სრულად, ისე რეზიუმეს სახით. მთავარია, შესაბამისი პირებისათვის, რომლებმაც უნდა გამოიყენონ ისინი, ნათელი იყოს, თუ როგორ განმარტა ევროპულმა სასამართლომ სადავო მუხლის შინაარსი.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ასევე შეიძლება გავრცელდეს სასამართლოებისათვის სპეციალურად შექმნილი კომპიუტერული ქსელის მეშვეობით.[84] მით უმეტეს, რომ მუშაობა კომპიუტერული ქსელის შექმნაზე, რომელიც მოემსახურება საქართველოს სასამართლოებს, უკვე მიმდინარეობს.[85] ამ ქსელში, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სასამართლოებს, მოიძიონ საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე შეიძლება მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. ასეთი კომპიუტერული ქსელის არსებობის უარყოფითი მხარე ის იქნება, რომ მისი გამოყენების საშუალება, ალბათ, ექნებათ მხოლოდ სასამართლოებს და არა სხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ადვოკატებს.

6. ტიპური სასწავლო პროგრამა და საგამოცდო სტანდარტები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს ტიპური სასწავლო პროგრამა და საგამოცდო სტანდარტები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო (ევროპულ) სამართალში მოსამართლეებისათვის, პროკურორების, ადვოკატებისა და მოსამართლეთა თანაშემწეებისათვის. ვინაიდან თითოეული იურიდიული პროფესია თავისებურებით ხასიათდება, ცხადია, შეიძლება თითოეული მათგანის პროგრამა დაზუსტდეს.

84 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაცია Rec(2002)13, მე-4 პუნქტი.

85 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლ. ჭანტურიას ინტერვიუ, „სასამართლო არქივში 1937 წლის საქმის ნახვაც შეიძლება", გაზ. „ახალი თაობა" (ინტერნეტ-ვერსია), N169, 2001 წლის 22 ივნისი; ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლ. ჭანტურიას მოხსენება უზენაესი სასამართლოს პლენუმზე (2001 წლის 31 დეკემბერი), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" (ინტერნეტ-ვერსია), N8(4067), 2002 წლის 10 იანვარი.

თემა I. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების, როლი საქართველოს კანონმდებლობაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იურიდიული ბუნება და მათი როლი მართლმსაჯულების განხორციელებისას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ადამიანის უფლებათა შეზღუდვის პირობები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.

თემა II. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ადამიანის შემდეგი ძირითადი უფლებების რეგულირება, მათ შორის ევროპული სასამართლოს ძირითადი პრეცედენტები ამ უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით:

- სიცოცხლის უფლება;
- წამების ან არაჰუმანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელის აკრძალვა;
- მონობის, იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვა;
- თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება;
- საქმის სამართლიანი განხილვის უფლება;
- სისხლის სამართლის კანონმდებლობის უკუქცევითი გამოყენების აკრძალვა;
- პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- გამოხატვის თავისუფლება;
- შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება;

- ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის უფლება;
- დისკრიმინაციის აკრძალვა;
- საკუთრების უფლება;
- სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა;
- თავისუფალი გადაადგილების უფლება;
- საკუთარი ქვეყნიდან მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა;
- უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა;
- სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ უცხოელთა გაძევების აკრძალვა;
- ზემდგომ სასამართლოში განაჩენის გასაჩივრების უფლება;
- კომპენსაციის მიღების უფლება არამართებული მსჯავრდებისათვის;
- ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის ხელმეორედ გასამართლებისა ან დასჯის აკრძალვა;

თემა III. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანოები

ადამიანის უფლებათა დაცვის საზედამხედველო ორგანოებისადმი ინდივიდუალური განაცხადით მიმართვის პირობები (გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო).

კონსტანტინე კუბლაშვილი

სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით

I. შესავალი

სიცოცხლის ძირითადი უფლება, ისევე როგორც ფიზიკური ხელშეუხებლობისა (მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი) და ადამიანის თავისუფლების (მე-18 მუხლი) უფლებები, იცავს ადამიანის არსებობის იმ ბიოლოგიურ და ბუნებრივ საფუძველს, რომელიც აუცილებელია ძირითადი უფლებების კატალოგში ჩამოთვლილი ადამიანის სულიერი, იდეური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის.

სიცოცხლის უფლება მიეკუთვნება უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ, საკონსტიტუციო სამართლის თეორეტიკოსთა და მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება ადამიანის ღირსებაა, იგი წარმოუდგენელია სიცოცხლის უფლების გარეშე, რომელიც ადამიანის ღირსების არსებითი ელემენტი და ყველა დანარჩენი ძირითადი უფლების „სასიცოცხლო“ წინაპირობაა. ამიტომ სახელმწიფოს ვალდებულება — დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის არა მარტო მე-15, არამედ მე-17 მუხლის დებულებიდანაც.

კონსტიტუცია მე-15 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებს სიცოცხლის ძირითად უფლებას: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი: „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასა-

მართლოს." ეს დებულება კონსტიტუციის მიღების დროს ქვეყანაში არსებული ვითარების გამოძახილია: 1995 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი ჯერ კიდევ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა (მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი) დღეს უკვე აღარ მოქმედებს, რადგან განხორციელდა მასში მითითებული მოქმედება — „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების — სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ". საქართველოს კანონით[1] სიკვდილით დასჯა გაუქმებულად გამოცხადდა და მოქმედ საკანონმდებლო აქტებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები. საყურადღებოა, რომ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ფორმულირება უკვე აღარ იძლევა სიკვდილით დასჯის კვლავ შემოღების კონსტიტუციურ შესაძლებლობას, რადგან, ამ პუნქტის მიხედვით, სიკვდილით დასჯას შეიძლებოდა ემოქმედა კონსტიტუციით განსაზღვრული წესით მხოლოდ „მის სრულ გაუქმებამდე". ამ ფორმულირების მიხედვით, სიკვდილით დასჯის შემოღება დღეს უკვე კონსტიტუციურ-სამართლებრივად შეუძლებელია, რადგან იგი „სრულად გაუქმდა" 1997 წელს მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტით. ნებისმიერი აქტი, რომელიც გაითვალისწინებს სიკვდილით დასჯას კონკრეტული დანაშაულისათვის, კონსტიტუციის საწინააღმდეგო და სიცოცხლის ძირითადი უფლების ხელშეუვალობის შეუსაბამო აქტი იქნება.

II. დაცული სფერო

სიცოცხლის უფლება არის დამცავი უფლება. იგი იცავს ადამიანის სიცოცხლეს და უკრძალავს სახელმწიფოს ადამიანის მოკვლას, აგრეთვე ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც აშკარად ადამიანის სიკვდილი მოჰყვება.

სიცოცხლის უფლების სუბიექტია ყოველი ადამიანი. ამასთან, ქალის ორგანიზმში სპერმატოზოიდით კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად წარმოშობილ ნაყოფს (ემბრიონს) აქვს არა მხოლოდ ღირსება, არამედ, იმავდროულად, ასევე აქვს სიცოცხლის უფლება, რადგან სწორედ ამ მომენტიდან იწყება თანამიმდევრული ბიოლოგიური განვითარების პროცესი, რომლის განმავლობაშიც უკვე საკუთარი, კონკრეტული ინდივიდუალობის მქონე სიცოცხლე თანდათანობით ადამიანის სახეს იძენს. სწორედ განაყ-

1 1997 წლის 11 ნოემბერი.

ოფიერების შედეგად წარმოშობილი ემბრიონის მიმართ იწყება სახელმწიფოს ვალდებულება — დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. საყურადღებოა, რომ დიდი ხნის განმავლობაში საკამათო იყო, კონკრეტულად როდის წარმოიშობოდა სახელმწიფოს ვალდებულება — დაეცვა ადამიანის სიცოცხლე: კვერცხუჯრედის განაყოფიერების მომენტიდან (მიუხედავად იმისა, განაყოფიერება მოხდა ქალის ორგანიზმში თუ მის გარეთ (ე.წ. in vitro განაყოფიერება) ან ნაყოფის განვითარება გაგრძელდა საშვილოსნოს გარეთ (ექტოპიური განაყოფირება)) თუ განაყოფიერებული კვერცხუჯრედის საშვილოსნოში გადასვლის მომენტიდან (ნიდაცია, Nidation). დღეისათვის გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებით, გადამწყვეტია ემბრიონის, ახალი სიცოცხლის წარმოშობის მომენტი და არა ნიდაცია. ამის საფუძველია თუნდაც ის, რომ წარმოშობილ ნაყოფს აქვს არა მარტო სიცოცხლის უფლება, არამედ იგი ფლობს ადამიანის ღირსებასაც. ახალწარმოშობილი ემბრიონი უკვე ყველასაგან განსხვავებული, თავისებური და შემდეგ დაბადებული ადამიანის იდენტური ინდივიდია, რაც კიდევ ერთი საფუძველია იმისათვის, რომ ვაღიაროთ: იგი სიცოცხლის უფლების სუბიექტია.

საყურადღებოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის[2] მიხედვით, ადამიანის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა არა ჩასახვისთანავე, არამედ დაბადების მომენტიდან (მე-11 მუხლი, 1-ლი ნაწილი), ხოლო თანამედროვე მედიცინის მიხედვით, დაბადების მომენტად ითვლება ნაყოფის გამოყოფა დედის საშვილოსნოდან. სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ასევე ჩასახვისთანავე წარმოიშობა მემკვიდრედ ყოფნის უფლება, თუმცა „ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე". სიცოცხლის უფლება წყდება ადამიანის გარდაცვალებით. ადამიანის გარდაცვალების მომენტად კი ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა (მე-11 მუხლი, მე-3 ნაწილი).

სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს არა მარტო უკრძალავს ადამიანის მოკვლას, არამედ, იმავდროულად, ავალდებულებს მას, აქტიურად დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის ეფექტიანი დაცვა. ეს განსაკუთრებით ეხება სიცოცხლისათვის საშიშ ტერორისტულ აქტებს — ადამიანის გატაცებას და მძევლად აყვანას. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს (პოლიციას და უშიშროების სამსახურებს) აუცილებლად უნდა ჰქონდეს უფლება, გამოიყენოს ისეთივე ძალისმიერი საშუალებები (ცეცხლსასროლი იარაღი), როგორსაც იყენებს დამნაშავე. ამავე

2 1997 წლის 26 ივნისი; ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან.

დროს, სახელმწიფომ ეს საშუალებები უნდა გამოიყენოს თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპის შესაბამისად, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მხოლოდ ასე და არა სხვაგვარად (უფრო ნაკლებად რადიკალური საშუალებებით) არის შესაძლებელი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა. სწორედ ამ ვალდებულებიდან გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის[3] 114-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე."

უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია, საკანონმდებლო აქტებით ზოგადად განისაზღვროს, როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო ზემოხსენებული შემთხვევების დროს. განსაზღვრული შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია და ვალდებულია გამოიყენოს თავის ხელთ არსებული ყველა საშუალება იმისათვის, რათა დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა ეს მიდგომა საქმეზე — *„მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ"*.[4] ამ საქმეში დავის საგანი იყო ქალაქ გიბრალტარში დიდი ბრიტანეთის უშიშროების ორგანოების მიერ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის (IRA) სამი აქტივისტის მკვლელობა. სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც მიუთითებდა, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლებოდა სიცოცხლის მოსპობა მართლზომიერ აქტად, განსაზღვრავდა არა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევებს, არამედ აღწერდა ვითარებას, როდესაც დასაშვები იქნებოდა „ძალის გამოყენება", რომელსაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის განზრახ მოსპობა.[5] სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს მიერ „ძალის გამოყენება" უნდა ყოფილიყო „უკიდურესად აუცილებელი" იმავე პუნქტში მითითებული ერთ-ერთი ლეგიტიმური საჯარო მიზნის

3 1999 წლის 22 ივლისი.

4 *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)*, 1995 წლის 27 სექტემბერი.

5 კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი: „სიცოცხლის მოსპობა არ ჩაითვლება ამ მუხლის დარღვევად იმ შემთხვევაში, როცა იგი წარმოადგენს ძალის გამოყენების შედეგს, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია: ა) ნებისმიერი პირის უკანონო ძალადობისაგან დასაცავად; ბ) კანონიერი დაპატიმრების განსახორციელებლად ან კანონიერად დაკავებული პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად; გ) ამბოხების ან აჯანყების ჩასახშობად კანონიერად განხორციელებული მოქმედებებისას."

მისაღწევად. სასამართლოს განმარტებით, სწორედ სახელმწიფოს ეკისრებოდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ძალის გამოყენება სახელმწიფოს მხრიდან იყო „უკიდურესად აუცილებელი" და, შესაბამისად, მართლზომიერი აქტი. სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისას გამოჩენილი სიფრთხილის ხარისხი არ შეესაბამებოდა იმას, რასაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანები ელიან სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან და რაც სავალდებულოა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ინსტრუქციებით. თუმცა ჯარისკაცები ოპერაციის განხორციელებისას დარწმუნებული იყვნენ, რომ IRA-ს წევრების ლიკვიდაცია აუცილებელი იყო სხვათა სიცოცხლის დაცვისათვის, ოპერაციის ორგანიზება, მისი განხორციელების კონტროლი და, განსაკუთრებით, ხელისუფლების მიერ ჯარისკაცთათვის მიწოდებული ინფორმაცია არაადეკვატური იყო და, შესაბამისად, სახელმწიფოს ასეთი მოქმედება არღვევდა კონვენციის მე-2 მუხლს. ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას სიცოცხლის ძირითადი უფლების მიმართ და აღნიშნა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია არა მარტო თავისი მხრიდან ძალის გამოყენების შედეგებისათვის, არამედ თავად ძალის გამოყენების მართლზომიერებისათვის, ანუ თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპთან შესაბამისობისათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც აცხადებს, რომ ადამიანის ხელშეუვალ უფლებას — სიცოცხლეს — „იცავს კანონი", სახელმწიფოს ასევე ავალდებულებს, შექმნას ისეთი კანონმდებლობა, რომელიც დანაშაულის კვალიფიკაციას მისცემს სახელმწიფოსა თუ კერძო პირების მიერ ჩადენილ მკვლელობებს. ამავე დროს, სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს ამ კანონმდებლობის რეალური განხორციელება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისათვის.[6] სწორედ ეს დებულებები, სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან გამომ-

6 სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 108-ე მუხლი – განზრახ მკვლელობა, 109-ე მუხლი – განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, 110-ე მუხლი – მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, 111-ე მუხლი – განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, 112-ე მუხლი – დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა, 113-ე მუხლი – მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, 114-ე მუხლი – მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, 115-ე მუხლი — თვითმკვლელობამდე მიყვანა, 116-ე მუხლი — სიცოცხლის მოსპობა აუცილებლობით.

დინარე, ავალდებულებს სახელმწიფოს, შექმნას შესაბამისი კანონმდებლობა და არა მარტო აქტიურად და ქმედითად დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, არამედ მიიღოს პრევენციული ზომები ადამიანის სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად. უფრო მეტიც, სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, ადამიანს არა აქვს საკუთარი სიცოცხლის განკარგვის უფლება და სახელმწიფოს შეუძლია, შესაბამისად ასახოს ძირითადი უფლების ეს მოთხოვნა კანონმდებლობაში. საქართველოს კანონმდებლობით, თვითმკვლელობის მცდელობა დასჯადი არ არის, ასევე არ არის დასჯადი თავად თვითმკვლელობა (რაც სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია), მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (110-ე მუხლი[7]) და თვითმკვლელობამდე მიყვანა (115-ე მუხლი[8]). გარდა ამისა, ასევე არ არის დაშვებული პაციენტის სურვილის საფუძველზე ექიმის ან სხვა პირის მიერ პაციენტის სიკვდილის დაჩქარება *(ევთანაზია)*. ძირითადი უფლების ეს მოთხოვნა განმტკიცებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით,[9] რომლის 151-ე მუხლის მიხედვით, „სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, ეკრძალება ევთანაზიის განხორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება."

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევთანაზიასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ცნობილ მეცნიერ-კონსტიტუციონალისტთა შორის. ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად,ჰოლანდიის) კანონმდებლობა, გარკვეული შეზღუდვებითა და პირობებით, დასაშვებად მიიჩნევს ადამიანის თხოვნით მისი სიკვდილის დაჩქარებას. არგუმენტები ეფუძნება ადამიანის მიერ ნების დამოუკიდებლად გამოვლენის მნიშვნელობას და მის უფლებას ღირსეულ სიკვდილზე. ეს ე.წ. „სიკვდილის თავისუფლება" ეფუძნება მოსაზრებას, რომ სიკვდილი არის ადამიანის ბუნებრივი არსებობის შემადგენელი ნაწილი. მიუხედავად ამისა, საყურადღებოა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში აღიარებულია სიცოცხლის უფლების უზენაესი ღირებულება, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა და შესაბამისი კანონმდებლობით ევთანაზია აკრძალულია. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლე-

7 „მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე."

8 „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით, — ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე."

9 1997 წლის 10 დეკემბერი.

ბათა დაცვის ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც აღიარებენ ადამიანის სიცოცხლის ხელშეუვალობას. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების შინაარსი სწორედ ამ გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებას წარმოადგენს და პრაქტიკულად შეუძლებელია მათი სხვაგვარად განმარტება.

ადამიანის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ყოველი კონკრეტული შემთხვევის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად. თუ გატაცებული პირებისა და მძევლების სიცოცხლის გადასარჩენად სახელმწიფო იძულებულია გაათავისუფლოს მძიმე დანაშაულის ჩამდენი ტერორისტები, მან უნდა გაითვალისწინოს განთავისუფლებული ტერორისტების მომავალი პოტენციური მსხვერპლი, გარდა ამისა, ყველაფერი უნდა იღონოს ამ პირთა ხელმეორედ დასაკავებლად. აღნიშნულის თვალსაჩინო დადასტურებაა 1977 წელს გერმანიაში მომხდარი შემთხვევა, როცა ტერორისტებმა გაიტაცეს გერმანიის დამსაქმებელთა გაერთიანებების ფედერალური ასოციაციისა და სამრეწველო საწარმოთა ფედერალური გაერთიანების პრეზიდენტი დოქტორი შლეიერი. ტერორისტები მისი მოკვლით იმუქრებოდნენ (მოგვიანებით მათ მართლაც მოკლეს მძევალი) და სახელმწიფოსაგან მოითხოვდნენ თერთმეტი დაკავებული ტერორისტის განთავისუფლებას. ფედერალური მთავრობა არ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას და ცდილობდა გამტაცებლებთან მოლაპარაკებით დროის გაწელვას, იმავდროულად კი მათი ადგილსამყოფლის დადგენას. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ გატაცებულის ვაჟმა საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომელშიც მოითხოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილებით სახელმწიფო ორგანოების დავალდებულებას, რომ მათ გაეთავისუფლებინათ დაპატიმრებული ტერორისტები, რათა ამით გადაერჩინათ შლეიერის სიცოცხლე. საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო შლეიერ-უმცროსის სარჩელი. რა თქმა უნდა, არსებობდა სახელმწიფოს მოვალეობა — დაეცვა მოქალაქის სიცოცხლე, მაგრამ ეს მოვალეობა სახელმწიფოს ჰქონდა არა მარტო შლეიერის, არამედ აგრეთვე ყველა სხვა მოქალაქის მიმართ, რომელთა სიცოცხლესაც საფრთხე შეექმნებოდა ტერორისტების განთავისუფლების შემთხვევაში. თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სახელმწიფო ორგანოები მსგავსი კონფლიქტის შემთხვევაში, არ იყო განსაზღვრული კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონმდებლობის რომელიმე მუხლით.[10]

10 იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ტ. 46, გვ. 160 და მომდევნო.

III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მიხედვით, სიცოცხლის უფლება, ფაქტობრივად, აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა. მე-15 მუხლი „ხელშეუვალად" აცხადებს ამ უფლებას და არ მიუთითებს მისი შეზღუდვის შემთხვევებს. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი გარკვეული პერიოდის განმავლობაში („სრულ გაუქმებამდე") მხოლოდ სიკვდილით დასჯის არსებობის შესაძლებლობას ეხება, ეს სასჯელი კი, როგორც უკვე აღინიშნა, 1997 წლის 11 ნოემბრის კანონით გაუქმებულად გამოცხადდა. აქედან გამომდინარე, 1997 წლის 11 ნოემბრიდან საქართველოში დაუშვებელია სიცოცხლის უფლების რაიმე სახით შეზღუდვა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო ვალდებულია და უნდა გამოიყენოს თავის ხელთ არსებული ყველა საშუალება ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ამისათვის კი შეიძლება აუცილებელი იყოს სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომელიც ადგენს ზემოხსენებულ კონკრეტულ შემთხვევებს და განსაზღვრავს სახელმწიფოს მოქმედების ფარგლებს (მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი[11]). ასეთ შემთხვევებში, ანუ როცა სიცოცხლის წინააღმდეგ ასევე სიცოცხლე დგას, სახელმწიფოს შეუძლია და უნდა გადაწყვიტოს კიდეც, რომელი სიცოცხლისათვის იბრძვის იგი თავისი ძალაუფლებრივი საშუალებებით. აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოს უფლება აქვს, მოკლას დამნაშავე დანაშაულის ჩადენის მომენტში თანაზომიერების (იმავე პროპორციულობის) პრინციპის გათვალისწინებით, ანუ როცა მხოლოდ ასე და არა სხვაგვარად არის შესაძლებელი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა (მაგალითად, მძევლების აყვანის დროს). რადიკალური ზომების მიღების უფლება აქვს სახელმწიფოს იმ შემთხვევაშიც, როცა დამნაშავე პირი (პირები) შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომლებს მისი დაკავებისას (ან, მაგალითად, სასჯელაღსრულების დაწესებულებისაგან მისი გაქცევის აღკვეთისას) და ამით საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს წარმომადგენლებ-

11 იხ. ზემოთ, სქოლიო 5.

ის ან სხვა ადამიანთა სიცოცხლეს. სახელმწიფო ასევე უფლებამოსილია გამოიყენოს თავის ხელთ არსებული ყველა კონსტიტუციური უფლებამოსილება და კანონიერი საშუალება შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ მოწყობილი ბუნტისა თუ ამბოხების წინააღმდეგ, რათა უზრუნველყოს კონსტიტუციური წყობილების ურღვევობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და დაიცვას ადამიანთა სიცოცხლე თუ ჯანმრთელობა. ასეთი შემთხვევების გარდა, კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სიცოცხლის ძირითადი უფლება კანონმდებელს არ აძლევს კანონის საფუძველზე მასში ჩარევის არავითარ სხვა საშუალებას. კანონი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ადამიანის მოკვლის ნებას დართავდა იმ შემთხვევებში, როცა ეს არ არის აუცილებელი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად და ზემოთ აღნიშნული სხვა ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად, იქნებოდა კონსტიტუციის საწინააღმდეგო, რადგან იგი დაარღვევდა ადამიანის ღირსებას, სიცოცხლის უფლების ხელშეუხებლობის გარანტიას და თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპს. იმავეს მოითხოვს სახელმწიფოებისაგან კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ადამიანის სიცოცხლის უფლებით დაცულ სფეროში კანონიერი, გამართლებული ჩარევისას (ამ დებულებით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში) სახელმწიფოს უფლებამოსილების განხორციელების მარეგულირებელი პრინციპი არის ის, რომ ძალის გამოყენება უნდა იყოს „უკიდურესად აუცილებელი".

სიცოცხლის ძირითად უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორსულობის შეწყვეტის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხში. საერთოდ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აბორტთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად ქცეულა მწვავე საჯარო დისკუსიისა და პოლემიკის საგნად, რადგან ისინი მოიცავენ როგორც მორალურ, პოლიტიკურ, რელიგიურ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ, ისე კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხებს. საკითხი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც აქ ნაყოფის სიცოცხლის ძირითადი უფლება უპირისპირდება ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ასევე ძირითად უფლებას. ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიამ 1978 წელს დაადგინა, რომ ნაყოფის სიცოცხლის აბსოლუტური უფლების აღიარება ეწინააღმდეგება კონვენციის საგანსა და მიზანს. კომისიის აზრით, სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს გარკვეული შეზღუდვები ფეხმძიმე ქალის აბორტის უფლებაზე.[12] აღსანიშნავია,

12 საყურადღებოა, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არ აცხადებს, რომ სიცოცხლე იწყება ჩასახვის მომენტიდან, თუმცა დღეს ეს მიდგომა გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებაა.

რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი სრულყოფილად, სიცოცხლის ძირითადი უფლების მნიშვნელობისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, ამ ურთიერთობებს აწესრიგებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული კანონის 136-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და დაბადების დრო. სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა ქალთა ჯანმრთელობის დაცვა აბორტების შემცირების გზით (139-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

„ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას;

ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა." ამასთან, გასაუბრების დროს ექიმი ვალდებულია, უპირატესობა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას და ყველანაირად შეეცადოს, დაარწმუნოს დედა ნაყოფის შენარჩუნების აუცილებლობაში. არჩევანი ყველა შემთხვევაში ქალის პრეროგატივაა (139-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

აბორტი ნებადართულია თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაშიც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ნაყოფის სიცოცხლის ძირითად უფლებაში ასეთი ჩარევის სამართლებრივი საფუძველი — სამედიცინო ან სოციალური ჩვენებები (140-ე მუხლი): სამედიცინო ჩვენება ნიშნავს მდგომარეობას, როცა აუცილებელია ორსულობის შეწყვეტა ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად; სოციალური ჩვენების მიხედვით კი, ნაყოფის მშობლები ისეთ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან, რომელიც შეუძლებელს ხდის შვილის ნორმალურ გაზრდას და ჯანმრთელობის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ორსულობის შეწყვეტის დამატებით სამართლებრივ საფუძვლად მიჩნეულია აგრეთვე ე.წ. ეთიკური და ევგენიკური ჩვენებები: ეთიკური ჩვენება ნიშნავს, რომ ორსულობა წარმოშობილია დანაშაულებრივი ჩარევის (გაუპატიურების) შედეგად; ევგენიკური ჩვენების დროს კი არსებობს ავადმყოფი, ფიზიკური ნაკლის მქონე ახალშობილის დაბადების საშიშროება. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში კანონმდებელმა არ

გაითვალისწინა ორსულობის შეწყვეტის ეს ორი საფუძველი და მსგავსი შემთხვევების დროს უპირატესობა მიანიჭა ნაყოფის სიცოცხლეს, რაც სავსებით შეესაბამება სიცოცხლის ძირითადი უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამავე დროს, კანონმდებელმა უკანონო აბორტისათვის დააწესა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით.[13] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 112-ე მუხლით ასევე დაწესებულია პასუხისმგებლობა დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობისათვის.[14] გარდა ამისა, „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის[15] 36-ე მუხლით სახელმწიფო ვალდებულია, გამოიყენოს თავის ხელთ არსებული ყველა საშუალება ნაყოფის სიცოცხლის დასაცავად. ამ მუხლის მიხედვით, მშობიარე ქალს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის და ნაყოფისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ, მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია, გაუწიოს სამედიცინო მომსახურება მშობიარეს მისი ნების საწინააღმდეგოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მომსახურება უზრუნველყოფს ცოცხალი ნაყოფის დაბადებას და იმავდროულად მშობიარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მინიმალურ რისკს შეიცავს.

* * *

ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სიცოცხლის ძირითადი უფლება საფუძვლად უდევს ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას. კონკრეტულად ამ უფლების შესახებ კონსტიტუცია არაფერს ამბობს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, იგი გამომდინარეობს სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან და, გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-

13 ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია უკანონო აბორტი (ნაწ. 1), აგრეთვე უკანონო აბორტი, რომელიც ჩადენილია უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებულის მიერ, ან რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი (ნაწ. 2) და უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (ნაწ. 3).

14 „დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე".

15 2000 წლის 5 მაისი.

2 პუნქტში მოცემულია ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების ძირითადი შინაარსი, რომლის მიხედვითაც: „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება". ამ დებულების მიუხედავად, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება შინაარსობრივად გაცილებით ფართო და მრავლისმომცველია, არ შემოიფარგლება მხოლოდ წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვით, მჭიდროდ არის დაკავშირებული სიცოცხლის ძირითად უფლებასთან და იმდენად მნიშვნელოვანი ძირითადი უფლებაა, რომ მისი განხილვა აუცილებელია სიცოცხლის უფლებასთან ერთად.

2. დაცული სფერო

ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება არის ადამიანის უფლება საკუთარი სხეულის ჯანმრთელ მდგომარეობაზე. იგი, სიცოცხლის უფლების მსგავსად, დამცავი უფლებაა და, უპირველეს ყოვლისა, იცავს ადამიანის სხეულს ფიზიკური დაზიანებისაგან. გარდა ამისა, იგი იცავს ადამიანს ნებისმიერი სახის ზემოქმედებისაგან, რომელიც ტკივილს იწვევს და ამით უთანაბრდება ფიზიკურ დაზიანებას. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება ავრცობს ადამიანის, როგორც პიროვნების, ხელშეუხებლობისა და ფიზიკური არსებობის (სიცოცხლის უფლება) უფლებას ადამიანის სხეულის ხელშეუხებლობით და ადგენს ადამიანის დაცვის ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ საზღვარს.

როგორც აღინიშნა, მოცემული ძირითადი უფლებით ადამიანი დაცულია არა მარტო ფიზიკური, არამედ ნებისმიერი სხვა სახის, მაგალითად ფსიქიკური, ზემოქმედებისაგან. ფსიქიკური ავადმყოფობა პრაქტიკულად ყოველთვის დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობასთან. სწორედ ამიტომ ფიზიკური ხელშეუხებლობა ადამიანის ყოველგვარი პათოლოგიური გადახრისა და, შესაბამისად, ფსიქიკური ავადმყოფობისაგან თავისუფლად ყოფნას მოიცავს. ადამიანის ამ ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მთლიანობაზე ზემოქმედების ერთ-ერთი არაფიზიკური ზემოქმედების მაგალითი შეიძლება იყოს თვითმფრინავების ხმაური, რომელიც არღვევს მშვიდ ძილს და ამით უთანაბრდება ფიზიკურ დაზიანებას. იმავდროულად, მშვიდი ძილის დარღვევამ შეიძლება ფსიქიკური მოშლილობაც გამოიწვიოს. საინტერესოა, რომ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ფიზიკური ხელშეუხე-

ბლობის ძირითადი უფლება, რომელიც სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან გამომდინარეობს და ნაწილობრივ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით არის გადმოცემული, შინაარსობრივად დაკავშირებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ განსაზღვრებასთან, რომლის მიხედვითაც, ჯანმრთელობა არის „ადამიანის სრულყოფილი ფიზიკური, სულიერი და სოციალური არსებობა“ და არა მარტო ავადმყოფობისა და დაზიანებებისაგან თავისუფალი ყოფნა. თუმცა ეს განსაზღვრება ძალიან ფართოა და ძირითადი უფლებით დაცული სფეროს ფარგლებს საკმაოდ სცილდება. თავის მხრივ, ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცული სფერო გაცილებით ფართოა ჯანმრთელობის ფიზიოლოგიურ განსაზღვრებასთან შედარებით, რომლის მიხედვითაც ჯანმრთელობა ავადმყოფობისა და სისუსტის არარსებობას ნიშნავს, ძირითადი უფლებით კი დაცულია არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ორგანოთა ფუნქციების მოშლის, სხეულის დაზიანების ან ფსიქოპათიური დარღვევების თვალსაზრისით, არამედ — ადამიანის ფიზიკური მთლიანობა ზოგადად ტკივილის მიყენების თვალსაზრისითაც.

3. დაცულ სფეროში ჩარევა

ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში უმძიმესი ჩარევაა ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი დაუშვებლად მიიჩნევს და სახელმწიფოს უკრძალავს აღნიშნული მოქმედებების განხორციელებას. თითოეული შემთხვევა, სადაც დადგინდება პირის მიმართ არაადამიანური, სასტიკი ან ღირსების შემლახველი მოპყრობა, ან პირის წამება, უნდა ჩაითვალოს უმძიმეს, გაუმართლებელ ჩარევად პირის ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებითა და ადამიანის ღირსებით დაცულ სფეროში. აქ არ მოქმედებს კანონის საფუძველზე განხორციელებული და თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპის შესაბამისი ჩარევის არგუმენტები, რადგან სახელმწიფოს ეკრძალება ასეთი მოქმედებების განხორციელება და ამ წესიდან გამონაკლისი არ არსებობს. ადამიანი აბსოლუტურად დაცულია სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ მსგავსი მოქმედებების განხორციელებისაგან.

სახელმწიფოს მიერ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის შესაფასებლად აუცილებელია კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც, დადგინდება „წამების", „არაჰუმანური" და „ღირსების შემლახველი" (ანუ „დამამცირებელი") მოპყრობისა და დასჯის შინაარსი. ეს განსაკუთრებით აუცილებელია იმის გამო, რომ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, ამ კრიტერიუმებს შეიძლება სუბიექტური ხასიათი ჰქონდეს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და შემდეგ სასამართლომ საკმაოდ მკაცრად განმარტეს ამ სიტყვების („წამება", „არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი" – კონვენციის მე-3 მუხლი) მნიშვნელობა. თავდაპირველად მათ აღნიშნეს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ფასეულობას ასახავს, რომლითაც აბსოლუტურად აკრძალულია ადამიანის წამება, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი, განურჩევლად საქმის გარემოებებისა და მსხვერპლის ქცევისა.[16] კონვენციის მე-3 მუხლის სწორედ ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის შესაბამისად განხორციელდა ამ მუხლის შინაარსის განმარტება, რომელსაც საფუძვლად დაედო მოპყრობისა და სასჯელის სისასტიკის ხარისხი. აქედან გამომდინარე, 1969 წელს სახელმწიფოთა შორის მიმდინარე დავაზე[17] კომისიამ დაადგინა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) წამება — არაადამიანური ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის მოპოვებას ან დანაშაულის აღიარებას, ან პირის დასჯას;

ბ) არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი — ისეთი მოპყრობა, რომელიც განზრახ იწვევს სასტიკ მორალურ ან ფიზიკურ ტკივილს და რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში გაუმართლებელია;

გ) დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი — მოპყრობა, რომელიც განსაკუთრებით ამცირებს პირს სხვების წინაშე, ან აიძულებს მას, იმოქმედოს საკუთარი ნების ან სინდისის წინააღმდეგ.

რამდენიმე წლის შემდეგ, ასევე სახელმწიფოთა შორის დავის[18] განხილვის შედეგად, კრიტერიუმები ოდნავ შეიცვალა:

ა) წამება – განზრახი არაადამიანური მოპყრობა, რომელიც იწვევს გაუსაძლის და სასტიკ ტკივილს;

16 *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (Labita v. Italy)*, 2000 წლის 6 აპრილი.

17 *დანია, საფრანგეთი, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (Denmark, France, Norway, Sweden and Netherlands v. Greece)*, 1969 წლის 5 ნოემბერი.

18 *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom)*, 1978 წლის 18 იანვარი.

ბ) არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი — ინტენსიური ფიზიკური ან მორალური ტკივილის მიყენება;

გ) დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი — მოპყრობა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანში შიშის, მწუხარების და დათრგუნვილობის გრძნობის აღძვრას, რამაც შეიძლება დაამციროს იგი, შელახოს მისი ღირსება და გატეხოს მისი ფიზიკური და მორალური მდგრადობა.

აღნიშნული საქმის განხილვისას ასევე დაზუსტდა, ადამიანის სქესის, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის გარკვეულ დონეს, რის შედეგადაც ჩაითვლება, რომ დარღვეულია ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება და მისი ღირსება. ამასთან, ტერმინი „დამამცირებელი" არ გულისხმობს „მიუღებელს" ან „არაკომფორტულს". ამავე დროს, სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანის დამამცირებელი და ღირსების შემლახველი შეიძლება იყოს როგორც სხვების თანდასწრებით მის მიმართ განხორციელებული ზემოაღნიშნული შინაარსის მოპყრობა, ისე სხვა პირთა დასწრების გარეშე განხორციელებული მსგავსი მოქმედებები. სასამართლო მიიჩნევს, რომ სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება შედარებითია და დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, მათ შორის მოპყრობის ინტენსიურობასა და ხანგრძლივობაზე, მოპყრობით გამოწვეულ ფიზიკურ და სულიერ ტკივილსა და შედეგებზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი — პირის სქესსა, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. გარდა ამისა, როცა სასამართლო იხილავს საკითხს — არის თუ არა მოპყრობა „დამამცირებელი", — იგი ყოველთვის ამახვილებს ყურადღებას მოპყრობის მიზანზე, ანუ იყო თუ არა მოპყრობის მიზანი პირის დამცირება და აბუჩად აგდება. სწორედ ასეთი მოპყრობა დააფიქსირა ევროპულმა სასამართლომ საქმეში — *ვალასინასი ლიტვის წინააღმდეგ.*[19] სასამართლომ აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან დანაშაულის აღსაკვეთად ზოგჯერ შეიძლება მართლაც საჭირო იყოს ადამიანის გაშიშვლება და მისი ჩხრეკა, მაგრამ ეს მოქმედებები შესაბამისი წესების დაცვით უნდა განხორციელდეს. როცა დაწესებულების ადმინისტრაცია პატიმარს აიძულებს გაშიშვლდეს ქალის თანდასწრებით, შემდეგ კი ზედამხედველი შიშველი ხელებით შეეხება მის სასქესო ორგანოებსა და საკვებს, ეს უკვე პატიმრის პიროვნების მიმართ უპატივცემულობას და მისი ღირსების დამცირებას

19 *ვალასინასი ლიტვის წინააღმდეგ (Valašinas v. Lithuania)*, 2001 წლის 24 ივლისი.

ნიშნავს. ასეთი მოპყრობა პატიმარში ნამდვილად გამოიწვევდა აბუჩად აგდების, დამცირებისა და ღირსების შემლახველი ტკივილის გრძნობას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად მიიჩნია სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის ზემოთ აღწერილი მოქმედება.

სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის წამება და არაჰუმანური, სასტიკი მოპყრობა განსაკუთრებით ხშირია წინასწარი დაკავების დაწესებულებებში, როდესაც პირი ფაქტობრივად მთლიანად (მიუხედავად კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საპროცესო ძირითადი უფლებებისა) პოლიციისა თუ უშიშროების ორგანოების განკარგულებაში იმყოფება. შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და ვალდებულებები აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობა, იმავდროულად კი უზრუნველყოს ამ კანონმდებლობის შეუფერხებელი გამოყენება და განხორციელება დაკავებულის მიერ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე — *აქსოი თურქეთის წინააღმდეგ*[20] — დაადგინა, რომ თუ ჯანმრთელ ადამიანს პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ აღმოაჩნდება სხეულის დაზიანებები, სახელმწიფო ვალდებულია, წარმოადგინოს დამაჯერებელი განმარტება ამ დაზიანებათა მიზეზების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს დაეკისრება პასუხისმგებლობა. ამ საქმეში თურქეთის მთავრობამ ვერ შეძლო დასაბუთებული არგუმენტების წარმოდგენა დაზიანებების შესახებ. სასამართლოს აზრით, დაპატიმრებულის მიმართ განხორციელებულ მოქმედებებს (იგი გაშიშვლებული და ზურგზე ხელშეკრული ჩამოკიდეს საკანში, აწამებდნენ ელექტროშოკით და შეურაცხყოფდნენ სიტყვიერად) ჰქონდა ისეთი მძიმე და სასტიკი ზემოქმედების ხასიათი, რომ მას უნდა მისცემოდა „წამების" კვალიფიკაცია. საქმეებზე — *ტომაზი საფრანგეთის წინააღმდეგ*[21] და *რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ*[22] — სასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ყოველთვის ეკისრებოდა მორალური პასუხისმგებლობა პატიმრობაში მყოფ ნებისმიერ პირზე. ამ პირის სხეულის დაზიანების შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებული იყო, წარმოედგინა მტკიცებულებები და დამაჯერებლად

20 *აქსოი თურქეთის წინააღმდეგ (Aksoy v. Turkey)*, 1996 წლის 18 დეკემბერი.
21 *ტომაზი საფრანგეთის წინააღმდეგ (Tomasi v. France)*, 1992 წლის 27 აგვისტო.
22 *რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ (Ribitsch v. Austria)*, 1995 წლის 4 დეკემბერი.

აეხსნა, თუ როდის, როგორ და რა ვითარებაში ჰქონდა დაზარალებულს აღნიშნული დაზიანებები მიღებული. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ დაპატიმრებული პირის მიმართ ნებისმიერი ფიზიკური ძალადობა, როცა მისი გამოყენება აუცილებელი არ არის თავად დაპატიმრებულის ქცევიდან გამომდინარე, არის არაჰუმანური, დამამცირებელი, მისი ღირსების შემლახველი მოპყრობა და არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს.[23] ამასთან, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლების მიერ არაადამიანურ მოპყრობაში დამნაშავე პოლიციელის გასამართლება და სამსახურიდან დათხოვნა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს კონვენციის მე-3 მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან.

ევროპული სასამართლო წლების განმავლობაში ყოველ ასეთ შემთხვევას, როგორც წესი, აძლევდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კვალიფიკაციას, მაგრამ ბოლო წლებში შეცვალა ეს პრეცედენტი და პრინციპულად ახალი პოზიცია დაიკავა: საქმეში — *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ*[24] — სასამართლომ პოლიციელთა მიერ დაპატიმრებული პირის ფიზიკური, სექსუალური და სიტყვიერი შეურაცხყოფა „წამებად" მიიჩნია და არა „დამამცირებელ მოპყრობად." წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული მიდგომისა და პრეცედენტის ასეთი პრინციპული შეცვლის განმარტებისას სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის დანიშნულება — ყოფილიყო „ცოცხალი ინსტრუმენტი" — გულისხმობდა ამ დებულების განმარტებას თანამედროვე, რეალური მოთხოვნების გათვალისწინებით. დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი ღირებულებების უზრუნველყოფა კი თანამედროვე პირობებში საჭიროებდა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში სტანდარტების ამაღლებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მოქმედებები, ადრე „არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად" რომ განიხილებოდა, ამიერიდან დაკვალიფიცირდებოდა როგორც „წამება". საყურადღებოა, რომ რამდენიმე საქმეში ევროპულმა სასამართლომ საპატიმრო ადგილების გაუსაძლისი პირობები, მათ შორის სანიტარიულიც, წამებად და, შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად მიიჩნია.[25] სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნ-

23 მუხლი 3: „არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს."

24 *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Selmouni v. France)*, 1999 წლის 28 ივლისი.

25 *კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kalashnikov v. Russia)*, 2002 წლის 15 ივლისი; *დუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ (Dougoz v. Greece)*, 2001 წლის 6 მარტი.

ველყოს პირის პატიმრობა ისეთ პირობებში, რაც შეესაბამება მე-3 მუხლის მოთხოვნებს, რათა პატიმრობის განმავლობაში პირი არ დაექვემდებაროს ისეთ ინტენსიურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეგავლენას, ისეთ აუტანელ საყოფაცხოვრებო მდგომარეობას, რაც აღემატება პატიმრობისათვის დამახასიათებელი სულიერი ტკივილის უკიდურეს ზღვარს.[26]

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, სახელმწიფომ ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით ფიზიკური პირი დაცულია სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემისა და ექსტრადიციისაგან იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება გარემოებები, რომელთა მიხედვითაც, მიმღებ ქვეყანაში იგი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას და სასტიკ ან არაჰუმანურ მოპყრობას. საქართველოს კონსტიტუცია ამ მხრივ გარკვეულ ზღვარს ადგენს და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოქალაქის გაძევებას დაუშვებლად აცხადებს, საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემას კი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ შემთხვევებში (მე-13 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები). გარდა ამისა, კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება." საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კონსტიტუციის აღნიშნულ დებულებათა ფარგლებში აკონკრეტებს ამ საკითხს და აცხადებს, რომ „საქართველოს მოქალაქის, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემა ხორციელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით (რომის სტატუტით) და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონით[27] გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით" (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი). კოდექსი ასევე აკონკრეტებს, რომ, კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომლის მიერ „ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს"

26 *კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland)*, 2000 წლის 26 ოქტომბერი; იხ. აგრეთვე *ვალასინასი ლიტვის წინააღმდეგ (Valašinas v. Lithuania)*, 2001 წლის 24 ივლისი.

27 2003 წლის 14 აგვისტო.

(მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი). აღნიშნულ ნორმებთან ერთად, ფიზიკური პირის ექსტრადიციისა თუ გადაცემის დროს სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლების მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაადგინოს პოლიტიკური მდგომარეობა მიმღებ ქვეყანაში და შეაფასოს ის სამართლებრივი და რეალური გარემოებები, რომლებშიც გადაცემულ პირს მოუწევს ყოფნა. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აღნიშნულ საფუძველზე წარდგენილი საჩივრების უმრავლესობა არ დაკმაყოფილდა, მაგრამ რამდენიმე საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. მაგალითად, საქმეში — *სორინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,*[28] — რომელშიც მკვლელობის ბრალდების გამო გერმანიის მოქალაქის გადაცემას მოითხოვდა ამერიკის შეერთებული შტატები, სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაცემის შემთხვევაში ეს პირი შეიძლებოდა გაურკვეველი ვადით ყოფილიყო დაკავებული ე.წ. „სიკვდილის რიგში" (death row). სასამართლოს აზრით, „სიკვდილის რიგში" დგომა პირდაპირ არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლის დებულებას წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის დაუშვებლობის შესახებ. სხვა საქმეებზე[29] სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როდესაც სახელმწიფოს სურს მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირის ან იმ პირის ექსტრადიცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას, მან უნდა შეისწავლოს და შეაფასოს მიმღებ სახელმწიფოში არსებული ვითარება და სამართლებრივი მდგომარეობა. თუ ამის შემდეგ იკვეთება, რომ პირი შესაძლებელია დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ და სასტიკ, დამამცირებელ მოპყრობას, ამ პირის გადაცემით დაირღვევა როგორც შიდასახელმწიფოებრივი შესაბამისი ნორმები (თუკი ასეთი არსებობს), ისე კონვენციის მე-3 მუხლი. ამასთან, სასამართლოს აზრით, მიმღებ ქვეყანაში არსებული ზოგადი არასტაბილური და ძალადობრივი ვითარება, როგორც წესი, არ იწვევს პირის გადამცემი სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევას.[30]

---

28 *სორინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Soering v. the United Kingdom)*, 1989 წლის 7 ივლისი.

29 *აჰმედი ავსტრიის წინააღმდეგ (Ahmed v. Austria)*, 1996 წლის 17 დეკემბერი; *ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Chahal v. the United Kingdom)*, 1996 წლის 15 ნოემბერი.

30 *ჰ. ლ. რ. საფრანგეთის წინააღმდეგ (H.L.R. v. France)*, 1997 წლის 29 აპრილი; იხ. აგრეთვე *დ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (D. v. the United Kingdom)*, 1997 წლის 2 მაისი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე — *შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ*.[31] ამ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ დეტალურად განმარტა სახელმწიფოს ვალდებულება პირის ექსტრადიციის პროცესში და აღნიშნა, რომ დაუშვებელია, პატიმარი დარჩეს გაურკვეველ მდგომარეობაში, მხოლოდ ჭორებისა და მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ამარა და ბოლო მომენტამდე არ იცოდეს, ემუქრება თუ არა მას ექსტრადიცია. სახელმწიფო ვალდებულია, დროულად და სათანადო ფორმით შეატყობინოს პირს მის მიმართ კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, მიუღებელია, პატიმარი დადგეს ფაქტის წინაშე და მხოლოდ მაშინ გაიგოს მისი სხვა ქვეყნისათვის გადაცემის შესახებ, როდესაც მას მოსთხოვენ, დატოვოს საკანი. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯგუფური წინააღმდეგობა, რაც პატიმრებმა გაუწიეს სახელმწიფო მოხელეებს, დაკავშირებული იყო მათ კანონიერ შიშთან, რასაც მათში აღძრავდა ექსტრადიციის იდეა. სახელმწიფოს ნაჩქარევმა მოქმედებამ და ექსტრადიციის აღსრულების ასეთმა ფორმამ პატიმრებს ბუნტისაკენ უბიძგა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმართა მხრიდან დაუმორჩილებლობის პირობებში საჭირო ხდება სპეციალური ძალების გამოძახება, მაგრამ ფიზიკური ძალის გამოყენება პატიმრის მიმართ, როდესაც ის თავისი საქციელით ამას არ იმსახურებს, დაუშვებელია. სასამართლოს აზრით, მოცემულ საქმეში სწორედ ასეთ შემთხვევაზე იყო საუბარი, რადგან ზემოაღნიშნულ პირობებში ფიზიკური ძალის გამოყენება არ შეიძლება გამართლებულ იქნეს პატიმართა ქცევიდან გამომდინარე. ამის მიხედვით, სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი.

4. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ადამიანის წამება და მის მიმართ არაჰუმანური, სასტიკი და ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება აბსოლუტურად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, აკრძალულია

31 *შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (Shamaev and Others v. Georgia and Russia)*, 2005 წლის 12 აპრილი.

და ნებისმიერი ასეთი მოქმედება არის ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ღირსებით დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევა. რაც შეეხება ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში სხვა სახის ჩარევას, ისინი დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპის დაცვით. ჩარევად ითვლება ადამიანის სხეულზე ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს სხეულის თვისებების ცვლილება. აქ იგულისხმება არა მარტო ჯანმრთელობისათვის ზიანის, ტკივილის მიყენება ან სხეულის დაზიანება ვიწრო გაგებით, არამედ აგრეთვე ანალიზისათვის საჭირო სისხლის აღება, თმის შეჭრა, ოპერაციული და ადამიანის სხეულზე განხორციელებული სხვა სამკურნალო ჩარევა, სამკურნალო ნივთიერებების, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალებების შეყვანა სხეულში, ინექციის გაკეთება, მკურნალობისათვის აუცილებელი იძულებითი კვება და ა.შ. ასეთი ჩარევები ძირითად გამართლებულია თავად ადამიანის ნებართვის შემდეგ, რომელიც თანახმაა, მის მიმართ გამოყენებულ იქნეს განკურნებისათვის აუცილებელი ყველა საშუალება. ასეთი ჩარევა შეიძლება განხორციელდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროსაც, როცა აუცილებელია ჩადენილი დანაშაულის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა. თანაზომიერების, იგივე პროპორციულობის პრინციპი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოითხოვს, რომ ჩარევა იყოს აუცილებელი, დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი და არსებული ეჭვის დასაბუთებულობით გამართლებული. სისხლის აღება, როგორც წესი, დასაშვებია, თუ ამას აკეთებს (საფუძვლიანი ეჭვის დროს) ექიმი იმ ფაქტების დასადგენად, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმისათვის. ასევე დასაშვებია სისხლის აღება და სხვა შესაბამისი კვლევის ჩატარება, თუ ეს კეთდება კონკრეტულ შემთხვევაში მამობის დადგენის მიზნით. იძულებითი აცრა და რენტგენის საშუალებით იძულებითი გამოკვლევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ვირუსული ეპიდემიების გავრცელების საფრთხე და ამ საფრთხის თავიდან აცილება საჯარო ინტერესითაა გამოწვეული. ამის საპირისპიროდ, თავისა და ზურგის ტვინიდან სითხის ამოღება ითვლება მძიმე ფიზიკურ ჩარევად, რომელიც დასაშვებია მხოლოდ მძიმე სისხლისსამართლებრივი ბრალდების დროს პირის ქმედუნარიანობის დასადგენად და არა უმნიშვნელო დელიქტების გახსნის მიზნით. ყველა შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი საშუალებები, რომლებიც უკეთეს (ან ისეთსავე) შედეგს იძლევა და, ამავე დროს,

ნაკლებად არღვევს პირის ფიზიკურ მთლიანობას. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია გამოყენება დღეისათვის საუკეთესო ტექნიკური საშუალების — კომპიუტერული ტომოგრაფიისა, და არა ძველი სამედიცინო საშუალებებისა, რომლებიც უხეშად არღვევენ ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითად უფლებას. კომპიუტერული ტომოგრაფია ასევე არ არის დაკავშირებული პირის ჯანმრთელობის რისკთან.

დაუშვებელია ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროზე *ირიბი ზემოქმედება*. ასეთია, მაგალითად, მდგომარეობა, როცა არსებობს აშკარა და კონკრეტული საფრთხე, რომ ბრალდებულის ჯანმრთელობას შეიძლება მძიმე ზიანი მიადგეს, ან იგი შეიძლება გარდაიცვალოს სასამართლო პროცესებზე სიარულითა და ფიზიკური გადატვირთვის გამო. თუმცა ჯანმრთელობის დარღვევის ყველა სახის საფრთხე არ იწვევს პროცესის შეჩერებას. საკითხი — გაგრძელდეს თუ არა პროცესი, — უნდა გადაწყდეს ყველა გარემოების შეფასებით და გათვალისწინებით, განსაკუთრებით დანაშაულის სიმძიმის, პროცესის გაგრძელების სავარაუდო ვადისა და პირის ჯანმრთელობის დარღვევის განგრძობითი თუ დროებითი ხასიათის მიხედვით.

ასეთსავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა დგას სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების დროებითი ან ხანგრძლივი შეჩერების საკითხი. მაგალითად, დაუშვებელია საცხოვრებელი ფართობის დაცლის შესახებ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება მოქირავნის მიმართ, რომელიც მძიმედ არის ავად და რომლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გამოსახლების შემთხვევაში აშკარა საფრთხე დაემუქრება. სწორედ ასეთ დავასთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოქირავნის სასარგებლოდ, რომელსაც აღსრულების სამსახურმა (სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) წაუყენა ფართობის ნებაყოფლობით დაცლის მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფართის დაცლა მოხდებოდა იძულებით. მოხუცმა მოქირავნემ მოითხოვა ფართობის იძულებითი დაცლის მოთხოვნის გაუქმება, ვინაიდან დიდი ხანია, დაავადებული იყო მძიმე ენდოგენური დეპრესიით, რისგან განკურნებისთვისაც მხოლოდ თერაპიული ჩარევა არ იყო საკმარისი, თანაც დაავადებას თან ახლდა გულის ფუნქციონირებისა და სისხლის მიმოქცევის დარღვევები. მოხუცმა სამჯერ სცადა თვითმკვლელობა და მისი გადარჩენა მოხერხდა სტაციონარული მკურნალობით. საცხოვრებლის დაკარგვის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მძიმე ფსიქიკური დარღვევები და თვით-

მკვლელობის მუდმივი საფრთხე. აღნიშნული არგუმენტების საფუძველზე სასამართლომ მოქირავნეს გადაუვადა საცხოვრებლის დაცლის ვადა 7 თვით. თუმცა ამ ვადის შემდგომი გაგრძელება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა უარყვეს, მიუხედავად იმისა, რომ მოხუცის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ხნის განმავლობაში არ გაუმჯობესებულა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაირღვა მოხუცის ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება, რადგან თუ მოქირავნის მიერ მითითებული საფრთხე მართლაც არსებობდა და მისი აცილება მხოლოდ ფართობის დაცლის გადავადებით იყო შესაძლებელი (ეს მართლაც ასე იყო, რადგან მოხუცს ჰქონდა დამამტკიცებელი საბუთები საავადმყოფოდან), მაშინ მისი აღსრულება კიდევ დიდი ხნით უნდა გადავადებულიყო.[32]

32 იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ტ. 52, გვ. 214 და მომდევნო.

გივი მიქანაძე

სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში

1. შესავალი

ინდივიდის უფლებათა დამცავი სხვადასხვა საშუალების არსებობის მიუხედავად, ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ პიროვნება იურიდიულად დაუცველია სხვადასხვა უწყების, დაწესებულების, თანამდებობის პირისა და თვით სახელმწიფოსაგან, რადგან კონსტიტუციაში საკმაოდ ფართოდ დეკლარირებული ადამიანის უფლებები სათანადოდ ვერ იცავს მას ადმინისტრაციის თვითნებობისა და უსამართლობისაგან. ეს ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი მექანიზმი იმ ბიუროკრატიული მანქანის წინააღმდეგ, რომელსაც კანონის ~~ან~~ კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე დიდი უფლებამოსილება აქვს.

სახელმწიფოს მხრიდან უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა ხელისუფლების შეზღუდვის თავისებური მექანიზმია, რომელიც ყოველთვის მიისწრაფვის გაძლიერებისა და გაფართოებისაკენ ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ახალი სამართლებრივი ხასიათის მექანიზმების შექმნა ხელისუფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ.

ომბუდსმენის ინსტიტუტს განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ მექანიზმებს შორის, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა თვითნებობისაგან. ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება განპირობებული იყო სახელმწიფო ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისას უფლებების დაცვის მექანიზმის განმტკიცების, მოქალაქეებში ბიუროკრატიული სისტემის მიმართ დაუცველობის გრძნობის შემცირების, მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისა და პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთო-

ბის ჰუმანიზირების მიზნით.

მთელ მსოფლიოში სახელმწიფოებრივი საქმიანობის კრიტიკის მიუხედავად, ომბუდსმენი ხელს უწყობს ადმინისტრაციისადმი ნდობის გაზრდას. სწორედ ამიტომ ეს ინსტიტუტი ითვლება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში კანონიერებისა და სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორად, არასასამართლო კონტროლის ფორმად. მისი მთავარი პრინციპია ადამიანის უფლებების დაცვა, განსხვავებული საპარლამენტო, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ სხვაგვარი კონტროლისა და ზედამხედველობის ფორმისგან.

2. ომბუდსმენის ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება

ომბუდსმენის ინსტიტუტი პირველად შვედეთში 1809 წელს დაარსდა. თანამედროვე სახით ის სამეფო ომბუდსმენის პროტოტიპია. მას შემდეგ, რაც შვედეთის მეფე კარლ XII დამარცხდა პოლტავასთან ბრძოლაში (1709 წელი), მან დატოვა ქვეყანა და წავიდა თურქეთში. ამ პერიოდში შვედეთი ქაოსმა მოიცვა. აღნიშნულის შესაწყვეტად თურქეთში მყოფმა შვედეთის მეფემ 1713 წელს გამოსცა კანონი შვედეთის სამეფო ომბუდსმენის შექმნის შესახებ, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა ზედამხედველობა ქვეყანაში კანონებისა და სტატუტების განხორციელებასა და მოხელეების მიერ მოვალეობების შესრულებაზე. მოგვიანებით ამ თანამდებობამ „იუსტიციის კანცლერის“ სახელწოდება მიიღო. 1766-1772 წლებში შვედეთის პარლამენტმა მეფის ყველა უფლებამოსილება თავის ხელში აიღო, მათ შორის იუსტიციის კანცლერის დანიშვნაც, თუმცა 1772 წელს მეფე გუსტავ III-მ აღადგინა სამეფო პრეროგატივები. 1809 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს დესპოტიზმით განთქმული მეფე გუსტავ IV ადოლფი და მოიწვიეს რიკსდაგი (შვედეთის პარლამენტი), რომელმაც გადაწყვიტა მეფესა და პარლამენტს შორის თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული ახალი კონსტიტუციის მიღების საკითხი.

XIX საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრივი პირობების ლიბერალიზაციამ ხელი შეუწყო შვედეთში კონსტიტუციური ნორმების წარმოშობას. 1809 წელს შვედეთის რიკსდაგმა მიიღო დოკუმენტი მართვის შესახებ (კონსტიტუციური აქტი). აღნიშნულ დოკუმენტს საფუძვლად დაედო მონტესკიეს ხელისუფლების დანაწილების თეორია. მეფისა და პარლამენ-

ტის უფლებამოსილების გასათანასწორებლად ამ უკანასკნელს ეძლეოდა სპეციალური საპარლამენტო კომისრის (ომბუდსმენის) არჩევის უფლება, რომელსაც ზედამხედველობა უნდა გაეწია, თუ როგორც შეასრულებდნენ სასამართლოები და ხელისუფლების სხვა ორგანოები პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს.

დასაწყისშივე ომბუდსმენი აღიჭურვა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ორგანოთა საქმიანობაზე კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ფუნქციით. მას დაევალა მოქალაქეთა უფლებების დაცვა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან. აღნიშნული დაკავშირებულია შვედეთის ადმინისტრაციის სამართლის სისტემასთან, რომლის არსიც გამოიხატება იმით, რომ საერთო სასამართლოები არ ახორციელებდნენ კონტროლს ადმინისტრაციაზე. შესაბამისად, იგი რჩებოდა ყოველგვარი კონტროლის გარეშე. ამასთან, თანამდებობაზე პირები სიცოცხლის ბოლომდე ინიშნებოდნენ. ყოველივე ამან განაპირობა შვედეთის ომბუდსმენის უფლებამოსილების გავრცელება მმართველობასა და მართლმსაჯულებაზე.

1919 წლიდან მსგავსი ორგანოები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაარსდა და სამართლებრივი კონტროლის სისტემაში შევიდა. ომბუდსმენის ინსტიტუტი საზღვარგარეთის სამართალში ხასიათდება როგორც საპარლამენტო და სასამართლო კონტროლი და, აგრეთვე, თვით ადმინისტრაციულ ორგანოთა კონტროლი. ომბუდსმენის ინსტიტუტზე მოთხოვნილება ყველაზე მეტად მაშინ წარმოიშობა, როდესაც მოქმედ ინსტიტუტებს არ შესწევთ საკონტროლო ფუნქციების განხორციელების უნარი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიმართ და საჭიროა მოქალაქეთა უფლებების დამატებითი დაცვა ადმინისტრაციის თვითნებობისაგან. ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნა მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ხელისუფლების დანაწილების თეორიასთან, ისე საზოგადოების თანამედროვე განვითარებასა და სახელმწიფო და ადმინისტრაციული საქმიანობის გაფართოებასთან. ეს უკანასკნელი კი იწვევს სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის უთანხმოების ზრდას. აღნიშნულს ხელს უწყობს სახელმწიფო აპარატში თანამშრომელთა რიცხვის მუდმივი ზრდა, სამართლებრივი ნორმებისა და მიწერილობების დიდი რაოდენობა, პარლამენტის საინფორმაციო დეფიციტი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე, ადმინისტრაციულ სასამართლოთა საქმეებით გადატვირთვა და სხვა. ასეთ პირობებში მოქალაქე ყოველდღი-

ურად განიცდის სხვადასხვა ადმინისტრაციული თუ ბიუროკრატიული ორგანოს ზემოქმედებას, რაც იწვევს მათ უკმაყოფილებასა და უნდობლობას სახელმწიფოსადმი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის გავრცელება და ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში ჩართვა განპირობებულია საზოგადოების ცხოვრების ყველა სოციალურ სფეროში სახელმწიფოს შეღწევით, სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების გაფართოებით, სახელმწიფოებრივი რეგულირების გზით, რაც ამტკიცებს საკანონმდებლო ხელისუფლების როლს და განამტკიცებს ადმინისტრაციული აპარატის პოზიციებს. გარდა ამისა, არსებობს სხვა გარემოებები, რომლებიც ხსნიან ამ ინსტიტუტის შექმნას ზოგიერთ ქვეყანაში. ძირითადად ეს არის სახელმწიფოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში სამართლებრივი ფუნქციების გაფართოება, სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების გაზრდა, რის საფუძველზეც წინა პლანზე გამოდის აღმასრულებელი ხელისუფლება და იქმნება ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა პერსონალიზაციისა და ინდივიდუალიზაციის საჭიროება. ომბუდსმენი აფართოებს პარლამენტის ტრადიციულ საკონტროლო ფუნქციებს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებით. სწორედ ამიტომ მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბებით შეავსო მოქმედი საკონტროლო ფორმები.

3. საქართველოს სახალხო დამცველი

მთელ მსოფლიოში ომბუდსმენები ცდილობენ, განამტკიცონ ნდობა მოქალაქესა და ადმინისტრაციას შორის. მიუხედავად აღნიშნულისა, ყოველ ცალკეულ სახელმწიფოში არსებობს თავისებურებანი იმ კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებით, რომლებიც დასმულია ამა თუ იმ ომბუდსმენის სამსახურის მიმართ. ომბუდსმენი მუშაობს იმ პირობებში, რომლებიც დამახასიათებელია მისი ქვეყნისთვის. ამიტომაც ამ უწყების ორგანიზაცია და ფუნქციონირების საშუალებები განსხვავებულია. აღნიშნული დაკავშირებულია ცალკეულ სახელმწიფოთა სპეციფიკურობასთან ომბუდსმენის კლასიკური მოდელის საკუთარ, ზოგ შემთხვევაში სავსებით ორიგინალურ, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სისტემასთან მისადაგებისას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ყოველი ქვეყანა,

რომელიც ამ ინსტიტუტს ამკვიდრებს, ცდილობს მის შერწყმას უკვე მოქმედ სამართლებრივ სისტემასთან. ამიტომაა, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტებს, საერთო ნიშნების მიუხედავად, აქვთ ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც განპირობებულია ეროვნული ტრადიციებით, მოქმედი კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოთა სისტემით, მათ შორის, კომპეტენციათა განაწილებით და ა.შ.

საქართველოს სახალხო დამცველიც არ არის გამონაკლისი. ომბუდსმენის ქართული ინსტიტუტის ნაირსახეობისთვის დამახასიათებელია როგორც ტრადიციული ნიშნები, ისე ის თავისებურებანი, რაც მას განასხვავებს მსოფლიოში გავრცელებული ანალოგებისაგან.

სახალხო დამცველის თანამდებობა პირველად საქართველოში 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის საფუძველზე იქნა შემოღებული, რომლის ძალითაც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს სახალხო დამცველი. საქართველოს სახალხო დამცველის არჩევისა და უფლებამოსილების საკითხები კონკრეტულად აისახა საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 16 მაისს მიღებულ ორგანულ კანონში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ".

სახალხო დამცველი საქართველოს ტერიტორიაზე ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. ამ მიზნით სახალხო დამცველი ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა საქმიანობას, აფასებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, აძლევს მათ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

საქართველოს კონსტიტუცია და ორგანული კანონიც ამკვიდრებს სახალხო დამცველის დამოუკიდებლობის გარანტიებს. კონსტიტუცია ამ მხრივ ამკვიდრებს ნორმას, რომლის თანახმადაც სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით. პასუხისმგებლობის თვალსაზრისით კიდევ უფრო ამკაცრებს მოთხოვნას ორგანული კანონი, როდესაც აღნიშნავს, რომ „საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება საქართველოს სახალხო დამცველზე ან ჩარევა მის საქმიანობაში აკრძალულია და ისჯება კანონით" (მე-4 მუხლი) და „ამ კანონით დადგენილ მოვალეობათა შეუსრულებლობა, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ნებისმიერი ფორმით დაბრკოლების შექმნა

ისჯება კანონით და აისახება საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში, რაც საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იქნება" (25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

დამატებით ორგანული კანონი ითვალისწინებს ნორმას სახალხო დამცველის იმუნიტეტის შესახებ. სახალხო დამცველი ხელშეუხებელია, — აღნიშნულია კანონის მე-5 მუხლში, — დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. საქართველოს პარლამენტი შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართ არა უგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღისა.

საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების შესახებ თანხმობისას მისი უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. სახალხო დამცველის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან მარეაბილიტირებელ საფუძველზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახალხო დამცველის უფლებამოსილება აღდგება.

საქართველოს სახალხო დამცველი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის. მასვე უფლება აქვს, ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომლებიც მას, როგორც სახალხო დამცველს, გაანდეს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება სახალხო დამცველს უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

საქართველოს სახალხო დამცველის დამოუკიდებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებულია, შეუქმნას მას მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობები, ამასთან, უზრუნველყოს მისი უფლებამოსილებების შეუფერხებელი განხორციელების პირობები. მისი განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ სახალხო დამცველისა და მისი ოჯახის უსაფრთხოება.

სახალხო დამცველად აირჩევა საქართველოს მოქალაქე 5 (ხუთი) წლის ვადით. მას ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ: საქართველოს

პრეზიდენტს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა, სულ ცოტა, ათკაციან ჯგუფს, რომლებიც არ შედიან არცერთ ფრაქციაში. კენჭისყრის წინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს პარლამენტს აცნობებს კანდიდატთა სიას და მათ წერილობით თანხმობას სახალხო დამცველის თანამდებობაზე არჩევის შესახებ. ყოველ ასარჩევ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. კენჭისყრა ფარულია. კენჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის ხმებისა. თუ კენჭისყრისათვის საკმარისი ხმები ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო, კენჭისყრიდან არა უადრეს 7 (შვიდი) და არა უგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღისა ტარდება ხელახალი არჩევნები. არჩევნების ერთ ციკლში ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

ახალარჩეული სახალხო დამცველის უფლებამოსილება იწყება თანამდებობაზე მყოფი სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადის გასვლის მომდევნო დღიდან. სახალხო დამცველის უფლებამოსილება წყდება არჩევიდან 5 (ხუთი) წლის თავზე ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას. ერთი და იგივე პირი საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

სახალხო დამცველის თანამდებობა შეუთავსებელია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობასთან, სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერ თანამდებობასა და ანაზღაურებად საქმიანობასთან, სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო მოღვაწეობის გარდა. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

სახალხო დამცველს საქართველოს პარლამენტი ირჩევს თანამდებობაზე მყოფი სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 60 (სამოცი) და ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა.

სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პარლამენტის მიერ ახალი სახალხო დამცველის არჩევამდე მის მოვალეობას ასრულებს სახალხო დამცველის მოადგილე. ასეთ შემთხვევაში სახალხო დამცველის მოადგილე სარგებლობს სახალხო დამცველისათვის მინიჭებული უფლებებით, სამართლებრივი გარანტიებითა და ხელშეუხებლობით.

სახალხო დამცველს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
ბ) ზედიზედ 4 (ოთხი) თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას;
გ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
დ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
ე) დაიკავა ან უკავია საქართველოს სახალხო დამცველის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
ვ) ნებაყოფლობით გადადგა;
ზ) გარდაიცვალა.

სახალხო დამცველი ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით, თუ მისთვის ცნობილი გახდება ამ დარღვევათა შესახებ. სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ან მუდმივად მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა ქმედებებს ან მათ აქტებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევების შესახებ, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

განცხადებებსა და საჩივარს სახალხო დამცველი განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის აღნიშნულ საკითხებზე მიღებული ზემდგომი ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას და როდესაც განცხადება ან საჩივარი ეხება საკითხის განხილვის დროს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას.

უდავოდ მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის უფლებამოსილება, შეამოწმოს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა. იგი პირადად ხვდება და ესაუბრება დაკავებულს,

წინასწარ პატიმრობაში მყოფთ და მსჯავრდებულებს, ამოწმებს აღნიშნულ დაწესებულებაში მათი ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

სახალხო დამცველი უზრუნველყოფილია საკანონმდებლო გარანტიებით, რაც მას აძლევს მასზე დაკისრებული ამოცანების განხორციელების მეტ შესაძლებლობას, კერძოდ, მოვალეობის შესრულებისას სახალხო დამცველს უფლება აქვს:

ა) დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, ნებისმიერ საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში;

ბ) მოსთხოვოს და მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, აგრეთვე იქ დასაქმებულ თანამდებობის პირთაგან შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა;

გ) მიიღოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან;

დ) სახელმწიფო და/ან არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები და მოამზადოს დასკვნები, მოიწვიოს სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად;

ე) გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომელთა თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული.

სახალხო დამცველს ორგანული კანონი ანიჭებს შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღკვეთის ან გამოსწორების მიზნით რეაგირების ფორმებსა და საშუალებებს. შემოწმების შედეგების მიხედვით, სახალხო დამცველი უფლებამოსილია:

ა) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის მიზნით წინადადებები წარუდგინოს პარლამენტს კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ;

ბ) ადამიანის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად რეკომენდაციები გაუგზავნოს იმ სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის ან იურიდიულ პირს, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის

უფლებათა დარღვევა;

გ) დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში თავის ხელთ არსებული მასალები გადასცეს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის რეკომენდაციით;

დ) შეიტანოს წინადადებები შესაბამის ორგანოებში იმ პირთა დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;

ე) რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის სასამართლო ინსტანციას ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების თაობაზე, თუკი შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სასამართლო წარმოების პროცესში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას შეეძლო არსებითად ემოქმედა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაზე;

ვ) აცნობოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით ჩატარებული შემოწმების შედეგები;

ზ) მიღებული გადაწყვეტილებები გამოაქვეყნოს სპეციალურ მოხსენებებსა და სპეციალურ ანგარიშებში;

თ) წერილობით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს და მოხსენებით წარდგეს საქართველოს პარლამენტის წინაშე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უხეშ და/ან მასობრივ დარღვევათა შემთხვევაში, თუკი მის განკარგულებაში არსებული რეაგირების საშუალებები არასაკმარისი იქნება;

ი) კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ ამომრჩეველთა მოთხოვნის მიუხედავად არ დაინიშნა რეფერენდუმი; თუ მიიჩნევს, რომ რეფერენდუმის ჩატარება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, ან თუ ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი;

კ) განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პარლამენტს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისა და საქართველოს პარლამენტის მიერ საკითხის განხილვის მოთხოვნით.

სახალხო დამცველის ურთიერთობა პარლამენტთან ორმხრივად სასარგებლოა, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეს ხელს უწყობს ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოს, გააფართოოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ზედამხედველობის არეალი, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად ამაღლებს თავად სახალხო დამცველის მოღვაწეობის ნაყოფიერებას. სწორედ ამიტომ კანონი ამ თანამშრომლობის კონკრეტულ ფორმებსა და მეთოდებს ადგენს (21-ე მუხლის „კ“ პუნქტი და 22-ე მუხლი).

ყოველი წლის მარტსა და ოქტომბერში სახალხო დამცველი პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, სადაც მითითებული უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თანამდებობის ან იურიდიული პირები, რომელნიც არღვევენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ ითვალისწინებენ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამას გარდა, ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

სახალხო დამცველის საქმიანობის უზრუნველყოფისათვის იქმნება სახალხო დამცველის სამუშაო აპარატი, რომლის სტრუქტურას, მუშაობის წესსა და ორგანიზაციას განსაზღვრავს სახალხო დამცველი სამუშაო აპარატის დებულებით.

საქართველოს სახალხო დამცველის სამუშაო აპარატს ხელმძღვანელობს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სახალხო დამცველი. სახალხო დამცველის მოადგილეზე ვრცელდება სახალხო დამცველისათვის დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე და აპარატის თანამშრომლები გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებენ სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით. უფლებამოსილების განხორციელებისას სპეციალური რწმუნების მქონე პირს უფლება აქვს, ჩვენება მისცეს მხოლოდ სახალხო დამცველის თანხმობით. ეს უფლება ზემოთ დასახელებულ პირს უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

4. მიზნობრივი ცვლილებები სახალხო დამცველის ინსტიტუტის განსამტკიცებლად

ზემოხსენებული უფლებამოსილებების განმტკიცებისა და რეალობაში გატარების მიზნით, საჭიროა, გაფართოვდეს სახალხო დამცველის საკონსტიტუციო რეგულირების ფარგლები. კერძოდ, უნდა ჩამოყალიბდეს კონსტიტუციის თავი სახალხო დამცველის შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, დამოუკიდებლობის გარანტიები და დათხოვნის წესი. კონსტიტუციური რეგულირების გაფართოება ხელს შეუწყობს სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერებას და გაზრდის მის კონტროლს ადმინისტრაციულ ორგანოებზე.

უდავოა, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი დამოუკიდებელი უნდა იყოს პოლიტიკური ზეგავლენისგან. ამისათვის საჭიროა გაიზარდოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადა 5 წლიდან 7-8 წლამდე. საჭიროა აიკრძალოს ორი ვადით დანიშვნა. ამით შეიქმნება დამატებითი წინაპირობა დამოუკიდებელი სახალხო დამცველის ჩამოსაყალიბებლად, ვინაიდან არ იარსებებს ვადის გახანგრძლივების მოტივაცია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, თუ შეიქმნება დანიშვნის გამჭვირვალე და დეპოლიტიზებული პროცედურა საზოგადოებრივი განხილვის შესაძლებლობებით, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტური და მიუკერძოებელი შერჩევის პროცესს.

სახალხო დამცველის დათხოვნისას უნდა მოქმედებდეს იმპიჩმენტის პროცედურა, რათა მოხდეს მისი დაცვა პოლიტიკური ზეწოლისგან. სახალხო დამცველის ინსტიტუტის საქმიანობის დიდი ხნით შეფერხების თავიდან ასაცილებლად ახალი სახალხო დამცველის დანიშვნა უნდა მოხდეს დათხოვნიდან არა უმეტეს სამი თვის ვადაში. სახალხო დამცველის დათხოვნის საფუძვლები და წესი უნდა მოწესრიგდეს კონსტიტუციით.

სახალხო დამცველის თანამდებობაზე დასანიშნი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ მინიმალურ მოთხოვნებს, როგორებიცაა: საქართველოს მოქალაქეობა, უმაღლესი განათლება, მუშაობის გამოცდილება ადამიანის უფლებების, სამართლის, მედიის, განათლების სფეროში.

ადამიანის უფლებათა დარღვევებთან ბრძოლისა და საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობის, ასევე ადმინისტარციული ორგანოების საქმიანობაზე მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, უნდა გაფართოვდეს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში მისი მონაწილეობის შესაძლე-

ბლობები; სახალხო დამცველს უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციულ ორგანოებზე დამატებითი ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელების ბერკეტი.

მნიშვნელოვანია, სახალხო დამცველს გადაეცეს ადმინისტრაციულ ორგანოებში სისტემატიური დარღვევების მოძიებისა და მათზე რეაგირების უფლებამოსილება. აღნიშნული მექანიზმი გულისხმობს სახალხო დამცველის უფლებას, შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს პროცედურები, რამდენად გამჭვირვალეა მისი მუშაობა და რამდენად არის დაცული ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სახალხო დამცველს უფლება აქვს, რეკომენდაციით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, შეასრულოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები. უარი რეკომენდაციის გაზიარებაზე უნდა იყოს დასაბუთებული.

პარლამენტთან თანამშრომლობის არსებული ჩარჩოები უნდა გაფართოვდეს — სახალხო დამცველს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დაესწროს კომიტეტის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით; ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით მოითხოვოს საპარლამენტო კომიტეტის მოსმენა. კომიტეტის მხრიდან უარი უნდა იყოს დასაბუთებული.

სახალხო დამცველისათვის თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია, ფინანსურად დამოუკიდებელი იყოს ადმინისტრაციული ორგანოებისგან, რათა შეინარჩუნოს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. დამოუკიდებლობის მთავარი გარანტი ფინანსური სტაბილურობაა, რაც დღეს არასაკმარისად არის ასახული კანონმდებლობაში.

ფინანსურ გარანტიებზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს სახალხო დამცველის მიერ თავისი ბიუჯეტის პროექტის თავად შედგენა და პრეზიდენტისთვის წარდგენა ბიუჯეტის პროექტში შესატანად, მთავრობის ამ პროცესში ყოველგვარი ჩარევის გარეშე; ამასთანავე, სახალხო დამცველის საქმიანობისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა არ უნდა იყოს წინა წლისაზე ნაკლები.

5. დასკვნა

ომბუდსმენის ინსტიტუტმა მიიღო საკანონმდებლო და საზოგადოებრივი აღიარება იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობს მართვა-გამგეო-

ბის სხვადასხვა ფორმა — კონსტიტუციური მონარქია, საპრეზიდენტო რესპუბლიკა, საპარლამენტო რესპუბლიკა. ომბუდსმენის ინსტიტუტი წარმატებით ფუნქციონირებს სხვადასხვა სამართლებრივ (ანგლოსაქსური და კონტინენტური სამართლის) ოჯახს მიკუთვნებულ სახელმწიფოებში. ომბუდსმენის ნებისმიერ სახელმწიფო წყობილებასთან შეგუება აიხსნება იმ გარემოებით, რომ ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელია ბიუროკრატიული პრობლემები. სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების გაფართოებასა და სახელმწიფო რეგულირების ზრდას შედეგად საკანონმდებლო ხელისუფლების მნიშვნელობის შემცირება და აღმასრულებელ სტრუქტურათა პოზიციების განმტკიცება მოჰყვება. არ არის გამორიცხული ადმინისტრაციული ორგანოების შეგნებული გადახრა სამართლებრივი და ადმინისტრაციული ეთიკის ნორმებისაგან. ამას გარდა, თანამედროვე ადმინისტრაციულ დაწესებულებათა რთული აპარატი დაზღვეული არ არის შემთხვევითი შეცდომებისაგან.

სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობათა დაძაბულობის შემცირებაში დაინტერესებულია არა მარტო მოქალაქე, არამედ თვით სახელმწიფოც. პრობლემათა საერთო ხასიათმა (მმართველობის ბიუროკრატიულობამ, მოქალაქეთა ინდივიდუალური უფლებების ხელყოფამ, ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემამ) განაპირობა სხვადასხვა კონსტიტუციური ტრადიციისა და ცხოვრების დონის მქონე სახელმწიფოებში ომბუდსმენის ინსტიტუტის დამკვიდრება. ომბუდსმენის სამსახურის შემოღებისას საზოგადოება და სახელმწიფო იმედოვნებენ, რომ უზრუნველყოფილი იქნება ლიბერალურ ფასეულობათა და ადამიანის უფლებათა დაცვა.

ყველა სახელმწიფომ, რომელმაც შემოიღო ომბუდსმენის ინსტიტუტი, შესაბამის კანონებში აღიარა, რომ ომბუდსმენი არის სამართლებრივი დაცვის სუბსიდიური საშუალება მოქმედ სამართლებრივ მექანიზმებთან მიმართებით. კანონმდებლები იღვწიან იმისკენ, რომ სამართალდამცავ ორგანოთა უფლებამოსილებანი არ გადაიკვეთოს, ხოლო მათ იურისდიქციაში წარმოშობილი კოლიზია სწრაფად და უმტკივნეულოდ გადაწყდეს.

ომბუდსმენის ინსტიტუტი, დაარსებიდან მოყოლებული, თითოეული სახელმწიფო მას გარკვეულ იურიდიულ ფასეულობას ანიჭებს. ომბუდსმენი მოქალაქის უფლებების დაცვისას არ კარგავს თავის საჯაროსამართლებრივ ხასიათს. ომბუდსმენი ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს. იგი არ მოქმედებს როგორც იმ პირის ადვოკატი, რომელმაც მას საჩივრით

მიმართა. იმავდროულად, ომბუდსმენი ახორციელებს მოქალაქეთა უფლებების დაცვის ფუნქციას, რითაც ინარჩუნებს წონასწორობას კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. ყველა სახელმწიფოში ომბუდსმენთა პრიორიტეტული მიზანია ინდივიდუალური სამართლებრივი სფეროთი უზრუნველყოფა. ამასთან, აუცილებელი არ არის მისი იურიდიული ნორმის სახით დამკვიდრება. ამ მხრივ, ომბუდსმენი არსებითად განსხვავდება სამართლებრივი დაცვის კლასიკური საშუალებებისაგან.

ერთი შეხედვით, ომბუდსმენი შეიძლება მოგვეჩვენოს ბიუროკრატიისათვის უსაფრთხო ინსტიტუტად. ბევრის აზრით, მას იურიდიული ძალაუფლება აკლია. დღესდღეისობით მსოფლიოში მოქმედი ომბუდსმენის სამსახური ითვლება დარწმუნების მექანიზმად, რადგანაც იყენებს გახმაურების სანქციას, კრიტიკასა და სხვა საშუალებებს. ომბუდსმენი წარმატებას მაშინ აღწევს, როდესაც შესწევს უნარი, თავისი მოსაზრებით დაარწმუნოს ადმინისტრაციული ორგანოები, მოახდინონ მორალური ზეგავლენა ადმინისტრაციაზე. ომბუდსმენი ყოველთვის მზად არის, მშვიდობიანი ურთიერთობა იქონიოს ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მაგრამ თავისი მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტით შეუძლია ჩინოვნიკთა მორალური და პროფესიონალური დისკრედიტირებაც. ნებისმიერ სახელმწიფოში ომბუდსმენის სამსახურის მეთვალყურეობა და რეკომენდაციები უმაღლეს დონეზეა შეფასებული, რადგანაც ისინი წარმოადგენენ მმართველობის სისტემის ფუნქციონირების სოციალური ანალიზის შედეგს.

საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი მსოფლიოში გავრცელებული ომბუდსმენის კლასიკური ინსტიტუტის ნაირსახეობაა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინსტიტუტი თითქმის 10 წელიწადია ფუნქციონირებს, ვერ მოხერხდა მისი სრული სამართლებრივი დახვეწა, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ ინსტიტუტის სრული დამოუკიდებლობა და კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების სრულყოფილად რეალიზაცია.

ალექსანდრე ორახელაშვილი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია

1. შესავალი

ამ სტატიის მიზანია, გააანალიზოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია როგორც ამ სასამართლოს დამფუძნებელი დოკუმენტის — 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ასევე ამ სასამართლოს პრაქტიკის ფონზე და განიხილოს ამ კომპეტენციის კონკრეტული სფეროების ევოლუციის საკითხები.

როდესაც საკითხი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენციას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი ფუნდამენტური მნიშვნელობის ფაქტორი: 1) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის საერთაშორისო სასამართლო ორგანო, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე და რომლის უფლებამოსილებები განსაზღვრულია მისი დამფუძნებელი დოკუმენტითა და რეგლამენტით; 2) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს სპეციფიკური მისია – უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში.

საერთაშორისო სამართალში მიღებული პრინციპია, რომ საერთაშორისო სასამართლო ორგანოების კომპეტენცია ემყარება სახელმწიფოთა თანხმობას. შესაბამისად, სასამართლო ორგანოს აქვს უფლება, განახორციელოს თავისი კომპეტენცია იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მას ის გადაეცა სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე. ევროპული სასამართლოს შემთხვევაში ეს ფაქტორი სახეზეა, რადგან იგი დაფუძნებულია სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მიხედვით. ამასთანავე, ამ შეთანხმების გამოყენების და განმარტების სფეროში გაითვალისწინება

ის ფაქტორიც, რომ სასამართლო არის ე.წ. საჯარო წესრიგის ორგანო, რადგან მისი დანიშნულებაა, დაიცვას ის ფუნდამენტური ღირებულებები და პრინციპები, რომლებიც გამოიხატება ადამიანის უფლებებში. ეს ორი ფაქტორი – ანუ სასამართლოს ნორმატიული საფუძველი და მისი სპეციფიკური მანდატი – გავლენას ახდენს ამ ორგანოს უფლებამოსილებათა მოცულობასა და, შესაბამისად, მის კომპეტენციაზე.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენციის საფუძველი და განვითარების ისტორია

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 1950 წელს. კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, სასამართლო არის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მათი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაზე.

კონვენციის თავდაპირველი მექანიზმის მიხედვით, რომელიც 1950 წლის რედაქციის საფუძველზე შეიქმნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ იყო ერთადერთი ორგანო, რომელიც კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე იყო პასუხისმგებელი. მე-19 მუხლით (1950 წლის რედაქციით) დაფუძნდა ორი ორგანო: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. კომპეტენცია ამ ორ ორგანოს შორის მკაცრად იყო გამიჯნული. კომისია იყო პირველი ინსტანცია, რომელშიც შედიოდა როგორც სახელმწიფოთა, ისე ინდივიდუალური საჩივრები (კონვენციის 1950 წლის რედაქციის 24-ე და 25-ე მუხლების შესაბამისად). კომისიის ძირითადი ფუნქცია იყო გადაწყვეტილებების მიღება იმის შესახებ, შედიოდა თუ არა ესა თუ ის საჩივარი კონვენციის ორგანოთა კომპეტენციაში. უპირველეს ყოვლისა, ეს მოიცავდა საჩივრის მისაღებობის (admissibility) საკითხებს. საჩივარი მიუღებელია, თუ ის ანონიმურია, ან არ მიუთითებს კონვენციის რომელიმე კონკრეტულ დებულებაზე, ან უკვე განხილულ იქნა სხვა საერთაშორისო ორგანოს მიერ,[1]

1 ეს შეზღუდვა ძირითადად ეხება იმ საქმეებს, რომლებიც განხილულ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ, რომელიც დაარსებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის (1966) მე-40 მუხლის საფუძველზე და იღებს ინდივიდუალურ საჩივრებს ამავე პაქტის I დამატებითი ოქმის საფუძველზე.

ან თუ მასთან დაკავშირებით არ არის ამოწურული სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფო საშუალებები, ან თუ ბოლო შიდასახელმწიფო გადაწყვეტილების მიღებიდან გასულია ექვს თვეზე მეტი.

პრეტენზიის თუ საჩივრის მისაღებობის საკითხი ენათესავება სასამართლო ორგანოს იურისდიქციის საკითხს, რადგან საჩივრის მიუღებლობა, იურისდიქციის ნაკლებობის მსგავსად, შეუძლებელს ხდის საქმის სასამართლო განხილვას. მაგრამ მისაღებობა განსხვავდება იურისდიქციისაგან იმით, რომ იურისდიქცია მიუთითებს სასამართლო ორგანოს კომპეტენციაზე დროის, სივრცისა და პირთა წრის მიხედვით (მაგალითად, მოთხოვნა, რომ სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს ამა და ამ საკითხთან დაკავშირებული საქმეები), მაშინ, როდესაც მისაღებობა ეხება თავად პრეტენზიის თვისებებს და მასთან დაკავშირებულ გარემოებებს. რამდენადაც კონვენციის ტექსტის მიხედვით მისაღებობის კრიტერიუმები განსაზღვრულია, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული სასამართლოს შემთხვევაში მისაღებობისა და იურისდიქციის მოთხოვნები მეტ-ნაკლებად შერწყმულია ერთმანეთთან.

თუ კომისია მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომ საჩივარი მიუღებელია, ეს იყო საქმის განხილვის დასასრული; იმ შემთხვევებში, როცა კომისია მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომ საჩივარი მისაღებია, რჩებოდა ორი შესაძლებლობა: პირველი იყო ის, რომ კომისიას გამოჰქონდა გადაწყვეტილება საქმის არსთან დაკავშირებით; მეორე შესაძლებლობის მიხედვით, საქმე შეიძლებოდა გადასცემოდა განსახილველად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა დაზარალებული პირის მოქალაქეობის სახელმწიფო, მოპასუხე სახელმწიფო ან თავად კომისია. თუ საქმე გადაეცემოდა სასამართლოს, კონვენციის 48-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს უნდა განესაზღვრა, ჰქონდა თუ არა მას იურისდიქცია მოცემულ საქმეზე.

ცალკე უნდა გამოიყოს კონვენციის 28-ე მუხლის მიერ გათვალისწინებული მორიგების პროცედურა. მას შემდეგ, რაც კომისია დაადგენდა, რომ საჩივარი მისაღებია, იხსნებოდა გზა მხარეთა მორიგებისთვის. გარკვეულ შემთხვევებში ეს მორიგება ხდებოდა პოლიტიკური კომპრომისის საფუძველზე და ადამიანის უფლებათა დაცვის ხარჯზე. მაგალითად, თურქეთის წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე, რომელიც ეხებოდა თურქეთის მთავრობის მიერ ქურთებით დასახლებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ფაქტებს,

კომისიამ, შეიძლება ითქვას, ბრმად მოიწონა მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმება მორიგების შესახებ და ფაქტობრივად არაფერი გააკეთა, რათა უზრუნველეყო ამ რეგიონებში ჩადენილი დარღვევებისათვის დაზარალებულ პირთა კომპენსაცია და, ასევე, მომავალში დარღვევების განმეორებლობა.[2]

ყოველივე ზემოთქმული ასევე განაპირობებდა იმას, რომ საქმის განხილვის პროცედურა დიდხანს გრძელდებოდა და მისი ზოგიერთი ელემენტი აშკარად აფერხებდა კონვენციის მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტიანობას. ამ გარემოებათა გამო 1994 წელს მიღებული მე-11 ოქმის მიხედვით (რომელიც ძალაში შევიდა 1998 წელს), გაუქმდა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და საქმის განხილვის მთელი პროცედურა, მისაღებობის, მორიგებისა და არსებითი განხილვის ჩათვლით, გადავიდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენციაში.

ევროპული კონვენციის 32-ე მუხლი მიუთითებს, რომ სასამართლოს კომპეტენცია მოიცავს კონვენციის განმარტებისა და გამოყენების ყველა საკითხს. ეს კომპეტენცია ვრცელდება სახელმწიფოთაშორის დავებზე, როდესაც კონვენციის ერთი მხარე-სახელმწიფო მიმართავს სასამართლოს მეორე მხარე-სახელმწიფოს მიერ კონვენციის დებულებათა დარღვევის თაობაზე (33-ე მუხლი), და ინდივიდუალურ საჩივრებზე, როდესაც კონვენციის დარღვევის შედეგად დაზარალებული ფიზიკური პირი მიმართავს სასამართლოს (34-ე მუხლი). სახელმწიფოთაშორის დავების შემთხვევაში არ არის აუცილებელი, რომ მომჩივანი სახელმწიფო მოითხოვდეს საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვას. სახელმწიფოს აქვს უფლება — ევროპული სასამართლოს წინაშე დასვას ნებისმიერი პიროვნების უფლებების დარღვევის საკითხი, მიუხედავად ამ პიროვნების მოქალაქეობისა, თუ ეს დარღვევა მოხდა ისეთ სიტუაციაში, რომელიც ექვემდებარება კონვენციის რომელიმე მხარე-სახელმწიფოს კონტროლს. ასე რომ, კონვენცია აღიარებს საჯარო სარჩელის ცნებას (*actio popularis*).

კონვენციის 35-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო თავად განსაზღვრავს საჩივრის მისაღებობის საკითხს. მისაღებობის კრიტერიუმები იგივეა, რაც იყო კონვენციის 1950 წლის რედაქციის მიხედვით.

2 *Turkish* case (Friendly Settlement), 6 *HRLJ*, 1985, 335-337.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენციის პრაქტიკული და ოპერატიული ასპექტები

ა) ზოგადი საკითხები

ნორმატიული დებულებების განხილვის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ ევროპული სასამართლოს კომპეტენცია ამავე სასამართლოს პრაქტიკის ჭრილში. ეს პრაქტიკა ნიშანდობლივია არა მარტო იმით, რომ იგი განავრცობს და განმარტავს კონვენციის დებულებებს, რომლებიც ეხება სასამართლოს კომპეტენციას, არამედ იმითაც, რომ ამ პრაქტიკაში გამოიყენება და ვითარდება საერთაშორისო სამართლის კატეგორიები და კრიტერიუმები, რომლებიც ახასიათებს ზოგადად საერთაშორისო სასამართლოებს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო საკუთარ კომპეტენციას მიიჩნევს ყოვლისმომცველ კომპეტენციად. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო თავს უფლებამოსილად მიიჩნევს, გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საჭიროა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად. ადამიანის უფლებათა ევროპული მექანიზმის მოქმედების ადრეულ ეტაპებზე კონვენციის ორგანოები ამჟღავნებდნენ გარკვეულწილად თავშეკავებულ მიდგომას საკუთარი კომპეტენციის მიმართ. შემდგომ ეტაპებზე შეინიშნება ისეთი მიდგომების კონსოლიდაცია, რომელთა მიხედვითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია ყოვლისმომცველია. ეს ჩანს სასამართლოს კომპეტენციის სპეციფიკური ასპექტების ევოლუციის ანალიზის დროს.

ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უფლებამოსილება, განსაზღვროს საკუთარი კომპეტენციის სფერო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უფლებამოსილებათა შორის, სხვა სასამართლოების მსგავსად, უმნიშვნელოვანესია სასამართლოს უფლებამოსილება, განსაზღვროს საკუთარი კომპეტენცია, რაც განსაზღვრულია ევროპული კონვენციის 32-ე მუხლით. ასეთი კომპეტენციით არის აღჭურვილი ნებისმიერი საერთაშორისო სასამართლო. როდესაც სასამართლოს დამფუძნებელი დოკუმენტი ამ უფლებამოსილებას არ მოიხ-

სენიებს, ასეთ შემთხვევებში ეს უფლებამოსილება მიიჩნევა ნაგულისხმევად, რადგან ვერცერთი სასამართლო ვერ შეძლებს ფუნქციონირებას, თუ მას არ შეუძლია საკუთარი კომპეტენციის ფარგლების განსაზღვრა.

სასამართლოს უფლებამოსილებას, განსაზღვროს საკუთარი კომპეტენცია, აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ კომპეტენციის განხორციელების სხვადასხვა ასპექტზე, მაგალითად, უკანონო დათქმებთან მიმართებით.[3] *ბელილოსის* საქმეზე სასამართლომ განაცხადა, რომ მისი უფლებამოსილება, განსაზღვროს საკუთარი კომპეტენცია, მოიცავს უფლებამოსილებას, გამოიტანოს გადაწყვეტილება კონვენციის მიმართ გაკეთებულ დათქმებზე და, მეტიც, გამოაცხადოს დათქმა ბათილად.[4] ამ კონკრეტულ საქმეზე სასამართლომ შვეიცარიის მიერ გაკეთებული დათქმა მიიჩნია ბათილად და ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ კონვენცია მთლიანობაში ძალაში დარჩა შვეიცარიისათვის. *ბელილოსის* საქმეზე მიღებული კრიტერიუმები შემდგომში გამოყენებულ იქნა *ლოიზიდუს* საქმეზე, რომელშიც სასამართლომ ბათილად ცნო თურქეთის მიერ კონვენციის მიმართ გაკეთებული დათქმები, რომლის მიხედვითაც კონვენციის ორგანოების კომპეტენცია არ ვრცელდებოდა თურქეთის მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე. ამ მიდგომის აღიარებით სასამართლოს მოუწია სხვადასხვა მნიშვნელოვანი არგუმენტის გაბათილება. მოპასუხე სახელმწიფო – თურქეთი – აცხადებდა, რომ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, გაებათილებინა თურქეთის დათქმა, რადგანაც იგი იყო თურქეთის მიერ სასამართლოს კომპეტენციის ცნობის აუცილებელი პირობა და თუ ეს დათქმა გაბათილდებოდა, მაშინ უნდა გაბათილებულიყო თურქეთის მიერ სასამართლოს კომპეტენციის ცნობაც. ეს პრაქტიკულად იმავე შედეგებს გამოიწვევდა, როგორსაც თურქეთის დათქმის პირობების შესრულება. ორივე შემთხვევაში კვირპოსის ტერიტორიაზე მომხდარი დარღვევები სასამართლოს კომპეტენციის გარეთ დარჩებოდა. სასამართლომ ეს არ დაუშვა და თურქეთის დათქმა გააბათილა.[5] საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე ამას მოჰყვა თურქეთის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა.

---

3 დათქმა არის სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების მიმართ გაკეთებული ცალმხრივი განცხადება, რომელიც ზღუდავს ან ცვლის ხელშეკრულების ამა თუ იმ დებულების მოქმედებას ამ სახელმწიფოსთან მიმართებით. დათქმების რეჟიმს ანვსრიგებს ვენის 1969 წლის კონვენცია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, მე-19- 23-ე მუხლები.

4 *Belilos*, ECHR Series A 132, 24, para. 50.

5 *Loizodou*, Preliminary Objections, 1995, ECHR Series A-310, paras 84-85.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო იურისდიქციის შემზღუდველი დათქმების პრობლემას იცნობს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაც. გარკვეული დათქმები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 36-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც სასამართლო განსაზღვრავს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს. სასამართლოს პრაქტიკაში ეს საკითხი ცალსახად არ გადაწყვეტილა, მაგრამ უპირატესი მხარდაჭერა მოპოვებული აქვს იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ბათილია უკანონო დათქმა, მაგრამ არა იურისდიქციის ცნობის დოკუმენტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაც *ლოიზიდუს* საქმეზე ამ პრინციპს ეთანხმება.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მიღებული შედეგი აპრობირებულია უნივერსალურ დონეზეც გაეროს ორგანოების მიერ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქმეზე, რომელშიც მოპასუხედ გამოდიოდა ტრინიდადი და ტობაგოს მთავრობა, გააბათილა მის მიერვე გაკეთებული დათქმა და ხელუხლებლად დატოვა ამ სახელმწიფოს მიერ კომიტეტის კომპეტენციის ცნობის დოკუმენტი.[6] ეს პოზიცია გამომდინარეობს კომიტეტის მიერ მიღებული 24-ე ზოგადი დასკვნიდან, რომელიც ეხება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მიმართ გაკეთებულ დათქმებს.[7] იმის მიუხედავად, რომ ეს პოზიცია გააკრიტიკა გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ,[8] ის მაინც რჩება ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ვალდებულებების ეფექტიანი შესრულების მოთხოვნასთან ყველაზე მეტადშესაბამისობაში მყოფ პოზიციად და ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოების ამ პოზიციისადმი ერთგულებაც ამის დადასტურებაა.

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მითითებული დროებითი ზომების სავალდებულო ძალა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენციის ერთერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დროებითი ზომების სავალდებულო ძალა. საერთაშორისო სასამართლო ორგანოებს, როგორც წესი, აქვთ უფლება, გამოსცენ განკარგულებები მათ

6 *Rawle Kennedy v. Trinidad and Tobago*, Communication No 845/1999, CCPR/C/67/D/845/1999 (31 December 1999).

7 General Comment 24(52), U.N. Doc. CCPR/C/21/Rev.1/Add.6 (1994).

8 II *YbILC* 1997, Part Two, 44-57.

მიერ განხილვის პროცესში მყოფი საქმეების ობიექტის დაცვის მიზნით. მაგალითად, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 41-ე მუხლის მიხედვით, ამ სასამართლოს აქვს უფლება, თუ ის მიიჩნევს, რომ დავის რომელიმე მხარის მოქმედების შედეგად საქმის არსსა და ობიექტს შეიძლება მიადგეს გამოუსწორებელი ზიანი, გამოსცეს განკარგულება, რომლითაც მოითხოვს მხარეებისაგან ისეთი მოქმედებების შესრულებას (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომლებიც აუცილებელია ამ პოტენციური გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენციის თვალსაზრისით, ძირითადი შეკითხვა ასეთია: არის თუ არა ევროპული სასამართლო უფლებამოსილი, გამოსცეს სავალდებულო ძალის მქონე განკარგულებები, რომელთა საფუძველზეც მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრება კონკრეტული ვალდებულებები, რათა დაცულ იქნეს დავის ობიექტი. ეს საკითხი არაერთხელ წამოჭრილა სასამართლოს პრაქტიკაში. *კრუზ ვარა ზის* საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის ორგანოების მიერ გამოცემულ განკარგულებებს დროებითი ზომების შესახებ არ აქვთ სავალდებულო ძალა, რადგან ასეთი დებულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არცერთ მუხლში დაფიქსირებული არ არის. ეს პოზიცია არსებითად აფერხებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებების ეფექტიან იმპლემენტაციას.[9]

კრუზ ვარა ზის საქმეზე დაფიქსირებულმა პოზიციამ გამოიღო შედეგები, რომლებიც არანაირად არ უწყობდა ხელს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებების ეფექტიან განხორციელებას. *ცონკას* საქმეზე სასამართლოს მიმართეს სლოვაკიის ბოშური წარმოშობის მოქალაქეებმა, რომლებსაც ემუქრებოდათ ბელგიიდან სლოვაკიაში დეპორტაცია, ვინაიდან ბელგიის მთავრობამ თავშესაფარზე უარი უთხრა. მას შემდეგ, რაც მათ ევროპულ სასამართლოს მიმართეს, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, ეთხოვა ბელგიის მთავრობისათვის, რომ მომჩივნები არ გაეძევებინა ქვეყნიდან, სანამ საქმის განხილვა არ დასრულდებოდა. ბელგიის მთავრობამ ეს მოთხოვნა არ შეასრულა და მომჩივნების სლოვაკიაში დეპორტაცია მოახდინა.[10]

ამ გადაწყვეტილებით მოისპო დავის საგანი და ობიექტი და აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა გადაწყვეტილებას მი-

9 *Cruz Varas v. Sweden*, ECHR (Ser. A201), at 34-36.
10 *Ovey & White, European Convention on Human Rights* (2001), 401-402.

იღებს ევროპული სასამართლო, რადგან ასეთ შემთხვევებში მომჩივნებისთვის მიყენებული ზიანი არის შეუქცევადი. სავარაუდოა, რომ ბელგიის მთავრობა გარკვეულწილად წაახალისა სასამართლოს მიერ *კრუზ ვარაზის* საქმეზე დაფიქსირებულმა პოზიციამ და დაარწმუნა, რომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოებს ხელი აქვთ გახსნილი დავის საგნისა და ობიექტის მოსპობაში.

შემდგომი მოვლენების ფონზე ნათელი გახდა, რომ ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს ადრე თუ გვიან თავისი პოზიციის გადახედვა მოუწევდა. ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებამ *ლა გრანდის* საქმეზე, რომელიც ეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო სისტემაში გერმანიის ორი მოქალაქის უფლებების დარღვევას. ეს უფლებები გათვალისწინებული იყო 1963 წლის ვენის საკონსულო ურთიერთობათა კონვენციის 36-ე მუხლით, რომლის მიხედვით, უცხოელი მოქალაქეების დაკავებისა და დაპატიმრების შემთხვევაში მათ უნდა განემარტოთ, რომ აქვთ უფლება, შეხვდნენ თავიანთი ქვეყნის კონსულს. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ეს მოთხოვნა არ შეასრულა, რის გამოც გერმანიის მთავრობამ საქმე გადასცა საერთაშორისო სასამართლოს. ამ მომენტისთვის გერმანიის ორივე მოქალაქეს მისჯილი ჰქონდა სასჯელის უმაღლესი ზომა და ერთ-ერთი მათგანის მიმართ განაჩენი უკვე სისრულეში იყო მოყვანილი; მეორე მოქალაქის მიმართ იმავის გამეორების თავიდან ასაცილებლად გერმანიამ სასამართლოს მიმართა თხოვნით, რომ მას, სტატუტის 41-ე მუხლის მიხედვით, მოეთხოვა შეერთებული შტატებისაგან, სასჯელის უმაღლესი ზომა მეორე მოქალაქის მიმართ არ მოყვანილიყო სისრულეში, სანამ სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა. სასამართლომ ეს თხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ შეერთებულმა შტატებმა განკარგულება არ შეასრულა და მეორე მოქალაქის მიმართაც სიკვდილით დასჯა სისრულეში იქნა მოყვანილი.

შემდგომ ეტაპზე, როცა საქმის არსებითად განხილვა დაიწყო, გერმანიის მხარემ მოითხოვა, დადგენილიყო შეერთებული შტატების პასუხისმგებლობა სასამართლოს განკარგულების დარღვევის გამო, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა ამ განკარგულების სავალდებულო ძალის აღიარების მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ სტატუტის 41-ე მუხლი არ ანიჭებს სასამართლოს განკარგულებებს სავალდებულო ძალას, სასამართლომ მთელი სტატუტის კონტექსტუალური ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ მისი

განკარგულებები სავალდებულოა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მხარის მოქმედებას შეუძლია მოსპოს დავის არსი და ობიექტი.[11]

როგორც აღინიშნა, ამ გადაწყვეტილებამ ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც მოგვიანებით *მამატკულოვის* საქმეზე, რომელიც ეხებოდა თურქეთის მიერ გარკვეულ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების უზბეკეთში ექსტრადიციას, მიიჩნია, რომ მისი განკარგულებები დროებითი ზომების შესახებ ატარებს სავალებულო ძალას. სასამართლომ აღნიშნა, კონვენციის დებულებები უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მათ შეეძლოთ ეფექტიანი ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მონაწილე სახელმწიფო, რომელსაც მიეთითა დროებითი ზომების შესახებ კონვენციის დარღვევის მსხვერპლისათვის გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად, ვალდებულია, შეასრულოს ეს ზომები და თავი შეიკავოს ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობისაგან, რომელიც ძირს გამოუთხრის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ეფექტიანობასა და ავტორიტეტს.[12] შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა თურქეთის მიერ კონვენციის დარღვევის ფაქტი, რადგან მომჩივნების ექსტრადიცია მოხდა სასამართლოს მიერ მითითებული დროებითი ზომების იგნორირებით.

დ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია კონვენციის დარღვევის შედეგების ლიკვიდაციასთან მიმართებით

სასამართლოს ხანგრძლივი პრაქტიკის მანძილზე ყველაზე უფრო წინააღმდეგობრივ საკითხად რჩებოდა მისი კომპეტენცია, დააკისროს მოპასუხე სახელმწიფოს მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზომების მიღების ვალდებულება. დიდი ხნის განმავლობაში სასამართლო მიიჩნევდა, რომ მას აქვს უფლება მხოლოდ მატერიალური კომპენსაციის საკითხების გადაწყვეტისა და არ აქვს უფლება, გამოსცეს ე.წ. შედეგობრივი განკარგულება (consequential order), რომლის მიხედვითაც მოპასუხე სახელმწიფოს მიეთითება მის მიერ შესასრულებელი კონკრეტული მოქმედებების შესახებ. ამ მიდგომის გამართლება

11 Case concerning the Vienna Convention on Consular Relations (*Germany v. United States of America*), Decision of 27 June 2001, para. 102.

12 *Mamatkulov & Abdurasulovic v. Turkey*, 46827/99 & 46951/99, 6 February 2003, paras. 110-111.

ხდებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოსამზადებელ მასალებზე დაყრდნობით,[13] მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელი მასალები ხელშეკრულების განმარტებისას ატარებს მხოლოდ მეორეულ მნიშვნელობას და წამყვანი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების ტექსტს, მის ობიექტსა და მიზანთან ერთად.[14]

სელმუნის საქმეზე სასამართლოს პოზიციის უსაფუძვლობა განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა. ეს საქმე ეხებოდა წამების ფაქტებს. საფრანგეთის პოლიციამ განსაკუთრებული სისასტიკით აწამა მაროკოს მოქალაქე. სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთმა დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი და დააკისრა მას 500 ათასი ფრანგული ფრანკის ოდენობით კომპენსაციის გადახდა. მაგრამ რეალობა მოითხოვდა ამაზე მეტს: მოსარჩელის პირობების გათვალისწინებით, აუცილებელი იყო მისი გადაგზავნა მესამე ქვეყანაში, რადგან მასთან მოპყრობით შექმნილი ვითარების გამო მას საფრანგეთში აღარ დაედგომებოდა. ამას გარდა, საფრანგეთმა მოსარჩელეს დააკისრა ჯარიმა მისი ადრეული გადაცდომების გამოც, მოსარჩელე კი სასამართლოსგან მოითხოვდა, საფრანგეთის ხელისუფლებას დაკისრებოდა მოვალეობა, მისთვის გადაცემული კომპენსაციიდან ეს ჯარიმა არ ამოღებულიყო. სასამართლომ ეს მოთხოვნები არ დააკმაყოფილა, ვინაიდან მიიჩნია, რომ მას შედეგობრივი განკარგულებების გაცემის უფლება არ ჰქონდა. ეს მიდგომა არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომ სასამართლომ უნდა უზრუნველყოს კონვენციის დებულებათა ეფექტიანობის განხორციელება.

სხვა საერთაშორისო სასამართლო ორგანოები თავს უფლებამოსილად მიიჩევენ, გამოსცენ შედეგობრივი განკარგულებები, თუ ეს საჭიროა საქმის ეფექტიანად გადასაწყვეტად. მაგალითად: ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს პრაქტიკა იცნობს გადაწყვეტილებებს, რომლის მიხედვითაც მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა ვალდებულება, დაზარალებული პირები ხელახლა გაასამართლოს, რადგან ადრინდელი სასამართლო პროცესი არ აკმაყოფილებდა ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მოთხოვნებს;[15] რომ სახელმწიფომ უნდა გააუქმოს

13 D. Harris, M. O'Boyle & C. Warbrick, The Law of the European Convention on Human Rights, 684 (1995).

14 ამასთან დაკავშირებით იხ. ვენის 1969 წლის კონვენცია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, 31-ე და 32-ე მუხლები.

15 Castillo Petruzzi, para. 221 and operative para. 13, 7 International Human Rights Reports 744-746 (2000).

კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება ინტერამერიკულ კონვენციას;[16] ან, რომ მოპასუხე სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, არ მოახდინოს გადასახადების ამოღება იმ თანხებიდან, რომლებიც გადაეცემა დაზარალებულ პირს როგორც კომპენსაცია კონვენციის დებულებების დარღვევისათვის.[17] გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ ინტერამერიკული სასამართლო ამ მიდგომას მიიჩნევს უპრობლემოდ, როგორც კონცეპტუალური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

მეტ-ნაკლებად იდენტურია გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიდგომაც. *ლა გრანდისა* და *ავენას* საქმეებთან საერთაშორისო სასამართლოს მოსარჩელე მხარეებმა (შესაბამისად, გერმანიამ და მექსიკამ) მიმართეს, რომ შეერთებულ შტატებში არ იყო გარანტირებული მათი მოქალაქეების უფლებების დაცვა, ვენის საკონსულო ურთიერთობათა კონვენციის დებულებების მიხედვით. შესაბამისად, შეერთებულ შტატებს უნდა დაკისრებოდა ვალდებულება, მომავალში უზრუნველეყო კონვენციის დებულებების დაცვა. შეერთებულმა შტატებმა სასამართლოს მიმართა, რომ მას ასეთი განკარგულების გამოცემის უფლება არ ჰქონდა, რადგან ეს გამოიწვევდა ჩარევას მის შიდა სასამართლო სისტემაში. მიუხედავად ასეთი არგუმენტისა, საერთაშორისო სასამართლომ მაინც დააკისრა შეერთებულ შტატებს შესაბამისი ვალდებულებები. *ავენას* საქმე განსაკუთრებით გამოირჩევა იმით, რომ საერთაშორისო სასამართლომ დააკისრა შეერთებული შტატების მთავრობას ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენების გადახედვა იმ შემთხვევებში, როცა ბრალდებულის მიმართ დარღვეულ იქნა საკონსულო ურთიერთობათა ვენის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები.[18]

ყოველივე ამან ნათელი გახადა, რომ ევროპული სასამართლოს მიდგომა დაუსაბუთებელი იყო, ხელს არ უწყობდა ევროპული კონვენციის დებულებების ეფექტიანობას და საჭირო იყო მისი შეცვლა. სასამართლომ მაინც გამოსცა რიგი დებულებებისა, რომლებშიც უარყო, რომ მას ჰქონდა შედეგობრივი განკარგულებების გამოცემის უფლებამოსილება. მაგალითად, *იოლერის* საქმეზე, რომელიც ეხებოდა თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მოსარჩელის სახლ-კარის გადაწვის ფაქტს და

16 *Id.*, at para. 122 and operative para. 14.

17 Loayza Tamayo, para. 189 and operative para. 9, 116 ILR, at 439, 442; Suarez Rosero, para. 76 and operative paras. 1 and 4, 118 ILR, at 113, 119-120.

18 *La Grand*, paras 117-124; Case concerning Avena and Other Mexican Nationals (*Mexico v. USA*), Judgment of 31 March 2004, General List No. 128.

რომელზეც დაფიქსირდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლისა (წამებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან აკრძალვა) და მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა) დარღვევა, სასამართლომ უარი განაცხადა, რომ შედეგობრივი განკარგულება გამოეცა და თურქეთის მთავრობას დაუტოვა თავისუფალი არჩევანი დარღვევის შედეგების ლიკვიდაციის ზომების განსაზღვრაში.[19]

სასამართლოს პოზიცია შეიცვალა მხოლოდ მაშინ, როცა მას მოუწია თენგიზ ასანიძის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საქმის განხილვა.[20] ასანიძეს რამდენიმე წელი უკანონო პატიმრობაში ჰქონდა გატარებული და ამის გამო სასამართლომ საქართველოს დააკისრა სოლიდური კომპენსაციის გადახდის ვალდებულება. ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულის უფლებების აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს ხელისუფლება მას გაათავისუფლებდა პატიმრობიდან და შესაბამისი ვალდებულება დააკისრა საქართველოს ხელისუფლებას. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოსცა შედეგობრივი განკარგულება და ამით შეცვალა თავისი ადრინდელი მიდგომა.

რა იყო სასამართლოს გადაწყვეტილების მიზეზი? სასამართლოს მოტივაციაში ეს ადვილად არ იკითხება, რადგან სასამართლოს არ დაუფიქსირებია აშკარა კონტრასტი თავის ადრინდელ და ბოლო მიდგომებს შორის, თუმცა იგი აშკარაა. ერთი მხრივ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ევროპულმა სასამართლომ უდავოდ გააცნობიერა, სხვა სასამართლოთა პრაქტიკის ფონზე მისი მიდგომა მეტ-ნაკლებად ჩამორჩენილ ხასიათს ატარებდა და უნდა შეცვლილიყო. ამასთანავე, საჭირო იყო მონახვა ისეთი შემთხვევისა, სადაც ცვლილება უმტკივნეულოდ განხორციელდებოდა და ალბათ სუსტი და არცთუ ისე გავლენიანი სახელმწიფოს მიმართ ამის გაკეთება უფრო ადვილად შეიძლებოდა, ვიდრე საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მიმართ. ეს, რა თქმა უნდა, იურიდიული ფაქტორი არ არის და არც სასამართლოს გადაწყვეტილებაში იკითხება, მაგრამ აუცილებელია, დავსვათ კითხვა: რატომ არ შეცვალა სასამართლომ თავისი პოლიტიკა ადრინდელ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც მოპასუხედ გამოდიოდნენ საფრანგეთი და თურქეთი და რომლებთან მიმართებით აშკარა იყო, რომ

19 *Yöyler v. Turkey*, App. No. 29673/95, paras. 122–24 (Eur. Ct. H.R. July 24, 2003).

20 *Assanidze v. Georgia*, App. No. 71503/01. European Court of Human Rights (Grand Chamber), April 8, 2004.

მისი გადაწყვეტილებების ეფექტიანობა კითხვის ქვეშ იდგა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ იძლევა მისი გადაწყვეტილებების ნათელ მოტივაციას, არ უნდა ჩაითვალოს დადებით ფაქტორად. ამასთანავე, ის ფაქტი, რომ სასამართლო უკვე აღიარებს საკუთარ უფლებამოსილებას, გამოსცეს შედეგობრივი განკარგულებები, მისასალმებელია.

4. დასკვნა

ამ კონკრეტული სფეროების განხილვის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საკუთარი კომპეტენციის გააზრება ეყრდნობა ტენდენციას, რომელიც ილტვის ყოვლისმომცველობისკენ. ასეთი ყოვლისმომცველობა აუცილებელია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში დაფიქსირებული უფლებების ეფექტიანი განხორციელებისათვის.

სიმონ პაპუაშვილი

თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

1. შესავალი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც სათავეს იღებს მე-18 საუკუნეში განვითარებულ ფილოსოფიურ მოძღვრებებში, თავისუფლების ლიბერალური კონცეფციის საფუძველია. აღნიშნული უფლება, სიცოცხლის, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობისა და სამართალსუბიექტობის უფლებებთან ერთად, გვევლინება ადამიანის ინდივიდუალური თვითმყოფადობის საფუძვლად და ადამიანის თვითრეალიზების გარანტად. ყოველ ადამიანს აქვს არა მხოლოდ ფიზიკური, სულიერი ან თუნდაც სამართლებრივი არსებობის[1] უფლება, არამედ ასევე უფლება მისი ინდივიდუალური თვისებების, ღირსებისა და რეპუტაციის პატივისცემისა. თავისუფლების რეალიზება ხორციელდება არა მხოლოდ ადამიანის არსებობით, როგორც ასეთი, არამედ გამოიხატება აქტიურ ქმედებებში, რომელიც, როგორც წესი, მიმართულია სხვა ადამიანებისაკენ და თავის თავში მოიცავს მათ (სხვა ინდივიდების) პირად თავისუფლებაში ჩარევის საფრთხეს.

თავისუფლების კლასიკური (ლიბერალური) კონცეფციის თანახმად, ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორე ადამიანის თავისუფლება. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული ინდივიდუალური ავტონომიის სფერო არის ადამიანის თავისუფალი მოქმედების ის სფერო, რომელიც არ ლახავს სხვა ადამიანის

1 სამართლებრივ არსებობაში იგულისხმება ინდივიდის, როგორც სამართლის სუბიექტის, არსებობა.

თავისუფლებას. რაც შეეხება პირადი ცხოვრების უფლების თანამედროვე გაგებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, იგი ძირითადად მიმართულია სახელმწიფოთა თვითშეზღუდვისაკენ და იცავს ინდივიდის პირად ავტონომიას ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან.[2]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება პირველად საერთაშორისო დონეზე აისახა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლში, რომლის თანახმად: „არავინ უნდა განიცადოს მისი პირადი ცხოვრების, საცხოვრებლისა და კორესპონდენციის, ასევე მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყოველ ადამიანს უფლება აქვს კანონით იყოს დაცული ამგვარი ჩარევისა და ხელყოფისაგან". დეკლარაციის მე-12 მუხლის ფორმულირებიდან ნათელია, რომ მოცემული უფლება შედგება რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული კომპონენტისაგან, მათ შორის დეკლარაციის დაცვის სფერო ვრცელდება:

- პირად ცხოვრებაზე
- საცხოვრებელზე
- კორესპონდენციაზე
- ადამიანის პატივსა და ღირსებაზე

ჩამონათვალში მოცემულია ის სფეროები, რომელთა დაცვა და პატივისცემა არის ადამიანის ინდივიდუალური თვითმყოფადობის განხორციელების გარანტია და რომელიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სახელითაა ცნობილი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლში მოცემული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება მოგვიანებით აისახა და კიდევ უფრო დაკონკრეტდა მრავალ უნივერსალურ და რეგიონალურ საერთაშორისო ხელშეკრულებაში, რომელთა შორისაა: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-17 მუხლი), ბავშვის უფლებათა კონვენცია (მე-16 მუხლი), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (მე-8 მუხლი), ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (მე-11 მუხლი) და ა.შ. ეს იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იმის თაობაზე, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება საერთაშორისო სამართალში სათანადოდაა განმტკიცებული.

2 M. Nowak, UN Covenant on Civil and Political Rights. ICCPR Commentary, 1993, 288.

წინამდებარე სტატიის კვლევის საგანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველყოფის საკითხი თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით. კერძოდ, სტატიაში გაანალიზდება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: თავისუფლებააღკვეთილ პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მიმოხილული იქნება საქართველოში აღნიშნული უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები და, ბოლოს, განხილული იქნება ალტერნატივები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრა როგორც საკანონმდებლო, ისე ადმინისტრაციული პრაქტიკის დონეზე.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადამიანის ძირითად უფლებათა (მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების) გამოყენებასთანაა დაკავშირებული. გარემოებების მიუხედავად, ყველა ადამიანი ინარჩუნებს ძირითად უფლებებს და ეს უფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს კანონიერი საფუძვლის გარეშე. ის ადამიანები, რომლებიც კანონიერად არიან დაკავებული ან დაპატიმრებულნი, დროებით კარგავენ თავისუფლების უფლებას. ზოგიერთი უფლება შეიძლება შეიზღუდოს თავად დაკავების ან დაპატიმრების ფაქტით. ეს ეხება ისეთ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორებიცაა: პირადი თავისუფლების უფლება, გადაადგილების თავისუფლება, აზრის თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება, შეკრებების თავისუფლება, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება (მსჯავრდებული პირების შემთხვევაში) და ა.შ.

საპატიმრო ადგილებში უამრავი ადამიანი იხდის სასჯელს, მაგრამ ისინი პატიმრობაში იმყოფებიან როგორც დასჯილები და არა იმისათვის რომ იქ დაისაჯონ – თავისუფლების აღკვეთა უკვე თავისთავად არის სასჯელი. ამიტომ ციხეში არსებული პირობები და მოპყრობა არ უნდა გადაიქცეს სასჯელის დამატებით ფორმად. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი პატიმრობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება. თავისუფლების შეზღუდვის მიუხედავად, პატიმრობის პირობები მაქსიმალურად უნდა იქნეს მიახლოებული ნორმალური ცხოვრების პირობებთან.[3]

3 Making Standards Work, Penal Reform International, 2001, 6-8.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელის ფორმას, სამი ძირითადი მიზანი აქვს, მათ შორის: დამნაშავის იზოლაცია, სოციალური სამართლიანობის აღდგენა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. აღნიშნულ მიზანთაგან „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია“ არის სასჯელის ის მიზანი, რომელსაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს საპატიმრო დაწესებულებათა ადმინისტრაციის მხრიდან მსჯავრდებულ პირზე ყოველდღიური კანონიერი ზემოქმედების განხორციელების გზით.[4] ამ მიზნით პრაქტიკაში გამოიყენება მსჯავრდებულთა დასაქმება, განათლება და ინდივიდუალურ მოთხოვნილებებზე ორიენტირებული სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება, თუმცა იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს რეაბილიტაციის მიზანი, თუნდაც ნაწილობრივ, აუცილებელია, დაცულ იქნეს პატიმრის, როგორც ინდივიდის, პერსონალური ავტონომიურობა პირადი ცხოვრების უფლების ეფექტიანი განხორციელების გზით.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით:

1. „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად."

კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებით

4 იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი.

რამდენიმე თანაბრად მნიშვნელოვან კომპონენტად შეიძლება დაიყოს. მათ შორისაა: თვით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, პირის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა, ოჯახური ცხოვრების პატივისცემისა და პატიმართა კორესპონდენციის (მიმოწერის) ხელშეუხებლობის უფლება.

3. პირადი ცხოვრების უფლება, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა

პირადი ცხოვრების უფლება უზრუნველყოფს ადამიანის კერძო სფეროს დაცვას მასში სხვა პირების ჩარევისაგან. რთული და, ალბათ, შეუძლებელია, პირადი ცხოვრების კონცეფციის ამომწურავად განსაზღვრა. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ამომწურავად არასოდეს განუსაზღვრავს პირადი ცხოვრების კონცეფცია. საქმეზე — *კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. the United Kingdom)* — ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომელიც „არ ექვემდებარება ამომწურავად განსაზღვრას".[5]

პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პირის უფლებას, დაამყაროს და ჰქონდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა მესამე მხარის, მათ შორის სახელმწიფოს, ჩარევის გარეშე. საქმეზე — *ნიმიცი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany)* — ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

„სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების" კონცეფცია. თუმცა მეტად შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრით", რომელშიც ინდივიდი შეიძლება თავისივე არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარესამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას."[6]

საქმეში — *მაკფილი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McFeeley*

5 1993 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.
6 1992 წლის 16 დეკემბერის გადაწყვეტილება.

v. *the United Kingdom)*[7] — ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ განაცხადა, რომ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების უფლება თანაბრად ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით თავისუფლება შეეზღუდათ. აქ იგულისხმება, ერთი მხრივ, კონტაქტი სხვა თავისუფლებააღკვეთილებთან და, მეორე მხრივ, კონტაქტი ადვოკატთან, ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და სხვა ახლობელ ადამიანებთან, რომლებთანაც კომუნიკაციის სურვილი შეიძლება ჰონდეს პატიმარს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველწლიურად იღებს ასობით განაცხადს თავისუფლებააღკვეთილი პირებისაგან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მათ მიმართ მოხდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით უზრუნველყოფილი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში არამართლზომიერი ჩარევა. პრეტენზიები დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორებიცაა, მაგალითად: სამართლო პატიმრობის გამოყენება, ხანმოკლე და ხანგრძლივვადიანი ვიზიტების სიხშირე, დაშორება პატიმარსა და ოჯახის წევრებს შორის და ა.შ.

3.1. სამართლო პატიმრობა

როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, მე-8 მუხლით დაცულია პატიმრის უფლება, კავშირი დაამყაროს სხვა ადამიანებთან, მათ შორის სხვა პატიმრებთან. სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილულ განაცხადთა ნაწილი ეხება პატიმრის სოციალურ იზოლაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, სოციალური იზოლაციის ყველაზე უკიდურეს ფორმას – სამართლო პატიმრობას.

სამართლო პატიმრობა ფართოდ გამოიყენება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში როგორც შიდა დისციპლინური დასჯის ფორმა. განსხვავებულია ის ვადები, რა დროითაც შეიძლება მოხდეს პატიმრის სრული იზოლაცია. ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სამართლო პატიმრობის, როგორც დისციპლინური სასჯელის, გამოყენება თავისთავად არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, თუმცა ხანგრძლივმა სამართლო პატიმრობამ შეიძლება პრობლემები შექმნას განსაკუთრებით, როდესაც იგი გამოიყენება წინასწარი პატიმრობის სტადიაზე. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხანგრძლივ სამარ-

7 1980 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება.

ტოო პატიმრობასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს ევროპული კონვენციის მესამე მუხლის ჭრილში.[8]

გარემოებებად, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს პატიმრის სრულ იზოლაციას, როგორც წესი, გვევლინება: უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა, დანაშაულის აღკვეთა ან სხვა პირთა უფლებების დაცვა, თუმცა ზოგ შემთხვევაში აღნიშნული ფასეულობების დაცვაც კი არ შეიძლება იყოს გამართლება ადამიანის სრული იზოლაციისათვის, რამეთუ სოციალური კონტაქტის სრულმა არარსებობამ შეიძლება განაპირობოს ადამიანის ფსიქოლოგიური დეგრადაცია.

საქმეებში — *კროშერი შვეიცარიის წინააღმდეგ (Krocher v. Switzerland)* და *მიულერი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Muller v. the Federal Republic of Germany)* — აღნიშნულია, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილი ორი პირი დაკავების შემდეგ განთავსდნენ სამარტოო საკნებში, რომელთა მოცულობაც იყო 8.4 კვადრატული მეტრი. საკნები, რომლებიც განთავსებული იყო კროშერისა და მიულერის საკნების გვერდით, ისევე როგორც საკნები ზედა და ქვედა სართულებზე, დაცარიელებულ იქნა. შედეგად პატიმრები მოკლებულნი იყვნენ როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა პატიმრებთან კომუნიკაციის შესაძლებლობას. მათი საკნები განათებული იყო 60-ვატიანი ნათურით 24 საათის განმავლობაში და სპეციალური ვიდეოთვალის მეშვეობით მიმდინარეობდა მუდმივი თვალთვალი. განმცხადებლებს არ ჰქონდათ ტელევიზორი, რადიო ან ჟურნალ-გაზეთები და, ბოლოს, მათ ერთი თვის განმავლობაში არ ჰქონდათ ადვოკატთან კონტაქტის უფლება. განმცხადებელთა იზოლაციის მიზეზად დასახელებული იყო საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ყურადღება გაამახვილა განმცხადებელთა ილოზაციის აუცილებლობასა და იმ ფაქტზე, რომ იზოლაცია გრძელდებოდა მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში, რის შემდეგაც მოხსნილ იქნა დაწესებული შეზღუდვები, მათ შორის აღდგა კონტაქტები ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან, აღარ გამოიყენებოდა ვიზუალური კონტროლის საშუალებები და განმცხადებლები გადაყვანილ იქნენ საკნებში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ სხვა პატიმრებთან ერთად. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით არ დადგინდა კონვენციის მოთხოვნების დარღვევა.

8 ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.

ზემოთ მოყვანილი ორი საქმის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ევროპული კონვენცია და სასამართლოს პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს სამართლო პატიმრობის, როგორც დისციპლინური სადამსჯელო ზომის, გამოყენებას. თუმცა საპატიმრო დაწესებულების მიერ აღნიშნული ღონისძიება გამოყენებული უნდა იქნეს როგორც უკიდურესი ზომა, რომელიც აუცილებელია უსაფრთხოების ან წესრიგის დაცვისათვის და მხოლოდ შეზღუდულ პერიოდში.

სამართლო პატიმრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შედარებით მაღალი სტანდარტი აქვს დადგენილი გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს, რომელმაც, მაგალითად, საქმეში - *ლაროსა ურუგვაის წინააღმდეგ (Larrosa* v. *Uruguay)*[9] დაადგინა, რომ ერთთვიანი სამართლო პატიმრობა იყო ძალიან ხანგრძლივი და ამით შეილახა ადამიანის პატივი და ღირსება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელშიც გაეროს ადამიანის უფლებათა კომეტეტმა დაადგინა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მოთხოვნების დარღვევა, იყო *დეივ მარიასი მადაგასკარის წინააღმდეგ (Dave Marrias* v. *Madagascar).* დეივ მარიასი იყო სამხრეთ აფრიკის მოქალაქე, რომელიც სასჯელს იხდიდა მადაგასკარის ციხეში. საპატიმროდან გაქცევის მცდელობის შემდეგ იგი სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდა სამართლო საკანში, რომლის ფართობიც მხოლოდ ორი კვადრატული მეტრი იყო. მას წართმეული ჰქონდა გარესამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობა და ამ პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ იქნა გამოყვანილი ციხის ტერიტორიიდან სასამართლო პროცესებზე დასასწრებად.

3.2. ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იცავს ადამიანის, მათ შორის თავისუფლებააღკვეთილი პირების, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის უფლებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ფიზიკურ ან მორალურ ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული პრეტენზია შეიძლება განიხილოს კონვენციის მე-3 მუხლის ჭრილში და, შესაბამისად, დაადგინოს დარღვევა, თუ მოპყრობა სცილდება კონვენციითა და სასამართლო პრაქტიკით დადგენილი მოპყრობის მინიმალურ ზღვარს.

მაკფილის საქმეში. განმცხადებლები დაექვემდებარნენ პირად ჩხრე-

9 1981 წლის გადაწყვეტილება.

კას, რომლის დროსაც მათ აშიშვლებდნენ და მოხრილ მდგომარეობაში სარკის მეშვეობით უმოწმებდნენ სწორი ნაწლავის შესასვლელს. კომისიამ გაიზიარა მთავრობის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმართა აღნიშნული მეთოდით ჩხრეკა გამოწვეული იყო აუცილებლობით, რადგან განმცხადებლებს, ისევე როგორც სხვა პატიმრებს, სწორი ნაწლავის მეშვეობით გადაჰქონდათ სხვადასხვა აკძალული ნივთი, რომლებიც გამოიყენებოდა კანონსაწინააღმდეგო მიზნებისათვის. შესაბამისად, მოპყრობა თავისთავად, შესაძლოა, იყო დამამცირებელი, თუმცა განაპირობა თვით განმცხადებლების ქცევამ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მოთხოვნების დარღვევა.

საქმეში – *გელოვეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Galloway v. the United Kingdom)*[10] – განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ციხის ადმინისტრაციამ სამედიცინო ტესტირების მიზნით, იძულების წესით მოითხოვა მისგან შარდის ანალიზის აღება. ამგვარი იძულება იყო დამამცირებელი და წარმოადგენდა მისი ღირსების შელახვას. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტაცია და დაეთანხმა მთავრობას, რომელმაც წარმოადგინა დამაჯერებელი არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გახდა აუცილებელი პატიმრისაგან შარდის ანალიზის აღება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თავისუფლებააღკვეთილი პირების პირადი ცხოვრების უზრუნველყოფასთანაა, დაკავშირებული, არის საპატიმროებში არსებული საცხოვრებელი პირობები.

პატიმრობასთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტების თანახმად, მიჩნეულია, რომ თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური სადგომი (საკანი, ოთახი), სადაც მას შეეძლება, განმარტოვდეს დღე-ღამის ნებისმიერ დროს და საჭიროების შემთხვევაში თავი იგრძნოს იზოლირებულად. აღნიშნული მოთხოვნა ძნელად შესასრულებელია ბევრი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოსთვისაც კი, რის გამოც პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია საპატიმროთა გადატვირთულობის პრობლემა, რის გამოც თავისუფლებააღკვეთილ პირებს არა თუ ინდივიდუალური საკანი, არამედ ინდივიდუალური საწოლიც კი არა აქვთ.

მსგავსად სამარტოო პატიმრობისა, ევროპული სასამართლო საპატიმროთა გადატვირთულობის საკითხს განიხილავს ევროპული კონვენ-

10 1999 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ციის მე-3 მუხლის ჭრილში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში პატიმრის გადატვირთულ საკანში განთავსება ზოგ შემთხვევაში შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ მოპყრობას.

3.3. კონტაქტი ოჯახის წევრებთან

თვით პატიმრობის ცნება გულისხმობს, რომ დაპატიმრებულების ურთიერთობა და კონტაქტები გარესამყაროსთან მნიშვნელოვნად არის შეზღუდული. გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 61-ე წესის თანახმად: „პატიმრებთან მოპყრობისას ხაზი უნდა გაესვას არა საზოგადოებისაგან მათ გარიყვას, არამედ იმას, რომ ისინი რჩებიან საზოგადოების სრულფასოვან წევრებად." პრინციპი - პატიმარი ინარჩუნებს გარკვეულ საზღვრებში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს — უკავშირდება მოსაზრებას, რომ, ჩვეულებრივ, თავისუფლებააღკვეთილი პირები უბრუნდებიან საზოგადოებას, სადაც უნდა მოხდეს მათი, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეების, რეინტეგრაცია და ისინი კვლავ უნდა გახდნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. ამგვარად, გარესამყაროსთან კონტაქტები საზოგადოებაში პატიმრის რეინტეგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილია.

პატიმრების გარეკონტაქტები უნდა განიხილებოდეს როგორც მათი უფლება და არა როგორც პრივილეგია. ამიტომ ასეთი კონტაქტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც წახალისების ფორმა. გარესამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის. ხშირად ხანგრძლივი პატიმრობის მანძილზე პატიმრისთვის მხოლოდ ნათესავებთან და ახლობლებთან ურთიერთობა გარესამყაროსთან კავშირის ერთადერთი საშუალებაა. ასევე ცნობილია, რომ ოჯახთან და მეგობრებთან დაშორება პატიმრობის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მომენტია. უფრო მეტიც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოჯახთან (და ზოგადად გარესამყაროსთან) კონტაქტი არის სოციალური რეინტეგრაციის ყველაზე მყარი საფუძველი. ოჯახთან კონტაქტი ყველა პატიმრისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს განსაკუთრებით ეხება არასრულწლოვან პატიმრებს და მათ, ვისაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ.[11]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საზედამხედველო ორ-

11 პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები, ციხის საერთაშორისო რეფორმა, ჰააგა, 1995 წელი.

განოების პრაქტიკა საკმაოდ შეზღუდულია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ევროპულ სასამართლოს, ისევე, როგორც ევროპულ კომისიას, არაერთხელ უმსჯელია საკითხზე — იყო თუ არა პატიმრისათვის ოჯახის წევრთან შეხვედრის უფლების შეზღუდვა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში არამართლზომიერი ჩარევა, თუმცა დღემდე განხილულ არცერთ განაცხადში დარღვევა არ დადგენილა. ევროპული სასამართლო, როგორც წესი, იზიარებს სახელმწიფოთა არგუმენტაციას იმის თაობაზე, რომ შეზღუდვა განპირობებული იყო მე-8(2) მუხლში მოცემული ღირებულების დაცვის მოტივით.

საქმეში — *ბოილი და რაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Boyle and Rice* v. *the United Kingdom*),[12] რომელიც კონვენციის მე-8, მე-13 მუხლების შესაძლო დარღვევას ეხებოდა, — ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებათა შეფასებისას საპატიმრო ადგილებში ვიზიტების დროს ყურადღება უნდა მიექცეს პატიმრობასთან დაკავშირებულ თავისებურებებს გონივრულ ფარგლებში. ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოები სარგებლობენ ფართო დისკრეციით თავისუფლებააღკვეთილი პირების ოჯახის წევრებთან შეხვედრების თაობაზე."

საქმეში — *მესინა იტალიის წინააღმდეგ (Messina* v. *Italy)*[13] — განმცხადებელს, რომელიც მსუბუქი რეჟიმის საპატიმრო დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს, ჰქონდა წელიწადში თორმეტი ერთსაათიანი შეხვედრის უფლება. ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია განმცხადებლის არგუმენტაცია დასაბუთებულად. კერძოდ, ბატონი მესინა მიიჩნევდა, რომ შეხვედრების რაოდენობა და ხანგრძლივობა არ იყო საკმარისი და ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

4. კორესპონდენციის ხელშეუხებლობა

გარესამყაროსთან კავშირის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა კორესპონდენცია. ტრადიციულად ამ სფეროში საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები არსებობდა, თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ცენზურის არსებობა

12 1988 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება.
13 2000 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში არის გამართლებული. უფრო მეტიც, გამართლებული იქნებოდა, პატიმრის მიერ დაწერილი ან მისაღები წერილების, ან კორესპონდენციის რაოდენობაზე რაიმე შეზღუდვა რომ არ არსებობდეს. აღნიშნული თანაბრად ეხება პატიმრებს შორის მომოწერასაც. ზოგიერთ ქვეყანაში მხოლოდ შემოსული წერილები მოწმდება. თუ ასეთი შემოწმების მიზანი მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ნივთებისა და საშუალებების ციხეებში შეღწევის თავიდან არიდებაა, მაშინ წერილები კი არ უნდა იკითხებოდეს, არამედ უნდა შემოწმდეს მხოლოდ მათში რაიმე აკრძალული ნივთის (ნივთიერების) არსებობა. გონივრული იქნება, თუ ასეთი შემოწმება განხორციელდება პატიმრის თანდასწრებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებები პატიმრის პირად ცხოვრებაში ჩარევის შესახებ.[14]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თვალთახედვიდან გამომდინარე, მე-8 მუხლით გარანტირებული კორესპოდენციის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა შეიძლება გამართლებულ იქნეს მე-8(2) მუხლში მოცემულ ღირებულებათა დაცვის მოტივით.

ამ თვალსაზრისით წამყვან საქმედ ითვლება *გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Golder v. the U.K).*[15] გოლდერი სასჯელს იხდიდა ძარცვისათვის. მოგვიანებით მას ბრალი დასდეს პარკჰურსტის ციხეში მომხდარ ბუნტში მონაწილეობისათვის. გოლდერის მიერ დაწერილი რამდენიმე წერილი, რომელიც ეხებოდა ბრალდების შესაძლო შედეგებს, დაბლოკა ციხის ადმინისტრაციამ, რადგანაც საპატიმრო დაწესებულების დირექტორმა ჩათვალა, რომ გოლდერს, ნებისმიერ შემთხვევაში, პირველად უნდა მიემართა ადმინისტრაციისათვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოხდა მე-8 მუხლით დაცული კორესპონდენციის თავისუფლებაში ჩარევა განმცხადებლის მიმართ, რის შემდეგაც იმსჯელა იმის თაობაზე, რამდენად შეიძლებოდა, აღნიშნული ჩარევა ყოფილიყო გამართლებული მე-8(2) პუნქტში მოცემული მიზნებიდან გამომდინარე. სასამართლომ განაცხადა, რომ ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და, შესაბამისად, დაირღვა მე-8 მუხლი.

პოზიცია, რომელიც ცალსახად იკვეთება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან, საკმაოდ მაღალი ხარისხით იცავს პატიმრის კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლებას.[16] სასამართლო

14 პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები, ციხის საერთაშორისო რეფორმა, ჰააგა, 1995.
15 1975 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.
16 Jacobs & White, The European Convention on Human Rights, 2002.

სახელმწიფოებისაგან ითხოვს, რომ ნებისმიერი ჩარევა კორესპონდენციის თავისუფლებაში მკაფიოდ და ცალსახად იყოს განსაზღვრული. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომლებიც კორესპონდენციის თავისუფლებაში ჩარევას ახსნიან და გაამართლებენ. საქმეზე — *დომენიჩინი იტალიის წინააღმდეგ (Domenichini v. Italy)*[17] — სასამართლომ დაადგინა დარღვევა იმის გამო, რომ იტალიის კანონმდებლობა ითვალისწინებდა არაგონივრულად ფართო დისკრეციას პატიმართა კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

ადვოკატთან კავშირის უფლება განსაკუთრებულად არის დაცული ევროპული კონვენციით. მათ შორის აღნიშნულ საკითხს ეხება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიც (სამართლიანი სასამართლოს უფლება), რომლის მიხედვითაც: „ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად."[18]

ადრეულ საქმეებში გაერთიანებული სამეფოს მთავრობა აცხადებდა, რომ მე-6 მუხლით გარანტირებული დაცვის უფლება მოქმედებას იწყებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა სასამართლო განხილვა. ევროპულმა სასამართლომ უარყო გაერთიანებული სამეფოს მთავრობის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ უფლება დაცვაზე (როგორც პირადად, ისე დამცველის მეშვეობით) მოქმედებს არასასამართლო სამართალწარმოების სტადიებზეც, მაგალითად, პოლიციის მიერ გარკვეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას. უფრო მეტიც, სწორედ სასამართლომდელ სტადიებზე იძენს დაცვის უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სწორედ ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამცველის დაცვის ქვეშ მყოფ პირთან შეუფერხებელი კონტაქტის უზრუნველყოფა. აღნიშნული უფლების განხორციელება არის საიმედო გარანტი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა ხელყოფის წინააღმდეგ, განსაკუთრებით სამართალწარმოების სასამართლომდელ პერიოდში.[19]

უმნიშვნელოვანესი საქმე, რომელიც დაცვის ქვეშ მყოფი პირის დამცველთან შეუფერხებელ კონტაქტს ეხებოდა, არის საქმე *ჯონ მიურეი გა-*

17 1996 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება.
18 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6.2(b) მუხლი.
19 იხილეთ ევროპული სასამართლოს 1993 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე — *Imbrioscia v. Switzerland.*

ერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (John Muray v. the United Kingdom).[20] ამ საქმეში გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე ბატონი მიურეი დააპატიმრეს 1989 წელს მიღებული ანტიტერორისტული აქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, ხელისუფლებას უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა დაკავებული პირის დამცველთან კონტაქტზე 48 საათის განმავლობაში. ამ პერიოდში მიურეი დაიკითხა თორმეტჯერ. აღსანიშნავია ისიც, რომ, ხსენებული ანტიტერორისტული აქტის თანახმად, ეჭვმიტანილი პირის დუმილი განმარტებული შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც დანაშაულის აღიარება. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: სწორედ პოლიციის მიერ დროებითი დაკავებისა და დაკითხვის ან წინასწარი პატიმრობისას აუცილებელია, რომ დამცველს ჰქონდეს საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან შეუფერხებელი კავშირის შესაძლებლობა. მოცემული უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა მიურეის საქმეში, რადგან პიროვნება პრაქტიკულად მოკლებული იყო დუმილის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის c) ქვეპუნქტი.

საქმეში — *სკონენბერგერი და დურმაზი შვეიცარიის წინააღმდეგ (Sconenberger and Durmaz v. Switzerland)*[21] — შვეიცარიის მთავრობამ ადრესატამდე (დაკავებულ პირამდე) არ მიუშვა ადვოკატის წერილი, რომლითაც იგი დაცვის ქვეშ მყოფ პირს მოუწოდებდა, ესარგებლა დუმილის უფლებით. ხელისუფლება აცხადებდა, რომ მათ მიერ მიმოწერის შეზღუდვა განპირობებული იყო გამოძიების ინტერესებით, რადგან დაკავებული პირის მიერ დუმილის უფლებით სარგებლობა ხელს შეუშლიდა გამოძიების დროულ და ეფექტიან წარმართვას. მოცემულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.

საქმეში — *კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell v. the United Kingdom)*[22] — კემპბელი მსჯავრდებული იყო მკვლელობისა და ფიზიკური ძალადობის ბრალდებით. იგი აცხადებდა, რომ ადვოკატისათვის განკუთვნილი მისი წერილები, რომლებიც სამოქალაქო ან ქონებრივ საკითხებს ეხებოდა, მოწმდებოდა და იკითხებოდა საპატიმროს ადმინისტრაციის მიერ. სასამართლომ დაადგინა, რომ მოხდა კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა, რაც გათვალისწინებული იყო

20 1996 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება.
21 1988 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება.
22 1992 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

ეროვნული კანონმდებლობით და იმსჯელა ჩარევის პროპორციულობის საკითხზე. მიიჩნია, რომ პატიმრის წერილების შემოწმება და წაკითხვა არ იყო აუცილებელი და აღნიშნა მე-8 მუხლის დარღვევა.

5. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მაღალი ხარისხით იცავს თავისუფლებააღკვეთილ პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. თუმცა არის გარკვეული სფეროები, მაგალითად, ოჯახის წევრთა ვიზიტები პატიმრებთან, სადაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ფართო დისკრეცია ენიჭებათ უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით. ნებისმიერ შემთხვევაში წევრ სახელმწიფოთა ქმედება ექვემდებარება ევროპული სასამართლოს ზედამხედველობას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისას კონვენციის დარღვევა-არდარღვევის საკითხი გადაწყდება თითოეულ საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით.

საქართველოში თავისუფლებააღკვეთილ პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით არსებობს გარკვეული პრობლემები, რომელთა აღმოფხვრაც შესაძლებელია, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებითა და შესაბამისი ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლით და, მეორე მხრივ, არსებობს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საპატიმროთა ინფრასტრუქტურულ ცვლილებებთან.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დოკუმენტი, რომელსაც სასჯელთა აღსრულების რეფორმის კონცეფცია ეწოდება და რომელიც მომზადდა იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ.

კონცეფციაში ცალკე თავი ეძღვნება თავისუფლებააღკვეთილ პირთა ურთიერთობას გარესამყაროსთან. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ: „აუცილებელია შენარჩუნებული იქნეს პატიმართა ურთიერთობა გარესამყაროსთან სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. ამ მხრივ ღია და ნახევრად დახურული პენიტენციური დაწესებულებების ამოქმედება იქნება სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი.

რეჟიმის მოთხოვნების გათვალისწინებით, ყველა პატიმარს უფლება აქვს

ისარგებლოს ხანგრძლივი და ხანმოკლე შეხვედრებით. ადგილი, რომელიც განკუთვნილი იქნება ხანგრძლივვადიანი შეხვედრებისათვის, მაქსიმალურად მიახლოებულ უნდა იყოს სტანდარტულ სამოქალაქო პირობებთან, მათ შორის იყოს აღჭურვილი იზოლირებული ტუალეტით და საშხაპით. ხანმოკლევადიანი შეხვედრები უნდა წარიმართოს კერძო ვითარებაში, სადაც დასაშვებია მხოლოდ ვიზუალური კონტროლის განხორციელება.

პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ მიმოწერის საშუალებებით და სატელეფონო კავშირით. უქონელი პატიმრების მიერ ამგვარი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ. წერილობითი კორესპონდენციისა და სატელეფონო კავშირების გაკონტროლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ინფორმაციის გადაცემამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს, ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს."

დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პატიმართა დაცვა თვით პატიმართა მიერ განხორციელებული ცემის, წამებისა და სხვა ღირსების დამამცირებელი მოპყრობისგან. ის პატიმრები, რომელნიც შემჩნეულნი არიან ამგვარ ქმედებაში, სათანადო პროცედურის განხორციელების შედეგად შეიძლება გადაყვანილ იქნენ უფრო მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში.

კონცეფციის მიხედვით, სამარტოო პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, იმის გათვალისწინებით, რომ სამარტოო პატიმრობის ვადა იქნება არა უმეტეს ათი დღისა. დაუშვებელია სამარტოო პატიმრობის კომბინირება სხვა სახის სასჯელებთან.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სასჯელთა აღსრულების სისტემის რეფორმის კონცეფციაში მოცემული პრინციპების დანერგვა ხელს შეუწყობს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განუხრელ შესრულებას. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია მოხდეს შესაბამისი პრინციპების ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში.

მერაბ ტურავა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესი

I. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მოქმედების სფერო განსხვავდება ერთმანეთისაგან: პირველი არის მრავალმხრივი რეგიონალური საერთაშორისო ხელშეკრულება და მოქმედებს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. ამ კონვენციით გარანტირებული უფლების სახელმწიფოს მიერ ხელყოფის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით შეიძლება მიმართონ: ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ ან ცალკეულ პირთა ჯგუფმა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მსხვერპლია კონვენციის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებულ უფლებათა და, მათ შორის, ამ დოკუმენტებით გარანტირებული პროცესუალურ-სამართლებრივი გარანტიების დარღვევისა (კონვენციის 34-ე მუხლი). გარდა ამისა, არსებობს ასევე ე.წ. სახელმწიფოთაშორისი საქმეები (კონვენციის 35-ე მუხლი). სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია მიიღოს საქმე განსახილველად, თუ ამოწურულია ყველა შიდასამართლებრივი გასაჩივრების საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გაგებით (კონვენციის 35-ე მუხლი). ევროპული სასამართლოს განჩინებას აქვს სავალდებულო ძალა პროცესში მონაწილე იმ სახელმწიფოსათვის, რომლის წინააღმდეგაც იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება.[1]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისაგან განსხვავებით,

1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს შესახებ დაწვრილებით იხ.: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, 2004 წელი; კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004 წელი; კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005.

საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის მოქმედების სფერო არის არა რეგიონალური, არამედ - უნივერსალური და მოიცავს მსოფლიოს ყველა კონტინენტს, უპირველეს ყოვლისა, ყველა იმ ქვეყანას, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება - რომის სტატუტი. სტატუტის მე-12 მუხლით, სახელმწიფო, რომელიც ამ ხელშეკრულების მონაწილე ხდება, აღიარებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ავტომატურ იურისდიქციას ამ სტატუტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულების მიმართ. ე.წ. „ავტომატური იურისდიქცია" ეფუძნება ალტერნატიულ და არა კუმულაციურ კრიტერიუმებს. სტატუტის მე-12 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, განახორციელოს თავისი იურისდიქცია, როდესაც: სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც დანაშაული იქნა ჩადენილი (დანაშაულის ჩადენის სახელმწიფო), ან სახელმწიფო, რომლის მოქალაქეობაც აქვს დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს (დანაშაულის ჩამდენის სახელმწიფო), სტატუტის ხელშეკრულების მონაწილეა, ან, შესაბამისად, სასამართლოს იურისდიქცია მე-12 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით აღიარა. სტატუტის უნიერსალურ ხასიათს განსაზღვრავს მისი ამოქმედების შემდგომ ეტაპზე რატიფიცირების (ან შეერთების) რიცხვის ზრდა, საბოლოოდ კი ტერიტორიულად საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციამ შეიძლება მოიცვას მთელი მსოფლიო, რაც დამოკიდებულია სახელმწიფოთა მიერ რატიფიცირების პროცესზე. არსებობს ასევე სასამართლოს მიერ თავისი იურისდიქციის განხორციელების ისეთი გზა, როცა გაეროს უშიშროების საბჭო პროკურორს მოახსენებს იმ ვითარების შესახებ, რომლის მიხედვითაც არსებობს ეჭვი, რომ ჩადენილია ერთი ან მეტი დანაშაული, რომელიც ამ სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნება (სტატუტის მე-13 მუხლის (ბ) ქვეპუნქტი).

საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ საპროცესო ნორმებთან მიმართებით არის კომპლემენტური, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივი იურისდიქცია, რის გამოც, პირველ რიგში, გამოყენებულ უნდა იქნეს შიდასახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები. ეს დებულება განსხვავდება ყველა წინამორბედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, მათ შორის, ორივე

— ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის — *ad-hoc* ტრიბუნალის მუშაობის პრინციპებისაგან და, სამართლებრივი თვალსაზრისით, სიახლეა. საერთაშორისო სასამართლოს სამართალწარმოების გახსნა შეუძლია ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს. სტატუტის მე-14 მუხლი ითვალისწინებს, რომ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, მოახსენოს პროკურორს ვითარება, რომლის მიხედვითაც არსებობს ეჭვი, რომ ჩადენილია სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი ერთი ან რამდენიმე დანაშაული და სთხოვოს ვითარების გამოძიება. იგივე უფლებამოსილება აქვს გაეროს უშიშროების საბჭოსაც. სტატუტის მე-13 მუხლის (ბ) ქვეპუნქტი ითვალისწინებს შემდეგს: უშიშროების საბჭო პროკურორს მოახსენებს ეჭვის არსებობის შესახებ, რომ ჩადენილია ერთი ან რამდენიმე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაული და საჭიროა მოხდეს ვითარების გამოძიება. არსებობს ასევე ამ საკითხის გადაწყვეტის მესამე გზა, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მოქმედებას შეიძლება საფუძვლად დაედოს ის გარემოება, რომ საერთაშორისო სასამართლოს ბრალმდებელმა თვითონ გადაწყვიტა პროცესის გახსნა. ამასთან, წინასწარი წარმოების პალატა ახორციელებს სასამართლო კონტროლს ბრალმდებლის მთელ რიგ საგამოძიებო მოქმედებებსა და ბრალდების წაყენებაზე.[2]

საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა რომის სტატუტი. მისი წინამორბედია როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950 წელი), ისე არაერთი სხვა საერთაშორისო აქტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ისევე როგორც 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. მათში მოცემულია არაერთი საპროცესოსამართლებრივი ნორმა, რომლებიც აწესებენ საერთაშორისო სტანდარტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

გარდა დიფერენციაციისა ტერიტორიული მოქმედების სფეროში, ამ სასამართლოებს შორის განსხვავება არსებობს ასევე იმ საკითხშიც, რომ, ერთ შემთხვევაში (სტრასბურგის სასამართლოსთან მიმართებით), ჯერ ამოწურული უნდა იქნეს ყველა შიდასახელმწიფოებრივი შესაძლებლობე-

2 რომის სტატუტის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ წიგნში: მ. ტურავა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (რომის სტატუტთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის კომენტარი), თბილისი, 2005.

ბი, ხოლო მეორე შემთხვევაში (ჰააგის სისხლის სამართლის მუდმივმოქმედ სასამართლოსთან მიმართებით), ასეთი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გარეშე, პირდაპირ მიიღება გადაწყვეტილება, როცა სახელმწიფოს არ სურს ან არ შეუძლია, განახორციელოს ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულება. მიუხედავად ამ დიფერენციაციისა, არსებობს ბევრი საერთო ნიშანი, რომლებითაც ხასიათდება ორივე სისტემა. ორივე ეს სფერო ეფუძნება საერთაშორისო სამართალს, კერძოდ, მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას. როგორც ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლო, ასევე ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი.[3] ინდივიდს, რომელიც არ არის საერთაშორისო სამართლის უპირველესი ადრესატი, როგორც სამართლის სუბიექტი, ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: იგი არის ადამიანის უფლებათა ადრესატი და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე.

უპირველეს ყოვლისა, განსასაზღვრია, რას ნიშნავს საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესი და როგორია მისი შინაარსი. შემდგომ გასაანალიზებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მნიშვნელობა და განსახილველია სტატუტის მნიშვნელოვანი პროცესუალურსამართლებრივი ნორმები კონვენციის შესაბამის ნორმებთან მიმართებით.[4]

II. საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის ცნება

საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის ცნება არ არის მთლად ახალი, თუმცა ბოლო პერიოდში იგი შინაარსობრივად განვითარდა. უპირველეს ყოვლისა, ზოგადად ყურადღება უნდა გავამახვილოთ ცნების განვითარებაზე, ხოლო შემდეგ უნდა ჩამოვაყალიბოთ ფორმალური დეფინიცია და ბოლოს განვიხილოთ მისი გამოყენების სხვადასხვა სფერო.

3 იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, როგორც საერთაშორისო პუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, კ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2002 წელი, გვ. 191-228.

4 იხ. Ch. Safferling, Die EMRK und das Völkerstrafprozessrecht, წიგნში: Die EMRK im Privat-, Straf- und Öffentlichen Recht, Joachim Renzikowski (Hrsg.), 2004, 145-178.

1. ცნების განვითარებისათვის

საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის ცნება გამომდინარეობს საერთაშორისო სისხლის სამართლის ცნებისაგან. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ „ინტერნაციონალური" და „საერთაშორისო" სისხლის სამართლის ცნებები.

ინტერნაციონალური სისხლის სამართლის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე საერთაშორისო სისხლის სამართლისა. იგი შეიძლება პირობითად დაიყოს ოთხ ნაწილად.[5] აქედან გამომდინარე, ინტერნაციონალური სისხლის სამართალი ფართო გაგებით მოიცავს: (1) თვით საერთაშორისო სისხლის სამართალს; (2) სუპრანაციონალურ, განსაკუთრებით ევროპულ, სისხლის სამართალს; (3) სახელმწიფოთა სამართლებრივი ურთიერთდახმარების სამართალს და (4) ნაციონალური სისხლის სამართლის გამოყენების სამართალს, რაც საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპების სახით მოცემულია ეროვნულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.[6]

საერთაშორისო სისხლის სამართალი მოიცავს ყველა იმ ნორმას, რომელიც აწესებს ან ეხება სისხლისსამართლებრივ დასჯადობას საერთაშორისო სამართლის მიხედვით.[7] ეს არის ინტერნაციონალური სისხლის სამართლის ის ნაწილი, რომელიც მოცემულია საერთაშორისოსამართლებრივ წყაროებში. ანგლოამერიკული სამართალი ცნებას — "International Criminal Law" — იყენებს სწორედ ამ მნიშვნელობით. მაგალითად, საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ „ომის დანაშაულის", „ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის", „გენოციდის" შემადგენლობებს, წარმოადგენენ საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმებს. ეროვნული სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც ემსახურებიან საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების იმპლემენტაციას ნაციონალური სამართლის სისტემაში, შეიძლება იწოდოს როგორც „ნაციონალური საერთაშორისო სისხლის სამართალი" და წარმოადგენს საერთაშორისო სისხლის სამართალს ფართო გაგებით. მაგალითად: საქართველოს სისხლის

5 შდრ. Helmut Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht, 2005, S. 24-26.

6 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპების შესახებ იხ.: მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-6 გამოცემა, თბილისი, 2006 წელი, გვ. 26-35; ასევე, მ. ტურავა, საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, წიგნში: საქართველო და საერთაშორისო სამართალი, კ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2001 წელი, გვ. 194-227.

7 G. Werle, Völkerstrafrecht, 2003, S. 30, Rn.71. Helmut Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht, 2005, S. 24, Rn. 2.

სამართლის კოდექსის 407-ე მუხლი შეიცავს გენოციდის შემადგენლობას, 408-ე მუხლის სახელწოდებაა: „დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ", ხოლო 411-ე, 412-ე და 413-ე მუხლები ითვალისწინებენ ომის დანაშაულთა შემადგენლობებს. ეს იმ დანაშაულთა შემადგენლობებია, რომელთა დასჯადობა გათვალისწინებულია რომის სტატუტით (მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები), როცა პირის გასამართლება ხდება საერთაშორისო სასამართლოს მიერ; საქართველოს სასამართლო ორგანოები კი იმავე ქმედებების ჩადენისათვის სისხლის სამართლის იურისდიქციის გამოყენების დროს მიმართავენ ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტირებულ იმავე ნორმებს, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის დასახელებულ მუხლებს.

საერთაშორისო სისხლის სამართალი შედგება იმ საერთაშორისოსამართლებრივი ნორმებისაგან, რომლებიც აწესებენ ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ დასჯადობას.[8] ეს ნორმები იცავენ საერთაშორისოსამართლებრივ სიკეთეებს. რომის სტატუტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილია დანაშაულის მხოლოდ ოთხი შემადგენლობა,[9] რომლებიც ქმნიან მატერიალური საერთაშორისო სისხლის სამართლის ბირთვს, თუმცა შესაძლებელია, საერთაშორისოსამართლებრივი სიკეთეების დაცვისაკენ მიმართული კიდევ სხვა არაერთი სისხლისსამართლებრივი ნორმა იქნეს მომავალში ჩამოყალიბებული, რითაც საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია დარგობრივად გაფართოვდება.[10]

ცნება „საერთაშორისო სისხლის სამართალი" არ გულისხმობს სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ბელინგის მიხედვით,[11] საერთაშორისო სისხლის სამართალი არის მხოლოდ მოტივაცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლისათვის, შექმნას ნაციონალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

ცნება „ინტერნაციონალური სისხლის სამართალი", რომელთანაც ტერმინოლოგიურად ახლოსაა ინგლისური ცნება "International Criminal Law", უნდა გამოვიყენოთ გვარობით ცნებად.[12] როგორც აღინიშნა, იგი უნდა მოიცავდეს ნაციონალურ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ

8 Ambos, Der Allgemeine Teil des Völkerstrafrecht, 2002, 40.

9 გენოციდის შემადგენლობა მოცემულია სტატუტის მე-6 მუხლში, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის – მე-7 მუხლში, ომის დანაშაულის – მე-8 მუხლში, ხოლო მე-5 მუხლში მითითებული აგრესიის შემადგენლობა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული.

10 სხვა დანაშაულების შემადგენლობათა კატალოგის შესახებ, იხ. Basslouni, International Criminal Law, 1986, 135. Möller, Völkerstrafrecht und Internationaler Strafgerichtshof, 2003, 4-12.

11 Beling, Die strafrechtliche Bedeutung der Exterritorialität, 1896, 41.

12 Oehler, Internationales Strafrecht, 2. aufl. 1983, Rn.3.

შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის იურისდიქციას იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომლებსაც აქვთ უცხოეთთან შეხება, ასევე — სამართლებრივი ურთიერთდახმარების სამართალსა და სუპრანაციონალურ სისხლის სამართალს.

საერთაშორისო სისხლის სამართალს შეესაბამება ასევე ტერმინი: „ინტერნაციონალური მატერიალური სისხლის სამართალი", ისევე როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესს – „ინტერნაციონალური საპროცესო სისხლის სამართალი", მაგრამ ამ ბოლო ორი ტერმინის ნაცვლად უკეთესია პირველი ორი ტერმინის გამოყენება. ზოგიერთი ქვეყნის მაგალითს თუ მივმართავთ, რომის სტატუტის რატიფიკაციასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც თავმოყრილია ეროვნული სისხლის სამართლის ნორმები. ისინი წარმოადგენენ დანაშაულის იმ შემადგენლობების იმპლემენტაციას, რომლებიც მომდინარეობენ საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულებებიდან. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გერმანული საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსი (Völkerstrafgesetzbuch), რომელიც თარიღდება 2002 წლის 26 ივნისით. საქართველოს სინამდვილეში ასეთი სპეციალური მატერიალური სისხლის სამართლის კანონი არ იქნა მიღებული: შესაბამისი შემადგენლობები გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კარში: „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ", რომელიც შეიცავს სპეციალურ თავს სახელწოდებით: „დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ".

საერთაშორისო მატერიალური სამართლისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის ნორმები არის ფორმალური სისხლის სამართლის დებულებები, რომლებიც ემსახურებიან მატერიალური სამართლის ნორმების რეალიზაციას. საერთაშორისო სისხლის სამართლით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის პრაქტიკული რეალიზაცია, ე.ი. ფიზიკური პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელება ხდება საპროცესო ნორმებით დადგენილი წესითა და ვადებში. თუ საერთაშორისო სისხლის სამართალს გავიაზრებთ როგორც ინტერნაციონალური მატერიალური სისხლის სამართლის წესრიგს, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესი ემსახურება მის რეალიზაციას. 1993 წლამდე საერთაშორისო დამნაშავეობის დევნა ხდებოდა მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოების მიერ. ასევე ნიურნბერგის საერთაშო-

რისო სამხედრო ტრიბუნალი არ ფლობდა ნამდვილ საერთაშორისო სისხლის სამართლის კომპეტენციას, იგი ეფუძნებოდა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ მოკავშირე სახელმწიფოთა კოლექტიურად განხორციელებულ სისხლისსამართლებრივი დევნის კომპეტენციას. საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავენ სისხლისსამართლებრივ ნორმებს, ამას ძირითადად აკეთებდნენ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დავალდებულებით. „სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ" ჟენევის მე-3 კონვენციის 129-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ შემოიღონ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც დააწესებს ეფექტურ სისხლისსამართლებრივ სასჯელებს მომდევნო მუხლში განსაზღვრული მძიმე დარღვევის ჩამდენი ან ასეთი დარღვევის ჩადენის ბრძანების გამცემი პირებისათვის".[13]

სისხლის სამართლის იურისდიქციის პირდაპირ საერთაშორისო მექანიზმებით განხორციელების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ გენოციდის შესახებ 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენცია. ამ კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, პირები, რომელთაც ბრალად ედებათ გენოციდის ან მე-3 მუხლში ჩამოთვლილი სხვა რომელიმე ქმედების ჩადენა, წარდგენილი უნდა იქნენ განსჯადი სასამართლოს წინაშე იმ სახელმწიფოში, რომლის ტერიტორიაზეც ჩადენილ იქნა ქმედება ან საერთაშორისო სასამართლოს წინაშე, რომელიც უფლებამოსილია ხელშეკრულების დამდები მხარეებისათვის, რომელთაც მისი იურისდიქცია აღიარეს.

ამ დებულებაში მოცემული იდეა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის შესახებ რეალობად არ ქცეულა. საერთაშორისო სისხლის სამართლის არაპირდაპირი განხორციელება ეროვნული სახელმწიფოების მიერ არ მოითხოვდა საკუთარი საპროცესო წესების არსებობას.[14] მაგალითად, ბავარიისა და დიუსელდორფის მიწების უმაღლესმა სასამართლოებმა ბალკანეთში ჩადენილი ომის დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის დროს გამოიყენეს ნაციონალური სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

1993 წლის 25 მაისის 827 რეზოლუციით გაეროს უშიშროების საბჭომ პირველად მიიღო საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სტატუტი,

13 ეს არის ჟენევის კონვენციებისათვის საერთო ნორმა. სიტყვასიტყვით იგივე დებულება მოცემულია „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ" ჟენევის მე-4 კონვენციის 146-ე მუხლის პირველ აბზაცში.

14 საერთაშორისო სისხლის სამართლის პირდაპირი და არაპირდაპირი რეალიზაციის შესახებ იხ. Bassiouni, International Criminal Law, 1986, 271.

რომელსაც აქვს პოზიტიური სამართლებრივი ძალმოსილება. მომდევნო წელს განმეორდა ეს პროცედურა, როცა უშიშროების საბჭომ 1994 წლის 8 ნოემბერს 955 რეზოლუციით შექმნა რუანდის ტრიბუნალი. ეს პირველი ნაბიჯები, მიმართული საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის შექმნისაკენ, აღმოჩნდა წარმატებული მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავდა, მატერიალური სისხლის სამართალი პირდაპირ, და არა მხოლოდ ნაციონალური სისხლის სამართლის პროცესის ნორმების გამოყენებით, ყოფილიყო ხორცშესხმული. ამ იდეამ 1998 წლის 17 ივლისს რომში, სახელმწიფოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლების დიპლომატიურ კონფერენციაზე, პოვა სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერა. ამას შედეგად მოჰყვა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (International Criminal Court – ICC) შექმნა, რომლის წესდება („რომის სტატუტი") ამ დღეს იქნა მიღებული. ოთხი წლის შემდეგ, 2002 წლის 1 ივლისს, რომის სტატუტი აუცილებელი 60 რატიფიკაციის შემდეგ შევიდა ძალაში და ამოქმედდა (შდრ. რომის სტატუტის 126-ე მუხლი). საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, აღნიშნული პერიოდი დროის არც ისე დიდი მონაკვეთია. პირიქით, ეს პროცესი მოსალოდნელზე სწრაფად წარიმართა. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი ძალაში შევიდა ათი წლის შემდეგ მისი მიღებიდან. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტში რომის სტატუტი უფრო ღრმად „იჭრება", ვიდრე აღნიშნული საერთაშორისო პაქტი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ექსიუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალები საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის პროლოგად მოგვევლინა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ინსტიტუციონალიზაციით კი დასაბამი მიეცა საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართალს.[15]

2. ცნების დეფინიციისათვის

საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართალი არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომლებიც მოცემულია საერთაშორისო სამართლის წყაროებში და აწესრიგებენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასა-

15 უფრო დაწვრილებით იხ. C. Kreß, F. Wannek, Von den beiden internationalen Ad-Hoc-Tribunalen zum Internationalen Strafgerichtshof. Anmerkungen zur jüngsten Entwicklung der Völkerstrafgerichtsbarkeit, ნიგნში: Internationale Strafgerichtshöfe, Stefan Kirsch (Hrsg.), 2005, 231-259.

მართლოს ან ტრიბუნალების მიერ მატერიალური საერთაშორისო სისხლის სამართლის რეალიზაციის პროცესს.

ეს ფორმალური დეფინიცია ეფუძნება საერთაშორისო სისხლის სამართლის დეფინიციას. იგი შედგება სამი კომპონენტისაგან:

1. ნორმებს აქვთ საერთაშორისოსამართლებრივი ხასიათი, ე.ი. მოცემულია საერთაშორისო სამართლის წყაროებში;

2. ნორმები მიმართულია მატერიალური საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესუალურ-სამართლებრივი რეალიზაციისაკენ;

3. ეს რეალიზაცია ხორციელდება საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ინსტიტუციის, უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ.

საერთაშორისო სამართლის წყაროები მოცემულია საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლის პირველ აბზაცში.[16] მას ეკუთვნის, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ასევე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი და, ბოლოს, ცივილიზებულ ხალხთა მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპები. რომის კონფერენციამ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსათვის შექმნა სპეციალური წესი. რომის სტატუტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს სასამართლოს მიერ გამოსაყენებადი სამართლის წყაროებზე, პირველ რიგში, უთითებს თვით სტატუტზე, ასევე ორ სხვა დოკუმენტზე, როგორებიცაა: „დანაშაულის ელემენტები" და „პროცედურისა და მტკიცების წესები".

საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლთან შედარებით უმთავრესი განსხვავება ისაა, თუ რას გულისხმობს ცნება „საყოველთაოდ აღიარებული ზოგადი პრინციპები". ჯერ კიდევ საერთაშორისო სასამართლოს წესდებასთან მიმართებით ყოველთვის საკამათო იყო, როგორ უნდა გაგვეგო იგი: როგორც საერთაშორისო ბუნებითი სამართალი, თუ უნდა განგვეხილა მუდამ პოზიტიურ ნაციონალურ სამართალთან კავშირში. გადაწყდა, რომ რომის სტატუტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის (ბ) აბზაცში ყურადღება გამახვილებულიყო genuin internationale სფეროზე, ხოლო შემდეგ (ც) აბზაცში ნაციონალური სახელმწიფოების ზოგადი სამართლებრივი პრინციპები ცალკე გამოყოფილიყო. საერთაშორისო ადათობრივი სამართალი ცალკე გამოყოფილად არ არის მითითებული. შეიძლება ითქვას, რომ იგი იგულისხმება ცნებაში — "principles and rules of international law".

16 იხ. საერთაშორისო სასამართლოს წესდება, 1945 წლის 26 ივნისი.

ამ ნორმას აქვს საპროცესოსამართლებრივი ხასიათი. განსხვავებამ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება წარმოშვას სიძნელეები. მაგალითად, ევროპულ სამართლებრივ სივრცეში ყოველთვის პრობლემატური იყო საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ სფეროს მიეკუთვნება ხანდაზმულობის საკითხები: წარმოადგენენ ისინი მატერიალურსამართლებრივი, თუ პროცესუალურსამართლებრივი ხასიათის პრობლემებს?[17] ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, კანონმდებლობაში ხანდაზმულობის საკითხები მოწესრიგებულია სისხლის სამართლის კოდექსში. მაგალითად: 71-ე მუხლი ეძღვნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადას, ხოლო 76-ე მუხლი – გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადას. მიუხედავად საკითხის მატერიალურ-სამართლებრივ კანონში მოწესრიგებისა, ითვლება, რომ იგი პროცესუალურ-სამართლებრივი ბუნების შემცველი ინსტიტუტია და სისხლის სამართლის კანონში მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით არის მოთავსებული. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა კანონის უკუძალის საკითხის გადაწყვეტისათვის. ეს საკითხი საქართველოსთან მიმართებით პრობლემურია არა იმდენად სისხლის-სამართლებრივი სფეროდან გამომდინარე, არამედ უფრო კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი შეიცავს შემდეგ ფორმულირებას: „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს". ამ კონსტიტუციური ნორმიდან გამომდინარე, თუ ხანდაზმულობას ჩავთვლით პროცესუალურსამართლებრივ საკითხად, ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი კანონი, რომელიც ამოქმედდა მისი ჩადენის შემდეგ, მაშინაც კი, როცა იგი აუარესებს პირის მდგომარეობას, მაგრამ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის კანონი, რომელიც ძალაში შევიდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენების დროს სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის ან მუდმივმოქმედი სასამართლოს მიერ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საერთაშორისო სისხლის სამართლის პირდაპირი რე-

17 შდრ. Jescheck/Weigend, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5.Aufl., 1996, 911-913.

ალიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაპირდაპირი გზით რეალიზაციისას, პროცესუალურად ნაციონალური სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმები გამოიყენება.

3. გამოყენების სფერო

მოცემული დეფინიცია უშუალო კავშირშია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან. ეს ინსტიტუცია ეფუძნება სხვადასხვა, ცალკეული სახელმწიფოს ნებაყოფლობით კავშირს და არის საერთაშორისოსამართლებრივი წარმონაქმნი, რომელიც ხელმძღვანელობს საპროცესო წესით, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

ასევე, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალები ემყარებიან საერთაშორისოსამართლებრივ საფუძვლებს. მათი დაფუძნება დაკავშირებულია გაეროს უშიშროების საბჭოსთან, რომელმაც გაეროს წესდების მე-7 მუხლის საფუძველზე ბალკანეთისა და რუანდის სამოქალაქო ომის დროს მომხდარ შეიარაღებულ კონფლიქტში მოახდინა იურიდიული ინტერვენცია.[18] სამართლებრივად სადაოდ იყო მიჩნეული ექსიუგოსლავიის ტრიბუნალის (ICTY) მართლზომიერება, რომელიც დადასტურდა სააპელაციო პალატის პირველ განაჩენში (1995 წლის 2 ოქტომბერი). იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალების წესდებები შეესაბამებიან საერთაშორისოსამართლებრივ სეკუნდარულ სამართალს.

საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჩატარებული პროცესით. ყოფილი იუგოსლავიისა (ICTY) და რუანდის (ICTR) ტრიბუნალები ასევე ახორციელებენ მართლმსაჯულებას საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის ნორმებით, ამიტომ ორივე *ad hoc* ტრიბუნალის საპროცესო წესები ჩართულია საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის დეფინიციაში.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტზე, რომლითაც ანგლოამერიკული და კონტინენტურევროპული მართლმსაჯულება განსხვავდება ერთმანეთისაგან. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებით ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს არა აქვთ არავითარი სავალდებულო ძალა

18 ცნება „იურიდიული ინტერვენცია" გამოყენებულია როგემანის მიერ. იხ. Roggemann, Der Internationale Strafgerichtshof, 1994, 8.

სასამართლო გადაწყვეტილების ანგლოამერიკული პრეიუდიციული მნიშვნელობის გაგებით. სხვათა შორის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომის სტატუტის 21-ე მუხლის მე-2 აბზაციდან გამომდინარე, კონტინენტურევროპულ მოდელზეა აგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის საკუთარი გადაწყვეტილებებიც კი არ არის სავალდებულო სხვა საქმის განხილვის დროს. ფაქტობრივად, საერთაშორისო სასამართლო თავის მომავალ გადაწყვეტილებებში გამოიყენებს ორივე წინამორბედის გამოცდილებას. რომის სტატუტის მე-13 (ბ) მუხლიდან გამომდინარე, არ არის მოსალოდნელი ახალი *ad hoc* ტრიბუნალების შექმნა, რადგან უშიშროების საბჭოს შეუძლია, ამის ნაცვლად ICC გამოიყენოს როგორც ინსტიტუციონალიზებული *ad hoc* ტრიბუნალი. სტატუტის კანონმდებლის ნებიდან გამომდინარე, გაეროს ყველა წევრი ქვეყნის სასამართლოს იურისდიქციაში შესვლის შემდეგ, მე-13 მუხლის (ა) და (ც) აბზაცების მიხედვით, უშიშროების საბჭოს მიერ პროცესის გახსნის შესაძლებლობის კომპეტენცია ზედმეტი გახდება. გარკვეული დროის შემდეგ შესაძლებელია, საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის მონოპოლიზაცია სისხლის სამართლის საერთაშორისო მუდმივმოქმედმა სასამართლომ მოახდინოს, ვინაიდან ის შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ზესახელმწიფოებრივი ორგანო.

III. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მნიშვნელობა საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლისათვის

საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის ცნების ჩამოყალიბების შემდეგ საჭიროა, დადგინდეს მისი მიმართება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. ამასთან, აუცილებელია, აღინიშნოს ადამიანის უფლებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლისათვის. როგორია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლებრივი სავალდებულოობა და ფაქტობრივი ზეგავლენა საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესზე? უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ადამიანის უფლებათა ცალკეული პრობლემები რომის სტატუტის მიხედვით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებებთან შეთავსებადობის კუთხით.

1. ადამიანის უფლებათა მნიშვნელობა საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესისათვის

ა) ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობა

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებათა ორმაგი ზეგავლენა საერთაშორისო სისხლის სამართალზე. ერთი მხრივ, ადამიანის უფლებები ქმნიან ინტერნაციონალური სამართლებრივი სიკეთეების დაცვის მატერიალურ შინაარსს. სწორედ ადამიანის უფლებათა განსაკუთრებით მძიმე დარღვევები ინდივიდების, კონკრეტული ფიზიკური პირების მიერ, არის დასჯადი. ასეთი დაცვა, ბუნებრივია, შეიძლება მხოლოდ ეფექტიანი იყოს, თუ ის ასევე შესრულდება, ე.ი. თუ სისხლის სამართლის ნორმები აღსრულდება. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვა მოითხოვს ასევე შესრულების ეფექტური მექანიზმების არსებობას. თუ საკითხს ამ კუთხით შევხედავთ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით სავალდებულო იყო.

საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების პროცედურაც კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან. თვით უმძიმესი დანაშაულის გამოძიება და მისი ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელება როდი შეიძლება ნებისმიერი საშუალებით. სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება, თავის მხრივ, შეზღუდულია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ნორმებით, რომლებიც ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის სასიკეთოდ მოქმედებს. საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესი იმ ადამიანთა უფლებების დაცვის ქარტიაა, ვისაც ბრალი ედება საერთაშორისო სისხლის სამართლით დასჯადი უმძიმესი დანაშაულის ჩადენაში. ისევე როგორც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოების ნაციონალურ სისხლის სამართლის პროცესებში, აქაც მოქმედებს *in dubio pro reo*-ს, ანუ ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის, პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ასევე გამორიცხულია პასუხისმგებლობა კოლექტიური ბრალის პრინციპის

გამოყენებით, ვინაიდან პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გარეშე არ შეიძლება განხორციელდეს მართლმსაჯულება თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით.

სწორედ ეს ფენომენი, რომელიც გულისხმობს ადამიანის უფლებათა ზეგავლენას ორმხრივად, კარგად არის ცნობილი ნაციონალური სისხლის სამართლის სისტემიდან. ადამიანის სიცოცხლის უფლება, რომელსაც იცავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველი აბზაცი ან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი, ასევე სისხლისსამართლებრივად დაცულია, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლებით. სახელმწიფოებზე შეიძლება მოხდეს ზემოქმედება ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმით იმის გამო, რომ მათ სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით ეფექტიანად ვერ დაიცვეს ადამიანის უფლებები. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთერთი ახალი გადაწყვეტილება საქმეზე — *„პრეტი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“*. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაციონალური სახელმწიფო ვალდებულია, ადამიანთა უფლებების დასაცავად შექმნას და აღასრულოს ეფექტიანი სისხლის სამართლის სისტემა.

ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, სახელმწიფო ვალდებულია, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, სისხლისსამართლებრივად დევნილი ნებისმიერი პირის პატივი და ღირსება დაიცვას, მის მიმართ არ განახორციელოს ტანჯვა, წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და იგი ობიექტურად და მიუკერძოებლად, საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის დაცვით გაასამართლოს. ადამიანის უფლებათა დაცვის კონცეფციების განვითარების ისტორიული პროცესიდან გამომდინარე, ეს ასპექტი თავიდანვე იყო საყურადღებო. ხელისუფლების მხრიდან თვითნებობა სისხლის სამართლის პროცესში, განსაკუთრებით კი უკანონო დაკავება-დაპატიმრების დროს, ჯერ კიდევ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში შემუშავებულ პირველსავე დოკუმენტებში იყო ყურადღების ცენტრში. დღეს თავისუფლებისა და უსაფრთხოების, ისევე როგორც საქმის სამართლიანი განხილვის უფლების პრინციპი მოცემულია ყველა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისოსამართლებრივ აქტში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. შეგვიძლია დავასახელოთ: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10,

მე-11 მუხლები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14, მე-15 მუხლები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5, მე-6 მუხლები, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლი, ისევე როგორც ადამიანისა და საერთაშორისო უფლებების აფრიკული ქარტიის მე-7 მუხლი. გლობალური გამოყენების სფეროში ამ დებულებას არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა, რადგან არა-მარტო დიქტატორული სახელმწიფოები ახდენენ სისხლის სამართლის დევნისა და მართლმსაჯულების ორგანოების ინსტრუმენტალიზაციას საკუთარი არასამართლებრივსახელმწიფოებრივი მიზნებისათვის, რითაც არღვევენ საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. თუ გადავხედავთ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და კომისიის გადაწყვეტილებებს, დავინახავთ, რომ ეს პრინციპი ირღვევა ასევე ევროპის საბჭოს წევრ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოებში.

ბ) ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართალი

საერთაშორისო სისხლის სამართალში დღეისათვის ასეთი მდგომარეობაა: მატერიალური საერთაშორისო სისხლის სამართალი იცავს ადამიანის უფლებებს (გენოციდი; ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა, რომელიც ცნობილია ომის დანაშაულის სახელწოდებით) და მშვიდობას (გენოციდი; აგრესიული ომის აკრძალვა). საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი აღიარებულია როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში *lex specialis* შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ამ დაცვის განხორციელება გულისხმობს დევნილი ინდივიდის დაცვის საჭიროებას, რომელიც სისხლისსამართლებრივ დევნას განიცდის, რის გამოც არის საშიშროება, ხელყონ მისი უფლებები. საქმე ისაა, რომ სისხლისსამართლებრივად დევნილი ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი დაცვა არ არის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სუვერენიტეტის შეზღუდვა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ნორმების გამოყენების პირდაპირი ადრესატია. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოები არიან ვალდებულნი, დაიცვან ადამიანის უფლებები. ასევე საერთაშორისო სასამართლოს აქვს პირდაპირი სამართლებრივი კავშირი ადამიანის უფლებების დაცვასთან.

იგი ვალდებულია, დაიცვას ეს უფლებები პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება იმაზე აპელირება, რომ საქმე გვაქვს უმძიმესი დანაშაულების გამოძიებასა და უმძიმეს დამნაშავეებთან. საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებით განუხრელად უნდა იქნეს დაცული ფუნდამენტური პრინციპი, რომ საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართალი არის უფლებათა დაცვის ქარტია.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლებრივი სავალდებულოება

ა) უშუალო სავალდებულო ძალა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უშუალო კავშირის დასადგენად ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან აუცილებელია ისეთი ფორმალობის არსებობა, როგორიცაა სასამართლოს წევრობა ევროპის საბჭოში, რაც არ არის დამახასიათებელი არც საერთაშორისო სასამართლოსა და არც ორივე ტრიბუნალისათვის. სხვათა შორის, არც დასმულა ამის შესაძლებლობისა და საჭიროების საკითხი. ძნელად წარმოსადგენია უნივერსალური მართლმსაჯულების ორგანოს ადამიანის უფლებათა დაცვაზე კონტროლის მიზნით შექმნილი ერთ-ერთი რეგიონალური ინსტიტუციის ზედამხედველობის ქვეშ მოქცევა. ძნელი წარმოსადგენია და შეუძლებელიცაა ასეთ ზედამხედველობაზე შეთანხმების მიღწევა.

მიუხედავად ამისა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ორჯერ ჰქონდა შეხება ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალთან.

პირველ შემთხვევაში საქმე ეხებოდა საჩივარს საქმეზე — *სლობოდან მილოშევიჩი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, რომელიც დაუშვებლად იქნა მიჩნეული, რადგან არ იყო შესრულებული მისაღებობის წინაპირობები. კერძოდ, სასამართლომ საქმე არ მიიღო განსახილველად, რადგან ჩათვალა, რომ არ იყო გამოყენებული ყველა ნიდერლანდური შიდასამართლებრივი გასაჩივრების საშუალება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის გაგებით. მილოშევიჩმა გაასაჩივრა თავისი დაპატიმრების გადაწყვეტილება ტრიბუნალისათვის წარსადგენად შემდეგ არგუმენტზე დაყრდნობით: მისი გადაცემა ჰააგისათვის მოხდა იუგოსლავიის სამართ-

ლის დარღვევით, ტრიბუნალი არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი აბზაცის გაგებით და რომ მას, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, იცავდა იმუნიტეტი. ჰააგის მიწის სასამართლომ უარყო საჩივარი იმაზე მითითებით, რომ ნიდერლანდების სამეფომ თავისი მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის ბრალდებულთან მიმართებით მართლზომიერად საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცა, რის გამოც ჰააგის მიწის სასამართლო ამ საჩივრის განხილვისათვის უფლებამოსილი არ იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჩივარი ერთხმად ცნო მიუღებლად იმაზე მითითებით, რომ შიდასახელმწიფოებრივი გასაჩივრების საშუალება არ იყო ამოწურული, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გასაჩივრებას.

დროის თვალსაზრისით უფრო ადრეულ პროცესში — *მლადლენ ნალეტილიჩი ხორვატიის წინააღმდეგ* — საჩივარი ცნობილ იქნა მიუღებლად, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. საჩივრის ავტორი გამოდიოდა ხორვატიის მიერ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის წინააღმდეგ. მომჩივანი მიუთითებდა, რომ გადაცემით მის მიმართ ხორვატიაში მიმდინარე პროცესის გონივრულ ვადაში დამთავრება შეუძლებელი იყო, რითაც ირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომ ტრიბუნალი არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო და რომ დარღვეული იყო *nullum crimen*-ის პრინციპი, რადგან მას ტრიბუნალის მიერ გასამართლების შემთხვევაში უფრო მაღალი სასჯელის შეფარდება ელოდებოდა, ვიდრე ხორვატიაში.

საჩივრის პირველ პუნქტთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ტრიბუნალის მიერ პროცესის წარმართვის შემთხვევაში, ამ ტრიბუნალის წესდების მე-10 მუხლიდან გამომდინარე, ხორვატიაში იგივე პროცესი არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, რის გამოც პროცესის არასასურველი გაჭიანურება ხორვატიაში ვერ მოხდებოდა. გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს სამართლიანი განხილვის უფლების შესაძლო დარღვევის გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშკარად მოსალოდნელია, რომ მოხდება ამ უფლების დარღვევა გადაცემის შემდეგ ჩასატარებელ პროცესში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა,

რომ ასეთი შემთხვევა ტრიბუნალთან მიმართებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მომხდარიყო. რაც შეეხება *nulum crimen*-ის პრინციპს, ამ საკითხზე სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტზე.

ორივე ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ იყო მცდელობა, მიღწეულიყო ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონტროლის განხორციელება. თავის მხრივ, ევროპული სასამართლო მკაცრად ემყარება ფორმალურ კრიტერიუმებს და ახორციელებს თვითდაცვის პოლიტიკას, რათა არ წარმოიშვას მისი პოლიტიზაციის საშიშროება. თეორია და პრაქტიკა ცალსახად გვიჩვენებს, რომ საჩივრის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების წინააღმდეგ და ამით იგი მხოლოდ არაპირდაპირ შეიძლება იყოს მიმართული საერთაშორისო მართლმსაჯულების პროცესის წინააღმდეგ.

ბ) კონვენციის გამოყენების სავალდებულოობა რომის სტატუტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით

რომის სტატუტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი სამართლის წყაროები სამ საფეხურად არის წარმოდგენილი:

პირველ რიგში, სასამართლო ხელმძღვანელობს საკუთარი წესდებით, გარდა ამისა, ისეთი დამხმარე დოკუმენტებით, როგორებიცაა: „დანაშაულთა ელემენტები“ და „პროცედურისა და მტკიცების წესები“. სამართლებრივი კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სტატუტის ნორმებს, როგორც ეს პირდაპირ არის მითითებული სტატუტის 51-ე მუხლის მე-5 პუნქტში.

მეორე საფეხურზე დგას საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოყოფილია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. ამასთან, მეორე საფეხურის გამოყენება გარკვეულ პირობებს ექვემდებარება, კერძოდ, სასამართლომ, შესაბამის შემთხვევაში, საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენება უნდა მიიჩნიოს საჭიროდ. გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა ამ შემთხვევაში აქვს თვით სასამართლოს. აქედან გამომდინარე, თუ რომელი

საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულება უნდა იქნეს გამოყენებული, სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი სამართლებრივი საკითხია. მკაცრი ინტერპრეტაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია შეიძლება არ მოექცეს საერთაშორისო სასამართლოს გამოყენების სფეროში, ვინაიდან შესაძლებელია, რომ მოქმედების სუპრანაციონალური ძალის მქონე კონვენცია საერთაშორისო სასამართლოს წინაშე პროცესის წარმართვის დროს არ იქნეს გამოყენებული მისი რეგიონალური თვისების გამო, რადგან საერთაშორისო სასამართლო, რომლის ტერიტორიული მოქმედების სფერო უფრო ფართოა, არ არის ამ ხელშეკრულების მონაწილე. მსგავსი არგუმენტები შეიძლება იქნეს მოყვანილი ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიმართაც. მაშასადამე, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტები, რომლებიც რომის სტატუტის 21-ე მუხლში ექსპლიციტურად არ არიან მითითებული, ფორმალურად ამის გამო არ იქნეს გამოყენებული საერთაშორისო სასამართლოს პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. ეს ხშირად აღინიშნება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სადავოდ მიიჩნევა. ნაცვლად იმისა, რომ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალზე იყოს საუბარი, უკეთესია, ადამიანის უფლებები სამართლის პრინციპებად იქნეს მიჩნეული. როგორც ასეთი, ისინი რომის სტატუტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის (ბ) აბზაცში თანაბარ რანგშია მოხსენიებული ხელშეკრულებით სამართალთან ერთად. ამით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იქნებოდა საერთაშორისო სასამართლოსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო საერთაშორისო სამართლის პრინციპების დასადგენად.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: ომის დამნაშავე ა. დაკავებულ იქნა გერმანიაში საერთაშორისო სასამართლოს დაკავების ორდერის საფუძველზე. ვინაიდან დაგეგმილი იყო მისი დაუყოვნებლივი გადაცემა საერთაშორისო სასამართლოსათვის, იგი არ იქნა წარდგენილი გამოძიების მოსამართლისათვის. ერთკვირიანი დაკავების შემდეგ ის გადასცეს ჰააგის სასამართლოს, სადაც მას განემარტა თავისი უფლების შესახებ, რომ შეუძლია, სტატუტის მე-60 მუხლის შესაბამისად, შეიტანოს შუამდგომლობა პატიმრობიდან განთავისუფლების თაობაზე. შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე გამოძიების პალატამ ერთი მოსამართლის

შემადგენლობით (რომის სტატუტის 57-ე მუხლის მე-2 აბზაცი) დაადგინა, რომ წინასწარი პატიმრობის წინაპირობები, სტატუტის 58-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, სახეზეა, რის გამოც უარი თქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე (რომის სტატუტის მე-60 მუხლის პირველი აბზაცი). რაც სტატუტის მე-60 მუხლის პირველ აბზაცში არ არის გათვალისწინებული, არის ის, რომ დაპატიმრების კანონიერების ავტომატური გადამოწმება არ ხდება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 აბზაცი ითვალისწინებს ასეთ ავტომატურ *habeas corpus*-პროცესს, როგორც ადამიანის უფლებას. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, *habeas corpus*-განაცხადი რომის სტატუტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის (ბ) აბზაცის მიხედვით დაუშვას ან სტატუტის მე-60 მუხლს გაუკეთოს ისეთი ინტერპრეტაცია, რომ დაკავების მართლზომიერების გადამოწმება ყველა შემთხვევაში სავალდებულოა.

გ) ინტერპრეტაციის სავალდებულო ძალა რომის სტატუტის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით

რომის სტატუტის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია, სტატუტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გამოსაყენებადი სამართლის ინტერპრეტაციის დროს, ე.ი. სტატუტის და „პროცედურისა და მტკიცებათა წესების" გამოყენების დროს, გაითვალისწინოს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა შინაარსი. მაშასადამე, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი შეიცავს ვალდებულებას, გამოსაყენებელი სამართალი ინტერპრეტირებულ იქნეს ადამიანის უფლებათა შესაბამისად (კონფორმულად). ეს დებულება რომის კონფერენციაზე არ ყოფილა სადავო. სასამართლოს ასეთი ვალდებულება ფართო ასპარეზს უთმობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას. მართალია, რომის სტატუტის 21-ე მუხლში ექსპლიციტურად არ არის მითითებული ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ აქტებზე, მაგრამ ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის უძველესი და ათწლეულების მანძილზე წარმატებით მომუშავე რეგიონალური დოკუმენტია. აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, იგი არის ცალკეული უფლებების შეცნობადობისა და მათი კონკრეტული შინაარსის გარკვევის უმნიშვნელოვანესი წყარო.

რომის სტატუტის ნორმების ინტერპრეტაციის აუცილებლობა უდავოა. იგი შეიცავს რუდიმენტულ საპროცესო ნორმებს. მაგალითად, სტატუტის 67-ე მუხლში მოცემულია ბრალდებულის უფლებების ჩამონათვალი, რომლის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს კანონის ახსნა-განმარტების სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. თვით სტატუტში მოცემულია შემოწმების მასშტაბი. გარდა პროცედურისა და მტკიცებათა წესებისა, კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რადგან მათში არაერთ კითხვაზეა პასუხი გაცემული.

სასამართლოს მიერ გამოსაყენებადი სამართლის ადამიანის უფლებათა კონფორმულად ინტერპრეტაციის მოთხოვნა გამომდინარეობს იმ დებულებებიდან, რომლებიც ეხებაშოსამართლეთა კვალიფიკაციას (სტატუტის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის ბ(ii) აბზაცი). ამ ნორმის მიხედვით, სასამართლოს მოსამართლეები უნდა იყვნენ კომპეტენტურნი ან სისხლისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროში, ან საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან სფეროებში, განსაკუთრებით, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში ან ადამიანის უფლებათა სამართალში. პროპორცია ამ ორივე კვალიფიკაციის სფეროებს შორის არის, სტატუტის 36-ე მუხლის მე-5 აბზაცის მიხედვით, 9:5. მოსამართლეთა პერსონალის განაწილების დროს სხვადასხვა პალატაში სტატუტი არ ითვალისწინებს პროპორციას, სტატუტის 39-ე მუხლის პირველ აბზაცში ლაპარაკია მხოლოდ გონივრულ კომბინაციაზე ექსპერტებისა სისხლის სამართლისა და პროცესის და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს შორის, ამასთან, წინასწარი გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეები უპირატესად სისხლის სამართლის სფეროში გამოცდილების მიხედვით არიან წარმოდგენილნი.

IV. ადამიანის უფლებათა კონვენციის ფაქტობრივი ზეგავლენა

ა) ევროპული სისტემის მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა გლობალური დაცვისათვის

სტრასბურგის სისტემა ყველაზე უფრო ეფექტიანია ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ იგი არის უძველესი იურიდიული სისტემა, ხოლო, მეორე მხრივ, აერთიანებს მრავალ

ქვეყანას. ევროპის საბჭოს ჰყავს 46 წევრი სახელმწიფო, ხოლო ინტერ-ამერიკული ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისდიქცია აღიარებული აქვს მხოლოდ 25 სახელმწიფოს. რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია დაარსდა ჯერ კიდევ 1948 წლის 30 აპრილს ბოგოტაში, მაგრამ იურიდიული ნორმა სასამართლოს დაარსების შესახებ ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში შეიქმნა მხოლოდ 1969 წლის 22 ნოემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს.

მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმის რატიფიკაციისა და მასთან დაკავშირებული რესტრუქტურიზაციის შედეგად ნორმალურ სასამართლოდ გადაიქცა. იგი არის მეტად თავისთავადი და ერთჯერადი ორგანო. სწორედ ამის გამო მისი კომპეტენცია ადამიანის უფლებათა დამცველი დებულებების ინტერპრეტაციის დროს საერთაშორისოდ აღიარებულია.

კონვენციას აქვს სამი მუხლი, რომელთაც სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს არის, ჯერ ერთი, მე-5 მუხლი, რომელიც ეძღვნება თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, მე-6 მუხლი, რომელიც საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პროცესუალურ დებულებებს შეიცავს და მე-7 მუხლი, რომელიც ეძღვნება *nullum crimen, nulla poena sine lege*-ს პრინციპს. ასევე მნიშვნელოვანია მე-3 მუხლი, რომელიც კრძალავს წამების, არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენებას. კონვენციის მე-13 მუხლით კი გარანტირებულია ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება ეროვნული ხელისუფლებისაგან. სასამართლოს აქვს უზარმაზარი პრაქტიკა საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან დაკავშირებით.

ბ) ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალების პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია *ad hoc* ტრიბუნალების სასამართლო პრაქტიკაში არ ასრულებს უმნიშვნელო როლს. რამდენიმე განაჩენში მოსამართლეები შეეცადნენ, მითითება გაეკეთებინათ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე და ამით დაესაბუთებინათ

თავიანთი პოზიცია. ისინი ასევე ეყრდნობიან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ინტერპრეტაციას და ნაციონალური სახელმწიფოების მნიშვნელოვან სასამართლო პრაქტიკას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონვენციას ადვოკატთა საქმიანობაში. ისინი საჩივრებსა და შუამდგომლობებში ხშირად ეყრდნობიან სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. გვსურს, ამ პროცესის დინამიკა იუგოსლავიის ტრიბუნალის აპელაციის პრაქტიკიდან სამი მაგალითით იქნეს ილუსტრირებული.

1. ტადიჩის შემთხვევა

ტადიჩის შემთხვევაში დაცვის მხარემ მიუთითა *fair trial*-ის პრინციპის („საქმის სამართლიანი განხილვის უფლება") დარღვევაზე და ამასთან დაკავშირებით მოითხოვა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა, რადგან, დაცვის მტკიცებით, სასამართლოსთან ნაკლები კოოპერაციის სურვილის გამო, სერბეთის რესპუბლიკის მხრიდან დაცვისათვის სასურველი ინფორმაციისა და მტკიცებულებათა მოპოვება არ იყო შესაძლებელი. იმის მტკიცებულებად, რომ ექს-იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდების 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამ პრინციპს შეიცავს, დაცვა მიუთითებდა სტრასბურგის ორგანოების გადაწყვეტილებებზე. ამ ფუნდამენტური პროცესუალური პრინციპის შინაარსი გახდა სადავო. დაცვა მოითხოვდა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში ყურადღება მიქცეული უნდა ყოფილიყო აგრეთვე ბრალდების სამსახურისა და სასამართლოს უშუალო ზეგავლენის სფეროს გარეთ არსებულ გარემოებებზე. მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს უნდა ჰქონოდა არა მხოლოდ ფორმალური პროცესუალურსამართლებრივი მნიშვნელობა, არამედ გააზრებული უნდა ყოფილიყო მატერიალურად. გარდა ამისა, დაცვა დავობდა იმის შესახებ, რომ სტატუტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის (ბ) აბზაცის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ბოსნიურ-სერბიული ორგანოების არაკოოპერაციული თანამშრომლობის გამო, დაცვის მხარეს პროცესისათვის მოსამზადებლად არასაკმარისად გონივრული დრო მიეცა.

ამ პუნქტზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიღების დროს იუგოსლავიის ტრიბუნალის სააპელაციო პალატა fair trial-ის პრინციპის 21-ე მუხლის მიხედვით ინტერპრეტაციის დროს, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის გადაწყვეტილებებს, ე.ი. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის ინტერპრეტაციას და უთითებს კონვენციის შინაარსობრივად იდენტურ ნორმაზე.

აქ საინტერესოა ორი ასპექტი: (1) იუგოსლავიის ტრიბუნალი თავის ნორმებს ინტერპრეტაციას უკეთებს ადამიანის უფლებათა აქტების ანალოგიური ნორმების მეშვეობით და (2) ამ ინტერპრეტაციის დროს ყურადღებას ამახვილებს ამ საერთაშორისო აქტების შესრულების დროს ზედამხედველი ორგანოების მიერ გაკეთებულ ტექსტობრივ ახსნა-განმარტებებზე.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასარკვევია, ხომ არ არის იმის სათანადო საფუძველი, რომ საერთაშორისო სასამართლოს ან ტრიბუნალის შესაბამისი მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოხდეს გადახვევა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი აქტების კომენტარებიდან და პრეცედენტული სამართლის მაგალითებიდან.

იმისათვის, რათა პასუხი გაეცეს კითხვას, თუ როგორია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის მოცულობა, ტრიბუნალის სააპელაციო პალატა ეფუძნება ისევ ადამიანის უფლებათა სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის გადაწყვეტილებებს.

საქმეზე — *დომბო ბეჰეერი ნიდერლანდების წინააღმდეგ* — ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა, რაც გამომდინარეობდა იქიდან, რომ საჩივრის შემტანის ერთადერთი პირდაპირი მოწმე არ იქნა დაკითხული, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის მოწმე დაიკითხა. სასამართლოს გადაწყვეტილებებში ცალმხრივად პრეცედენტული პოზიცია არ არის გამოკვეთილი. ექს-იუგოსლავიის ტრიბუნალმა დაადგინა კონკრეტული განსხვავება ნაციონალურ სასამართლოებთან შედარებით: ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალი არის ინტერნაციონალური სასამართლო, რომელსაც არა აქვს საკუთარი აღსრულების ორგანოები და დამოკიდებულია ნაციონალური სახელმწიფოების თანამშრომლობაზე, თავისი წესდების 29-ე მუხლიდან გამომდინარე. ამის შესაბამისად, სააპელაციო პალატას აქვს პოზიცია, რომ ნაციონალურ პრაქტიკასთან შედარებით მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს „more liberal interpretation" მისცეს. ეს ნიშნავს იმას, რომ პირველი ინსტანციის პალატაში პროცესის დროს, მტკიცებულებების ძნელად მისაწვდომობის შემთხვევაში, სასამართლომ მხარეებს უნდა გაუწიოს

დახმარება. ამისათვის არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი შესაძლებლობა. მას შეუძლია, გააგზავნოს მოწვევები, მოუწოდოს ნაციონალურ სახელმწიფოებს სამართლებრივი დახმარებისა და თანამშრომლობისაკენ, უზრუნველყოს მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვა და ჩაატაროს სხვა მსგავსი მოქმედებები, მათ შორის, გადადოს პროცესი, სანამ არ აღმოიფხვრება წინააღმდეგობები და პრობლემები პროცესის ჩატარებასთან დაკავშირებით. ამ გზით შეიძლება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებისათვის ხელის შეწყობა. ასეთ შემთხვევაში დაცვის მხარეს შეუძლია ამტკიცოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, მიუხედავად შესაბამისი შუამდგომლობის დაყენებისა, დაცვას არ გაუწია აუცილებელი დახმარება. ტადიჩის შემთხვევაში განსასჯელის დაცვამ ასეთი პოზიცია ვერ დაასაბუთა, რის გამოც აპელაცია უარყოფილ იქნა.

2. ანტო ფურუნდზიჯას შემთხვევა

სააპელაციო პალატაში ფურუნდზიჯას საქმესთან დაკავშირებით საკითხი ეხებოდა იმას, ხომ არ დაირღვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს პრინციპი. ამ საჩივრის ქვეტექსტი ასეთი იყო: მოსამართლე მუმბა იუგოსლავიის ტრიბუნალამდე, როგორც ზამბიის წარმომადგენელი, მუშაობდა გაეროს კომისიაში ქალთა სტატუსის საკითხებზე. მისი ამოცანა იყო ქალთა უფლებების დაცვა, მაშინ, როდესაც ბრალდებული ფურუნდზიჯა სამართლდებოდა ერთ-ერთი მუსლიმანი ქალის გაუპატიურების ბრალდებით. სააპელაციო პალატას უნდა გადაეწყვიტა, არსებობდა თუ არა ამ მოსამართლის მიმართ აცილების საფუძველი. სიტუაცია ცოტათი ჰგავს ლორდ ჰოფმანის შემთხვევას საქმეზე — *პინოჩეტი ინგლისის ლორდთა პალატის წინააღმდეგ*.

შეიძლებოდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო მიუკერძოებლობის პრინციპი, რომელიც, დამოუკიდებლობის ინსტიტუციური და ფუნქციური პრინციპისაგან განსხვავებით, გულისხმობს მოსამართლის თავისუფლებას წინასწარ აკვიატებული პოზიციისაგან. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ მოსამართლის მიუკერძოებლობაზე არც იუგოსლავიის წესდებასა და არც საპროცესო წესებში სპეციალურად მითითებული არ არის. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მართლმსაჯულების განხორციელების არსია. სააპელაციო პალატა ორიენტაციას აკეთებს იუგოსლავიის წესდების

21-ე მუხლის პირველ პუნქტზე და მის ინტერპრეტაციას ახდენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით. ორივე ეს ნორმა ლაპარაკობს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს შესახებ. სააპელაციო პალატა ნორმის ინტერპრეტაციის საფუძვლად იყენებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, სხვადასხვა ნაციონალური სახელმწიფოს სასამართლო პრაქტიკას და გვთავაზობს ორმაგ ტესტს: დარღვევა სახეზეა, თუ არსებობს ფაქტობრივი მტკიცებულებები, რომ მოსამართლე მიკერძოებულია, ან იგი წარმოშობს შეხედულებას, რომ მას წინასწარ უკვე აქვს აზრი ამ საქმეზე. ამ ინტერპრეტაციის საბაბი არის, განსაკუთრებით, ინგლისურ სამართალში ცნობილი პრინციპი: „Justice must not only be done but must be seen to be done". სააპელაციო პალატამ უარყო აპელაციის საფუძველი და მიუთითა არგუმენტზე, რომ მოსამართლე მუმბა UNCSW-ს წევრი იყო როგორც თავისი ქვეყნის წარმომადგენელი და არა თავისი პირადი ინტერესების გამო აქტიურობდა.

3. დელალიჩის შემთხვევა

დელალიჩის შემთხვევაში სააპელაციო პალატას უნდა გადაეწყვიტა საკითხი, რომელიც ხშირად არის ნაციონალური სასამართლო ორგანოების განსჯის საგანი, მაგრამ დღემდე, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ევროპულ სასამართლოს არ უმსჯელია მასზე — ესაა მძინარე მოსამართლე. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო სხვადასხვა ნაციონალური სახელმწიფოს გამოცდილებას (გერმანია, კანადა, ამერიკის შეერთებული შტატები) და მიიჩნია: უპირველეს ყოვლისა, უნდა დამტკიცდეს, რომ შესაბამის მოსამართლეს ნამდვილად ეძინა. როგორც მტკიცებულება, წარდგენილ იქნა არაერთი ვიდეოკასეტა, რომელზეც სააპელაციო სასამართლომ ვერ ნახა გადაბმულად მძინარე მოსამართლე. საკითხი ეხებოდა 1932 წელს დაბადებულ მოსამართლეს კარიბი-ვიტეს, რომელიც 1993 წლიდან მოღვაწეობდა ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალში, ხოლო 1998 წელს ისევ თავისი მშობლიური ნიგერიის უზენაეს სასამართლოში დააბრუნეს. მას პროცესის მიმდინარეობის დროს ეძინებოდა და ეს შეიძლებოდა 30 წუთს გაგრძელებულიყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მხარეები ძალზე დიდხანს აწარმოებდნენ მოწმეთა დაკითხვებს. ტრიბუნალს უნდა

გადაეწყვიტა, ხომ არ დაირღვა საქმის სამართლიანი მოსმენის უფლება. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ასეთი ქმედებების მოთმენა შეუძლებელი იყო. მოსამართლის ჩვეულებრივი უყურადღებობა არ შეიძლება ჩაითვალოს ავტომატურად განაჩენის გაუქმების საფუძვლად. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ მნიშვნელოვანი მტკიცებულების გამოკვლევა გამოტოვა.

V. რომის სტატუტის პროცესუალური საკითხები

განსხვავებით ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის *ad hoc* ტრიბუნალებისაგან, რომელთა სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება და საპროცესო სამართლის განვითარება ამ სასამართლოების მოსამართლეებზეა მინდობილი, რომის სტატუტი თვითონ შეიცავს შედარებით დეტალურ პროცესუალურ დებულებებს. სახელმწიფოთა უმრავლესობის პოზიციით, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ფუნქციაა, თვითონ დაადგინონ სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს პროცესის ძირითადი დებულებები. ასე მაგალითად, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა თვით სტატუტით დაადგინეს ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) ძირითადი უფლებები საერთაშორისო სასამართლოს პროცესში. ასევე მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომ წინასწარ დაედგინათ, თუ როგორია ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მონაწილეობის ფარგლები საერთაშორისო სასამართლოს პროცესში. ასევე საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოს დაარსების დროს, რომელსაც უნივერსალურობის პრეტენზია აქვს, უნდა მიღწეულიყო, რომ პროცესუალური წესები მსოფლიოს ყველა დიდი სამართლებრივი ტრადიციების სამართლებრივ წარმოდგენათა შესაბამისი ყოფილიყო.

გარდა იმ პროცესუალური დებულებებისა, რომლებიც მოცემულია სტატუტის მე-2 ნაწილში გამოძიების დაწყების შესახებ, საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესუალური საკითხები, ძირითადად, მოწესრიგებულია სტატუტის მე-5, მე-6 და მე-8 ნაწილებში. ამ პროცესუალური წესების დამუშავების დროს, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ერთმანეთს დაუპირისპირდა ანგლოსაქსური common law სივრცე და კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ტრადიციები. დისკუსიების პროცესში გამოვ-

ლინდა, რომ ეს ორი დიდი სამართლებრივი სისტემა არ წარმოადგენს ორ დამოუკიდებელ, ერთმანეთისაგან სრულიად იზოლირებულ დახურულ ბლოკს. უფრო მეტიც: ამ ტრადიციების შიგნით, მართალია, არსებობს ბევრი ურთიერთგანსხვავებული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის პროცესის სისტემა, მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ, მიუხედავად ამ ორი სისტემის პროცესუალურ პრინციპებს შორის განსხვავებისა, თითოეული პროცესუალური წესრიგი ერთსა და იმავე მიზანს ისახავს: ჩატარდეს სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმის გარემოებათა რაც შეიძლება ობიექტურად და მიუკერძოებლად გამოძიებას, რა თქმა უნდა, ბრალდებულის ძირითადი უფლებების დაცვით და საპროცესო ეფექტიანობით. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, პროცესის ჩატარების შედეგად ჩამოყალიბდეს ისეთი განაჩენი, რომელიც, საკუთარი სამართლებრივი წარმოდგენების მიხედვით, ერთნაირად გასაგები იქნება როგორც ანგლოამერიკული, ასევე კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის წარმომადგენლებისათვის. ორი *ad hoc* ტრიბუნალის პროცესუალურმა წესებმა ამ პროცესში შეასრულეს ინსპირაციის წყაროს როლი, მაგრამ არ შეიძლებოდა ამ წესების მექანიკური გადმოღება, არამარტო მათი კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციებისაგან გადახვევის გამო.

რომის სტატუტით მიღწეული შედეგი ადვილად შესამჩნევია. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საპროცესო წესები შეიძლება შეფასდეს როგორც ნაყოფი წარმატებული მცდელობისა, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემიდან, განსაკუთრებით common law და civil law სისტემებიდან, გადმოეღოთ საუკეთესო მომენტები, რაც შემდეგ ფუნქციური უნარის მქონე ერთ მთლიან სისტემად უნდა შერწყმულიყო.

სტატუტის მე-5 ნაწილი (53-ე-61-ე მუხლები) აწესრიგებს სისხლის სამართლის საქმის წინასწარ წარმოებას. ამ ეტაპის ჩატარებაზე პასუხისმგებელი, უპირველეს ყოვლისა, ბრალმდებელია. ის ექვემდებარება სამართლებრივ კონტროლს წინასწარი წარმოების პალატის მხრიდან. იმ პირის პროცესუალური უფლებები, ვის მიმართაც ტარდება პროცესი, წინასწარი გამოძიების სახით, გარანტირებულია სტატუტის 55-ე მუხლით. სტატუტის 58-ე და 59-ე მუხლებში აღწერილია დაპატიმრების საფუძვლები და დაპატიმრების პროცესუალური წესი. წინასწარი წარმოება მთავრდება წინასწარი წარმოების პალატის მიერ ბრალდების აქტის (საბრალდებო დასკვნის) დამტკიცებით (61-ე მუხლი).

მე-6 ნაწილი (62-ე-76-ე მუხლები) ეხება სასამართლოს მთავარ პროცესს, რომელიც სისხლის სამართლის საქმის ძირითადი განხილვის სახით ტარდება (63-ე-65-ე მუხლები). ბრალდებულის პროცესუალური უფლებები მოცემულია 67-ე მუხლში. აქვე უნდა აღინიშნოს უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ, რაც მოცემულია 66-ე მუხლში. სტატუტის 68-ე მუხლი ეძღვნება დანაშაულის მსხვერპლისა (დაზარალებულის) და მოწმეების დაცვას და მათ მონაწილეობას პროცესში. მტკიცებულებათა შესახებ ზოგად დებულებებთან ერთად (69-ე მუხლი), 72-ე და 73-ე მუხლები აწესრიგებენ ცალკეულ მომენტებს, რაც დაკავშირებულია სარწმუნო მნიშვნელობის ინფორმაციასთან. განაჩენი შეიძლება ბრალისა და სასჯელის ნაწილში ცალ-ცალკე იქნეს დასაბუთებული (74 და 76 მუხლები). დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ჩატარდეს დამოუკიდებელი პროცესი (75-ე მუხლი). და ბოლოს, სტატუტის მე-8 ნაწილი (81-ე-85-ე მუხლები) შედარებით დიდ შესაძლებლობებს იძლევა აპელაციისა და ახალ გარემოებათა გამო პროცესის ჩატარებისათვის.

VI. საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები

სტატიის მიზანია, განხილულ იქნეს საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, რომელთა გაანალიზებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომის სტატუტთან მიმართებით.

1. გადაცემა და ექსტრადიცია

რომის სტატუტის 102-ე მუხლში მოცემულია განსხვავება „გადაცემასა" და „ექსტრადიციას" შორის. ტერმინი „ექსტრადიცია" გამოიყენება მისი ტრადიციული გაგებით და ნიშნავს პირის გადაცემას ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის საერთაშორისო ხელშეკრულების ან შიდაკანონმდებლობის შესაბამისად; მეორე მხრივ, პირის გადაცემა და წარდგენა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სასამართლოში რომის სტატუტით განისაზღვრება როგორც „გადაცემა". ამით გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც არსებობს, ერთი მხრივ, სახელმწიფოთა ურთიერთობაში განხორციელებულ ექსტრადიციასა, როდესაც სახეზე გვაქვს

ორი თანასწორუფლებიანი და სუვერენული სახელმწიფოს ურთიერთობა და მოქმედება და, მეორე მხრივ, საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემას შორის, რაც ემსახურება პირის წარდგენას ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიერ დაარსებული საერთაშორისო ინსტანციისათვის.

სტატუტი თვითონ ადგენს საერთაშორისო სასამართლოსათვის პირის გადაცემის შიდასახელმწიფოებრივ პროცედურას (59-ე მუხლი). სხვა სახელმწიფოსათვის პირის გადაცემის პროცედურა განისაზღვრება ექსტრადიციის შესახებ სამართლებრივი ნორმებით.

ასეთი გამიჯვნა გაკეთებულია ექსტრადიციის პროცედურისგან განსხვავების მიზნით. საერთაშორისო სასამართლოდან შემოსული თხოვნა არ შეიძლება გათანაბრებული იყოს სახელმწიფოს მხრიდან შემოსულ თხოვნასთან, ხოლო სასამართლოს ურთიერთობა სტატუტის მონაწილე სახელმწიფოსადმი არ თავსდება არსებული მოდელებისა და პროცედურების ჩარჩოებში, რომლებიც მიღებულია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პირის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის პროცედურის საკითხში შემუშავებულ იქნა პრინციპულად სრულიად ახალი დებულებები. სტატუტი ეყრდნობა დროის განმავლობაში ჩამოყალიბებულ პრაქტიკას ექსტრადიციის სფეროში და შორდება მიღებულ კონცეფციებს აუცილებლობის ფარგლებში. ასე რომ, საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც ესა თუ ის პირი შეიძლება არ გადაეცეს მეორე სახელმწიფოს, როგორებიცაა: მოქალაქეობა, იმუნიტეტი, ორმაგი ინკრიმირების პრინციპი, პრინციპი *Ne bis in idem* (იხ. სტატუტის მე-20 მუხლი და 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი), ხანდაზმულობის ვადის გამოყენება და ა.შ., როგორც წესი, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემის დაბრკოლებად.

სტატუტში განხილულია სასამართლოსათვის პირის გადაცემის პროცედურა. გადაცემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დებულებები მოცემულია არა მარტო სტატუტის მე-9 ნაწილში, არამედ, აგრეთვე, მე-5 ნაწილშიც. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლოს მოთხოვნით დაკავებული (დაპატიმრებული) პირი სამართლებრივად სასამართლოს პატიმრობაშიც იმყოფება. ამიტომ გარკვეული უფლებები, როგორიცაა, მაგალითად, დაკავების ორდერის გადასინჯვა, შეიძლება მოხდეს მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს მიერ (59-ე მუხლის მე-2 აბზაცი).

ბრალმდებლის შუამდგომლობით წინასწარი წარმოების პალატა გას-

ცემს დაკავების ორდერს, რომელიც შეიცავს იმ პირის, რომელსაც ეხება მოთხოვნა, სახელს და, შეძლებისდაგვარად, ზუსტ და სრულყოფილ მონაცემებს პიროვნების შესახებ, აგრეთვე კავშირის შესახებ იმ დანაშაულებრივ ქმედებასთან, რომელიც სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება და რის გამოც მოითხოვენ დაკავებას, ასევე უნდა შეიცავდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების მოკლე აღწერას (სტატუტის 58-ე მუხლი).

დაკავების ორდერზე დაყრდნობით, საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოსაგან მოითხოვოს ამ პირის დაკავება (სტატუტის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი). მოთხოვნას უნდა ერთვოდეს ძებნილი პირის აღწერა, რომელიც საკმარისია მისი იდენტიფიკაციისათვის, ისევე როგორც, თუ ცნობილია მონაცემები ადგილის შესახებ, სადაც იგი იმყოფება, დაკავების ორდერის ასლი (შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როცა პირი გასამართლებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, გამამტყუნებელი განაჩენის ასლი, სადაც მოცემულია როგორც ბრალდება, ასევე სასჯელი), ასევე სხვა საბუთები, ახსნა-განმარტებები და ინფორმაციები, რაც აუცილებელია, რათა მოთხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ (სტატუტის 91-ე მუხლი) შეასრულოს სათანადო მოქმედება.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია, გადაცემის მოთხოვნის წარდგენამდე მოითხოვოს ძებნილი პირის დროებითი დაკავება (სტატუტის 92-ე მუხლი). ეს მოთხოვნა შეიძლება გადაიცეს ნებისმიერი საშუალებით, რომელიც შემდგომში იძლევა წერილობითი ჩანაწერის გადაცემის შესაძლებლობას. პიროვნების აღწერასთან ერთად იგი შეიცავს საქმის გარემოებების მოკლე აღწერას, ისევე როგორც ახსნა-განმარტებას, რომ დაკავების ორდერი (ზოგჯერ გამამტყუნებელი განაჩენი) არსებობს და რომ ეს დამატებით იქნება გამოგზავნილი. თუ ეს დოკუმენტები **60 დღის განმავლობაში** დაკავების მომენტიდან არ იქნება გამოგზავნილი, მაშინ შეიძლება პირი პატიმრობიდან გათავისუფლდეს, ამასთან, იმავე პირის ხელმეორედ, მოგვიანებით დაკავება და გადაცემა არ არის გამორიცხული. ეს ვადა რომის კონფერენციაზე იმდენად საკამათო პუნქტი იყო, რომ იქ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი გახდა, რის გამოც სტატუტის 92-ე მუხლის მე-3 ნაწილში ამ ვადის დადგენა პროცედურისა და მტკიცების წესებით განისაზღვრა. მხოლოდ მოსამზადებელი კომისიის ფარგლებში გახდა შესაძლებელი ამ ვადაზე შეთანხმება, რაც

განისაზღვრა 60 დღით. იგი განსხვავდება ევროპის საბჭოს კონვენციის ფარგლებში განსაზღვრული მოკლე ვადებისაგან, რაც აისახა ევროპული ქვეყნების კანონებში: „სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების შესახებ".[19] სასამართლოსათვის გადაცემის ვადა ეფუძნება გამოცდილებას, რომელიც *ad hoc* ტრიბუნალებისათვის იქნა განსაზღვრული.

როგორც კი სახელმწიფო მიიღებს მოთხოვნას, მან მაშინვე უნდა გაატაროს ღონისძიებები, რათა დაკავებულ იქნეს გადასაცემი პირი (სტატუტის 59-ე მუხლის 1-ლი აბზაცი). დაკავებული პირი მაშინვე უნდა წარედგინოს დამკავებელი სახელმწიფოს შესაბამის მართლმსაჯულებას — უფლებამოსილი სასამართლო ხელისუფლების ორგანოს დაკავების ქვეყანაში, რომელიც ადგენს, რომ დაკავების ორდერი ეხება კონკრეტულად დაკავებულ პიროვნებას, მისი სტატუსით და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით გარანტირებული უფლებები დაცულია და იგი, შესაბამისად, დაკავებულ იქნა სათანადო პროცედურის დაცვით (სტატუტის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი). პროცესი შეიძლება შეიკვეცოს, თუ დაკავებული პირი დროებითი დაკავების დროს ეთანხმება გამარტივებულ გადაცემას.

2. დაკავების პროცედურა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აქვს ეჭვმიტანილის სასამართლოსათვის წარდგენის სამი ხერხი:

- დაკავების ორდერის გაცემა (სტატუტის 58-ე, 89-ე და 91-ე მუხლები);

- გადაუდებელ შემთხვევაში წინასწარი დაკავების ორდერის გაცემა, სტატუტის 92-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც მოთხოვნის გამამაგრებელი საბუთი ჯერ მზად არ არის;

- ორდერის გაცემა სასამართლოში გამოცხადების შესახებ (სტატუტის 58-ე(7) მუხლი იმ შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო სასამართლოს წინასწარი წარმოების პალატა დარწმუნდება, რომ ასეთი ბრძანება საკმარისი ზომაა მოცემული პირის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად).

19 მაგალითად: ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ, მე-16 მუხლი; შვეიცარიის კანონი „სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების შესახებ", 50-ე მუხლი ადგენს 18 დღეს, რაც შეიძლება მაქსიმალურად გაგრძელდეს 40 დღემდე.

სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ შეასრულონ ყველა თხოვნა ასეთი დაკავების ჩასატარებლად და თავის ტერიტორიაზე ადრესატს ჩააბარონ ასეთი ორდერი გამოცხადების შესახებ (სტატუტის 59-ე (1) და 89-ე მუხლები).

სასამართლოს დაკავების ბრძანების შესრულება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოსათვის არის სავალდებულო. მას შეუძლია, დაკავების ბრძანება არ გადასინჯოს თვით დაკავებული პირის შუამდგომლობითაც. მას შეუძლია, დაკავების ბრძანება გადასინჯოს მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოში, როგორც კი პირი იქ წარდგენილი იქნება (სტატუტის მე-60 მუხლის მე-2 აბზაცი).

ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება, ამ პირს დაკავების ქვეყანაში მიეცეს შესაძლებლობა, წარადგინოს შუამდგომლობა პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ. მოთხოვნაგადაცემული ქვეყანა იღებს გადაწყვეტილებას; ამასთან, იგი ვალდებულია, წინასწარი წარმოების პალატას მიაწოდოს ინფორმაცია შუამდგომლობასთან დაკავშირებით. წინასწარი წარმოების პალატა მონაწილე სახელმწიფოში რეკომენდაციებს აძლევს სათანადო სამსახურს (სტატუტის 59-ე მუხლის მე-5 აბზაცი). თვით სტატუტი ითვალისწინებს, რომ სავარაუდო დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, გადაუდებელი და არაორდინარული გარემოებების საფუძველზე, შეიძლება პატიმრობიდან დროებითი გათავისუფლება, რაც გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს (59-ე მუხლის მე-4 აბზაცი). ამ დროს სახელმწიფოს უნდა შეეძლოს, საჭიროებისთანავე შეასრულოს თავისი ვალდებულება პირის გადაცემის შესახებ. პატიმრობიდან დროებითი გათავისუფლება უნდა იყოს გამონაკლისი.

3. დაკავების ორდერის გაცემა და აღსრულება

დაკავების ორდერი გაიცემა საერთაშორისო სასამართლოს წინასწარი წარმოების პალატის მიერ პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე (სტატუტის 57-ე და 58-ე (1) მუხლები). დაწვრილებითი ცნობები ასეთი ორდერის გაცემისა და შინაარსის შესახებ, წინასწარ პირობებთან დაკავშირებით, მოცემულია სტატუტის 58-ე (1)-(3) მუხლში. წინასწარი წარმოების პალატის მიერ დაკავების ორდერის გაცემის შემდეგ საერთაშორისო სასამართლო მიმართავს სახელმწიფოს თხოვნით, მოახდინოს დაკავება სტატუტის მე-9 ნაწილის (სტატუტის 58-ე (5) მუხლები)

შესაბამისად. თხოვნა დაკავებისა და წარმოდგენის შესახებ, უმრავლეს შემთხვევაში, იგზავნება წერილობით და თან ახლავს გარკვეული ინფორმაცია, საბუთები და განცხადებები სტატუტის 91-ე მუხლის შესაბამისად.

მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, საერთაშორისო სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია ყოველგვარ განსაკუთრებულ მოთხოვნაზე, დაკავების თხოვნასა და წარმოდგენის შესახებ, ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე (სტატუტის 91-ე (4) მუხლები).

როგორც სტატუტის 59-ე მუხლიდან გამომდინარეობს, სახელმწიფო ვალდებულია, შეასრულოს საერთაშორისო სასამართლოს თხოვნა და ეჭვმიტანილი დააკავოს. ორდერი გამაგრებული უნდა იყოს ყველა აუცილებელი ინფორმაციით, რათა სახელმწიფომ შეძლოს მისი შესრულება (სტატუტის 91-ე მუხლები).

4. წინასწარი დაკავება

სტატუტის 58-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც საერთაშორისო სასამართლომ უკვე გასცა ორდერი დაკავების თაობაზე, მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შეაგროვა აუცილებელი დოკუმენტაცია დაკავების თხოვნის გასამაგრებლად და პირის სასამართლოს განკარგულებაში წარსადგენად, 58-ე, 85-ე და 95-ე მუხლები საერთაშორისო სასამართლოს უფლებას აძლევს, მიმართოს სახელმწიფოს თხოვნით, რომ მან მოახდინოს პირის წინასწარი დაკავება ასეთ ვითარებაში, თუმცა ეს შეიძლება მოხდეს გადაუდებელ შემთხვევებში.

მოთხოვნები თხოვნაზე მოცემულია სტატუტის 91-ე(2) (ა)-(დ) მუხლში. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ შეასრულონ მიღებული თხოვნა (59-ე (1) მუხლი).

მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია, გაათავისუფლოს პირი პატიმრობიდან, თუ გადაცემაზე თხოვნის გამამგრებელი საბუთები არ იქნება მიღებული დროში, რომელიც განსაზღვრულია პროცედურისა და მტკიცებულებების წესებში. სტატუტის 92-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ის ვითარება, რომ ძიებაში მყოფი პირი გათავისუფლებული იყო წინასწარი პატიმრობიდან ვადის გასვლის გამო, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს წინააღმდეგ, მისი მხრიდან პირის გადაცემის ან მეორედ დაპატიმრების მოთხოვნისას.

როგორც დაკავების, ასევე წინასწარი დაკავების შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის შესასრულებლად (59-ე მუხლი).

სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომ, გაითვალისწინა დაკავებისა და საერთაშორისო სასამართლოს განკარგულებაში გადაცემის თხოვნის შინაარსის შემოწმების პროცედურა და თხოვნის შემდგომი გადაცემა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსათვის.[20] ეროვნულ კანონმდებლობებში გათვალისწინებულ იქნა ასევე პატიმრობიდან იმ პირთა გათავისუფლების შესაძლებლობა, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში (92-ე მუხლი), თუ დადგენილი ვადის განმავლობაში არ იქნება მიღებული შესაბამისი დოკუმენტაცია (92-ე (3) მუხლი) და მათი შემდგომ დაპატიმრების უფლება, როცა ასეთი დოკუმენტაცია მიღებული იქნება (92-ე (4) მუხლი).

5. დაკავებულის უფლებები

სტატუტის 66-ე მუხლის შესაბამისად, პირი ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება სასამართლოს მიერ კანონის შესაბამისად. 67-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ბრალდებულს აქვს თავისი საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად მოსმენის, მაშასადამე, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, ყველა იმ პროცესუალური გარანტიების დაცვით, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლში. 55-ე (2) მუხლით გარანტირებული უფლებები დაცული უნდა იქნეს სახელმწიფოს მიერ, როდესაც არსებობს იმის ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც ექცევა საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ.

მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო სასამართლოს თხოვნის საფუძველზე დაპატიმრებული პირების გარანტირებული უფლებების დაცვა, რომელიც მოცემულია სტატუტის 55-ე (1) და (2) მუხლში, ასევე ყველა სხვა უფლებები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის მიერ დაპატიმრებულს ეძლევა.

20 იხ. საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ".

6. საქმის მოსმენა კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ

სახელმწიფო, როგორც კი მიიღებს თხოვნას შესაბამისი პირის დაკავების შესახებ, ახორციელებს აუცილებელ მოქმედებას და წარადგენს პირს კომპეტენტურ სასამართლო ორგანოში (სტატუტის 52-ე(2) მუხლი). ეროვნული სასამართლო ამოწმებს, იყო თუ არა დაკავება კანონის დაცვით ჩატარებული და დაცული იყო თუ არა დაკავებულის უფლებები. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შემოწმება ეხება არა დაკავების ორდერის კანონიერებას, არამედ მხოლოდ იმას, დაკავებისას იყო თუ არა დაცული დადგენილი პროცედურა. საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა დაკავების ორდერი მართებულად გაცემული, შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ (სტატუტის 59-ე (4) მუხლი).

დაკავებულს შეუძლია, კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს შუამდგომლობით მიმართოს დროებითი გათავისუფლების შესახებ. ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილმა ორგანომ, საქართველოს სინამდვილეში - იუსტიციის სამინისტრომ, უნდა შეატყობინოს საერთაშორისო სასამართლოს შუამდგომლობის შემოსვლის შესახებ მანამ, სანამ დაიწყებდნენ მის განხილვას და მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები საერთაშორისო სასამართლოს წინასწარი წარმოების პალატის მხრიდან (სტატუტის 59-ე (5) მუხლი).

7. გამოცხადების ორდერის გაცემა

სტატუტის 58-ე(7) მუხლის შესაბამისად, წინასწარი წარმოების პალატა უფლებამოსილია, დაკავების ორდერის ალტერნატივად გასცეს ორდერი პირის გამოცხადების შესახებ. ასეთი ორდერი შეიძლება გაცემულ იქნეს გარკვეული პირობების არსებობისას ან ასეთი პირობების გარეშე, რომლებიც ზღუდავენ თავისუფლებას, დაკავების გარდა, თუ ეს გათვალისწინებულია შესაბამისი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პირის მიერ ასეთი ორდერის მიღება, როდესაც საერთაშორისო სასამართლო მიმართავს მას ასეთი თხოვნით (58-ე (7) მუხლი).

8. დებულება პირობათა უცვლელობის შესახებ

სტატუტის 101-ე(1) მუხლი ითვალისწინებს დებულებას პირობების უცვლელობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემული პირი არ უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი წესით დევნილი, დასჯილი ან დაპატიმრებული გადაცემამდე ჩადენილი ნებისმიერი ქმედებისათვის, რომელიც არ არის იმ დანაშაულის შემადგენელი ქმედება ან დენადი ქმედება, რომლისთვისაც პირი იქნა გადაცემული.

საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია, სთხოვოს სახელმწიფოს ამ მოთხოვნაზე უარის თქმა და ასეთ შემთხვევაში მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს სასამართლოს თხოვნა. მონაწილე სახელმწიფოს ეძლევა უარის თქმის უფლებამოსილება და იგი უნდა შეეცადოს, ამგვარად მოიქცეს (101-ე (2) მუხლი).

პრაქტიკაში შეიძლება ასეთი სიტუაციები მაშინ წარმოიშვას, როდესაც დადასტურებულია ახალი ბრალდებები ქმედებასთან მიმართებით, რომლებიც წინ უსწრებდა გადაცემას. ასეთ დროს მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დააკავონ პირი და გადასცენ იგი საერთაშორისო სასამართლოს, თუ გაცემული იქნება დაკავების ახალი ორდერი.

პირობების უცვლელობის დებულება წარმოადგენს პირობას პირის სისხლის სამართლის საერთაშოროსო სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ 101-ე მუხლის შესაბამისად. სახელმწიფომ უარი უნდა თქვას პირობების უცვლელობის მოთხოვნაზე მაშინ, როდესაც სასამართლო მათ ასეთი თხოვნით მიმართავს.

საკითხის არსი ისაა, რომ ექსტრადიციის სამართალში ფუძემდებლური მნიშვნელობისაა სპეციალურობის პრინციპი. იგი გარანტიას აძლევს გადამცემ ქვეყანას, ასევე ექსტრადირებულ პირს, რომ დაისჯება მხოლოდ იმ ქმედებებისათვის, რაზეც მოხდა მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სტატუტმა გადაიღო ეს პრინციპი (101-ე მუხლი) და სხვა წესებთან დააკავშირა (იხ. ევროპული კონვენცია ექსტრადაციის შესახებ, მე-14 მუხლი, 1-ლი ა) აბზაცი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს, რომელმაც გადასცა პირი, სასამართლოს გვიან მოთხოვნაზე დაფუძნებით, შეუძლია, გადაცემის ფარგლები სხვა, დამატებით ქმედებებზეც გაავრცელოს).

9. კოლიზიური თხოვნები

რამდენადაც რომის სტატუტით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემთხვევაში ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა დადგინდეს უნივერსალური იურისდიქციის პრინციპი, შესაძლოა, არა მარტო საერთაშორისო სასამართლომ, არამედ მესამე სახელმწიფომაც განაცხადოს თავისი განზრახვის შესახებ — განიხილოს კონკრეტული საქმე. რომის სტატუტის 90-ე მუხლში მოწესრიგებულია კოლიზიური თხოვნების განხილვის პროცედურა, ე.ი. თხოვნები გადაცემის შესახებ, რომლებიც შემოსულია საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან და თხოვნები ექსტრადიციის შესახებ, რომლებიც შემოსულია მესამე სახელმწიფოს მხრიდან.

მონაწილე სახელმწიფო, რომელიც სასამართლოსაგან მიიღებს მოთხოვნას პირის გადაცემის შესახებ სტატუტის 89-ე მუხლის შესაბამისად, და, ამასთანავე, რომელიმე სხვა სახელმწიფოსაგან მიიღებს მოთხოვნას იმავე პირის ექსტრადიციის შესახებ იმავე ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენს იმ დანაშაულის საფუძველს, რისთვისაც სასამართლო მოითხოვს პირის გადაცემას, ამის შესახებ შეატყობინებს საერთაშორისო სასამართლოს და მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს.

ამ მუხლში მოცემულია გადაცემის სხვადასხვა შესაძლო ვარიანტი. ასე, მაგალითად: თუ მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფო მონაწილე სახელმწიფოა, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო, სტატუტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო სასამართლოს მოთხოვნას; თუ მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო არ არის ამ სტატუტის მონაწილე და მას არ გააჩნია საერთაშორისო ვალდებულება, გადასცეს პირი მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს, უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო სასამართლოს მოთხოვნას პირის გადაცემის შესახებ, თუკი სასამართლო არ გამოიტანს დადგენილებას საქმის დაუშვებლობის შესახებ.

სტატუტში კოლიზიური თხოვნების შესრულება განისაზღვრება იმის მიხედვით, შემოსულია ისინი იმ სახელმწიფოდან, რომელიც სტატუტის მონაწილეა, თუ იმ სახელმწიფოდან, რომელიც არაა მონაწილე; იყო თუ არა გამოტანილი გადაწყვეტილება საქმის დასაშვებობის ან დაუშვებლობის შესახებ; ეხება თუ არა კოლიზიური თხოვნა ერთსა და იმავე ფაქტს.

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, შეატყობინონ ყველა დაინტერესებულ მხარეს და უპირატესობა მიანიჭონ საერთაშორისო სასამართ-

ლოს მხრიდან შემოსულ თხოვნებს, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნება განჩინება საქმის დასაშვებობის შესახებ და მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფო არის სტატუტის მონაწილე (90-ე (2) მუხლი). თუ სასამართლო იმყოფება საქმის დასაშვებობის საკითხის განხილვის პროცესში, შესაბამისი განჩინება გამოტანილი უნდა იქნეს დაჩქარებული წესით (90-ე (3) მუხლი). იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო გადაცემის შესახებ საერთაშორისო ვალდებულებით არის დაკავშირებული სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც არ არიან სტატუტის მონაწილეები, ის, როგორც წესი, დამოუკიდებლად წყვეტს საკითხს იმის შესახებ, გადასცეს მოცემული პირი სასამართლოს, თუ მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს, რომელიც არ არის სტატუტის მონაწილე.

სტატუტის 90-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, მოთხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ ამასთან ერთად მხედველობაში უნდა მიიღოს ისეთი გარემოებები, როგორებიცაა: თხოვნის გაგზავნის შესაბამისი თარიღი, გადასაცემი პირისა და დაზარალებულების მოქალაქეობა და საერთაშორისო სასამართლოსა და მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს შორის შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობა.

10. სასამართლოსათვის გადასაცემი პირის ტრანსპორტირება მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით

სტატუტის 89-ე მუხლის მე-3 ნაწილში ზედმიწევნით არის მოწესრიგებული სხვა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემული პირის გადაყვანა საკუთარი ტერიტორიის გავლით, რითაც მინიმუმამდე არის შემცირებული გადაცემის აღსრულების შეფერხების საშიშროება. პირი გადაყვანის მთელ პერიოდში რჩება პატიმრობაში. ამასთან, არ არის საჭირო არავითარი მოთხოვნა, როცა გადაყვანა ხდება საჰაერო ხომალდით და არ არის გათვალისწინებული დაშვება სატრანზიტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე. სხვა შემთხვევებში სასამართლო ვალდებულია, წარადგინოს მოთხოვნა გადაყვანის შესახებ, რომელიც შეიცავს გადასაყვანი პირის აღწერას, საქმის გარემოებების შინაარსსა და სამართლებრივ კვალიფიკაციას, დაკავებისა და გადაცემის მოთხოვნას. სატრანზიტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელი დაშვების შემთხვევაში გადასაყვანი პირი რჩება პატიმრობაში, ამასთან, სასამართლოს აქვს დრო - 96 საათი, რათა წარადგინოს მოთხოვნა გადაყვანის შესახებ. თუ მოთხოვნა

არ იქნა მიღებული ამ დროის განმავლობაში, მაშინ პირი უნდა გათავისუფლდეს. მართალია, ეს საკითხი არ არის ზუსტად მოწესრიგებული, გათავისუფლება არ გამორიცხავს, ბუნებრივია, განმეორებით გადაცემის მოთხოვნის წარდგენას, სტატუტის 92-ე მუხლის მე-4 პუნქტის გამოყენებით.

11. თანამშრომლობის სხვა ფორმები

სტატუტის 93-ე მუხლი ითვალისწინებს თანამშრომლობის ძირითადი ფორმების ჩამონათვალს სახელმწიფოსა და საერთაშორისო სასამართლოს შორის, უკანასკნელის მიერ გამოძიების ჩატარებისას, როგორებიცაა: მოწმეთა დაცვა, ჩხრეკა, დაყადაღება, მტკიცებულებათა შეგროვება. თუმცა ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება დაიყოს სამ ძირითად მიმართულებად: თანამშრომლობა, დაკავშირებული საბუთებთან, ოქმებთან, ნივთმტკიცებებთან; თანამშრომლობა, რომელიც დაკავშირებულია მოწმეებთან, დაზარალებულთა ჩათვლით; თანამშრომლობა, დაკავშირებული ჩხრეკასა და დაყადაღებასთან.

თუ რომელიმე კონკრეტული ზომის მიღება დაუშვებელია მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე, 93-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ეს არ შეიძლება გახდეს საერთაშორისო სასამართლოს თხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და სახელმწიფომ, ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ჩაატაროს კონსულტაციები სასამართლოსთან.

არის მხოლოდ ორი საფუძველი, რომელთა მითითებითაც სახელმწიფოს შეუძლია უარი უთხრას სასამართლოს დახმარებაზე: პირველი, როცა თხოვნა ეხება რაიმე საბუთის წარმოდგენას ან მტკიცებულებების ჩვენებას, რომლებსაც კავშირი აქვთ სახელმწიფოს ეროვნულ უშიშროებასთან (93-ე (4) მუხლი). სტატუტის 72-ე მუხლში დაწვრილებითაა განხილული პროცედურა, რომელიც გამოიყენება იმ დროს, როცა საქმე ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას; მეორე შემთხვევა, რის საფუძველზეც შეიძლება უარი ეთქვას ასეთ თხოვნას, მოცემულია სტატუტის 93-ე მუხლის I (ლ) და მე-5 პუნქტებში. 93-ე მუხლის I (ლ) პუნქტის შესაბამისად, ყველა სხვა სახის დახმარების გაწევა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული 93-ე მუხლის I (ა)-(კ) პუნქტებით, შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აკრძალული არ არის მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის გამგზავნმა სახელმწიფომ უნდა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა დახმარების გაწევა კონკრეტუ-

ლად განსაზღვრული პირობებით, ან დახმარება შეიძლება გაწეულ იქნეს მოგვიანებით, ან რაიმე სხვა სახით (93-ე (5) მუხლი).

დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილ სტატიაში განხილულ იქნა საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლის საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებით, რომლის სტატუსის 55-ე მუხლი (ეჭვმიტანილის უფლებები გამოძიების პროცესში), 63-ე მუხლი (სასამართლო წარმოება ბრალდებულის დასწრებით), 66-ე მუხლი (უდანაშაულობის პრეზუმცია), 67-ე მუხლი (განსასჯელის უფლებები საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს) 68-ე მუხლი (მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა), 69-ე მუხლის მე-7 აბზაცი (მტკიცებულებათა დასაშვებობა) არის საერთაწორისო საპროცესო სამართლის ისეთი ნორმები, რომლებიც თეორიასა და პრაქტიკაში განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-8 და მე-14 მუხლებთან და სტრასბურგის სასამართლოს პრეცენდენტულ სამართალთან მიმართებაში

სისხლის სამართლის ეროვნული საპროცესო წესები მოწესრიგებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. საქართველოში, როგორც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყანაში, 1999 წლის 20 მაისიდან მოქმედებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სტანდარტებს აყალიბებს. საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა რომის სტატუტი, რომელიც საქართველოსათვის ძალაში შევიდა იმავე წლის 1 დეკემბრიდან. თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ან საქართველოს სხვა კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, შესაბამისად მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, ხოლო თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მოქმედებს კონსტიტუცია.

რომის სტატუტი მისი რატიფიკაციის შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე მაღლა მდგომი სამართლებრივი აქტი გახდა და ამ სტატუტში მოცემული პროცესუალური საკითხები, განსაკუთრებით სტატუტით გარანტირებული პროცესუალური უფლებები, შეიძლება უშუალოდ გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის პროცესში.

პაატა ტურავა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საკუთრების უფლების დაცვა

I. შესავალი

ევროპაში უკანასკნელი რამდენიმე ათეული წელია, განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს დისკუსია ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებზე. ცალკეული მეწარმეები, ორგანიზაციები და სახელმწიფოები ცდილობენ სამართლის ნორმების ჩამოყალიბებას, რამაც უნდა მოაწესრიგოს ადამიანთა თანაარსებობა, მათი სოციალური ინტერესების გათვალისწინებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის მოსახლეობის მუდმივი ზრდის ფონზე აუცილებელი გახდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ერთიანი საფუძვლების ისე ჩამოყალიბება, რომ მისაღები ყოფილიყო გაერთიანების ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას 1950 წლიდან დღემდე ხელი მოაწერა კონტინენტის თითქმის ყველა სახელმწიფომ. მასში განმტკიცებულია ადამიანის ძირითადი უფლებები. აქედან გამომდინარე, კონვენცია შეიძლება დავახასიათოთ როგორც „ძირითად უფლებათა საერთო ევროპული სტანდარტი".

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას[1] საქართველომ ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს და ქვეყნის პარლამენტის მიერ რატიფიცირების შედეგად ის ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს. ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმი საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2002 წლის 7 ივნისს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო

1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიმოხილვა და მისი საქართველოში გამოყენების შესახებ აქტუალური საკითხები იხილეთ: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004 წელი.

ხელშეკრულებები აღიარებულია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, რომელსაც შეუძლია წარმოშვას უფლებები და მოვალეობები ეროვნულ დონეზე, არ უნდა იყოს გასაკვირი მზარდი ინტერესი ამ სამართლებრივი აქტებისა და მათი შესრულების უზრუნველყოფის საზედამხედველო მექანიზმისადმი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიერ საკუთრების უფლების დაცვის განსაკუთრებულობა დიდი ხანია ცნობილია. შეცდომა იქნებოდა, თუკი მისი განსაკუთრებული ადგილის ახსნას მხოლოდ იმით შევეცდებოდით, რომ საკუთრება მოგვიანებით, 1952 წლის 20 მარტს, აისახა ევროპული კონვენციის 1-ლ ოქმში.

ევროპულ კონვენციაში საკუთრების უფლების დაგვიანებული ასახვა დაკავშირებულია არსებით და სტრუქტურულ პრობლემებთან. განსაკუთრებით ეს უკავშირდება ცალკეული სახელმწიფოების სუვერენიტეტის საკითხს. ამასთან მიმართებით გამოითქვა მოსაზრება, რომ საკუთრების დაცვის ევროპული მექანიზმი მნიშვნელოვან შიდასახელმწიფოებრივ ეკონომიკურ ფაქტორებს უპირისპირდება და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებები გამონაკლისია.[2] 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის ტექსტიც[3] ნათლად ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების წევრი თითოეული სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინება და თუ რა დელიკატურ მიდგომას საჭიროებს ნორმის შემდგომი ინტერპრეტაცია სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის I და II აბზაცებში გამოყენებული ტერმინები: „საჯარო ინტერესები", „საერთო ინტერესები" და „კანონი" საკმარისია იმისათვის, რომ შევიცნოთ, თუ რამდენად ძლიერად ეხება საკითხი თითოეული სახელმწიფოს დისპოზიციის სფეროს მიკუთვნებულ უფლებამოსილებას. ის ფაქტი, რომ აქვე საუბარია გადასახადებისა და სხვა შენატანებისა თუ ჯარიმების გადახდის უზრუნველყოფაზე, კიდევ უფრო ამყარებს ამ დასკვნას. სახელმწიფოს ეკონომიკური ბერკეტები და, მათ შორის ქონების ჩამორთ-

2 იხ. Frowein, The Protection of Property, in: Macdonald, Matscher, Petzold (eds.), The European System for the Protection of Human Rights, 1993, S. 515.

3 „ყოველ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აქვს უფლება მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არავის შეიძლება ჩამოერთვას მისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესებში და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით.
თუმცა ზემოხსენებული დებულებები არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, აღასრულოს ისეთი კანონები, რომელთაც იგი საჭიროდ თვლის, რათა გააკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად ან უზრუნველყოს გადასახადების ან სხვა შენატანების თუ ჯარიმების გადახდა."

მევის ინსტიტუტი, არის ის სასიცოცხლო არტერია, რომელიც ხდება ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის განსჯის საგანი. სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით, ფრთხილად და მოზომილად ვითარდება სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა. არ არის შემთხვევითი, რომ ცოტაა ისეთი გადაწყვეტილება, რომლებითაც სასამართლო ადგენს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებით 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლისადმი წინააღმდეგობას.

მეორე მხრივ, არ იქნებოდა მართებული, თუ ევროპული სასამართლოს თავშეკავებას განვიხილავდით როგორც ზედაპირულ დათმობას ცალკეული სახელმწიფოების შიშის (საკითხი ეხება სუვერენიტეტის დაკარგვის შიშს) გამო. ევროპული სასამართლოს მართლმსაჯულების პრობლემები გამომდინარეობს უფრო მეტად ადამიანის ამ სპეციფიკური უფლების თავისებურებებიდან, რაც განპირობებულია „საკუთრების" ცნების სამართლებრივი გაგების არაერთგვაროვნებით. კონვენცია არ ახდენს საკუთრების ცნების დეფინიციას, ასევე სასამართლო პრაქტიკას არ შეუძლია შეცვალოს ცალკეული სახელმწიფოების სამართლით დადგენილი საკუთრების გაგება.[4] საკმარისია „საკუთრებისა" და „თავისუფლების" ურთიერთდამოკიდებულების განხილვა, რომ გაიხსნას შედარებითსამართლებრივი უფსკრული, რომლის თავიდან აცილება და გადალახვა მხოლოდ პრობლემისადმი განსაკუთრებით ფრთხილი და მოზომილი მიდგომით არის შესაძლებელი. სწორედ აქედან გამომდინარე, საინტერესოა ევროპული სასამართლოს მიდგომა პრობლემისადმი, რასაც დაეთმობა ნაშრომის დიდი ნაწილი.

ნაშრომში გვერდი უნდა ავუაროთ ისეთ საკითხებზე მსჯელობას, რომელთაც უკვე ნათლად გაეცა პასუხი. შეკითხვას - საკუთრების უფლება არის თუ არა ადამიანის ძირითადი უფლება - არაერთ სამეცნიერო ნაშრომსა და მონოგრაფიაში ისე ცალსახად გაეცა პასუხი, რომ აღარ არის საჭირო დისკუსიის გაგრძელება. ასევე არ შეიძლება იმ მოსაზრების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, რომელიც მიიჩნევს, რომ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი როგორც ნორმატიული ერთიანობა ისე უნდა იქნეს განხილული, რომელიც არის საკუთრების უფლების გარანტია. ანუ არ არსებობს დასაბუთებული საფუძველი *James*-ის საქმეზე (1986 წელი) ჩამოყალიბებულ სტანდარტებზე უარის თქმისა. თუკი ევროპული სასამართლო საქმესთან — *Sporrong*

4 იხ. კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004 წელი, გვ. 216.

and Lönnroth (1982 წელი) — დაკავშირებით 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლში 3 ძირითად დებულებას ("distinct rules") ხედავდა (კონკრეტულად: პირველი, ზოგადი ხასიათის დებულება, რომელიც აწესრიგებს ქონების დაუბრკოლებლივ მოხმარებას ("peaceful enjoyment of possessions"); მეორე, რომელიც შეეხება ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ პირობებს და მესამე — საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებას), ამის საპირისპიროდ *James*-ის საქმეში (1986 წელი) ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს ნორმის ერთიანი ინტერპრეტაციის აუცილებლობას. ნაშრომის ფარგლებში ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განვითარების ეს დონე არ არის განხილვის საგანი, არამედ – მისი, როგორც აღიარებული სტანდარტის, გათვალისწინებით ვიხილავთ 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლს.

მიუხედავად იმისა, რომ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ევროპული სასამართლო თავისი გადაწყვეტილებებით ადგენს 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის ხელყოფას, სასამართლოს გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი კრიტერიუმები იქნა შემუშავებული სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით.[5] ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისადმი საქართველოს სასამართლოების ინტერესი სულ უფრო იზრდება, საჭიროდ მიგვაჩნია ამ კრიტერიუმებზე ყურადღების გამახვილება იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც უკვე იქნა განხილული და რაც დაკავშირებულია წევრი სახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესებთან.

II. საკუთრების უფლების დაცვა და თანაზომიერების პრინციპი

ევროპული სასამართლოს ჯერ კიდევ ადრეული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოს ყურადღება შეკითხვიდან - არსებობს თუ არა საჯარო ინტერესი ქონების ჩამორთმევაზე - გადადის თანაზომიერების პრინციპის დაცვის საკითხზე. სასამართლო ამ პრინციპის დაცვას ამოწმებს განსხვავებულ დონეზე და სხვადასხვა კუთხით. მაშინ, როდესაც სასამართლო საჯარო ინტერესის არსებობის დადგენისას შესამჩნევად დამთმობია, თანაზომიერების პრინციპი არის ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელი ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომა.

5 Frowein, 530. იხ. მე-2 სქოლიო.

საჯარო ინტერესებთან მიმართებით ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელია. ამის საფუძველს გვაძლევს, პირველ რიგში, ევროპული სასამართლოს მიერ *Wiesinger*-ის საქმეზე (1991 წელი) გამოტანილ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული დასკვნა: ეროვნულ ხელისუფლებას, გამომდინარე მათი ლოკალურ სიტუაციებთან სიახლოვისა, აქვს საჯარო ინტერესების არსებობის დადგენის უფრო მეტი შესაძლებლობები. ევროპული სასამართლოს ეს მოსაზრება, რომელიც ამავე სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში ფორმულის სახით იქნა გადმოტანილი, აღიარებს სახელმწიფოს უპირატეს როლს საჯარო ინტერესის დადგენის თვალსაზრისით. საკმარისია მითითება *Raimondo*-ს საქმეზე (1994 წელი), სადაც ევროპული სასამართლო ქონების ჩამორთმევას მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში, იტალიაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, მიიჩნევს ისეთ ღონისძიებად, რომელიც განხორციელებულია საჯარო ინტერესების ფარგლებში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ვხვდებით სხვაგვარ „ფორმულებსაც", რომლებიც ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული აზრის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. მხედველობაში არა გვაქვს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ქონების მესაკუთრისათვის გადაჭარბებული ტვირთის დაკისრება, ან ღონისძიების განხორციელების გონივრული საფუძვლები და, შესაბამისად, სახელმწიფოს თვითნებობისათვის საზღვრების დადგენა. თითოეული ეს პუნქტი ცალკე დისკუსიის საგანია. ამ ნაშრომის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში არაერთხელ განმეორებულ სასამართლოს ვალდებულებაზე, შეამოწმოს, რამდენად არღვევს საკუთრების უფლებაში ჩარევა სამართლიან ბალანსს საერთო ინტერესების მოთხოვნასა და ინდივიდის ძირითადი უფლების დაცვის საჭიროებას შორის.[6] ამდენად, საკითხი ეხება არა საჯარო ინტერესის არსებობა-არარსებობას, რაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება იქნეს უარყოფილი, არამედ მისი თანაზომიერების პრინციპის საშუალებით შესაძლო შეზღუდვას. „სამართლიან ბალანსზე" დაყრდნობით, სასამართლოს ეხსნება კარი, აგრეთვე, მის მიერ უკვე აღიარებული საჯარო ინტერესების მოცულობისა და შედეგების უშუალო შემოწმებისათვის.

იგივე შედეგები სახეზეა, როდესაც ხდება „სამართლიანი ბალანსის" ("fair balance") ცნების გამოყენება ქონების ჩამორთმევასა და კომპენსაცი-

6 Wiesinger, § 73.

ასთან მიმართებით, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც ხდება შესაძლებელი ისეთი ფაქტების გათვალისწინება, რომელიც სხვა შემთხვევაში ყურადღების მიღმა დარჩებოდა. ასე მაგალითად, *Holy Monasteries*-ის საქმის (1994 წელი) განხილვისას ასეთი არატიპური გარემოებები იქნა გათვალისწინებული საკუთრების შეძენასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე მხედველობაში იქნა მიღებული დედათა ბერძნული სახლის შეცვლილი სოციალური, აღმზრდელობითი და კულტურული ფუნქცია, ისევე, როგორც ამ რელიგიური სახლის ძველი ფუნქციების ბერძნულ სახელმწიფოზე გადასვლის ფაქტი. ისტორიული არგუმენტებით გამყარებული ამ მოსაზრების მიზანი იყო, გაემართლებინა კომპენსაციის გარეშე ქონების ჩამორთმევა როგორც გამონაკლისი, მაგრამ დასაშვები შემთხვევა.[7]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არა შედეგი, არამედ ის ფართო შესაძლებლობები სხვადასხვა გარემოების გასათვალისწინებლად, რასაც „სამართლიანი ბალანსის" ფორმულა გვაძლევს, რომელიც უშუალოდ თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარეობს.

უდავოა, რომ „სამართლიანი ბალანსის" ფორმულის პოზიტიურ შედეგებს თან ახლავს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების საფრთხეც. ასე მაგალითად, შესაძლებელია, ერთ საქმესთან დაკავშირებით (*Pine valley*, 1991 წელი), ვინაიდან მოსარჩელის სავაჭრო საქმიანობა ბუნებრივად რისკის შემცველია, გახდეს დასკვნის საფუძველი, რომ თანაზომიერების პრინციპი დაცულია; სხვა საქმესთან (*Hentrich*, 1994 წელი) დაკავშირებით კი, თუმცა აქაც იქნა გათვალისწინებული გარკვეული რისკის ფაქტორი, მივდივართ დასკვნამდე, რომ არ არის დაცული თანაზომიერების პრინციპი. მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, „სამართლიანი ბალანსის" ფორმულით მოპოვებული არგუმენტაციის თავისუფალი სივრცის დადებითი მხარე უფრო მეტია, ვიდრე ის საშიშროება, რაზეც უკვე გამახვილდა ყურადღება, რამდენადაც რაციონალური დასაბუთებულობის ვალდებულება ზღუდავს შედეგისაკენ ორიენტირებულობას. აქვე თვალში საცემია ის, თუ რა მოცულობით ახდენს პროპორციულობის პრინციპი თავის განსხვავებულ ფორმულისებურ ვარიაციებში „საჯარო ინტერესების" ცნების ტრანსფორმაციას.

7 ასეთი იყო ევროპული კომისიის პოზიცია, რომელსაც სასამართლომ არ დაუჭირა მხარი: „The Commission considered that excepional circumstances – such as the way in which the property was acquired and used, the monasteries dependance on the Greek Church and the Church's dependance on the State justified the absence of compensation."

III.ქონების ჩამორთმევა და კომპენსაცია

„სამართლიანი ბალანსის" ფორმულის გავრცელების არეალი განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა იმ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც დაყენებული იყო კომპენსაციის მიღების საკითხი. აღნიშვნის ღირსია ევროპული სასამართლოს 1986 წლის გადაწყვეტილება, რომელიც *James*-ის საქმეზე და აქედან მოყოლებული ამკვიდრებს პრინციპს, რომლის თანახმადაც, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია ქონების ჩამორთმევა კომპენსაციის გარეშე გამართლებული. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტი გახდა ეს პრინციპული დებულება, რომელიც ამკვიდრებს სახელმწიფოს ვალდებულებას კომპენსაციის გაცემაზე.[8] ეს იყო ზოგადი მნიშვნელობის გადაწყვეტილება, რომელიც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, იმდენად, რამდენადაც ის უნდა გავრცელებულიყო 1-ლი მუხლის მე-2 აბზაცსა და მსგავს შემთხვევებზე, რომლებიც გამომდინარეობენ უბრალო *de facto* ჩამორთმევიდან. ამდენად, დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, ქონების ჩამორთმევა კომპენსაციის გარეშე ეწინააღმდეგება თანაზომიერების პრინციპს და, აქედან გამომდინარე, 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლს მთლიანობაში.[9]

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ამ დებულების საკუთრების ჩამორთმევის მსგავს ჩარევაზე გავრცელების შემთხვევები, რამდენადაც ლაპარაკია, ერთი მხრივ, შემთხვევებზე, როდესაც საქმე გვაქვს ფორმალურ ჩამორთმევასთან გათანაბრებულ ფაქტობრივ ჩამორთმევასთან, რომელიც დოგმატურად 1-ლი მუხლის 1-ლ აბზაცში მოიაზრება; მეორე მხრივ, საკუთრებით სარგებლობის სხვადასხვა შემთხვევასთან (1-ლი მუხლის მე-2 აბზაცი). ევროპულმა სასამართლომ ჯერ კიდევ საქმის - *Sporrong and Lönnroth* (1982 წელი) – განხილვისას დაადასტურა დებულება, რომ ფორმალური ჩამორთმევის გარეშეც შესაძლებელია 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის მოქმედების გავრცელება ჩამორთმევის პროცესზე. სასამართლოს დასკვნის თანახმად, ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია ფაქტობრივი მდგომარეობა, რაც გულისხმობს უფლებამოსილი პირის ხელში დარჩენილი ქონებით სარგებლობის უფლებამოსილების მოცულობის დადგენას.

8 Frowein, Der Eigentumsschutz in der Europäischen Menschenrechtskonvention, in Pfeiffer, Wiese, Zimmermann (Hrsg.), Festschrift für Rowedder, 1994, 49, 59.

9 საქმე *James*; აგრეთვე იხ. *Frowein\Peukert*, Europäische Menschenrechtskonvention, Kommentar, 49.

„სამართლიანი ბალანსის" პრინციპის მოშველიებით შესაძლებელი გახდა არგუმენტაციის ფართო საზღვრების დადგენა, რომელიც სპეციალურად კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ასე გაჩნდა დიფერენცირების შესაძლებლობა საკუთრების ჩამორთმევის გამომწვევი ღონისძიებების ხასიათის მიხედვით, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური და აგრარული რეფორმების ჩასატარებლად განხორციელებული ნაციონალიზაციის ღონისძიებებით გამოწვეული განსხვავებული ზეგავლენის შემთხვევაში (*Lithgow,* 1986 წელი). ამგვარი ღონისძიებების განსხვავებული შეფასება არის ერთერთი არსებითი (და არც ისე უდავო) მიმართულება ევროპული კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ეს იძლევა დიფერენცირებისა და, საკუთრების ჩამორთმევის სოციალური მიზნიდან გამომდინარე, განსხვავების შესაძლებლობას.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ კომპენსაციის სამართლიანი ოდენობის დადგენა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დიდ პრობლემებს გამოიწვევდა. „სამართლიანი ბალანსის" ფორმულა დაკონკრეტდა ჯერ კიდევ *Lithgow*–ის საქმესთან (1986 წელი) დაკავშირებით, ერთი ახალი ფორმულის დახმარებით, რომლის თანახმადაც, კომპენსაციის ოდენობა „გონივრულ დამოკიდებულებაში" უნდა იყოს ჩამორთმეული ქონების ღირებულებასთან. ევროპული სასამართლოს ამ ფორმულამ გზა გაუხსნა სრული კომპენსაციის საწინააღმდეგო შეხედულებას. ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამდეც იქნა აღიარებული, რომ, როგორც სათანადო კომპენსაცია, ყველა შემთხვევაში საბაზრო ფასის გადახდას არ გულისხმობს, მაგრამ „გონივრული ურთიერთდამოკიდებულების" ფორმულა უფრო მეტ მოქნილობას ავლენს პრაქტიკაში.

სხვათა შორის, შეუძლებელია, აგრეთვე, ამ ფორმულის დამოუკიდებელი შეფასება, რამდენადაც იმის განსაზღვრა, თუ რა შეიძლება მივიჩნიოთ „გონივრულად", უნდა მოხდეს სხვა ელემენტების დახმარებით. კონდორელი[10] გვთავაზობს 5 კრიტერიუმს კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის: (1) ჩამორთმეული ქონების ღირებულება; (2) ინდივიდუალურად ან კოლექტიურად განხორციელებული ღონისძიების სახე; (3) საზოგადოების კეთილდღეობის მიზნის მნიშვნელობისა და აუცილებლობის ხარისხი; (4) ღონისძიების სოციალური ფუნქცია; (5) სახელმწიფოს

10 Condorelli, in: Pettiti, Decaux, Imbert, La Convention europeenne des droits de l'homme, Commentaire, Fiedler EuGRZ 1996, S. 354-357.

ფინანსური შესაძლებლობები. აქ მოყვანილი კრიტერიუმები არაფერს ცვლის სათანადო კომპენსაციის გაცემის ვალდებულების პრინციპის გაბატონებულ მდგომარეობაში, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისგან გადახვევის განსაკუთრებულ დასაბუთებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, არ იქნებოდა მართებული, სახელმწიფოს ქონების ჩამორთმევის შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის ფართო სივრცე დავუტოვოთ და, მეორე მხრივ, შევეცადოთ, თვითნებობის აკრძალვით ან, უბრალოდ, არაგონივრული დასაბუთებით შევზღუდოთ.

ეს ნიშნავს, აგრეთვე, რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობა, შესაძლებელია, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, დაახლოებით ღირებულების 20 ან 30 პროცენტამდე, როგორც გამონაკლისი შემთხვევა, მაგრამ მხოლოდ ყოველმხრივ სარწმუნო დასაბუთებით. ეს უკანასკნელი არ არის სახეზე, როდესაც კოლექტიური ჩამორთმევა ისეთი მიზნებითაა დასაბუთებული, რომელიც ზუსტად არ შეესაბამება იმ დემოკრატიულ საზოგადოებას, რომელზეც უშუალოდ არის მითითება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში *Lithgow*–ის საქმეზე (1986 წელი). საერთო ინტერესებისადმი ორიენტაცია ნაკლებად სარწმუნო ხდება, როდესაც, როგორც მმართველი კლასებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური წარმოდგენებიდან გამომდინარე, განხორციელებული კოლექტივიზაცია არ შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების წარმოდგენებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე. მასთან მიმართებით აქტუალური ხდება კითხვა – რომელი კონსტიტუციური პრინციპები შეესაბამება იმ სახელმწიფოს, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიერ აუცილებელი წინაპირობად ისე განიხილება. როდესაც, ერთი მხრივ, უნდა შემოწმდეს, დაცულია თუ არა სამართლიანი ბალანსი საერთო ინტერესებსა და ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებებს შორის, მეორე მხრივ, ვადგენთ, შესაძლებელია თუ არა, ეკონომიკური რეფორმების ინტერესებიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით სრულ კომპენსაციაზე უარის თქმა. შეუძლებელია ამ გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობის ვარაუდი, როდესაც ეს რეფორმა ემსახურება არა საერთო სოციალური თანასწორობის დაცვას, არამედ დიქტატორის იდეოლოგიური მიზნების განხორციელებას. აქედან გამომდინარე, აზრს მოკლებული იქნებოდა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა შეიზღუდოს ისეთი ღონისძიებების სასარგებლოდ, რომლებიც თავისთავად ეწინააღმდეგებიან ადამიანის უფლებებს, როგორც ეს იყო კომუნისტური მმართველობის პერიოდში.

IV.საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[2] თავის შესაბამისობა ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომის ბოლოს განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[2] თავის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან შესაბამისობის საკითხი.

პირველ რიგში, უნდა დაისვას კითხვა, შესაძლებელია თუ არა დაუსაბუთებელი და უკანონო ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტის განხილვა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებით. ამ შეკითხვის დასმის აუცილებლობა გამომდინარეობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებიდან (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის 2\5\309,310,311 გადაწყვეტილება), სადაც აღნიშნულია, რომ თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის დროს სადავოდ არის გამხდარი არა საზოგადოებრივი საჭიროების ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა, არამედ ქონების კანონიერება და დასაბუთებულობა, ანუ მოცემულ ქონებაზე საკუთრების კონსტიტუციური დაცვის ფარგლების გავრცელება. სასამართლოს შეხედულებით, როდესაც ფორმალურად სახეზეა ქონების ჩამორთმევა, არ არის აუცილებელი, ეს განხილულ იქნეს 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის მე-2 წინადადებასთან მიმართებით. სასამართლოს ეს მოსაზრება ემყარება ევროპული სასამართლოს პოზიციას, რომელიც მან ჩამოაყალიბა *Raimondo*–ს საქმეზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ევროპული სასამართლოს მიერ *Raimondo*–ს საქმეზე გაკეთებულ დასკვნებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონმდებელს სრული უფლება ჰქონდა, „საერთო ინტერესების" გამო, კორუფციულ დანაშაულში ბრალდებული თანამდებობის პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამოსართმევად შეემუშავებინა და გამოეყენებინა ისეთი მექანიზმი, რაც იქნებოდა ეფექტიანი კორუფციასთან ბრძოლის მიზნის მისაღწევად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ფორმულებზე, როგორებიცაა: „სამართლიანი წონასწორობა" და „გონივრული თანაზომიერება" და ყურადღებას ამახვილებს იმ „საერთო ინტერესებზე", რომლის მეშვეობითაც სასამართლო მოიაზრებს სახელმწიფოს საერთო მისწრაფებას, იბრძოლოს კორუფციისა და სხვა უმძიმესი თანამდებობრივი დანაშაულების წინააღმდეგ. სასამართლო კოლეგიას, სახელმწიფოს მშენებლობის ამ ეტაპზე, წარმოუდგენლად მიაჩნია კორუფციისა და სხვა მსგავსი დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის სპეციალური, განსაკუთრებული სამართლებრივი მექანიზმების შექმნის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ დაუსაბუთებელი და უკანონო ქონების ჩამორთმევა მიზნად ისახავს საერთო ინტერესს – შეიზღუდოს საეჭვო წარმოშობის ქონებისა და ფინანსური საშუალებების ბრუნვა. სასამართლო უთითებს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში იტალიის საერთო ინტერესთან, საერთო მისწრაფებასთან მიმართებით, პრევენციული სახის კონფისკაცია, რომელიც მოწოდებულია ზუსტად საეჭვო წარმოშობის ფინანსური საშუალებების მოძრაობის შესაზღუდად, არის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება ამ დანაშაულთან ბრძოლაში, რაც, თავის მხრივ, სრულად შეესაბამება კონვენციის მიზნებს.

მიუხედავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ დასკვნისა, ევროპული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი უნდა იქნეს განხილული ერთიანობაში, როგორც საკუთრების დაცვის სამართლებრივი გარანტი. უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების შემთხვევაშიც, სანამ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არ დადასტურდება ამ ქონების უკანონო ფლობა, მასზე ვრცელდება საკუთრების უფლების ის გარანტიები, რომლებიც მოცემულია ევროპული კონვენციის 1-ლ დამატებით ოქმში.

თითოეული სახელმწიფოს ვალდებულებაა, იბრძოლოს მაფიისა და სხვა ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ, მაგრამ სახელმწიფოების ეს უფლებამოსილება გულისხმობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებისადმი შესაფერისი მექანიზმის არსებობის აუცილებლობას. საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ ამ საკითხის ადმინისტრაციულ

საპროცესო კოდექსში შეტანა ქართველი კანონმდებლის მცდარი ნაბიჯი იყო. ამაზე მიუთითებს უზენაესი სასამართლოს დასკვნა საქმეზე - ბს-360-44-კ-2005, სადაც მოსამართლე აფიქსირებს თავის განსხვავებულ, დასაბუთებულ მოსაზრებას; ქართველმა კანონმდებელმა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტის ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შემოტანით „დაუშვა მატერიალური უფლების, კერძოდ, ისეთი ძირითადი უფლების – როგორიცაა საკუთრების ჩამორთმევის შესაძლებლობა პროცესუალური ნორმების საფუძველზე, მაშინ, როცა საპროცესო სამართალი წარმოადგენს ფორმალურ სამართალს, რომლის შესაბამისად ხორციელდება მატერიალური სამართლის ნორმით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავის განხილვა, შესაბამისი საპროცესო მოქმედებით. კონკრეტულ შემთხვევაში თანამდებობის პირისთვის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა არ არის დადგენილი მატერიალური სამართლის ნორმით, რომელიც სარჩელის აღძვრის შემთხვევაში განხილული იქნებოდა საპროცესო ნორმების საფუძველზე. სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ვალდებულებას წარმოადგენს სრულყოფილი და სამართლის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობაში მყოფი საკანონმდებლო აქტების მიღება. საპროცესო ნორმა წარმოადგენს მატერიალური უფლების მარეალიზებელ საშუალებას, ვფიქრობ, საქართველოს სახელმწიფოს, როგორც დიდი სამართლებრივი ტრადიციის და კულტურის მქონე ქვეყანას, მოცემული სამართალურთიერთობა მოწესრიგებული უნდა ჰქონდეს მატერიალური სამართლის ნორმის საფუძველზე, რომლის განხორციელება დასაშვებია შესაბამისი საპროცესო დებულებებით."

რაც არ უნდა კეთილშობილური მიზნები ედოს საფუძვლად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[2] თავს, ის სამართლებრივად იმდენად დაუხვეწავი და ორაზროვანი ნორმების შემცველია, რომ შეუძლებელია უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მექანიზმის ისე გამოყენება, რომ არ მოხდეს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, თუ რამდენად პრობლემურია პროკურორებისთვის ამ ნორმების გაგება და გამოყენება ყოველდღიურ საქმიანობაში. ამ ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია კანონის ხარვეზების ამომწურავად განხილვა. საყურადღებოა მხოლოდ რამდენიმე მათგანი. პრობლემებს წარმოშობს „დაუსაბუთე-

ბელი ქონებისა" და „დაკავშირებული პირის" ინსტიტუტები. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს ნორმის მკაფიოდ და არაორაზროვნად განსაზღვრის ვალდებულებას, რაც, ამ კონკრეტულ ტერმინებთან მიმართებით, ნამდვილად არ არის გათვალისწინებული.

დაუსაბუთებელ ქონებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეში (საქმე ბს-350-281-კ-05წ.) საკითხი ეხება მოთხოვნას მოძრავი ქონების, კერძოდ ავტომანქანა „ოპელ-ვექტრას", სასადილო გარნიტურ „რენესანსისა" და გერმანული წარმოების „ტყავის სამეულის", ასევე ფორტეპიანო „ვებერ-ნიუდორფის" დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ. უზენაესმა სასამართლომ პროკურორის ეს მოთხოვნა მიიჩნია უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, რამდენადაც მოსარჩელემ ვერ შეძლო იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ აღნიშნული ქონების კანონის დარღვევით შეძენის ფაქტს, ანუ არ დასტურდება ამ ქონების თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში შეძენის ფაქტის ნამდვილობა. უზენაესი სასამართლოს შეხედულებით, მოპასუხეთა მხრიდან სადავო მოძრავი ქონების კანონიერი საშუალებებით მოპოვების ფაქტი არ ექვემდებარება დოკუმენტურ დადასტურებას, რამდენადაც ქართული სამომხმარებლო კულტურა და ტრადიცია, ასევე ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენისას, არ იცნობს მხარეთა შორის წარმოშობილი სამართალურთიერთობის (გარიგების) წერილობითი ფორმით დადასტურებას; ასევე, არ იცნობს გარიგებისათვის წერილობითი ფორმის დაცვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის ყიდვა-გაყიდვისა და ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები, როდესაც ხელშეკრულების საგანი მოძრავი ქონებაა, საყოფაცხოვრებო ნივთები კი მოპასუხეთა მიერ შეძენილია კერძო პირისაგან.

სხვა საქმეების გაცნობაც ადასტურებს, რომ პროკურორის მიერ სარჩელის წარდგენის დროს და ასევე ქვემდგომი სასამართლოების მიერ ხშირად არ ხდება იმის შემოწმება, ემთხვევა თუ არა მოპასუხის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდს სადავო ქონების მის მიერ შეძენის პერიოდი. საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთი (საქმე ბს-360-289-კ-05წ.) განმარტებით, პროკურორის სარჩელი უნდა ეფუძნებოდეს სწორედ იმ გარემოებას, რომ სადავო ქონების სამოხელეო დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვების შესაძლებლობის საფუძვლიანი ეჭვი არსებობს და მოთხოვნა არ შეიძლება ვრცელდებოდეს მთლიანად იმ ქონებაზე, რომელსაც ფლობს მოპასუხე. ქვემდგომი სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არ მსჯელობენ დანაშაუ-

ლის ჩადენასა და სადავო ქონების მოპოვებას შორის ურთიერთკავშირის თაობაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ დაუსაბუთებელი და უკანონო ქონების ჩამორთმევა მიზნად ისახავს საერთო ინტერესს – შეიზღუდოს საეჭვო წარმოშობის ქონებისა და ფინანსური საშუალებების ბრუნვა. თუმცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21-ე(8) მუხლი უფრო შორს მიდის ამ „საერთო ინტერესების" დასაცავად, რამდენადაც ადგენს, რომ, თუ სასამართლომ თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მასთან დაკავშირებული პირის ქონება ცნო უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, ეს ქონება მესამე პირთა კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს. დავის საგანია ქონების კანონიერება და დასაბუთებულობა, მიუხედავად ამისა, სასამართლო ვალდებული ხდება, დაადგინოს პოტენციური მესამე პირების არსებობა, მათი კანონიერი ინტერესების საფუძვლიანობა, ასევე ამ ქონების კანონიერი მესაკუთრის ვინაობა და გადასცეს ეს ქონება მესამე პირს, შემდგომ კანონიერ მესაკუთრეს, მაშინ, როდესაც არ არსებობს მათი მხრიდან აღძრული სარჩელი ანუ მოთხოვნა. კანონის ამ ნორმის მიმართ გამოთქმული დასაბუთებული შენიშვნები მოცემულია უზენაესი სასამართლოს ზემოთ განხილულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (საქმე - ბს-360-44-კ-2005) და ამდენად არ მიგვაჩნია საჭიროდ მისი განმეორება.

V. დასკვნა

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, სასამართლოს საჯარო ინტერესების დაცვის პრინციპიდან ყურადღება გადააქვს თანაზომიერების პრინციპზე, რომელიც იურიდიული არგუმენტაციისათვის განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შესაძლებლობას იძლევა. ეს ასევე გამართლებულია მეორე მოსაზრებით მაშინ, როდესაც საჯარო ინტერესების არსებობის დადგენა ცალკეული სახელმწიფოების პრეროგატივაა, ევროპული სასამართლო თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით ასევე ახდენს იმის შემოწმებას, თუ რამდენად არსებითია ეს ინტერესი.

საჯარო ინტერესების არსებობა - ეს არის ის არგუმენტი, რომელიც ცალკეულ სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, დაასაბუთონ საკუთრების უფლების ხელყოფა. თუმცა ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოებს ვალდებულებისაგან, შექმნან საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი და გამჭვირვალე მექანიზმი. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი ისეთი თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც მოითხოვს ევროპული სასამართლო ცალკეული სახელმწიფოსაგან. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შემოთავაზებული მექანიზმის მეტისმეტად გაუმართაობის გამო კი შეუძლებელია, არ გვქონდეს შიში იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს გაუჭირდება თანაზომიერების პრინციპის დაცვა.

ქეთევან ხუციშვილი

ექსტრადიციისა და დეპორტაციის საკითხი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით

„...მათ მიაჩნდათ, რომ განმცხადებლების რუსული მხარისათვის გადაცემის გამო საქართველოც გახდა პასუხისმგებელი ჩეჩენი ხალხის გენოციდის საქმეში."[1]

1. შესავალი

წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა თანამედროვე საერთაშორისო და ადამიანის უფლებათა სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოსტულატია. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში – „ევროპული კონვენციის") მე-3 მუხლი მხოლოდ ერთი წინადადებით აყალიბებს ამ აბსოლუტური უფლების დარღვევის აკრძალვას: *„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს."*[2]

თუმცა „მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად"[3] დაარსებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში — ევროპული სასამართლო) ამ მუხლთან დაკავშირებული მდიდარი სასამართლო პრაქტიკა ნათლად ადასტურებს, თუ რამდენად კომპლექსური და მნიშვნელოვანია ამ, ერთი შეხედვით ლაკონიურად ჩამოყალიბებული, მუხლის შინაარსი.

1 განმცხადებელთა წარმომადგენლების პოზიცია დაკავშირებით საქმესთან — *„შამაევი და სხვა 12 საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ"*, განაცხადი 36378/02.
2 ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.
3 ევროპული კონვენციის მე-19 მუხლი.

აღნიშვნის ღირსია ის, რომ თანამედროვე დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული მექანიზმები, რომლებიც ავალდებულებენ სახელმწიფოებს, ხელი შეუწყონ დემოკრატიის განვითარებასა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დაცვის პრინციპს, თეორიულად მაინც, ხელსაყრელ პირობებს ქმნის წამების აკრძალვის უფრო ეფექტურად დანერგვისთვის.

ვინაიდან ამ სტატიის განხილვის საგანი – ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი — განსაკუთრებული ლაკონიურობით გამოირჩევა, ალბათ, უადგილო არ იქნება სტატიის შესავალში იმის ხაზგასმა, რომ აღნიშნული მუხლის მოქმედების სფეროში უფლებათა მთელი წყება ხვდება. წლების მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა, სამართლის სკოლების განვითარებამ და თავად ევროპული სასამართლოს საქმიანობამ ცხადყო, რომ ამ მუხლის ინტერპრეტაცია და გამოყენება ხდება ადამიანთა დასაცავად არა მხოლოდ უშუალოდ და აშკარად გამოხატული წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისგან, არამედ ამ ფართო ჭრილში იგულისხმება ასევე: არამართებული დეპორტაცია, ექსტრადიცია და გაძევება. ეს მუხლი გავრცელდა საქმეებზე, რომლებიც ადამიანის გაუჩინარებას ეხებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ინტერპრეტაციას დაკავებულთა და დაპატიმრებულთა საქმეებთან მიმართებით, ისევე როგორც იმიგრაციის საკითხების განხილვისას და სხვ.

ევროპული სასამართლოს სწრაფად მზარდი პრაქტიკა მე-3 მუხლით დაცული უფლების სულ უფრო დეტალურ განმარტებას იძლევა და მკაფიოდ აყალიბებს იმ მოთხოვნებს, რომელთა განუხრელად დაცვა ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ვალდებულებაა.

სუვერენული სახელმწიფოების მიერ საკუთარი ინტერესების დაცვის სურვილი ხშირად შესაძლოა, სრულად არ შეესაბამებოდეს ან აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდეს სამართლიანობისა თუ ადამიანის უფლებების ფუძემდებლურ პრინციპებს. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მკაფიოდ განმარტავს იმ კომპონენტებს, რომლებიც სახელმწიფოებმა განუხრელად უნდა დაიცვან.

სტატიის მიზანია, როგორც ეს მისი სათაურიდანაც ჩანს, ექსტრადიციისა და დეპორტაციის საკითხების კონვენციის მე-3 მუხლის ჭრილში განხილვა და იმის დადგენა, რამდენად ეფექტიანი შეიძლება იყოს ამ უფლებების დაცვა ევროპული კონვენციის ფარგლებში და შესაძლოა თუ არა, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა მათი

ეფექტიანი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მუხლით დაცული უფლებების დარღვევისათვის?[4]

საინტერესოა იმის შეფასებაც, რა ტენდენციები შეიმჩნევა ექსტრადიციის, დეპორტაციისა და გაძევების საკითხების განხილვისას იმ ევროპულ სახელმწიფოებში, სადაც ტერორიზმი სულ უფრო და უფრო მძიმე კვალს ტოვებს. უნდა ითვალისწინებდეს თუ არა ტერორიზმისგან დაზარალებული სახელმწიფო უამრავი უდანაშაულო, შემთხვევითი მსხვერპლისა და საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვისას იმ პრინციპებს, რომლებიც, სავარაუდოდ, დაცვას სთავაზობენ ნებისმიერს – თუნდაც დამნაშავეს? შესაძლოა, თუ არა, რომ ტერორიზმთან ბრძოლის საჭიროებიდან გამომდინარე და განსაკუთრებულად მომეტებული რისკის პირობებში ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა დროებით გადაუხვიონ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლითა და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკით დადგენილ ნორმებს და ამით, სავარაუდოდ, თავიდან აიცილონ სხვა, გაცილებით უფრო მეტი, თან უდანაშაულო ადამიანის უფლებების დარღვევა, სიცოცხლის უფლების ჩათვლით? ისურვებდნენ თუ არა ევროპული დემოკრატიის ფუძემდებლებად მიჩნეული ევროპული სახელმწიფოები, ამ მკაცრი ვალდებულებისაგან თუნდაც დროებით გათავისუფლდნენ და საკადრისი პასუხი გასცენ განსაკუთრებით ვერაგ დამნაშავეებს?

შეიძლება თუ არა, მივიჩნიოთ, რომ ექსტრადიცია-დეპორტაციისა თუ ქვეყნიდან გაძევების საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ წმინდა სამართლებრივ ჭრილში ხდება? თუ, მართებული იქნება, ვივარაუდოთ, რომ, მიუხედავად სახელმწიფოების მხრიდან სამართლისა და სამართლიანობის უზენაესი პრინციპების ოსტატურად მოშველიებისა, ხშირად აქ სამართლისა და პოლიტიკის წილი თანაბარი მაინცაა, თუ ეს უკანასკნელი არ დომინირებს?

ეს ის კითხვებია, რომლებიც მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე არაერთ დამატებით კითხვასა და ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტს იწვევს. შევეცდებით, სტატიის ფორმატისა და მოცულობის გათვალისწინებით შეძლებისდაგვარად მაინც მოვძებნოთ პასუხები ამ კითხვებზე.

4 ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“

2. ევროპული კონვენციის ნორმათა ინტერპრეტაციისათვის

მე-3 მუხლით დაცული უფლება რომ აბსოლუტური უფლებაა, დიდი ხანია დავას აღარ იწვევს, ყოველ შემთხვევაში მაშინ, როდესაც საკითხი წმინდა სამართლებრივი კუთხით განიხილება. ისიც ფართოდ არის აღიარებული, რომ თითოეულ სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს ამ აბსოლუტური უფლების დაცვა. ეს ვალდებულება იმ ტერიტორიაზეა სახელმწიფოს ტვირთი, სადაც იგი საკუთარ იურისდიქციას ეფექტურად ახორციელებს.

სტატიაში დასმულ კითხვაზე — რამდენად არის სახელმწიფო პასუხისმგებელი ადამიანის უფლებების იმ დარღვევებზე, რომლებიც მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ შეიძლება მოხდეს კონკრეტული ადამიანის ექსტრადიციის ან გადაცემის შედეგად? — ნებისმიერი სახელმწიფოს მყისიერი პოზიცია, სავარაუდოდ, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: იმ შემთხვევაში, თუ ექსტრადიციის/გადაცემის პროცედურები დაცულია და არ ხდება გადამცემი სახელმწიფოს მიერ კონკრეტული უფლების დარღვევა, გადამცემი სახელმწიფო პასუხისმგებელი არ უნდა იყოს მე-3 მუხლის იმ დარღვევებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, ხორციელდება ან განხორციელდება გადაცემის/ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ექსტრადიციისა და დეპორტაციის საკითხის კონკრეტულად განხილვამდე შემდეგი რამდენიმე დებულება შეიძლება მივიჩნიოთ არსებითად მნიშვნელოვნად:

ევროპული კონვენციის კონკრეტული მუხლის ინტერპრეტაციისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაანალიზებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ „კონვენცია ცოცხალი დოკუმენტია, [მისი] ... განმარტება უნდა მოხდეს თანამედროვე პირობების შესაბამისად." ასევე იმის შეფასებისას, მოპყრობა ან სასჯელი უნდა ჩაითვალოს თუ არა არაადამიანურად ან დამამცირებლად მე-3 მუხლის მიზნებისათვის, „შეუძლებელია, სასამართლოზე გავლენა არ მოახდინოს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების სასჯელის პოლიტიკის ახალმა მიღწევებმა და საყოველთაოდ აღიარებულმა სტანდარტებმა".[5]

ასევე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მე-3 მუხლის მოქმედების არეალში მოსაქცევად არასათანადო მოპყრობა, წამების ჩათვ-

5 *Tyrer* v. *the United Kingdom*, 1978, Series A no. 26, para. 31.

ლით, სერიოზულობის მინიმუმს უნდა აღწევდეს, რათა წამება ან არასათანადო მოპყრობა, რომელიც წამებას თან ახლავს, გაუტოლდეს „არაადამიანურს" ან „დამამცირებელს". ტანჯვა ან დამცირება უნდა სცილდებოდეს იმ საზღვრებს, რაც კანონიერი სასჯელის აღსრულების დროს შეიძლება მიიღწეს.[6]

ამ მინიმუმის შეფასება თავისი არსით შედარებითია. იგი დამოკიდებულია საქმის მონაცემების მთლიანობასა და, ამავე დროს, მოპყრობის ან წამების ხასიათსა და კონტექსტზე, მათი შესრულების ფორმებზე, ხანგრძლივობაზე, მის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ შედეგებზე.[7]

სამხილის შესაფასებლად სასამართლო იღებს დამამტკიცებელი საბუთის ისეთ კრიტერიუმს, რომელიც გონივრულობის ფარგლებში არსებულ ეჭვს სცილდება. „გონივრულობის ფარგლებში არსებული ეჭვი" — ეს არის ეჭვი, რომლის მიზეზები შეიძლება გამომდინარეობდეს წარმოდგენილი ფაქტებიდან;[8] არასათანადო მოპყრობის მამხილებელი საბუთი შეიძლება გამომდინარეობდეს სამხილთა რაოდენობიდან, ან უდავო, საკმაოდ სერიოზული, ზუსტი და დადასტურებული ვარაუდებიდან.

3. ევროპული კონვენცია და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენცია

ეროვნული სუვერენიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია სახელმწიფოს უფლება, საკუთარ ტერიტორიაზე მიიღოს ან ტერიტორიიდან გააძევოს უცხოელები. ამ უფლების განხორციელება სახელმწიფოებს ეზღუდებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საერთაშორისო სამართლით დადგენილ სხვა ნორმებსა და ვალდებულებებს არღვევს. ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს პირის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის უფლებას.

1950-იანი წლების დასაწყისში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციის მიღებისას, ეს უკანასკნელი ითვლებოდა *lex specialis*, რომელიც სრუ-

6 *Tyrer v. the United Kingdom*, 1978, Series A no. 26.

7 *Soering v. the United Kingdom.*

8 *Greek case*, 3321/67, 3322/67, 3323/67 და 3344/67, კომისიის დასკვნა, 1969 წლის 5 ნოემბერი, ყოველწლიური, 12, გვ. 13, $26; ისევე როგორც (*mutatis mutandis Naumenko v.Ukraine*, 42023/98, $109, 2004 წლის 9 თებერვალი;

ლად აწესრიგებდა ამ სფეროს. ამ დოკუმენტის რეგულირების სფეროში მოხვედრილი პირები პრივილეგირებულად მიიჩნევიან და უზრუნველყოფილია მათი დაცვა. ჟენევის კონვენციის მიღებისას თავშესაფრის მაძიებელთა საკითხი არც ისეთ დიდ უთანხმოებებს იწვევდა და, შესაბამისად, იმ შეზღუდული მექანიზმებით, რომლებიც კონვენციას ჰქონდა, ხდებოდა ამ სფეროს რეგულირება.

სამწუხაროდ, XX საუკუნის მიწურულს მსოფლიოში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და დღეს თავშესაფრის მაძიებელ პირთა გაძევებისგან დაცვა გარკვეულ შემთხვევებში სხვა საერთაშორისო დოკუმენტების, მათ შორის ევროპული კონვენციის, მეშვეობით უფრო ეფექტიანად არის შესაძლებელი, ვიდრე ჟენევის კონვენციით.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია არ შეიცავს დებულებას, რომელიც აშკარად იცავს ადამიანის უფლებას, ეძიოს და მიიღოს თავშესაფარი დევნის გამო, ეს დოკუმენტი ქმნის სხვადასხვა დებულების ჭრილში უკანონოდ გაძევებისა და დეპორტაციისგან ადამიანის დაცვის ეფექტიან საერთაშორისო მექანიზმს, მაშინ როდესაც ჟენევის კონვენცია ასეთი საერთაშორისო ზედამხედველობის მექანიზმებს არ ითვალისწინებს. ჟენევის კონვენციით არც სასამართლო ორგანოსადმი ინდივიდუალური მიმართვის უფლებაა გათვალისწინებული.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციის ტექსტი ერთი შეხედვით თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დასაცავად სპეციალურ დებულებებს არ ითვალისწინებს და არ ადგენს თავშესაფრის მიღების უფლებას, ამ დოკუმენტს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვაში. შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების შედეგად ეს კიდევ უფრო ნათელი ხდება.

სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებზე თვალის გადავლება ადასტურებს ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს როლს ევროპაში თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვის ახალი სტანდარტების დამკვიდრების ტენდენციასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული კონვენცია სავალდებულოა მხოლოდ მონაწილე სახელმწიფოებისათვის და ისინი კი მხოლოდ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში არიან პასუხისმგებელნი კონვენციის დებულებების დაცვაზე,[9] დიდი ბრიტანეთის მთავრობა აქტიურად ცდილობდა ემტკიცებინა, რომ ნებისმიერ დარღვევაზე, რომელიც მონაწილე სახლემწიფოთა

9 ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი.

იურისდიქციის ფარგლებს გარეთ შეიძლება მოხდეს, ეს სახელმწიფოები ვერ იქნებიან პასუხისმგებელნი. თუმცა ამ შემთხვევაში საინტერესოა ის, რომ იმ აბსოლუტური უფლებების დაცვა, რომელთაც, სხვებთან ერთად, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლიც ითვალისწინებს, სავარაუდოდ, ფიქცია გახდებოდა, სახელმწიფოები რომ სრულად თავისუფლდებოდნენ იმ პასუხისმგებლობისგან, რაც მათ მიერ რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების სხვა, კონვენციის არამონაწილე სახელმწიფოსთვის გადაცემისთვის უნდა დაეკისროთ.

ევროპული სასამართლოც და კომისიაც აქტიურად იხილავდა საკითხს იმის თაობაზე, ხვდება თუ არა პირის ექსტრადიცია, გაძევება და დეპორტაცია იმ ქვეყანაში, სადაც მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ევროპული კონვენციის რეგულირების სფეროში.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ევროპული კონვენცია გარკვეულ შემთხვევებში უფრო ფართო დაცვის მექანიზმებს სთავაზობს თავშესაფრის მაძიებელ პირებს, შესაძლოა, ასევე განვიხილოთ შემთხვევები, როდესაც თავშესაფრის მიცემაზე უარნათქვამი პიროვნების ოჯახის წევრები არიან გამძევებელი სახელმწიფოს მოქალაქეები და მათ მოუწევთ ოჯახის გაძევებული წევრის თანხლება. ეს კი, შესაძლოა, ასევე ჩაითვალოს სიტუაციად, რომელიც იწვევს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას (კონვენციის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში), თუ დადასტურდა, რომ ამ შემთხვევაში გამძევებელი სახელმწიფოს მოქალაქეებსაც ემუქრებათ არასათანადო მოპყრობა.[10]

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენცია დაცვის უფლებას ანიჭებს პირთა მხოლოდ იმ ნიშნებით გამორჩეულ წრეს, რომელთაც კონვენცია მკაცრად და ამომწურავად განსაზღვრავს.[11] ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში გაძევების აკრძალვა ფართოდ სცილდება ჟენევის კონვენციით დადგენილ კრიტერიუმებს და, შესაბამისად, ევროპული სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს პირთა გაძევებასა თუ დეპორტაციას იმ პირობებშიც კი, როდესაც ფიზიკური ნაკლი ან სპეცი-

10 მაგ., *Fadele v. the United Kingdom*, განაცხადი No.13078/87.

11 ჟენევის კონვენციის ფარგლებში დაცვის მოსაპოვებლად პიროვნება უნდა იდევნებოდეს, ან საშიშროება უნდა იყოს მისი დევნისა შემდეგი საფუძვლებიდან გამომდინარე: რასა, რელიგია, ეროვნება, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა ან პოლიტიკური მოსაზრებები. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა უფლების დარღვევის საშიშროება ზემოთ ხსენებულ საქმეში *D v. the United Kingdom*, მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის კონვენციით გათვალისწინებული დევნის არც ერთი საფუძველი არ არსებობდა.

ფიკური დაავადება მათთვის შექმნის კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ საშიშროებას.[12]

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის განვითარების პირობებში ევროპული კონვენცია არის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიანი საერთაშორისო მექანიზმი, რომელიც უკანონოდ ექსტრადიციის, დეპორტაციისა და გაძევების წინააღმდეგ გამოსაყენებელ მოსახერხებელ საერთაშორისო მექანიზმს აყალიბებს.

მართალია, რთულია, გამოიყოს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საკითხი და მუხლის სხვა შემადგენელი კომპონენტებისგან განცალკევებით მისი განხილვა, მაგრამ სტატიის მომდევნო ნაწილი სწორედ ამ საკითხს ეხება.

4. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა ევროპული კონვენციის ექსტერიტორიული მოქმედებისას

შეიძლება თუ არა, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა მათი ეფექტიანი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლებების დარღვევისათვის?

ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქმეს *ზოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Soering v. the United Kingdom*).[13]

განმცხადებელს, ზოერინგს, ექსტრადიცია ემუქრებოდა ვირჯინიის შტატში (აშშ), სადაც სიკვდილით დასჯა მოქმედებდა. ის გარემოება,[14] რომ მსჯავრდებული მოხვდებოდა სიკვდილმისჯილთა საკანში,[15] სასამართლოს აზრით, იყო მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების, დაცული ყოფილიყო წამების, არაადამიანური მოპყრობისა და დასჯისგან, დარღვევა.

12 მაგ., საქმეში *Nasri v. France* ევროპულმა სასამართლომ დაადგინა უფლების დარღვევა, როდესაც მოხდა ყრუ-მუნჯის გაძევება. სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია მე-3 მუხლის შესახებ მსჯელობა, რადგან დაადგინა დარღვევა კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით.

13 1989 წლის 7 ივლისი.

14 ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი პაქტის შესაბამისად, სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანამდე სიკვდილმისჯილი სპეციალურ საკანში, იზოლაციაში, შესაძლოა წლების ან ათწლეულების განმავლობაში იჯდეს, რაც აბსოლუტურად ნეგატიურად მოქმედებს მის ფსიქიკასა და ფიზიკურ თუ სულიერ მდგომარეობაზე.

15 ე.წ. „სიკვდილმისჯილთა რიგის“ ფენომენი.

შესაბამისად, გაერთიანებული სამეფო, მიუხედავად იმისა, რომ უფლების ფაქტობრივი დარღვევა განხორციელდებოდა აშშ-ის ტერიტორიაზე, პასუხისმგებელი იქნებოდა კონვენციის ნორმის დარღვევისათვის.

ამონარიდი სასამართლოს განაჩენიდან

ზოერინგი დააკავეს დიდ ბრიტანეთში. აშშ ითხოვდა მის ექსტრადიციას ვირჯინიის შტატში ჩადენილი მკვლელობისათვის. აშშ-ის მთავრობამ ითხოვა განმცხადებლის ექსტრადირება 1972 წელს შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ექსტრადიციის შესახებ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

1986 წლის ოქტომბერში გაერთიანებული სამეფოს საელჩომ ვაშინგტონში თხოვნით მიმართა შეერთებული შტატების მთავრობას:

„ვინაიდან სიკვდილით დასჯა გაუქმდა გაერთიანებულ სამეფოში, საელჩომ მიიღო მითითება, მიეღო გარანტიები ექსტრადიციის ხელშეკრულების შესაბამისად ... თუ ბატონ ზოერინგს გადაცემისა და მსჯავრდების შემთხვევაში იმ დანაშაულებისათვის, რომლებშიც ბრალდებული იყო..., სიკვდილით დასჯას მიუსჯიდნენ, იგი არ განხორციელებულიყო."

ასეთი გარანტიის გაცემა აკრძალული იყო აშშ-ის კონსტიტუციით. შესაბამისად, გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ ითხოვა, შეერთებული შტატების მთავრობას რეკომენდაცია გაეწია შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლისათვის, რომ არ გამოეტანა სასიკვდილო განაჩენი ან, თუ გამოიტანდა, არ აღესრულებინა.

ბედფორდის საგრაფოს პროკურორმა ფიცით განამტკიცა შეტყობინება:

„მე ვადასტურებ, რომ თუ ბატონი ჯენს ზოერინგი დამნაშავედ იქნება ცნობილი მკვლელობაში, რომელიც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას... მოსამართლის წინაშე გაკეთდება განცხადება გაერთიანებული სამეფოს სახელით სასჯელის გამოტანის დროს, რომ გაერთიანებული სამეფოს სურვილია, არ შეეფარდოს სასიკვდილო განაჩენი, ან იგი არ აღსრულდეს."

ეს გარანტია გადაეგზავნა გაერთიანებული სამეფოს მთავრობას დიპლომატიური არხით. შეერთებული შტატების ფედერალურმა მთავრობამ ასევე აიღო ვალდებულება, უზრუნველეყო ვირჯინიის შესაბამისი ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულების შესრულება.

ევროპული სასამართლოს აზრით, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა გამომდინარეობს იქიდან, რომ განმცხადებელი

დაექვემდებარა ე.წ. „სიკვდილმისჯილთა რიგის“ ფენომენს. ეს ფენომენი იმ გარემოებათა ერთობლიობა იყო, რომელშიც აღმოჩნდებოდა განმცხადებელი, თუ მკვლელობის ბრალდების გამო ვირჯინიაში ექსტრადირების შემდეგ სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ.[16]

დასკვნაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მიუთითა „თავისი პრეცედენტული სამართალი, რომ პირის ექსტრადირებამ ან დეპორტაციამ შეიძლება, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გამოიწვიოს, თუ არსებობს სერიოზული მიზეზი იმის დასაჯერებლად, რომ ექსტრადირების შემთხვევაში პირი მე-3 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედებას დაექვემდებარება.“

ზოერინგის საქმეში ევროპულმა სასამართლომ პირველად განმარტა, რომ გაქცეულის გადაცემა სხვა სახელმწიფოსათვის, სადაც იგი შეიძლება წამების ან არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის მსხვერპლი გახდეს, გამოიწვევდა თუ არა ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მე-3 მუხლის დარღვევისათვის.

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის შესახებ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად:

„არც ერთი სახელმწიფო ... არ მოახდენს პირის ექსტრადირებას, თუ სერიოზული საფუძველი არსებობს იმის დასაჯერებლად, რომ იგი წამებას დაექვემდებარება.“

ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ დევნილის (გაქცეულის) გადაცემა სხვა სახელმწიფოსთვის, როდესაც სერიოზული საფუძველი არსებობს იმის დასაჯერებლად, რომ იქ [დევნილი] შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, აშკარა წინააღმდეგობაში მოვა მუხლით გარანტირებული უფლების სულისკვეთებასა და მიზნებთან.

სასამართლოს აზრით, ვალდებულება, არ მოხდეს ექსტრადირება, ასევე ვრცელდება იმ საქმეებზე, რომლებშიც დევნილი მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ დადგება მიმღებ სახელმწიფოში არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის საფრთხის წინაშე.

კონვენციის ორგანოების მეშვეობით შესაძლებელია, დადგინდეს კონვენციის დარღვევა, ან პოტენციური დარღვევა, როდესაც განმცხადებე-

16 სასამართლოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ვირჯინიაში სიკვდილმისჯილი პატიმარი სიკვდილმისჯილთა საკანში სასჯელის აღსრულების მოლოდინში დაახლოებით ექვს-რვა წელს ატარებს.

ლი ჩივის, რომ მისი ექსტრადირება შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან.

ზოერინგის საქმეში ექსტრადირების პროცედურა განმცხადებლის წინააღმდეგ გაერთიანებულ სამეფოში დასრულდა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შეერთებული შტატების ხელისუფლებისათვის განმცხადებლის გადაცემის ბრძანებაზე ხელის მოწერის შემდგომ; ეს გადაწყვეტილება, თუმცა არ განხორციელებულა, მაგრამ პირდაპირ ახდენდა გავლენას მე-3 მუხლის ინტერპრეტაციაზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის „სიკვდილმისჯილთა რიგის" ფენომენისათვის დაქვემდებარების შესაძლებლობა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებაა.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ არასათანადო მოპყრობამ და სასჯელმა სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა მიაღწიოს, რათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში მოხვდეს. ამ მინიმუმის შეფასება შედარებითია და დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორებიცაა: მოპყრობის ან სასჯელის ბუნება და კონტექსტი, მისი განხორციელების ფორმა და მეთოდი, მისი ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და გონებრივი შედეგები და ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.[17]

ევროპულმა სასამართლომ მოპყრობა „არაადამიანურად" მიიჩნია, ვინაიდან იგი წინასწარგანზრახული იყო და გრძელდებოდა საათების განმავლობაში და „თუ არ გამოიწვია მნიშვნელოვანი ფიზიკური ზიანი, მისი შედეგი, სულ მცირე, ძლიერი ფიზიკური და გონებრივი ტანჯვა იყო". სასამართლომ ქმედება „დამამცირებლადაც" შეაფასა, იმის გათვალისწინებით, რომ მან „გამოიწვია მსხვერპლში შიშის, დამცირებისა და დაუცველობის გრძნობა, რისი შედეგიც იყო მისი დამცირება და შეურაცხყოფა და, შესაძლოა, დაასუსტა მისი ფიზიკური და მორალური გამძლეობა".[18]

იმისათვის, რომ სასჯელი ან მოპყრობა იყოს „არაადამიანური" ან „დამამცირებელი", ამ უკანასკნელით გამოწვეული დამცირება და ტანჯვა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა სცილდებოდეს კანონიერი სასჯელის აღსრულებით გამოწვეულ ტანჯვასა და დამცირებას.

ამასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ განცდილი ფიზიკური ტკივილი, არამედ, თუ სასჯელის აღ-

17 *Ireland* v. *the United Kingdom*, Series A no. 25, para. 162.
18 *Ireland* v. *the United Kingdom*, Series A no. 25, para. 162.

სრულება სერიოზულად ყოვნდება, ასევე მსჯავრდებულის სულიერი და გონებრივი ტანჯვა, რომელიც მომავალი ძალადობის მოლოდინით არის გამოწვეული.

შესაბამისად, ზოერინგის საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სიკვდილმისჯილი ნებისმიერი პატიმრისთვის სასჯელის დადებასა და აღსრულებას შორის გარკვეული დაყოვნება და პატიმრობის მკაცრ პირობებში სასტიკი სტრესის განცდა გარდაუვალია. ევროპული სასამართლო დაეთანხმა კომისიას, რომ მართლმსაჯულების მექანიზმი, რომელსაც დაექვემდებარებოდა განმცხადებელი შეერთებულ შტატებში, არც თვითნებურია და არც გაუმართლებელი.

თუმცა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა „სიკვდილმისჯილთა რიგში" გატარებული ხანგრძლივი დროის პერიოდი ასეთ ექსტრემალურ პირობებში, სასიკვდილო განაჩენის აღსრულების მოლოდინის თანმდევ და მზარდ ტკივილთან ერთად, განმცხადებლის პირადი მდგომარეობა, კერძოდ მისი ასაკი, გონებრივი მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის დროს და მიიჩნია, რომ განმცხადებლის ექსტრადირება შეერთებულ შტატებში მას სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებდა — დაექვემდებარებოდა მოპყრობას, რომელიც სცილდება მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ზღვარს.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის შეერთებულ შტატებში ექსტრადირების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილების განხორციელების შემთხვევაში მოხდებოდა მე-3 მუხლის დარღვევა.

ზოერინგის საქმის განხილვის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *კრუზ ვარასი შვედეთის წინააღმდეგ* (*Cruz Varas* v. *Sweden*).[19] ეს იყო სასამართლოს მიერ თავშესაფრის მიცემაზე უარნათქვამი პირველი განმცხადებლის საქმის განხილვა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ზოერინგის საქმეში განსაზღვრული პრინციპები გამოიყენებოდა გაძევებისა და ექსტრადიციის შემთხვევებშიც[20] (იგივე პოზიცია ჩამოაყალიბა სასამართლომ საქმეში *ვილვარაჯაჰი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Vilvarajah* v. *the United Kingdom*).[21] განმცხადებელი, ჩილეს მოქალაქე, მისი მტკიცებით, პინოჩეტის სამხედრო რეჟიმს გაექცა და ოჯახთან ერთად ჩავიდა შვე-

19 *Cruz Varas* v. *Sweden*, 29 March 1991.
20 *Cruz Varas* v. *Sweden*, 29 March 1991, para. 70.
21 *Vilvarajah* v. *the United Kingdom*, 30 October, 1991, para. 103.

დეთში. იგი აცხადებდა, რომ ჩილეში დაბრუნების შემთხვევაში იგი მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულმა სასამართლომ საქმეზე სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, დროებითი ღონისძიების თხოვნით მიმართა მოპასუხე მთავრობას, თავი შეეკავებინა განმცხადებლის ჩილეში დეპორტაციისაგან, შვედეთის მთავრობამ მაინც მოახდინა განმცხადებლის დეპორტაცია სასამართლოდან შეტყობინების მიღებიდან დაახლოებით 4 საათში.

საქმის არსებითი განხილვის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა, რადგან კონვენცია არ შეიცავს ხელშემკვრელ სახელმწიფოზე სამართლებრივი ვალდებულების დამკისრებელ დებულებას, რათა სახელმწიფო დაემორჩილოს ევროპული სასამართლოს მიერ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ თხოვნას. შესაბამისად, ხელშემკვრელ მხარეს არ აქვს სამართლებრივი ვალდებულება, გაითვალისწინოს და დაემორჩილოს დროებითი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლოს თხოვნას.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, კონვენცია „ცოცხალი დოკუმენტია" და ადამიანის უფლებათა დაცვის მზარდი სტანდარტები განაპირობებენ მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის მუდმივ განვითარებას. ამის კიდევ ერთხელ საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგიც:

2003 წელს ევროპულმა სასამართლომ ანალოგიურ საქმეზე — *„მამატკულოვი და აბდურასულოვიჩი თურქეთის წინააღმდეგ" (Mamatkullov and Abdurasullovich v. Turkey)*[22] — დაადგინა, რომ თურქეთის მთავრობის მიერ განმცხადებელთა უზბეკეთში ექსტრადიცია, მიუხედავად სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების თხოვნისა, იყო კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევა, რომლის თანახმადაც:

„სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არანაირად არ შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიანად განხორციელებას."

გაძევებასთან მიმართებით ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენება მხოლოდ გონივრული ეჭვის საფუძველზე ხდება. თუმცა 1995 წელს

22 *Mamatkulov and Abdurasulovic* v. *Turkey*, 6 February 2003.

გაერთიანებული სამეფოს მთავრობა კიდევ ერთხელ შეეცადა, სასამართლოსათვის საპირისპირო დაემტკიცებინა.[23]

კომისიამ არ გაიზიარა გაერთიანებული სამეფოს პოზიცია და საქმეში — *ვილვარაჯაჰი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Vilvarajah v. the United Kingdom*) — დაფიქსირებულ პრინციპზე დაყრდნობით განაცხადა:

„ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ თავშესაფრის მაძიებელი პირის გაძევება შეიძლება მოხვდეს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში და გამოიწვიოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის დარღვევისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც არსებითი საფუძველია ცნობილი იმაში დასარწმუნებლად, რომ პირს წამების, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის რეალური რისკი ემუქრებოდა იმ ქვეყანაში, სადაც იგი დაბრუნებულ იქნა."[24]

საქართველოს პრაქტიკაში ასევე არის პრეცედენტი, რომელიც სხვა სახელმწიფოსათვის პირთა გადაცემას ეხება.

საქმეში — *„შამაევი და სხვა 12 საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ"*[25] — ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენცია.

ექსტრადიციის განხორციელების მეთოდების განხილვისას განმცხადებელთა განსაკუთრებით მოწყვლადი სიტუაციის გათვალისწინებით, როდესაც ისინი აღმოჩნდნენ იმ ქვეყანაში ექსტრადიციის ფაქტის წინაშე, სადაც მათ არასათანადო მოპყრობა და სიცოცხლის ხელყოფის საშიშროება ემუქრებოდათ, ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ხელისუფლების ასეთი მოქმედება მცდარად მიიჩნია.

ამასთან ერთად, აღინიშნა ხარვეზიც, რომ არ მოხდა პატიმართათვის

---

23 *Chahal v. the United Kingdom*, 27 June 1995.

24 *იქვე.*

25 განაცხადი 36378/02. განმცხადებლების წარმომადგენლებმა ევროპულ სასამართლოს სარჩელი წარუდგინეს 2002 წლის 4 ოქტომბერს. იმავე დღეს ევროპულმა სასამართლომ აცნობა საქართველოს მთავრობას, რომ, მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე და სასამართლოში მართლმსაჯულების ჯეროვნად წარმართვისათვის, სასურველი იქნებოდა, არ მოეხდინათ ! ! განმცხადებლის ექსტრადირება რუსეთში, სანამ ევროპული სასამართლო განიხილავდა სარჩელს საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით. საქართველომ სასამართლოს მოთხოვნა არ გაითვალისწინა და 5 ადამიანი დეპორტირებულ იქნა.

2002 წლის 22 ოქტომბერს განაცხადი ცამეტი განმცხადებლის სახელით მიმართულ იქნა საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ და წარდგენილ იქნა სტრასბურგის სასამართლოში მათი წარმომადგენლების მიერ.

2002 წლის 22 სექტემბერს განმცხადებლების მიმართ რუსეთში წაყენებული ბრალდებები ხელახლა განისაზღვრა და გაფართოვდა. ისინი ასევე დაადანაშაულეს ტერორიზმში. ეს დადგენილებები, რომლებიც ინდივიდუალურია თითოეულ განმცხადებელთან დაკავშირებით, ტექსტის მიხედვით, შედგენილია 2002 წლის 8 აგვისტოს და ისინი თითქმის იდენტურია.

ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება. განმცხადებლები დარჩნენ ჭორებისა და მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის იმედად და როცა საქართველოს ხელისუფლების ქმედების შედეგად დადგნენ ფაქტის წინაშე — მოსთხოვეს საკნის დატოვება, მხოლოდ მაშინ გაიგეს, რომ მართლაც გადაეცემოდნენ სხვა ქვეყანას.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ იმ შემთხვევაში, თუ ექსტრადიცია მხოლოდ ოთხ პირს ეხებოდა, აბსოლუტურად არამართებული იყო თერთმეტი განმცხადებლის სასოწარკვეთილ მდგომარეობაში დატოვება, რადგან მათ არ იცოდნენ, ვის ექსტრადიციას მოახდენდა საქართველოს ხელისუფლება. თავის ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოყენებული ტაქტიკა და ნაჩქარევი მოქმედება ითვალისწინებდა მოსარჩელეების მახეში გაბმას, რათა ისინი ფაქტის წინაშე დამდგარიყვნენ გართულებების თავიდან აცილების მიზნით.

სამართლებრივი გარანტიების უკმარისობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლები ჩააყენეს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მათ არაფერი იცოდნენ საკუთარ ბედთან დაკავშირებით, რასაც ემატებოდა შეშფოთება და გაურკვევლობა, რის წინაშეც ისინი აღმოჩნდნენ მათთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, სასამართლოს მიაჩნია, რომ ის ფორმა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებამ მიმართა 2002 წლის 2 ოქტომბრის ექსტრადიციის გადაწყვეტილების შესრულების დროს, წარმოქმნის პრობლემას, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ქვეშ ექცევა.

ევროპულმა სასამართლომ რუსეთთან მიმართებით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს, რომელსაც არ მოუხდენია 6 ოქმის რატიფიკაცია და არ წარმოადგენს 13 ოქმის მხარეს, აქვს უფლება, გამოიყენოს სიკვდილით დასჯა გარკვეულ პირობებში, კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

ამ შემთხვევის მსგავს საქმეში სასამართლომ უნდა გამოიყენოს მკაცრი კრიტერიუმები არასათანადო მოპყრობის რეალური რისკის არსებობის შესაფასებლად მე-3 მუხლის აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი ემყარება იმ დემოკრატიული საზოგადოებების ფუნდამენტურ ფასეულობებს, რომლებსაც ეფუძნება ევროპის საბჭო.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსალოდნელი რისკის შესაფასებლად იმ შემთხვევაში, როდესაც ექსტრადიცია ჯერ კიდევ არ მომხდარა, ყველაზე

შესაფერისი მომენტი, საიდანაც უნდა დაიწყოს შეფასება, არის ის დრო, როდესაც საქმე სასამართლოში განიხილება. თუ ისტორიული ფაქტები მართლაც საინტერესოა იმ მხრივ, რომ ისინი იძლევიან თანამედროვე სიტუაციაში გარკვევის საშუალებას და გვიჩვენებენ მის შესაძლო განვითარებას, მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არსებულ გარემოებებს.

როგორც განხილული საქმეებიდან ჩანს, ევროპული სასამართლო აკისრებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობას, მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მე-3 მუხლით დაცული უფლებების დარღვევისათვის, როდესაც მათ მიერ განხორციელებული ექსტრადიცია, დეპორტაცია ან გაძევება ქმნის იმის საშიშროებას, რომ დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლება. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს ექსტერიტორიული მოქმედების ძალა აქვს.

როგორც უკვე აღინიშნა, ზოერინგის საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ შეიძლება დაარღვიოს ვალდებულება ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით, თუ სახელმწიფოს ქმედება რისკს უქმნის პიროვნებას, დაირღვეს მისი უფლებები კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

საქმეში — *ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Chahal* v. *the United Kingdom*) — განმცხადებელს ნება არ დაერთო, სიკხი სეპარატისტი ინდოეთში დაებრუნებინა. სასამართლოს აზრით, სრულიად რეალური საშიშროება არსებობდა იმისა, რომ განმცხადებელი პუნჯაბის პოლიციის გარკვეული ძალების მხრიდან მისი უფლებების დარღვევის მსხვერპლი გახდებოდა.

ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ მხარეთა იურისდიქციის ფარგლებს მიღმა ამ სახელმწიფოთა ვალდებულების საკითხი განიხილა სასამართლომ საქმეში — *აჰმედი ავსტრიის წინააღმდეგ* (*Ahmed* v. *Autria*):[26]

სომალელ განმცხადებელს, აჰმედს, ავსტრიის ხელისუფლებამ ამ ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსი ჩამოართვა მას შემდეგ, რაც მას ქურდობის მცდელობაში დასდეს ბრალი. საქმის განხილვისას სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 4 წლით ადრე ავსტრიის ხელისუფლებამ აჰმედს ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა, იმ გარემოებების გამოკვლევისა და მათ საფუძვლიანობაში დარწმუნების შემდეგ,

26 *Ahmed* v. *Austria* (25964/94), 17 December 1996.

რომელთა ნიადაგზე აპმედმა ავსტრიაში თავშესაფარი და ლტოლვილის სტატუსი ითხოვა.

ოპოზიციურ ჯგუფში განმცხადებლის საქმიანობისა და სომალიში განაცხადის განხილვის დროს არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად სასამართლომ დაადგინა, სომალიში დაბრუნების შემთხვევაში, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, იგი მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ უფლებაშემლახავი მოპყრობის სერიოზული რისკის ქვეშ აღმოჩნდებოდა.

საქმეში — *დ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*D v. the United Kingdom*) — განმცხადებელი, რომელიც ლონდონში, გეთვიკის აეროპორტში დააკავეს, გასამართლებული იყო ნარკოტიკებით უკანონოდ ვაჭრობისათვის. დიდ ბრიტანეთში სასჯელის მოხდისას აღმოჩნდა, რომ იგი შიდსით იყო დაავადებული. სასჯელის მოხდის შემდეგ, ჩვეულებრივი პრაქტიკის თანახმად, უნდა მომხდარიყო მისი მოქალაქეობის სახელმწიფოში დეპორტირება. სასამართლომ დაადგინა, რომ შიდსის ვირუსით დაავადებული ადამიანის გაძევება მის ქვეყანაში, სადაც არ არსებობდა შესაბამისი სამედიცინო საშუალებები მისი ავადმყოფობის სამკურნალოდ, სადაც მას არც ოჯახი ჰყავდა და არც მკურნალობისთვის საჭირო მატერიალური საშუალება ჰქონდა, უთუოდ გამოიწვევდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

როგორც ამ კონკრეტული საქმიდან ჩანს, ამ შემთხვევაში განმცხადებელს არასათანადო მოპყრობის რისკი ემუქრებოდა არა კონკრეტული სახელმწიფო სტრუქტურებისა ან სხვა ჯგუფების მხრიდან მიზანმიმართული ქმედების გამო, არამედ არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების შედეგად, რომელიც, ზოგადად, მისი მოქალაქეობის სახელმწიფოში იყო.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ „საქმის ძალზე გამონაკლისი ვითარების გათვალისწინებით," განმცხადებლის დეპორტაცია მე-3 მუხლით გათვალისწინებულ არაადამიანურ მოპყრობას გათანაბრებოდა.

ექსტერიტორიული ეფექტის განხილვის პარალელურად საინტერესოა ყურადღების შეჩერება იმ ტენდენციებზე, რომლებიც ექსტრადიციის, დეპორტაციისა და გაძევების საკითხების განხილვისას შეიმჩნევა იმ ევროპულ სახელმწიფოებში, სადაც ტერორიზმი სულ უფრო და უფრო მძიმე კვალს ტოვებს.

5. თანამედროვე ტენდენციები: დიდი ბრიტანეთის მაგალითი

სასამართლო მუდმივად აღნიშნავს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, არ მოახდნონ პირის (თავშესაფრის მთხოვნელის ჩათვლით) ექსტრადიცია ან გაძევება რომელიმე ქვეყანაში, როდესაც სერიოზული მოტივები არსებობს იმის დასაჯერებლად, რომ მას ემუქრება ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ მოპყრობის რეალური საშიშროება.[27] სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ მას კარგად ესმის, როგორ სირთულეებს აწყდებიან სახელმწიფოები თავიანთი მოსახლეობის ტერორიზმისგან დასაცავად.[28]

მიუხედავად ამისა, ევროპული კონვენცია სრულად კრძალავს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას, როგორიც არ უნდა იყოს მსხვერპლის მიერ ჩადენილი ქმედება.[29] გარდა ამისა, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები არ ითვალისწინებენ შეზღუდვებს, ხოლო მე-15 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო უშიშროებისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაშიც კი არ შეიძლება მისი დებულებებიდან გადახვევა.[30]

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ექსტრადიციისა და დეპორტაციის საკითხის განხილვისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ამ სამართლებრივი საკითხების პოლიტიკასთან უშუალო კავშირი. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილია სახელმწიფოთა თანამშრომლობა დანაშაულთან ბრძოლაში. ბუნებრივია, დანაშაულთან ბრძოლის ლეგიტიმური საფუძვლების არსებობის შემთხვევაში და ლეგიტიმური მიზნის მიღწევისას კითხვები არ უნდა იბადებოდეს. თუმცა არცთუ ისე იშვიათად სახელმწიფოები „კარგის სახელით ცუდის ქმნას" საკმაოდ მოხერხებულად და წარმატებით ახერხებენ.

მე-3 მუხლთან დაკავშირებული საქმეების რიცხვს სხვებთან ერთად, ბუნებრივია, მიეკუთვნება საქმეებიც, სადაც სერიოზული წინაპირობები არსებობდა იმის სავარაუდოდ და დასაჯერებლად, რომ ექსტრადიცია, რომლის მოთხოვნა ჩვეულებრივი სისხლისსამართლებრივი აქტის ჩამდენის დასჯის მოთხოვნით მოხდა, სინამდვილეში მიზნად ისახავდა პირთან გასწორებას მისი პოლიტიკური საქმიანობისა ან, უბრალოდ, მოსაზრებების გამო.[31]

27 *Chahal* v. *the United Kingdom*, 15 November 1996, para. 73-74.
28 *Chahal* v. *the United Kingdom*, 15 November 1996, para. 79.
29 *D* v. *the United Kingdom*, 2 May 1997, para. 47-48.
30 *Tomasi* v. *France*, 27 August 1992.
31 *Altun* v. *Germany*, 1983.

საინტერესო პოზიცია შეინიშნება ევროპის იმ ქვეყნებში, რომელთა პრაქტიკა და პოზიცია სხვა სახელმწიფოების ქმედებათა გარკვეულწილად განმსაზღვრელადაც შეიძლება ჩაითვალოს.

სტატიის ამ ნაწილში მოკლედ მიმოიხილება დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ გამოვლენილი პოზიცია და მიმართება სტატიის თემასთან დაკავშირებით:

XXI საუკუნეში გლობალურად განვითარებული მოვლენებისა და უფრო კონკრეტულად კი 2005 წლის ზაფხულში ლონდონში განხორციელებული ტერორისტული აქტების ფონზე დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება, სრულიად მიზანშეწონილად, ერთი მხრივ, ცდილობს უშუალოდ ქვეყნის დაცვას ტერორიზმის საფრთხისგან, მეორე მხრივ კი, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში გატარებული ღონისძიებებით კონტინენტისა თუ მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისთვისაც დახმარების აღმოჩენას ერთობლივი ქმედებებისა თუ პრეცედენტის ჩამოყალიბების კუთხით. ბრიტანეთი კარგი მაგალითია განსახილველად, მისი პოლიტიკური მდგომარეობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული ომის პირობებში.

2005 წლის ოქტომბრის მიწურულს დიდი ბრიტანეთის საიმიგრაციო საქმეების განმხილველმა მოსამართლეებმა უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოთხოვნასთან დაკავშირებით, განახლებულიყო უარყოფილ თავშესაფრის მაძიებელთა დეპორტაცია ზიმბაბვეში იმის გამო, რომ უკან გაგზავნილი ადამიანები პირდაპირ უშიშროების სამსახურის ხელში ხვდებოდნენ. სასამართლოს მიერ მოპოვებული ფაქტები ადასტურებდნენ იმას, რომ ნებისმიერი დეპორტირებული, რომელიც ბრიტანეთში თავშესაფარს ითხოვდა, ჰარარში დაბრუნების შემდეგ სამშობლოს მოღალატედ ითვლებოდა და ზიმბაბვის ხელისუფლება დეპორტაციებს განიხილავდა როგორც „ბლერის ჯაშუშების ზიმბაბვეში შენიღბულად შეშვების მცდელობას".

საინტერესოა ბრიტანეთის სასამართლოს მიერ დაკავებული პოზიცია ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სტანდარტების კუთხითაც: მოსამართლემ ერთ-ერთ თავშესაფრის მაძიებელთან მიმართებით განაცხადა, რომ ამ უკანასკნელმა ყალბი ფაქტების მოშველიებით მიიღო ბრიტანეთში ლტოლვილის სტატუსი – ბრიტანეთის ხელისუფლებას განუცხადა, რომ ის იყო ოპოზიციური ჯგუფის წევრი,[32] თუმცა მოგვიანებით მან ჯგუფის სახელწოდე-

32 ე.წ. "MDC" ჯგუფი.

ბის აბრევიატურის გაშიფვრაც კი ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ აღნიშნა, რომ ეს არ ცვლიდა ფაქტს და დეპორტაციის შემთხვევაში მას არასათანადო მოპყრობის რეალური რისკის საფრთხე ექმნებოდა.

ბრიტანელმა მოსამართლეებმა ასევე გულისწყრომა გამოხატეს იმის გამო, რომ ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო არ არის დაინტერესებული დეპორტირებულ ადამიანთა ბედით. მათი გულისწყრომა გავრცელდა არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროზე, არამედ ბრიტანეთის ოფიციალურ მისიაზეც ჰარარში, რომელმაც საქმესთან დაკავშირებით ახალი ფაქტები არ გამოავლინა.

წამების მსხვერპლთა დახმარების სამედიცინო ფონდმა ხაზგასმით აღნიშნა ბრიტანეთის სასამართლოს გადაწყვეტილების კავშირი ევროპულ კონვენციასთან:

„გადაწყვეტილება აშკარად და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მესამე მუხლის აბსულუტურ ხასიათსა და მოთხოვნას, რომ არავინ შეიძლება დაყენებულ იქნეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის რისკის წინაშე."

სასამართლოს გადაწყვეტილება ავალდებულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გადახედოს იქლისში მიღებულ გადაწყვეტილებას ადამიანთა ზიმბაბვეში დეპორტაციის თაობაზე.

ბოლო ხანებში ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გახმოვანებული ვარაუდის ფონზე, რომ ბრიტანეთმა შეიძლება, ევროპულ კონვენციაში მონაწილეობაზე უარიც კი თქვას, რათა მას ხელი არ ეშლებოდეს ეროვნული უშიშროების დაცვისთვის ყველა ეფექტიანი ღონისძიების გამოყენებაში, საინტერესოა კიდევ ერთი განვითარება:

ბრიტანეთის ხელისუფლებამ დაარწმუნა სხვა ოთხი ევროპული სახელმწიფო, გაერთიანებულიყვნენ ბრიტანეთთან, ევროპული სასამართლოს მიერ 1996 წელს გამოტანილი გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომლითაც სასამართლომ ტერორიზმში ეჭვმიტანილი უცხოელების დეპორტაციის აკრძალვა დაადგინა.

22 წლის ალჟირელის – ტერორიზმში ეჭვმიტანილი მოჰამედ რამზის — ნიდერლანდების წინააღმდეგ მიმართული განაცხადის განხილვისას დაინტერესებული მხარის სტატუსით ბრიტანეთთან ერთად საქმეში ჩართვის უფლება მოიპოვეს იტალიის, ლიტვის, პორტუგალიისა და სლოვაკეთის მთავრობებმა. ამ ქვეყნების მთავრობებს სურთ, დაარწმუნონ ევროპული

სასამართლო, შეცვალოს ჩაჰალის საქმით[33] დადგენილი პრინციპი. ბრიტანეთის ხელისუფლება, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდანაც კარგად ჩანს, შიშობს, რომ ეჭვმიტანილ ტერორისტთა დეპორტაციის საქმეების განხილვისას ეროვნული სასამართლოები ვალდებულად იგრძნობენ თავს, მისდიონ ჩაჰალის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას.[34]

ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ დაბრკოლებების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება სწორედ ევროპული სასამართლოს დარწმუნებაა იმაში, რომ ჩაჰალის საქმეში ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა მცირე ნაწილის პოზიცია – მოხდეს დაბალანსების პრინციპის გამოყენება – იყო მიზანშეწონილი. ევროპული სასამართლოს პოზიციას ამ საკითხთან მიმართებით 2006 წელს შევიტყობთ, თუმცა აქ საკითხავი ის არის, ამ შემთხვევაში „ცოცხალ" დოკუმენტად აღიარებული ევროპული კონვენციის რეგრესული განვითარების მოწმენი ხომ არ შეიძლება გავხდეთ?

6. დასკვნა

ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმად, დეპორტაცია და ექსტრადიცია იწვევს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, უეჭველია.

ამ შემთხვევაში, უპირველესად, უნდა შეფასდეს ის ფაქტობრივი საფუძვლები, რომელთა გაანალიზება აშკარად ცხადყოფს ექსტრადიციისა თუ დეპორტაციის შემთხვევაში მიმღებ ქვეყანაში კონკრეტული პიროვნების პოტენციური წამებისა თუ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის მსხვერპლად ქცევის შესაძლებლობას.

შესაბამისად, ზოგადად ამა თუ იმ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის არახელსაყრელი გარემოს არსებობა არ შეიძლება *a priori* ჩაითვალოს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გამომწვევად.

ეს ლოგიკა გულისხმობს იმასაც, რომ კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ დადებითი ვითარება პირდაპირ არ გამორიცხავს დეპორტაციის შემთხვევაში პიროვნების მე-3 მუხლის საწინააღმდეგო

33 *Chahal* v. *the United Kingdom*, 15 November 1996.

34 მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლება ცდილობს „წამების გამომრიცხავი" ორმხრივი შეთანხმებების მიღწევას ალჟირსა და სხვა ქვეყნებთან.

ქმედების დაქვემდებარების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ არ არის სავალდებულო, მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედების რისკი დადასტურებულად მოდიოდეს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. აკრძალვა მიზანშეწონილია იმ შემთხვევებშიც, როდესაც საფრთხე მომდინარეობს იმ პირების ან ჯგუფებისგან, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მოხელეები, მაგრამ თუ დასტურდება, რომ მათგან მომავალი საფრთხე რეალურია და, ამასთან ერთად, სახელმწიფო სტრუქტურებს არ ძალუძთ ან არ სურთ, თავიდან აიცილონ შესაძლო რისკი შესაბამისი დაცვის მექანიზმების გამოყენებით.[35]

ეს დასკვნა შეიძლება გაკეთდეს საკითხის სამართლებრივ ჭრილში განხილვისას; რამდენად მოქნილია სამართალი, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ეფექტიანად შებოჭოს სახელმწიფოთა ქმედებები, განსაკუთრებით პოლიტიკური უთანასწორობისა და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი პოლიტიკური რისკის არსებობისას, ეს თემა, ალბათ, დახურული არ არის და ამ დროის საინტერესო ტრანსფორმაციები კიდევ არაერთ მნიშვნელოვან და, შესაძლოა, საკვირველ პასუხსაც გაგვცემს ამ კითხვაზე.

35 *HLR* v. *France*. ეს საქმე შეეხებოდა კოლუმბიის მოქალაქეს, რომელიც კონტრაბანდული კოკაინით ვაჭრობდა. მან ინფორმაცია მიანოდა ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ ბიზნესის ორგანიზებაში ჩართულ სხვა დამნაშავეებზე. სასამართლოს უნდა განეხილა მოთხოვნა, არ მომხდარიყო მისი კოლუმბიაში დაბრუნება, რადგან განმცხადებელი დასახელებულ პირთა მხრიდან ანგარიშსწორების სერიოზული საფრთხის წინაშე დადგებოდა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ, ზოგადად, არ იყო გამორიცხული მე-3 მუხლის ექსტერიტორიული ეფექტის ამოქმედება იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო პირთა ჯგუფის მხრიდან სერიოზული საფრთხე შეიძლებოდა შექმნილიყო. თუმცა სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში არგუმენტები, რომლებიც ამტკიცებდნენ მდგომარეობის სირთულესა და კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხის რეალურად არსებობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს 6-მა მოსამართლემ განსხვავებული აზრით არსებითად განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა რისკის შეფასებასთან მიმართებით.

ავტორთა შესახებ

მაია ბითაძე — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი; საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ნამყვანი სპეციალისტი.

ბესარიონ ბოხაშვილი — სახელმწიფოს წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დავით გაბეხაძე — ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის მრჩეველი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

გაგა გაბრიჩიძე — ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ); ევროპის სამართლის მაგისტრი (ზაარბრიუკენი, გერმანია).

ირაკლი გივიაშვილი — სამართლის მაგისტრი (ჰაიდელბერგი, გერმანია); ნოტინგემის სამართლის სკოლის დოქტორანტი (ნოტინგემი, დიდი ბრიტანეთი).

ევა გოცირიძე — საქართველოს უზენაესი სასამართლოს მრჩეველი ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში.

მარიამ ვარდოსანიძე — ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის სპეციალისტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

კონსტანტინე კორკელია — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (თსუ); საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (წარჩინებით) (ლეიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები); ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი; თ.წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის საერთაშორისო და ევროპული სამართლის განყოფილების უფროსი; საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე.

კონსტანტინე კუბლაშვილი — საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სამართლის დოქტორი (ჰანოვერი, გერმანია).

გივი მიქანაძე — საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

ალექსანდრე ორახელაშვილი — საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ლეიდენის უნივერსიტეტი); საერთაშორისო სამართლის დოქტორი (კემბრიჯის უნივერსიტეტი); ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი.

სიმონ პაპუაშვილი — სახელმწიფოს წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მერაბ ტურავა — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

პაატა ტურავა — სამართლის მაგისტრი (პოტსდამი, გერმანია), თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

ქეთევან ხუციშვილი — მაგისტრის ხარისხის კანდიდატი (ლონდონის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა, ლონდონი); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი; კანონის უზენაესობის პროექტების მენეჯერი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.